

3063260

0 2 6 3 2 6 0
1 9 6 4

644
1964/5





პირველი თოვლი. ფოტოგრაფი სანდრო მამახალიაძის.

გარეანის პირველ გვერდზე—ახალგაზრდა მებრუნებელი. მხატვარი ჯემალ ლოლუა.

სილსაქი



9740

უინაარსი

ოთარ ჩერქეზი — აღვარდოთ ახალ- გავარდობა კომუნიზმის მაღალი იდე- ალების სულისკვეთებით	3
თამაზ შილაძე — ლექსები	21
ზაურ ბოლქვაძე — ლექსები	26
კონსტანტინე პაუსტოვსკი — იანვრის სუსხი. ნაწყვეტი ახალი წიგნიდან. თარგმნა ვალენტინა ძიძიგურმა	29
რეზო ვეიშვილი — ჩემი მეგობარი ნოდარი. რომანი	35
გურამ რჩეულიშვილი — ტრამაღი. მოთხრობა	57
ვახუშ ამირეჯიბი — მესამე თვალი. მოთხრობა	60
ერნესტ ჰემინგუეი — ჰარი მორგანი. რომანი. ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ქელიძემ	77
გიორგი მერაბილაძე — დიდი მხატ- ვარი და მოქალაქე	104

1

იანვარი

1964

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს ალკ. მ. კ-ს და
მუშალთა კავშირის ორგანო

● ქრივიკა და კუპლისისვიკა

ნოდარ ნათაძე — რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე. წერილი პირველი	106
ოთარ ჯინორია — კონსტანტინე გამ- სახურდიას „ეხეები“	116
ივლიტიშვილი ვარტაგვამ — გრიგოლ აბა- შიძის პატრიოტული ლირიკა	129
მაგალი თოდუბაძე — საიათნოვას ლექ- სების ახალი გამოცემა	134

● ჩუსთაველის ნაკვალევზე

ალექსანდრე ვინმარაშვილი — „ვე- ფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან	139
მერი გუგუშვილი, ლალი ქოჩინი- ძე — შენიშვნები „ვეფხისტყაოს- ნის“ ტექსტზე	142

● მეცნიერება და გეგნიკა

სოფიო გველესიანი — მეცნიერის ღვაწლი	147
ყოველი მხრიდან	157

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფახუჯი-
კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭეელი-
ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ქურნალი გააფორმა მხატვარმა ზურაბ გოგოლაძემ

მოთარ ჩაჩაქეზია

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის პირველი მდივანი

აღზვაროთ ახადგაზრდობა კოზუნიზმის მალადი იდეალების სუდისკვეთებით

ორი წელი, რომელიც გავიდა კომკავშირის წინა ყრილობიდან, საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში აღინიშნა დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენებით. სკკ ცენტრალური კომიტეტის მარტისა (1962) და ნოემბრის (1962) პლენუმებმა შეიმუშავეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს წარმოების ორგანიზაცია როგორც მრეწველობასა და მშენებლობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა. სკკ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები, და ბოლოს, დეკემბრის (1963) პლენუმმა დასახა ქიმიური მრეწველობის, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობის, დაჩქარებული განვითარების ღონისძიებანი.

ქართველი ხალხი, საქართველოს ახალგაზრდობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად არ იშურებდა თავის ძალასა და ენერგიას პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით მწყობრში ჩადგა ხრამის მე-2 ჰიდროელექტროსადგური, სიონის წყალსაცავი, რუსთავის კაპროლაქტამის საამქრო, ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა და მერვეისა და ზედა-რგანის ახალი მალაროები.

რესპუბლიკის საწარმოებში ახალგაზრდული ძალებით მოწინავე ტექნიკის დასანერგად 400-ზე მეტი ღონისძიება განხორციელდა. შეიქმნა ახალი მექანიკებისა და აპარატების 70 ნიმუში, მოდერნიზებულია 1000-ზე მეტი ჩარხის საწარმონადგარი. გაშვებულია 145 ნაკადური ხაზი, 6000 რაციონალიზატორმა და გამოგონებელმა სახელმწიფოს მილიონობით მანეთი დაუზოგა. მთელს რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მოძრაობა საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის, რასაც თბილისში დასაბამი მიეცა სკკპ 22-ე ყრილობის გახსნის დღეს.

რიტმულობისათვის მოძრაობა კომკავშირელთა სამეურნეო საქმიანობის კვალიფიციური ზრდის შესანიშნავი მაგალითია. ამ მოძრაობაში ჩაება ათასობით ახალგაზრდა მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოები, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები, ეკონომიკური ანალიზების ბიუროები.

რიტმულობისათვის ბრძოლაში დაიბადა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველდღიური შეჯამების ახალი პრაქტიკა, რამაც საშუალება მოგვცა ოპერატიული შემოქმედება მოვახდინოთ წარმოების მსვლელობაზე და მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ შეჯიბრების აღმზრდელობითი ფუნქცია. სელექტორზე ყოველდღე აღინიშნება მოწინავეთა სახელები, აგრეთვე, ჩამორჩენილთა სახელები, ჩამორჩენის მიზეზთა კონკრეტული ანალიზით; ეს ასწავლის მუშას და ინჟინერს ყოველდღე ეძებოს, იპოვოს და გამოიყენოს საწარმოო რეზერვები.

რიტმულობისათვის ლაშქრობას რომ ვიწყებთ, ჩვენი მიზანია მივადწიოთ შრომის ისეთ მაღალ ორგანიზაციას, რაც დამახასიათებელი იქნება კომუნისტური წარმოებისათვის, ტექნიკურად მოვამზადოთ ჩვენი ახალგაზრდა მუშები და ინჟინრები კომუნისტურ წარმოებებში ცხოვრებისა და მუშაობისათვის.

დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობამ. მხოლოდ გასულ წელს ახალგაზრდა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 117 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, მნიშვნელოვნად გადააჭარბეს თავიანთ ვალდებულებებს ახალგაზრდა მეციტრუსეებმა და მესიმინდეებმაც. გრძელდება ბრძოლა ჩაის პლანტაციებისა და ვენახების გამეჩხრებასთან. არანაკლები მუშაობა ჩაატარა კომკავშირმა ჩამორჩენილ მეურნეობათა ახალგაზრდა სპეციალისტებით გაძლიერებისათვის, მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად. 700-ზე მეტმა ახალგაზრდა აგრონომმა, ზოოტექნიკოსმა, ინჟინერ-მექანიზატორმა, ველისციხელთა მიბაძვით, ბრიგადირებად და ფერმის გამგებებად დაიწყო მუშაობა.

სოფლის ახალგაზრდობას გასულ ორ წელიწადში მრავალი ღირსშესანიშნავი წამოწყება ჰქონდა. ეს არის ახალგაზრდა მახარაძელი მეჩაიეს ეთერ ნიკოლაიშვილის ინიციატივა, რომ მისი რგოლის ყველა წევრს ისეთივე შრომითი მიღწევები ჰქონოდა, როგორც მას აქვს და რომლის საბასუხოდაც 6000-მდე ახალგაზრდა მეჩაიე საშუალოდ ერთ ჰექტარზე 5000 კგ ჩაის ფოთოლს კრეფს. ეს არის ახალგაზრდა გორელი მეზღვეების წამოწყებული და საქართველოს კენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული სასარგებლო საქმე — ხეხილის ბაღების მავნებლებთან და დაავადებებთან საბრძოლველად „კომკავშირული პროექტორის“ რაზმების შექმნა, რამაც არახელსაყრელი ამინდის პირობებშიაც საშუალება მისცა გორელებს არასტანდარტული ხილის რაოდენობა 15%-ით შეემცირებინათ. ეს არის, ჩვენი აზრით, დასაფასებელი ინიციატივა ახალციხელი კომკავშირელებისა, რომელთაც შიდასარწყავი არხების სისტემის აღდგენა-მოწესრიგება ითავეს. მათ უკვე გაწმინდეს და საექსპლოატაციოდ მოამზადეს 42 კილომეტრი სიგრძის მწყობრიდან გამოსული შიდასარწყავი არხები. სარწყავი სისტემის მოსავლელად სამმართველოში შექმნილია „კომკავშირული პროექტორის“ საგუშაგოები და რაზმები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა ხაზგასმით მიუთითა იმ უმნიშვნელოვანეს როლზე, რაც ახალგაზრდობას სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისა და დიდი ქიმიის შემდგომი ზრდის საქმეში აკისრია: „უთქვენოდ ჩვენ ვერ ავითვისებთ იმ კაპიტალურ დაბანდებებს, რომლებსაც ახლა ვსახავთ. ჩვენ უნდა ავითვისოთ ეს კაპიტალური დაბანდები ახალგაზრდობის დახმარებით, რადგან ყველაფერი ეს კეთდება თქვენთვის და ყველაზე მეტად — თქვენთვის!“

ამ სიტყვებში პარტიის დიდი ნდობა ჩანს, ჩანს იმის რწმენა, რომ კომკავშირი და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა წარმატებით გაართმევს თავს ამ საპატიო ამოცანას. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქიმიის პრობლემებს და ახალგაზრდობას დაუსახა ახალ სიმძლავრეთა ვადაზე ადრე გაშვებაში მონაწილეობის, მშენებლობის შინაგანი რეზერვების გამოყენების, პროდუქციის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის კონკრეტული გზები. გამოცხადდა სოფლის ახალგაზრდობის ლაშქრობა საყოველთაო აგროქიმიური სწავლების მიზნით, რათა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა სწორად გამოიყენონ მინერალური სასუქები, რომ ყოველი კილოგრამი სასუქი მარცვლად, ჩაიდ, ყურძნად, ხილად იქცეს. ეს გადაწყვეტილებები უკვე ხორციელდება. აგროქიმიის საყოველთაო სწავლების წრეებში ჩაბმულია 20 000-მდე კომკავშირელი და ახალგაზრდა. ქიმიური საწარმოების კომკავშირული კომიტეტები ანხორციელებენ ტექნიკური პროცესების ზუსტი დაცვის ღონისძიებებს. მშენებლები სწრაფი ტემპით აგებენ ქიმიის ახალ საწარმოებს.

პარტია თავის მუშაობაში სამეურნეო მშენებლობის ამოცანებს განუჩრდილად უკავშირებდა და უკავშირებს კომუნისმის მაღალი იდეალების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდას.

ხელმძღვანელობს რა პარტიის გადაწყვეტილებებით და ასრულებს მის მითითებებს, რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას საშუალება მიეცა გააუმჯობესოს ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის მუშაობა. კომუნისმის მშენებლობაში სწორედ პრაქტიკული მონაწილეობის გზით, პარტიისა და ხალხის მიერ დიდი და კონკრეტული საქმის გადაწყვეტაში ჭაბუკები და ქალიშვილები კომუნისმისათვის შეგნებულ მებრძოლებად იწოდებიან. ამის საუკეთესო დადასტურებაა წარმოების ათასობით ახალგაზრდა მოწინავე, რომლებითაც ამაყობს ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი ხალხი. ესენი არიან — სოციალისტური შრომის გმირი, რუსთაველი მეტალურგი არჩილ ძამაშვილი, თბილისელი მქსოველი ეთერ სოლომონია, აჭარელი მეჩაიე მაყვალა ჯინჭარაძე. ესენი არიან სახელგანთქმული მშრომელები და წარმოების ნოვატორები — აფხაზი მემაღროე ლადიკო მიქვატია, აწყურელი მესიმინდე ლეილა ღონდაძე, ოსი მებადე გიორგი საგაკევი, თბილისელი ზეინკალი ვიქტორ შინკარენკო, სიღნაღელი მექანიზატორი ზაურ სპანდერაშვილი და ახალქალაქელი მწველავი ემა პეტროსიანი. ისინი საქართველოს კომკავშირმა აღზარდა.

კომკავშირი ამაყობს ამ ადამიანებით და მათს მაგალითზე ზრდის ათასობით ჭაბუკსა და ქალიშვილს.

XXII ყრილობის ისტორიული დოკუმენტები, პარტიის პროგრამა, მათგან გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობას.

იდეოლოგიური ზეგავლენის ყველა ცნობილი ფორმების გამოყენებით, ახლის შემოღებითა და მოძველებულის უარყოფით კომკავშირული ორგანიზა-

ციები მთელ თავის ყურადღებას უთმობდნენ ახალგაზრდობაში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ ყოველი ახალგაზრდა აქტიურად იბრძოდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტურ მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად.

ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური სიმწიფის უტყუარი მაჩვენებელია შემოქმედებით, ნაყოფიერი შრომა რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, შახტებსა და მალაროებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და საპროექტო ინსტიტუტებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და გეოლოგიურ ექსპედიციებში, იქ, სადაც იქმნება კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა — ახალგაზრდების შრომითი მოღვაწეობისათვის მომზადება, მათში შრომისადმი, როგორც პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილებისადმი. სიყვარულისა და პატივისცემის გაღვივება და განმტკიცება. აუცილებელია ეს მუშაობა მიმდინარეობდეს განუწყვეტლივ, მიზანსწრაფველად, ყველა ასაკისა და კატეგორიის ახალგაზრდობასთან. კარგად უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის კომიტეტების მიერ გასულ წელს მიღებული გადაწყვეტილი ზომები ახალგაზრდობის დიდი ნაწილის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად არ მოგვეცემს სასურველ შედეგებს, თუკი კომკავშირის კომიტეტები კიდევ უფრო არ გააძლიერებენ შრომის გმირების — ჩვენი სამშობლოს საუკეთესო მშრომელების ცხოვრებისა და გამოცდილების პროპაგანდას.

მეორეს მხრივ, საჭიროა ბოლო მოვლდით მთელ რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არსებულ შემრიგებლურ დამოკიდებულებას უსაქმურებისა და მუქათხორებისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომლებიც აძლავნებენ შრომისადმი უპატივცემლობასა და ბატონკაცურ დამოკიდებულებას.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა შრომითი მოწყობით არ იფარგლება. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თუკი ჭაბუკს ან ქალიშვილს ჩავაბამთ შრომით პროცესში, მას ავტომატურად გამოუშუშავდება კომუნისტური შეგნებულობა.

შრომა მთლიანად შეასრულებს თავის აღმზრდელობით როლს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველი მისი მონაწილე მოეყიდება შრომას გააზრებულად, შეიგნებს მის საზოგადოებრივ დანიშნულებას. ამოცანა მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა კარგად იშრომონ, არამედ იმაში, რომ მათ იშრომონ კომუნისტურად!

როგორ არ ვიამაყოთ იმით, რომ რესპუბლიკაში უკვე გვაქვს ისეთი საწარმოები, რომლებმაც მოიპოვეს კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალი წოდება. ესენია თბილისის საწარმოები: დიმიტროვის სახ. ქარხანა. კერამიკული კომბინატი, ჩაის ამწონი ფაბრიკა და სხვ., რომ რესპუბლიკაში 5 000-ზე მეტ კოლექტივს უკვე მიეკუთვნა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი, 20 000 კაცს კი უკვე მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელი.

ყოველივე ეს გვახარებს უფრო მეტად იმიტომ, რომ ამ შესანიშნავ საქმეებში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ახალგაზრდობას, კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ამასთან ერთად არ უნდა დავუშვათ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის არსის დამახინჯების თუნდაც ცალკეული ცდა, არ უნდა მოხდეს, რომ ეს საპატიო წოდება ენიჭებოდეს მხოლოდ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის.

ახალგაზრდობის იდეოლოგიური აღზრდის ერთ-ერთი ნაცადი ფორმაა პოლიტიკური განათლების სისტემა. ამ სისტემაში სწავლების სამი საფეხურის

შემოღებამ საგრძნობი აღმავლობა გამოიწვია. შეიძლება მოვიყვანოთ პოლიტიკურების საინტერესო მუშაობის უამრავი მაგალითი. ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომკავშირული პოლიტწრის სემინარზე — „კომუნიზმი ჩვენი თაობის პრაქტიკული ამოცანა“, — მონაწილეებმა წამოიწყეს საინტერესო ინიციატივა, დახმარებოდნენ ახალგაზრდა მშრომელებს წარმოების რეზერვების სრულად გამოყენებაში. ათობით ახალგაზრდა ანასეულელი ახლა ნაყოფიერ შრომას ეწევა დღევით — „მოწინავე მეცნიერება სოფელს“. დიდი სარგებლობა მოაქვთ თბილისის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტების ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისაგან შედგენილ ლექტორთა ჯგუფებს.

მაგრამ ახლის, მოწინავეთა გამოცდილების, ჩვენი სახელოვანი დღეების პროპაგანდა ყველგან როდია თანამედროვე მოთხოვნილებათა სიმადლეზე. ბევრგან კომკავშირული პროპაგანდისტები, ლექტორთა ჯგუფები სუსტ და ფორმალურ მუშაობას ეწევიან. კომკავშირის ჯავის რაიონული კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფის თავმჯდომარედ მუშაობდა ამხ. სირანა ცხოვრებოვა. მან მუშაობაში თავის გამოსაჩენად ახალ, დღემდე უცნობ ორიგინალურ მეთოდს მიმართა — ლექციების ჩატარების შესახებ დაიწყო ფაქტიური ცნობების შედგენა, რომელსაც რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ბექდით ამოწმებდა.

პოლიტიკურ სწავლებაში ზოგჯერ თავს იჩენს ფორმალიზმი. მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი მოძღვრება, კომუნისტური პარტიის პროგრამა და პოლიტიკა, ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხები ზოგან ისწავლება კონსპექტურად და უხარისხოდ, კონტროლი და დახმარება არ ეწევათ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს.

კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა უფრო მეტად მოქნილი და მიზანდასახული გაგხადოთ თვითეული პოლიტწრის, თვითეული პროპაგანდისტის მუშაობა ახალგაზრდობასთან.

გზა კომუნიზმისაკენ — ეს არის დაძაბული ბრძოლისა და შრომის გზა. ამ გზაზე ჩვენ მთელი რიგი სიძნელების გადალახვა გვიხდება. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ძველი სამყარო უბრძოლველად დათმობს თავის პოზიციებს და არ შეეცდება წინსვლაში ხელი შეგვიშალოს. ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს ჩამოაცილოს ახალგაზრდობა მაღალ იდეალებს, დანერგოს მასში ბურჟუაზიული იდეოლოგია, მოზარდებს სულში ჩააწვეთოს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის შხამი, შეზღუდოს მომავალი თაობის სულიერი სამყარო ობიექტელის სურვილებით. უსირცხვილად გაჰყვირიან ისინი მთელ მსოფლიოში „თავისუფალი სამყაროს“ მშენიერებათა შესახებ. „ჩვენ შევქმენით ახალგაზრდობისათვის... ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებსაც პირდაპირ სამოთხისებური შეიძლება ვუწოდოთ... ავტომატანები, სპორტული თვითმფრინავები, ღამის კლუბები... პერლონის, ნეილონის, კაპრონის ნაწარმი... უკეთესი რამის ნატვრა აღარ შეიძლება“, — ამბობენ ისინი.

მაგრამ, აი, იმავე ბურჟუაზიული გაზეთებიდან აღებული მაგალითები: ამერიკის შეერთებულ შტატებში ათასობით ახალგაზრდას ჯერ არა აქვს ბინა. 17 მილიონი ცხოვრობს ჯურღმულებში, რომელთა შესახებაც ამერიკელი ჟურნალისტი ვუდი კლეინი წერს: „ეს იყო დამპალი ნაგავისა და დამყაყებელი შარდის, თავისისა და წლობით დაუბანელი ადამიანების ოფლის გულისამრევი სუნის. სიმყარაღე გამოდიოდა კედლებიდან და სწამლავდა ჰაერს. ეს სუნის ჯდება კანში და ავსებს თქვენს ლოგინს, იგი მიაზმებით აავადებს ქუჩას. ამ განწირულობის, უიმედობის, გვამების ლპობით ავსილ სამყაროში მონ-

ვედრილთ მხოლოდ ერთი ფიქრი ვიპყრობთ. გაიქცეთ, გაიქცეთ, რაც შეიძლება სწრაფად, გაიქცეთ უკანმოუხედავად...“

აი, რას წერდა ამ ცოტა ხნის წინ ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ „13 მილიონი ამერიკელის ოჯახისათვის ახალგაზრდების კოლეჯში სწავლა არის რაღაც კომმარო. სწავლებისათვის გადასახადის ზრდა გადაუჭრელს ხდის განათლების პრობლემას. ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლების სამინისტროს განცხადების თანახმად, კოლეჯში ოთხწლიანი სწავლების გადასახადი 1970 წელს 15.000 დოლარამდე გაიზარდა. ამგვარად, სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდობისათვის მიუწვდომელი ხდება განათლების მიღების შანსი“.

დასავლეთგერმანული ჟურნალი „უნივერსიტასი“ აქვეყნებს საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოველ მეათე მუშას სჭირს მსუბუქი ნევროზი, ყოველი მეხუთე კი ნერვიულად მიიმედა დაავადებული. დანიაში 30 წლის ასაკამდე ყოველი მეხუთე მიცვალებული თვითმკვლელობითაა გამოსაღმებული სიცოცხლეს. იაპონიაში თვითმკვლელობის ყველაზე დიდი რიცხვი მოდის 15-დან 24 წლის ასაკის ადამიანებზე.

აი ფაქტები, უფრო სწორად ფაქტების მეათასედი ნაწილი, რომლებიც გვაცნობს ე. წ. „თავისუფალი სამყაროს“ ახალგაზრდობის ნამდვილ ცხოვრებას.

გულუბრყვილონი და საცოდავები ჩანან ის ადამიანები, რომლებიც განიცდიან ბურჟუაზიული პროპაგანდის დემაგოგიურ გავლენას. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები არიან ჩვენს შორის. ესენი არიან ნაძირალები, რომლებისთვისაც მიუწვდომელია საბჭოთა სამშობლოს წინსვლით გამოწვეული სიამაყე, რომლებიც ელტვიან უგემოვნო მოდურს, ყოველივე უცხოურს. — დაწყებული ქოლგიდან დამთავრებული მამაკაცის ჰალსტუხამდე, ისტერიული მუსიკიდან — პორნოგრაფიულ ცეკვამდე. ბურჟუაზიული პროპაგანდა იმორჩილებს მათ, ვისაც ედება ინდივიდუალიზმის, მორალური სიცარიელის, დამამცირებელი ქედმოხრილობის ხავსი. ასეთ ხავსმოკიდებულ ადამიანებს, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველგან როდი სცემენ საკადრის პასუხს.

დე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ისიც იცოდნენ, რომ იქ, სადაც გაფრთხილება აღარ მოქმედებს, საჭიროა მოიშველიონ აბანო და თუ, ქართული ანდაზისა არ იყოს, „ყორანი მაინც არ გათეთრდა“, მაშინ სხვა გზები და საშუალებებიც მოგვეპოვება. ასეთი ადამიანების მიმართ სიბრალული და ლიბერალიზმი დანაშაულს ნიშნავს.

არ არის სწორი, როდესაც ჩვენი პროპაგანდისტები მოზარდ თაობას არ განუმარტავენ ყბადაღებული „თავისუფალი სამყაროს“ ცხოვრების მანკიერებას. არ იძლევიან დასავლეთის ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების კრიტიკულ შეფასებას, ხშირად გვერდს უვლიან და არ განმარტავენ უცხოური კინოსურათების საეჭვო მხატვრულ-იდეურ ღირებულებას, არ აძლევენ მათ შკაცრ პოლიტიკურ შეფასებას.

აუცილებლად მიგვაჩნია რესპუბლიკის კინო-გაქირავების სამმართველომ უფრო გონივრულად შეარჩიოს ფილმები. მეტი ყურადღება დაუთმოს საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების ჩვენებას. ჩვენს ეკრანებზე რამდენიმე დღით გამოვიდა და სწრაფადვე გაქრა „მოსფილმის“ შესანიშნავი ნაწარმოები „კომუნისტი“, რომელიც მეტად დიდი პოლიტიკური და მხატვრული ღირებულების ნიმუშია. გავიხსენოთ შესანიშნავი ფილმები: „ერთი წლის ცხრა დღე“, „კოლეგები“, „ბალადა ჯა-

რისკაცზე“ და მრავალი სხვა, რომელთა დემონსტრაცია და პოპულარიზაცია მეტად საჭირო და სასარგებლო საქმეა.

სამწუხაროდ, კიდევ გვხვდება ახალგაზრდების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებისა და დანაშაულებათა ჩადენის შემთხვევები. ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, მათ შორის კომკავშირელები, რომლებიც ხულოგანობენ, ლოთობენ, ქურდობენ, უდიერად ექცევიან ქალიშვილებს. კომკავშირული ორგანიზაციები კი ასეთი ახალგაზრდების მიმართ ჯერ კიდევ არ იღებენ ქმედით ზომებს. მართალია, ახალგაზრდობის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი გასულ წლებთან შედარებით შემცირდა, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღწიოთ იმას, რომ საერთოდ აღიკვეთოს კომუნისტური საზოგადოებისათვის შეუფერებელი ყოველგვარი გამოვლენა.

წარსულის მაგნე გადმონაშთებიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი გამძლე და მიუღებელი გამოვლენაა რელიგიური ცრურწმენა. ათეისტური პროპაგანდა კი ხშირად რჩებათ მხედველობიდან კომკავშირულ ორგანიზაციებს; იშვიათად ტარდება ამ მიმართებით გამიზნული ღონისძიებები, მორწმუნეებთან ინდივიდუალური მუშაობა; ლექციური პროპაგანდა კი ვერაფრითაა კრიტიკას ვერ უძლებს.

ჯერ კიდევ მტკიცედ არის ფეხმოკიდებული საქართველოში რელიგიური დღესასწაულები. უამრავი ხალხი იკრიბება მცხეთობაზე, ალავერდობაზე, ვარძიობაზე და ა. შ. ეს ადგილები: იგივე ალავერდი, ვარძია, ჯვარი, სვეტიცხოველი, ყინწვისი თუ ხერთვისი ნამდვილად წმინდა და პატივსაცემი ადგილებია. ისინი ჩვენი ხალხის დიდი შრომით, ადამიანური ვნებით, ტანჯვითაა შექმნილი და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ.

ხშირად სხვადასხვა ორგანიზაციები ექსკურსიებს რელიგიურ დღესასწაულს უპირისპირებენ და ის ადამიანები, რომელთაც მაგალითად არ უნახავთ ილიას და აკაკის სახლმუზეუმები, არ ყოფილან ყაზბეგსა თუ ჩარგალში. მთელი დღის განმავლობაში უტკეპრენ, როგორ ფართხავს მუხლებზე ზოგიერთი დამთხვეული ალავერდის გარშემო, როგორ ბუქნავენ და ღრიალებენ მთვრალები.

კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად ერევიან ამ საქმეში. უდავოდ დროულია და აუცილებელი, რომ დღესასწაულებს ჩამოეცალოს რელიგიური შინაარსი. კარგია და მისასალმებელი ამ მხრივ იყალთოს ახალგაზრდობის ინიციატივა. საუკუნეების მანძილზე იყალთოში იმართებოდა საეკლესიო დღესასწაული „ამაღლება“. აქ ხალხი შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდა. კულტურის სახალხო უნივერსიტეტმა, კომკავშირულმა ორგანიზაციამ „ამაღლების“ ნაცვლად „შოთაობა“ შემოიღეს. გადმოცემის თანახმად, იყალთოში ხომ დიდი შოთა სწავლობდა. პირველი „შოთაობა“ 4 ნოემბერს ჩატარდა: ამ დღეს მოეწყო შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნა, მასობრივი კულტურული და სპორტული გართობანი, საინტერესო შეხვედრები; ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით გამოუშვეს ზეპირი ჟურნალი. ასეთ მნიშვნელოვან წამოწყებას კარგად უნდა ჩაუფიქრდნენ კომკავშირული ორგანიზაციები და ფართო გზა მისცენ მას.

ზოგჯერ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც ცუდ მაგალითს უჩვენებენ ახალგაზრდებს. შეილებს. მაგალითად, 1963 წლის 10 მაისს ახალციხის რაიონში, წმინდა ივლიტეს პატარა ეკლესიაში ლოცვით გაბრუებულ მორწმუნეებს შორის იყო „წმინდა“ სანთლებით ხელდამშვენებული ქალაქ ვალეს კულტურის სახლის დირექტორის მოადგილე შალვა კობესაშვილი საკუთარი მანქანითა და ცოლშვილით. რა მაგალითი უნდა მისცეს ამხ. კობესაშვილმა შეილებს, ახალგაზრდებს, რომლებიც მას ხედავდნენ რელიგიურ დღესასწაულ-

ზე სპეციალურად მისულს. საინტერესოა, ამის შემდეგ როგორ უნდა მოაწყო კულტურის სახლში ლექცია ანტარელიგიური პროპაგანდის საკითხებზე? ჩვენს დიდ ორგანიზაციაში ბევრია ოც წლამდე ასაკის ჭაბუკი და შვილი. მათ არ გაუვლიათ ცხოვრებისა და ბრძოლის ის დიდი სკოლა, რომელიც წილად ჰვდა ჩვენს უფროს თაობას, ამიტომ ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი, რის ფასად მიადწია გაუგონარ გამარჯვებას საბჭოთა ხალხმა.

უფროსი თაობის წარმომადგენელთათვის ეს არის სისხლიანი სამოქალაქო ომი, ვასილ კიკვიძისა და ნესტორ კალანდარიშვილის თავდადებული გმირობა, ბორის ძნელაძის მგზნებარე სიტყვები, მეტეხის ციხის ბნელი საკნები. ეს არის კიროვისა და ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით მე-11 არმიის შემოსვლა, რომელიც დაეხმარა საქართველოს პროლეტარიატს მოღალატე მენშევიკებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არის სამართლიანი ომი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ფაშისტი ჯალათების წინააღმდეგ, მარუხის გმირების უმაგალითო თავდადება, რომლებმაც მტერს საქართველოსაკენ სავალი გზა გადაუღობეს, კუნძულ ტიქსელზე ქართველი ტყვეების საკვირველი სიმამაცე, რომლებმაც დაამსხვრიეს ტყვეობის ბორკილები, ეს არის გამარჯვების ალაში, რომელიც რაიხსტაგზე ააფრიალეს ალექსი ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიაძე.

ყველაფერი ეს უნდა იცოდეს და კარგად ახსოვდეს ახალგაზრდას. როგორ ვიყენებთ ჩვენ ამ მდიდარ შესაძლებლობებს ახალგაზრდობაში რევოლუციური ენთუზიაზმის, შრომის ჰეროიკის, საბჭოთა პატრიოტიზმის განვითარებისათვის? როგორ ვუწყობთ ხელს ახალგაზრდობის მზადყოფნას ყოველთვის მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს მათ, ვინც ცდილობს ბნელ კუთხეებში გაავრცელოს ჩვენთვის მტრული იდეები და შეხედულებები, როგორ ვუნერგავთ ახალგაზრდობას იდეურ სიმტკიცეს და კომუნისტური რწმენის დაცვის უნარს? უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

საქართველო მდიდარი რევოლუციური ტრადიციების ქვეყანაა, ჩვენს მუზეუმებში კი რევოლუციური ბრძოლის თემა სუსტადაა გაშუქებული. მხოლოდ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შემდეგ მოხსნეს ჩვენი ეთნოგრაფიული მუზეუმებიდან ფეოდალების მდიდრული ცხოვრების ამსახველი ურიცხვი ექსპონატები, რომლებიც არავის არაფერში არ სჭირდებოდა! დღემდე არადაამკამაყოფილებლად დგას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიის პროპაგანდის საქმე, ასეთივე მდგომარეობაშია საქართველოს კომკავშირის ისტორიაც. ჯერ კიდევ სუსტად ვიზიდავთ ამ მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად ახალგაზრდა მეცნიერებს და ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ისტორიული ფაქულტეტის სტუდენტებს.

ბურჟუაზიული პროპაგანდა ახლაც ცდილობს უთანხმოება და უნდობლობა დათესოს ჩვენი ქვეყნის ერებში, ცდილობს შუღლის გრძნობა გააღვივოს ქართველებსა და რუსებს, ლიტველებსა და ბელორუსებს. აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. ყოველი ამგვარი ცდა თავიდანვე განწირულია. სოციალისტური წყობილება თავისთავად ნიადაგს აცლის ამგვარ გამოვლინებებს, მაგრამ ყოველივე ეს როდი გვაძლევს უფლებას გულგრილად გვერდი ავუქციოთ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც თავი პატრიოტებად, ნამდვილ ქართველებად მოაქვთ, ამავე დროს კი იწამლებიან ბურჟუაზიული შხამით — ნაციონალიზმით. ისინი ცრუ პატრიოტები არიან, ყოველ ნაბიჯზე გაჰყვირიან სამშობლოსადმი დიდ სიყვარულს, ლაპარაკობენ ეროვნული კულტურის მდიდარ წარსულზე, მაგრამ თითს თითზე არ აკარებენ მშობლიური ხალხის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა საქართველოს ღირსეული შვილები, ნამდვილი პატრიოტები არიან ჩვენი ელმავალშენებლები, რომლებიც თანამედროვე საფრანგეთზე მეტად მუშაობენ ვლებს უშვებენ; ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები, რომლებიც იმაზე მეტად ამზადებენ, რასაც მთელი მეფის რუსეთი ამზადებდა; რუსთაველი მეტალურგები, ჭიათურელი მშენებლები და მემალაროელები, ტყვარჩელელი მეშახტეები, ჩვენი მეცნიერები, მასწავლებლები, ინჟინრები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კულტურის მუშაკები; ყველა ის, ვინც საკუთარი მარჯვენითა და გონებით ემსახურება ხალხსა და სამშობლოს, ქმნის მატერიალურ დოვლათს, მონაწილეობს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. ჭეშმარიტი პატრიოტი ისაა, ვინც ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის მაღლსა სთესს საბჭოთა ადამიანების ძმური დამოკიდებულების ნაყოფიერ ნიადაგზე.

გიყვარდეს საქართველო, დღეს ეს მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ გიყვარდეს მხოლოდ მისი სახელოვანი წარსული და უძველესი მდიდარი კულტურა, არამედ გიყვარდეს საქართველოს დღევანდელი დღე, გიყვარდეს ჩვენი დიდი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, აკეთებდე ყველაფერს მისი სიძლიერისა და აყვავებისათვის.

თავის დროზე, დიდი ქართველი მოაზროვნე და მოამაგე ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა ორ ათეულ ქართველ ინჟინერზე და აგრონომზე, რომლებიც ხალხის სამსახურში იქნებოდნენ, ხალხისათვის საჭირო და აუცილებელ საქმეს გააკეთებდნენ. სოციალისტური საქართველოს დღევანდელმა დონემ ბევრად გადააჭარბა ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ დემოკრატ-განმანათლებელთა ოცნებას. ისინი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდნენ, რომ დღეს საქართველოში ოცდარვა ათასი ინჟინერია, ათი ათასზე მეტი აგრონომი, თორმეტი ათასი ექიმი, უკვე აღარას ვამბობთ იმ საშუალო სპეციალური განათლების მქონე ადამიანებზე, რომლებსაც ხელმძღვანელი ადგილი უკავიათ სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, მატერიალური წარმოებისა და კულტურის მრავალ დარგში.

1953 წლიდან დღემდე სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 2,1-ჯერ, ეს ნიშნავს ახალი სამრეწველო საქართველოს დაბადებას. ეს ციფრები ჟღერს, როგორც ჰიმნი დიდი ოქტომბრის სოციალისტური თანამეგობრობისა, რუსი, უკრაინელი და სხვა საბჭოთა ხალხების უანგარო, ძმური დახმარებისა. ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი ბოლშევიკების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ტრადიციებს. ეს შესანიშნავი თანამეგობრობა ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი რევოლუციონერებისა უფრო მეტად განმტკიცდა, გაძლიერდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. სსრ კავშირის ერების შეურყეველი ძმობა და მეგობრობა დღითიდღე მტკიცდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მოგვიწოდა საბრძოლო მზადყოფნაში გვქონდეს ყველა სახეობის იდეური იარაღი. იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფისათვის კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პრესას, რადიოს, ტელევიზიას, — „იდეოლოგიური ფრონტის დამკვრელ ძალებს“. რესპუბლიკის ახალგაზრდობისათვის განკუთვნილმა ჟურნალ-გაზეთებმა, რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციებმა უდავოდ ახალ წარმატებებს მიაღწიეს. ისინი მონდომებით ცდილობენ ხელი შეუწყონ რესპუბლიკის ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, ცდილობენ ასახონ მისი მრავალფეროვანი ცხოვრება და შრომითი მიღწევები, მაგრამ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ ვხვდებით ერთგვარ ნაკლოვანებებს. სრულყოფილად ვერ შექმდება კომკავშირული ცხოვრება, სათანადო სიღრმითა და სიმძლავრით ვერ ხერხდება მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა. გაზეთები

ვალდებულნი არიან იმუშაონ უფრო მიზანსწრაფვულად და მოქნილად, ხელი შეუწყონ კომუნისტური პარტიის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელებისათვის ახალგაზრდობის მობილიზაციის საქმეს.

მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უდიდეს როლს ასრულებს ლიტერატურა და ხელოვნება. ისინი ეხმარებიან ახალგაზრდა ადამიანს იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში, აქტიურად უწყობენ ხელს მისი მორალური სახისა და მოქალაქეობრივი იდეალების ჩამოყალიბებას.

ამ მაღალი მიზნების სამსახურში ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ დიდ წარმატებას მიაღწია. უფროსი თაობის გვერდით დიდი მონდომებითა და ენერგიით შრომობენ ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედნიც, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ წინამორბედთა საუკეთესო ტრადიციებს და თავიანთ შემოქმედებას ხალხის სამსახურს უძღვნიან. მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენმა ახალგაზრდა პოეტებმა და პროზაიკოსებმა: ნოდარ დუმბაძემ, თამაზ ჭილაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, არჩილ სულაკაურმა, ოთარ ჭილაძემ, ოტია იოსელიანმა; მხატვრებმა და მოქანდაკეებმა: დინარა ნოდიაშვილი, მერაბ მერაბიშვილი, ვოვა თოთიბაძემ, გურამ გელოვანმა; კომპოზიტორებმა: ბიძინა კვერნაძემ, ოთარ გორდელო, სულხან ხასიძემ, ვაჟა აზარაშვილმა. ვია ყანჩელმა, ნუგზარ ვაწაძემ; კინო-რეჟისორებმა: ელდარ შენგელიამ, თამაზ მელიაძემ და ბევრმა სხვამ.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდნენ შემოქმედებით ახალგაზრდობას და უკეთ იზიდავდნენ მას ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად.

ჩვენს ეპოქაში, როცა ესთეტიკა იქცა მკვეთრი იდეური ბრძოლის ასპარეზად, მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ შემოქმედებით ახალგაზრდობას. დროულად დავუჭიროთ მხარი მის წარმატებებს, ამავე დროს პრინციპულად და დაუნდობლად შევაფასოთ მისი თვით უმციურესი შეცდომებიც კი.

ახალგაზრდულ ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი პოეზიაში გვხვდებოდა და ზოგჯერ გვხვდება ყალბი ნოვატორობის, ცრუ ორიგინალობის, ბუნდოვანი თამაშის ცდები.

მაგალითად, გასულ წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოუშვა ახალგაზრდა დამწევი პოეტების ანზორ აბულაშვილის, ბონდო ალავეძის, ლადო ირემაშვილის, ტაგუ მებურიშვილის ლექსების კრებული. კრებულში ბევრი ბუნდოვანი, არაფრისმთქმელი, მხატვრულად და იდეურად სუსტი ლექსია. საილუსტრაციოდ მოვიტანთ თუნდაც ერთ ლექსს, რომელიც ახალგაზრდა ავტორს ლადო ირემაშვილს ეკუთვნის.

თეთრად თოვს თოვლი ფანჯარასთან. თოვს.

თოვლი რა არის? თოვლი თოვს თეთრად.

თეთრი რა არის? თოვლი თოვს თეთრად.

სევდა რა არის? ხელების სევდა?

ზის დედოფალა ფანჯარასთან.

ვის ვახსენდა, მოკვდება გედი?!

სიკვდილი რაა? სიმღერა რაა?

მოკვდება გედი. რა არის გედი?

ზის ფანჯარასთან დედოფალა...

ჩრდაქციები და გამომცემლობები ხშირად იჩენენ უპრინციპობას მდარე ნაწარმოებთა ბეჭდვისას. ამით ისინი „დათვურ“ სამსახურს უწევენ ახალგაზრდა ავტორებს. კარგი იქნება თუკი გამომცემლობები ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებითი ზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით მათი წიგნების გამოცემამდე მოაწყობენ წინასწარ გარჩევას ფართო მკითხველი სა-

ზოგადობის აქტიური მონაწილეობით, რაც დადებითად იმოქმედებს მომავალი წიგნის ბედზე.

კინო და თეატრი კომუნიზმის მშენებელი მომავალი თაობის იდეოლოგიური აღზრდის დაუშრეტელი წყაროა. ისინი ჩვენს ახალგაზრდობას უნერგავენ სწავლისა და შრომის სიყვარულს. ამ მხრივ კინოს განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნია.

ბევრი კარგი ფილმი შექმნა ჩვენმა კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“. ბოლო წლებში ახალგაზრდობამაც გამოავლინა დიდი ნიჭი და უნარი. ჩვენ კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ ახლახან გამოსული ფილმის — „თეთრი ქარავანის“ წარმატება. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა რეჟისორებმა ელდარ შენგელაიამ და თამაზ მელიავამ, სცენარის ავტორ მერაბ ელიოზიშვილთან და მთელ კოლექტივთან ერთად შექმნეს საინტერესო სურათი ქართველი მწყემსების ცხოვრებაზე. ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი აღიდგენს თავის ძლიერ პოზიციებს და მაცურებელთა ფართო მასებს გაახარებს ახალი, მაღალხარისხოვანი ნაწარმოებებით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეკრანზე აღარ გამოვა ისეთი გაჭიანურებული, მეშხანური, წიგნურ-ლიტერატურული ასოციაციების შედეგად დაწერილი სცენარების მიხედვით შექმნილი ფილმები, როგორიც იყო: „ორი ოჯახი“, „სად არის შენი ბედნიერება, მზია“ თუ „ზღვის ბილიკი“.

ჩვენი თეატრები ცდილობენ ასახონ სიახლითა და მიღწევებით აღსავსე თანამედროვეობა. ბოლო წლებში ბევრი საინტერესო სპექტაკლი შეიქმნა, მაგრამ ჯერ კიდევ ნაკლებია ახალგაზრდული თემები, მაგრამ ეს თემები ისე კარგად უნდა გადავწყვიტოთ, როგორც ეს გააკეთა, მაგალითად, მწერალმა ამირან აბშილაევამ პიესაში „ადამიანი დაბრუნდა“, რომელიც დადგა ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა. გვინდა მოვუწოდოთ მწერლებს, შემოქმედებით ახალგაზრდობას, მეტი მონდომებით იმუშაონ კინოსა და თეატრის საკითხებზე, თავისი ცოდნა და ენერჯია მოახმარონ თანამედროვეობის სულისკვეთებით გაჟღენთილი პიესებისა და სცენარების შექმნას.

მეტად დიდ დახმარებას საჭიროებენ თბილისის მოზარდ მაცურებელთა ქართული და რუსული სახელმწიფო თეატრები. განათლების სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს თითქოს გადაავიწყდა ამ თეატრების არსებობა, რომლებიც მოწოდებულნი არიან მოზარდ თაობას ჩაუხერგონ საუკეთესო თვისებები, კარგი ტრადიციების პატივისცემის გრძნობა, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების მორალი. ამ მიზნის მისაღწევად, სხვა რომ არა იყოს რა, მათ ნორმალური სამუშაო პირობებიც სჭირდებათ, რასაც ამჟამად ვერ ვხედავთ. განსაკუთრებით ეს ითქმის მოზარდ მაცურებელთა რუსულ თეატრზე. თეატრების მუშაობას ყოველმხრივ უნდა შეუვწყოთ ხელი, რომ მათ დაკისრებული დიდი საქმე გულმოდგინედ და შეუფერხებლად აკეთონ!

ახალი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში ფიზიკური მომზადება ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს.

ფიზკულტურულ მოძრაობაში ახალგაზრდობა გადის პატრიოტიზმის, სიმამაცის, ნებისყოფის გამოწრთობის, გამძლეობისა და შეუდრეკელობის, მეგობრობისა და კოლექტიურობის სკოლას.

ლენინური კომკავშირის მონაწილეობა სპორტულ ცხოვრებაში უზრუნველყოფს სასურველ იდეოლოგიურ მიმართულებას, უზრუნველყოფს პარტიის საქმისათვის თავდადებული ახალი თაობების აღზრდას.

სწორედ ამიტომ უკანასკნელი ორი წელიწადი ხასიათდებოდა კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდობის სპორტული აღზრდის გარკვეული გაუმჯობესებით.

საქართველოს დამსახურებულად უწოდებენ სპორტის ქვეყანას. უკვე ზედიზედ მეოთხე წელია რესპუბლიკა ჯილდოვდება სპორტსაზოგადოებთა და ორგანიზაციათა კავშირის ვარდამავალი წითელი დროშით სპორტის მსწავლე გუნდთათვის. საქართველომ ქვეყანას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენი მისცა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ახალგაზრდობას შორის სპორტულ მუშაობას მრავალი სახე დაემატა. კომკავშირის კომიტეტებთან შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის კომისიები. ახალგაზრდობის ხელით აშენდა მრავალი სპორტული მოედანი. ამ დღეებში მწყობრში ჩადგება ბაკურიანის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი.

მაგრამ ჩვენ ბევრი ჩავარდნებიც გვაქვს ფიზკულტურულ მოძრაობაში. ჯერ კიდევ სუსტად ინერგება საწარმოო ვარჯიში, ბევრი არ მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს. და სხვათაშორის მათ რიცხვში საკმაო რაოდენობით არიან კომკავშირული მუშაკები და აქტივისტები.

მრავალი ნაკლი გავგაჩნია მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში.

ზოგიერთ სკოლაში ფიზიკური აღზრდა კვირაში ერთი გაკვეთილით შემოიფარგლება. ამ ერთ გაკვეთილსაც არაკვალიფიციური პედაგოგები ატარებენ. კომკავშირის კომიტეტებმა ვერ მოახერხეს, რომ სკოლებში მოსულიყვნენ საუკეთესო მწვრთნელები, სპორტის ოსტატები, რომ ისინი გამხდარიყვნენ შეჯიბრებათა ორგანიზატორები. მოსწავლეთა შორის სპორტის პროპაგანდისტები.

აუცილებლად მიგვაჩნია, წელს თვითეულ სკოლასთან ავაშენოთ მარტივი სპორტული მოედნები. ამის გაკეთება შესაძლებელია საზოგადოებრივ საწყისებზე. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ კომკავშირული ორგანიზაციები.

საჭიროა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მკვეთრად გაუმჯობესდეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მოზარდებს შორის. ეს როგორც ჩანს დაავიწყდათ კომკავშირის თბილისის ქალაქკომსა და განათლების განყოფილებას. მოვაგონოთ თბილისელ ამხანაგებს, რომ ეზოს გუნდების შეჯიბრი ფეხბურთში უკანასკნელად 7 წლის წინ ჩატარდა.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლის კომკავშირული კომიტეტების ავტორიტეტი. ისინი გახდნენ ორგანიზატორები, პედაგოგებისა და პარტიული ორგანიზაციების აქტიური დამხმარენი მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ჭაბუკებისა და ქალიშვილების დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრებისათვის მომზადების საქმეში. რესპუბლიკის სკოლებში დამკვიდრდა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მრავალი ახალი ფორმა, რომელიც მოსწავლეთა ინიციატივასა და თვითშემოქმედებაზე დამყარებული. რაიონული და საქალაქო პიონერული და კომკავშირული შტაბები, უფროსკლასელთა კლუბები, პიონერული მოქმედების ზონები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ნორჩი კოსმონავტების, მესაზღვრეთა მეგობრების რაზმები და სხვ.

კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები ცოცხლად და საინტერესოდ მუშაობენ მაშინ, როდესაც ისინი თავს გრძნობენ დამოუკიდებელ, აქტიურ ძალად, როდესაც ისინი გრძნობენ ყოველდღიურ მზრუნველობას, ყურადღებას და მხარდაჭერას უფროსებისაგან. იქ კი, სადაც ეს არ არის, მუშაობაც უფერული და უხარისხოა, მოწყენილობაა კომკავშირულ ორგანიზაციაში, მოსწავლეები საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინერტულნი არიან.

დღეს სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების პიონერული რაზმების და რაზმეულების მუშაობა იმდავარად უნდა წარვმართოთ, რომ თვითეული პიონერი თუ კომკავშირელი იყოს აქტიური, შეგნებული წევრი პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელიც კომუნისმის მშენებლობაში მონაწილეობს და თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიად საქმეში.

უკვე ბევრჯერ ითქვა იმ მიღწევების შესახებ, რომელიც მოჰყვა სკოლების რეორგანიზაციას მოსწავლეთა შრომით აღზრდის საქმეში. არაერთხელ გვითქვამს ისეთი შესანიშნავი მაგალითების შესახებ, როცა მთელი კლასები, სკოლის დამთავრებისას რჩებიან სამუშაოდ კოლმეურნობასა თუ წარმოებაში. ბევრჯერ გვითქვამს აგრეთვე მოსწავლე-რაციონალიზატორებისა თუ მოსწავლეთა ბრიგადების შესახებ, რომლებიც შეჯიბრებაში არიან ჩაბმული რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთად.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გავგაჩნია ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან შრომითი აღზრდის სწორ ორგანიზაციას რესპუბლიკაში.

ცხადია, რომ საწარმოო სწავლება რთული საქმეა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს თავის გამართლებისათვის არგუმენტად არავის გამოადგება. არ არის დასაშალი, რომ ზოგიერთი კომკავშირული კომიტეტი ჯერ კიდევ არ იღებს აქტიურ მონაწილეობას საწარმოო სწავლების დაგეგმვაში, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფაში, მოსწავლეთა სამუშაო ადგილების კეთილმოწყობისა და კურსდამთავრებულთა შრომით საქმიანობაში ჩაბმის მთელი რიგი საკითხების მოგვარებაში.

ხშირად საწარმოო სწავლების პროფილი სკოლაში იგეგმება დირექტორის სურვილისა და საწარმოო ბაზის სკოლასთან ტერიტორიული სიახლოვის გათვალისწინებით და არა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია მოცემული რაიონის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა და მოთხოვნილება შესაბამისი სპეციალობის მუშახელზე. თვით მოსწავლეთა ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინებაზე აქ უკვე აღარაფერს ვამბობთ.

1959 წლიდან მოყოლებული არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კრება და თათბირი, რომელიც საწარმოო სწავლებასთან მეტნაკლებად იყო დაკავშირებული, სადაც ლაპარაკი არ ყოფილა თანამედროვე პროფესიის მშენებლების მომზადების აუცილებლობაზე, რომლებიც ასე სჭირდება ჩვენს დედაქალაქს, აგრეთვე ქუთაისს, სოხუმს. გავიდა ოთხი წელიწადი, მაგრამ დღემდე არც ერთ სკოლაში არ ისწავლება ეს პროფესიები. ლაპარაკია სან-ტექნიკოსებზე, მეხეტონებზე, მემონტაჟებზე, მეამწეებზე და სხვა. რა გამოდის: სკოლის დირექტორები განათლების ორგანოების წარმომადგენელთა უსიტყვო თანხმობით ეყრდნობიან ზოგიერთი მოსწავლისა და მშობლის აზრს იმის შესახებ, რომ სამშენებლო პროფესიების შესწავლა თვითონ მოსწავლეებს არ აინტერესებთ, არა აქვთ სურვილი. ამავე დროს კი აი რა ხდება: თბილისის 49-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები სწავლისაგან თავისუფალ დროს თვითონ სწავლობენ საამშენებლო ხელობას, ოცნებობენ იმ დროზე, როდესაც მათ თავიანთი სამშენებლო ბრიგადა ეყოლებათ და საკუთარი ხელებით შესძლებენ ახალი სკოლების, ახალი სახლების აშენებას.

ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი, რომ ამ საკითხში მთელი პრეტენზია განათლების ორგანოებისა და სკოლის დირექტორებისათვის წარგვედგინა. საქმე ის არის, რომ თვითონ სამშენებლო ორგანიზაციები (მშენებლობის სამინისტროს ჩათვლით) სრულიად არ არიან დაინტერესებულნი, რომ ხელი შეუწყონ სკოლებს მოსწავლეთათვის თანამედროვე სამშენებლო პროფესიების შესასწავლად საჭირო ბაზების მოწყობაში.

დღეს არავის ეპვი არ ეპარება ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტექნიკური სწავლების შემოღების უპირატესობაში. აღარავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს დავა და კამათი მათთან, ვინც აკადემიური მოსწავრების დაცემის მიზეზად სკოლების პოლიტექნიზაციას მიიჩნევდა. დრომ დაამტკიცა ასეთი აზრის უსუსურობა. და თუ დღეს კიდევ გვხვდება დაბალი აკადემიური მოსწავრების მაგალითები, მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ.

დაბალია აკადემიური მოსწრება ბევრ დაწყებით სკოლაში (რესპუბლიკაში 1.892 ასეთი სკოლა). გასულ სასწავლო წელს პირველი — მეოთხე კლასების 4591 მოსწავლე განმეორებით იქნა დატოვებული იმავე კლასში. არის მძიმე შემთხვევები, როდესაც ბავშვები 2—3 წელიწადს სხედან პირველ და მეორე კლასებში.

რესპუბლიკის ალკ კომიტეტები კვლავ სუსტად მონაწილეობენ დაწყებითი სკოლის ცხოვრებაში, უყურადღებოდ სტოვებენ მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხს. ბევრ დაწყებით სკოლაში მუშაობის ელემენტარული პირობებიც კი არ არის. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლის დაწყებით სკოლებზე.

იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც ისინი (ძირითადად მცირე-კომპლექტიანები) კერძო ბინებში არიან მოთავსებული და სახლის პატრონის ნება-სურვილზე არიან დამოკიდებულნი. ახალციხის რაიონის სოფელ აწყვიტაში ძმები ივანიძეები ცხოვრობენ. აქვთ შესანიშნავი სახლი, რომელიც იძლევა შემოსავალს, რადგან ამ სახლში სკოლაა მოთავსებული. ერთ მშვენიერ დღეს ივანიძეებმა მოსწავლეები სკოლაში არ შეუშვეს, რადგან იმ დამეს საკლასო ოთახები ვაჟიშვილის ქორწილისათვის იყო საჭირო. დამთავრდა ქორწილი. ბავშვები სწავლას შეუდგნენ, მაგრამ სკოლის დირექტორს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. სახლის პატრონმა ახალდაქორწილებული ვაჟიშვილის მეუღლის სამუშაოდ მოწყობა მოინდომა მისსავე სახლ-სკოლაში პიონერხელმძღვანელად. ამჟამად ივანიძეების რძალი პიონერხელმძღვანელად მუშაობს ამ სკოლაში, მაგრამ ვაი ასეთ მუშაობას. კომკავშირის რაიკომს სუსტი მუშაკის გათავისუფლება უნდა, მაგრამ მას თავგამოდებით და იძულებით იცავს შეშინებული სკოლის დირექტორი, რადგან ივანიძეები საკლასო ოთახებს აღარ მიაქირავენ სკოლას.

საჭიროა კომკავშირის კომიტეტებმა, სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად, გადამჭრელი ზომები მიიღონ იმისათვის, რომ დაწყებით სკოლებს მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეთ.

საქართველოს კომკავშირის 24-ე ყრილობამ სხვა ამოცანათა შორის რესპუბლიკის კომკავშირის წინაშე ერთ-ერთ ამოცანად დასახა ბრძოლა საყოველთაო-სავალდებულო რეაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისათვის. ეს საქმე კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იდგა.

ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ორი წლის განმავლობაში სკოლებიდან ჩამოშორებული მოსწავლეების რაოდენობა გაცილებით შემცირდა. მიმდინარე სასწავლო წლის 1 სექტემბრისათვის 1600-ზე მეტი მოსწავლე დაუბრუნდა სკოლას.

წარმატებები უფრო დიდი გვექნებოდა, რომ კომკავშირის კომიტეტებს თანმიმდევრულად და ბოლომდე ებრძოლათ საყოველთაო აუცილებელი რეაწლიანი სწავლების კანონის განსახორციელებლად, რომ მარნეულისა და ბოლნისის კომკავშირის საწარმოო კომიტეტებს ბოლოსა და ბოლოს გავგოთ, თუ როგორი დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუტყვადონ ისეთ მახინჯ ფაქტებს, როდესაც მათ რაიონებში არასრულწლოვან მოსწავლე გოგონებს სკოლის მერხიდან ათხოვებენ და სწავლას ატოვებინებენ.

სრულებით არ ექვევა ყურადღება ახლადამენებულ რაიონებში სასკოლო შენობებისა თუ სხვა საბავშვო დაწესებულებების განლაგების საქმეს. ჩვენი დედაქალაქის ახალი უბნები ისეთნაირად ივეგმება, რომ აქ სკოლების ასაშენებლად ადგილიც კი აღარ რჩება. თუმცა რა არის გასაკვირველი, როცა ჩვენ ქალაქ თბილისში იმასაც კი ვერ მივალწიეთ, რომ დიდ საცხოვრებელ შენობებში და კვარტალებში ბავშვთა შორის სკოლისგარეშე მუშაობისათვის და თავი-

სუფალი დროის ორგანიზებულად გატარებისათვის საბავშვო ოთახები და მოედნები იყოს გამოყოფილი.

ჩვენი ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რეზერვში ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა. ცოტა შრომა და ორგანიზაციული ღონისძიება როდი სჭირდებოდა ისეთი მდგომარეობის მიღწევას, რომ ახლანდელ რესპუბლიკის ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა საერთო რიცხვის 60 პროცენტს შეადგენენ პრაქტიკული მუშაობის სტაჟით მოსული ახალგაზრდები. კომკავშირული კომიტეტების გულმოდგინე, ახალი ამოცანების შესაბამისად გაწეულ მუშაობაზე მეტყველებს ის მდგომარეობაც, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე საგრძნობლად იქნა გამოსწორებული სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმის საქმეში არსებული ხარვეზები. სტუდენტის პრაქტიკული მეცადინეობა და მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ფართოდ დაუკავშირდა სახალხო მეურნეობის იმ სფეროს, იმ ობიექტს, სადაც იგი მომავალში უნდა წაიხდეს სამუშაოდ, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ასეთი მუშაობა თბილისის ქარხანა „ელექტროშედლებში“ გაშალა, სტუდენტები დაეხმარნენ ქარხანას წარმოების ესთეტიკის დანერგვაში, რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებაში, წარმოების მოდერნიზაციაში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალმა პედაგოგებმა ჩამოაყალიბეს ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის საგნობრივი სკოლები საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის, სადაც ქალაქის 200-ზე მეტი მოსწავლე გააერთიანეს. ამ სკოლებში ახლებურად შედგენილი პროგრამით თვითონ სტუდენტები წარმართავენ მთელ სასწავლო პროცესს.

ეს კარგია და ჩვენ კვლავაც ფართოდ დავუჭერთ მხარს უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული კომიტეტების მსგავს საქმიანობას; მხარს დავუჭერთ იმიტომ, რომ სტუდენტის პრაქტიკული მონაწილეობა თავისი პროფესიის მიხედვით მწარმოებლურ შრომაში არის მყარი ქვაკუთხედი სტუდენტობასთან მთელი აღმზრდელი მუშაობისა. ამის დასადასტურებლად ერთ მაგალითს მოვიყვანთ.

ეს არის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მშენებელი კომკავშირული რაზმის მუშაობა გასული წლის ზაფხულზე ყამირის მხარეში. უფრო სწორად, ეს არის ნათელი დემონსტრირება ჩვენი სტუდენტობის პოლიტიკური და იდეური შეგნებულობის, კომუნისმის საქმისათვის თავდადებულობის, პარტიის საქმისადმი ერთგულებისა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები უმაღლესი სასწავლებლების კათედრები და რექტორატები მაქსიმალურად იყენებენ თავის ძალებსა და შესაძლებლობებს სტუდენტთა კომუნისტური აღზრდისათვის, მათი ღრმად აღჭურვისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ კომკავშირის კომიტეტებმა სკკბ ისტორიის რომელიმე თემის, ცალკეული ლექციების წასაკითხავად მოიწვიონ ძველი ბოლშევიკები, პარტიული და სახელმწიფო მუშაკები. თითქოს სადავო არ არის, რომ პარტიის ისტორიას გაცილებით უკეთ წაიკითხავს, გაცილებით მეტს და შინაარსიანად ილაპარაკებს ის, ვინც ამ ისტორიას ქმნიდა და ქმნის. მაგრამ კომკავშირის ზოგიერთი კომიტეტი არათუ არ ცდილობს ახალი პროგრესული ფორმების მოძებნასა და დამკვიდრებას, არამედ ძველსაც აყაღებს და წმინდა წყლის ფორმალურობამდე დაჰყავს.

უმადლეხი სასწავლებლის თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია აღედგინა შორის აღსზრდელობითი მუშაობის წარმატებებს მისი შედეგებით უნდა ზომავდეს. ე. ი. იმით, თუ როგორი კადრი, როგორი სპეციალისტი მისცა მან სამშობლოს და როგორ უხდინა სახელმწიფოს უმადლეხი განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები მათზე გაწეულ ამავს.

სამწუხაროდ, თუ საქმის ვითარებას ამ კუთხით შევხედავთ, იძულებული ვიქნებით განვაცხადოთ, რომ ჩვენ ოდნავადაც კი არ გვაკმაყოფილებს უმადლეხი სასწავლებლების მიერ (კერძოდ, ქ. თბილისის უმადლეხი სასწავლებლების) დღემდე ამ მხრივ ჩატარებული მუშაობა.

მაგალითისათვის ავიღოთ ყველასათვის კარგად ცნობილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. საინტერესოა, როგორ იმშვიდებს თავს ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კომკავშირული ორგანიზაცია, როცა ბოლო გამოშვების 413 კურსდამთავრებულიდან სამუშაოდ დღემდე მხოლოდ 100 კაცი გამოცხადდა და დანარჩენების ბედ-იღბალი, როგორც იტყვიან, მარტო ღმერთმა იცის. კომკავშირის კომიტეტის მოხსენებით ბარათში, რომელიც კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტშია წარმოდგენილი, სწერია: „კურსდამთავრებულთა სამუშაოზე გამოცხადება გრძელდება“. ჩვენ კი გვგონია, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა გულგრილ და შემარჩებლურ დამოკიდებულებას იჩენს ინსტიტუტში შექმნილი სამარცხვინო მდგომარეობისადმი.

ნაკლოვანებანი გვაქვს მეცნიერების ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეშიც. უნდა ვალიაოთ, რომ კომკავშირული ორგანიზაციები ამ მიმართულებით სრული დატვირთვით არ მუშაობდნენ. იმის გამო, რომ კომკავშირული კომიტეტები, ისევე, როგორც რექტორატები, არ იჩენენ მაღალ მომთხოვნელობას ასპირანტურაში კადრების შერჩევის საქმეში, ხშირ შემთხვევაში ასპირანტურა მოუმზადებელი ახალგაზრდებით კომპლექტდება. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ წამყვანი უმადლეხი სასწავლებლების (თსუ, სსი, სპი) 200 ასპირანტიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში მხოლოდ თხუთმეტმა დაიცვა დისერტაცია დროზე.

არც ახალგაზრდა მეცნიერმუშაკებთან მუშაობა დგას სათანადო სიმაღლეზე. ამის დამადასტურებელია ის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხარისხიანი მეცნიერმუშაკების საშუალო წლოვანება 50 წელია, ხოლო 40 წლის ასაკამდე რესპუბლიკაში სულ 6 პროფესორი და დოქტორი გვყავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია:

„უმადლეხი და საშუალო სპეციალური სკოლის ამოცანაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სახალხო მეურნეობისათვის, მეცნიერებისა და კულტურისათვის, ჩამოუყალიბოს მათ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და კომუნისტური შეგნებულობა, ჩაუნერგოს მაღალი მოქალაქეობრივი თვისებანი“.

პარტიის ეს მითითება უმადლეხი სასწავლებლების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სამოქმედო პროგრამად უნდა გაიხადონ და მთელი თავიანთი მუშაობა ამ პროგრამის განხორციელებისათვის უნდა წარმართონ.

ახალგაზრდობა კომკავშირში დიდ საზოგადოებრივ ძალას ხედავს. ამიტომ იგი ესოდენ მიმზიდველი მილიონობით ქაბუკისა და ქალიშვილისათვის. საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომკავშირი გაიზარდა 17.537 კაცით. და დღეს ჩვენი რესპუბლიკური ორგანიზაციის შემადგენლობაში 391.238 ახალგაზრდაა. ასეთი მრავალრიცხოვანი ჩვენი ორგანიზაცია ჯერ არასოდეს არ ყოფილა!

ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში კომკავშირის რიგებში მიღებულია 62.919 ახალგაზრდა, მეტი, ვიდრე ოდესმე. გაიზარდა და განმტკიცდა კომკავშირული ორგანიზაციები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი შემადგენლობა. წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი კომკავშირელი ეწაფება ცოდნას. მნიშვნელოვნად შემცირდა დაწყებითი განათლების მქონე კომკავშირელთა რაოდენობა.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე უაღრესად დიდი, ცხოველყოფილი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. კომკავშირული ორგანიზაციების ახალმა სტრუქტურამ საშუალება მოგვცა მთელი ყურადღება მიგვემართა სახალხო მეურნეობის მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად. კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა გახდა უფრო ქმედითი. მიზანდასახული, ოპერატიული.

ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტების დიდმა უმრავლესობამ არა მარტო სწორად გაიგო გარდაქმნის არსი, არამედ კონკრეტული საქმეებითაც დაამტკიცა, რომ ახალი სტრუქტურა ქმნის შესანიშნავ შესაძლებლობას კომკავშირული მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მისი ეფექტურობის გაზრდისათვის.

სამწუხაროდ ყველგან როდია ასე. ზოგიერთი კომკავშირული მუშაკი საოცრად მძიმედ ითვისებს ახალს, ვერ გაუგია, რომ რეორგანიზაცია მხოლოდ ახალი სტრუქტურის შექმნას კი არ ნიშნავს, არამედ, პირველ რიგში, მუშაობის ხარისხობრივ გარდაქმნას.

ნოემბრის პლენუმის შემდეგ დაიბადა კომკავშირული მუშაობის ახალი ფორმა — „კომკავშირული პროექტორი“.

მოსკოვის, კიევისა და ლენინგრადის კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით შექმნილი „კომკავშირული პროექტორის“ დამკვრელი რაზმები წარმოადგენენ ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აქტიურობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, საერთო საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გაზრდის ქმედით ფორმას.

„კომკავშირული პროექტორი“ არა მარტო სამეურნეო ამოცანებში ახალგაზრდობისა და კომკავშირელების მონაწილეობის ხარისხობრივად ახალი ფორმაა, არამედ იგი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ცხოვრებაში განამტკიცებს კომუნისტური მშენებლის მორალურ კოდექსს.

საქართველოს ახალგაზრდა პროექტორისტებმა უკვე დაუზოგეს სამშობლოს ათასობით ტონა ლითონი, მარგანეცი, ჩაი, ციტრუსები. წარბოებაში ახალი ტექნიკის სწრაფ დანერგვას, შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, ბიუროკრატიზმის, კონსერვატიზმისა და უმოქმედობის წინააღმდეგ ბრძოლას ისინი საკუთარ საქმედ მიიჩნევენ. „კომკავშირული პროექტორი“ გახდა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ერთგული თანაშემწე სახელმწიფო ქონების დამტაცებლების, წამგლეჯების, სპეკულანტების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც არცხვენს და სახელს უტეხს ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს ხალხს.

ყოველთვის, როცა პარტია და საბჭოთა ხალხი იწყებენ კომუნისტური მშენებლობის დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრას, ისინი მიმართავენ კომკავშირს, ყველა საბჭოთა ქალიშვილსა და ქაბუკს.

ეს არის საუკეთესო გამოხატულება იმ უდიდესი ნდობისა, რომელსაც პარტია კომკავშირს უცხადებს. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ახალ-

გაზრდობა უეჭველად გაამართლებს ნდობას. არ დაიშურებს ძალას, ენერჯისა და ცოდნას კომუნიზმის მაღალი იდეალების განხორციელებისათვის. ^{ბრძოლისათვის}

ამიტომ დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, ჩვენი ახალგაზრდობის მთელი ყურადღება მიპყრობილია მშობლიური კომუნისტური პარტიისაკენ, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისაკენ. მშრომელი ახალგაზრდობა მტკიცე რწმენით ირაზმება სახელოვანი წინამძღოლისა და ნაცადი ხელმძღვანელის გარშემო, მზადაა შეასრულოს მისი ყოველგვარი დავალება და დაამტკიცოს კომუნიზმის საქმისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულება.





ვარსკვლავები

ამ ქვეყანაზე უამრავი ვარსკვლავი ვიცი:
 ბედის ვარსკვლავი,
 სიყვარულის
 და თავგანწირვის.
 ზოგი ვარსკვლავი ჰგავს დამალულ ღიმილის ციმციმს,
 ზოგი კი კლდეზე განათდება,
 როგორც არწივი.

არის ვარსკვლავი —
 მარტოხელა მფრინავის მგზავრი,
 არის ვარსკვლავი,
 განაბული, როგორც სამტრედე,
 არის ვარსკვლავი — სიხარული!
 ვარსკვლავი — ზარი!
 და ისიც ვიცი, ვარსკვლავები ყინულს ამტვრევენ.

არის ვარსკვლავიც — ახალბედა ლეიტენანტის
 შებინდებისას შადრევნებთან ამაყად გავლა,
 რომ მერე მისი სამხრეების შუქი ფერადი
 შინ გაბრუებულ ოცნებებით წაიღოს ქალმა.

ვიცი ვარსკვლავიც
დარიალის კლდეს რომ ეხატა,
იმ ვარსკვლავამდე ვერ მივიდა მტერი ვერაფრით,
ოადგან იმ ვარსკვლავს ჩვენი გული გადაეხლართა
და ის რომ ენთო,
ტალღებივით მძლავრად ვღელავდით.

არის ვარსკვლავიც —
უკვდავების უბნო ძახილი —
მეომრის მკერდზე ამოჭრილი ფაშისტის დანით,
როს ვარსკვლავებით ანთებულნი
ბაირადივით
ქარში და ცეცხლში ფრიალებდა მეომრის ტანი!

ვიცი ვარსკვლავიც —
შუბლშეკრული, მრისხანე, მკაცრი,
თავისუფლებას და ღირსებას თელავენ როცა!
ვიცი ვარსკვლავი —
მეოცნებე, ძილგამტყდარ კაცის,
ვიცი ვარსკვლავი —
გრიგალში რომ წინ უძღვის ბოცმანს.

ასეა კაცი, თვითონ არქმევს ვარსკვლავებს სახელს,
და თან ჰგონია —
მისი სული ინთება ცაზე,
ვარსკვლავები რომ მწვერვალებზე თვალებს ახელებენ.
ასეა კაცი,
კაცს ოცნება ამაღლებს ასე!

ამ ქვეყანაზე კიდევ ერთი ვარსკვლავი ვიცი,
წინ რომ მიმიძღვის
და ყველაზე სწორ გზას მასწავლის,
ჩემი პირველი სიყვარული,
ძალა და ფიცი
სულში მინთია —
ჩემი ქვეყნის დიდი ვარსკვლავი!

☆ —————

სიმღერა

არც უკვდავება არ მინდა,
კუპრის მორევეში ჩავდგები,
თუკი როდისმე ჩაქრება
შუქი რიონის ჭადრების.

მთვარესავით რომ ღრუბლიდან
გამოანათებს მთაწმინდა,

თუ ვერ ვიხილავ — სიცოცხლე
არც მიფიქრია, არც მინდა.

ვაზო, ნანგრევზე ასულო,
შენთვის ვმღეროდი, იცოდე,
ჩემო ხვალევ და წარსულო,
შენია ჩემი სიცოცხლე.

გამეღვიძება საფლავშიც,
კიდევ მოგკედები ათასჯერ,
რომ შენთან ერთად ვიცხოვრო,
რომ შენთან ერთად გადავრჩე.

არც უკვდავება არ მინდა,
კუპრის მორევში ჩავდგები,
ოღონდ ნურასდროს ჩაქრება
შუქი რიონის ჭადრების!

☆ —————

ბარათაშვილის საფლავი

ეს ვისი ხმაა თავაწყვეტილი
ნაკადულივით ქვებზე რომ მიხტის.
უეცრად ხელზე დამეცა წვეთი,
შენი ცრემლით რომ ვტიროდი — მივხვდი.

აკაციებით ყვავის მთაწმინდა,
რა ადვილია აფრენა ცამდი!
ვინ იყო იგი, შხამს რომ გაწვდიდა,
შენ იცოდი და მაინც რომ სვამდი.

როგორი მწარე ყოფილა შხამი,
მეგობრის ყალბი ღიმილის მსკავსი.
რა მდუმარეა არყოფნის ქამი,
სხეტულს ედება სიჩუმე — ხავსი.

აკაციების ჩრდილში გპოულობ
და გხედავ, მარტო ხარ და იღამი,
გაბრუებული, გულგაპობილი
რტოებში ცისკრის წყნარი ღიღანი.

შენი დამჭკნარი, გრძელი თითები
გამხმარ ვარდივით გიწყვია გულთან
და გულზე სხედან როგორც ჩიტები.
სხედან და სადღაც გაფრენა უნდათ.

ეს შენი ხმაა — თავაწყვეტილი
ნაკადულივით ქვებზე რომ მიხტის.
უეცრად ხელზე დამეცა წვეთი,
შენი ცრემლით რომ გვიტროდი—
მივხვდი...



და უცაბედად

და უცაბედად დაუკრეს გრივი,
თოვლის ბურუსში აანთეს ჭაღი,
და ჩემი სული ყინულეებს იქით
გადაანათებს, გაჩაღებული.

და უცაბედად დაუკრეს, თუმცა
კი არ ვუსმენდი, თითქოს ვხედავდი,
გაფრენილ დღეებს როგორ ფურცლაგდა
თოვლის თითები გაუბედავი.

მე შემეცვანეს თოვლის დარბაზში,
ბრწყინავდა ქერი და იატაკი
და მერე უცებ, თითქოს დამბაჩით,
გამომიღვიძეს ფიქრი ღატაკი.

ენა ამედგა და ვთქვი ჩურჩულით —
ისე ვღელავდი: მე თქვენ მიყვარდით.
და უცებ სულის ეველა კუნჭული
განათდა თოვლის დიდი სინათლით!



ახალწლის თოვლი

ახალწლის თოვლით დაფარულაა
ძველი ფიქრი და ძველი წუხილა.
არც გაგიგია ალბათ სრულიად,
რა უცნაურად თოვდა წუხელის.

თითქოს ბავშვობა მიბრუნდებოდა,
თეთრი, ფარფატა, დაუჩრდილავი,
განათებული, გაბრუნებული
ნაძვის ხეების ათას ჩირაღდნით.

თოვდა და თოვდა... თოვლის ჰაბუჯა
სადღაც მიეყავი კრავი ხურჯინით,
გახარებული და განაბული
ჩემთვის ვმღეროდი სულში. მუნჯივით.

თოვდა... ბრწყინავდა თოვლი ახალწლის
და ვარსკვლავები თოვლზე იწვოდნენ,
მათ მიხერხეს: თოვლი თუკი დაგაცლის,
შენც ამოიდგამ ენას, იცოდე!

და მიხაროდა და ისე თოვდა,
თითქოს მე ვთხოვდი: ცაო, ითოვე!
თითქოს აქამდე ეს ნატვრა მქონდა,
ამისრულდა და თოვლი ვითხოვე.

მეც დავიჯერე — თოვლი ვიყავი,
სახურავებზე მშვიდად ვბრწყინავდი,
ახლა ჩემს ფრთებში თვლემდა გრიგალი.
დასამხოზად რომ მსდევდა წინადღით.

და დავიჯერე, რომ ცაში დამჭრეს,
მიწაზე მბრწყინავ თოვლად დავეცი.
და წავაწერე ქალაქის ფანჯრებს
სულის სიმღერა უსაყვარლესი.

ჩემს გაშლილ მხრებზე იწვა ქალაქი,
წამოვდექი და ცამდე ავწიე.
რასაც აქამდე გულში ვმალავდი,
მელირსა — ყველას გაეუნაწილე!

☆ —————

ი ა

ზედაზნის თოვლით გამთბარო,
ცისკრის ვარსკვლავო — ია,
დაბერებულო ზამთარო,
მეტი არ შემიძლია.

ნაფეხურებიც დამალე,
ნაფეხურებიც მისი,
მომეცი თოფისწამალი,
სულს ვარსკვლავებში ვისვრი.

მთელი სიცოცხლე ველოდე:
ამო, მეჩვენე, ამო!
ნეტავი მაინც ვმღეროდე,
ტკივილი დამიამოს.

ან საღამური გავთალო,
მიგბადო ქარის შრიალს.
ზედაზნის თოვლით გამთბარო,
ცისკრის ვარსკვლავო — ია!



ზ ა კ ე ნ ე ბ ი ს ი ნ ო ს

აკენების ინოს, მშვიდობის ინოს!

ვარსკვლავთა შუქით გაბრწყინებული,
დამშვენებული თოვლის ფიფქებით —
მოვიდა სახეგაცილებული,
ოქროვულით და ოქროფიქრებით.
და დაიბადა ყველას ოჯახში
ბავშვი — ძვირფასი და სანატრელი,
მილოცვებსა და ხვევნა-კოცნაში
გათენდა მისი დილა ნათელი.
გაჩნდა ახალი ზრუნვა და ფიქრი
ახალი დღის და ახალი წუთის,
ახალ მოსაველით, მუსიკით, წიგნით
აინთო სული, ტვინი და კუნთი.
კარზე მოგვადგა დიადი დილა,
მეკვლედ მშვიდობის, მეკვლედ აკენების
და დაგვიბედა დღეები ტკბილი —
მომავლისაკენ გზათა გაგნების.
სულში ედგრება სინათლე კრემლის,
კრემლის ვარსკვლავი უნათებს თვალებს
და დიდ რუკაზე უკვდავი ხელით
ხატავს სამშობლოს დიდებულ ხვალეს.
ხალხი გაეედრებს, ახალო წელი,
მიწის სინწვანეს და ზეცის ღიშვლს.

ბედნიერების მეგზურად გველოს —
 ტოტებით დაფნის და ზეთისხილის.
 გვექვც სიახლედ, სიუხვედ, რწმენად
 და ასპარეზი მიეცი დიდი —
 ადამიანის კოსმოსში ფრენას,
 ადამიანის კოსმოსთან ჭიდილს.
 ფრთები შეასხი მთვარეზე ასვლას,
 კოსმონავტების ამრავლე რიცხვი,
 რომ კაცის ყოვლისმძლეველმა აზრმა
 საიდუმლოთა გაპტანტოს ნისლი.
 უფრო ძალუმად გაგვაგებინე
 გული, გონება ჩვენ ერთმანეთის,
 მტრედების ფრთებად გადაეფინე
 მარადისობას მწვანე პლანეტის.
 მოხველ მშვიდობით! დაე, უნათე
 გზა კაცთა მოდემის ბედნიერ ვარსკვლავს
 და ვისაც ქვეყნად შენ გაუმართლებ, —
 დალოცოს შენი მშვიდობით წასვლა.
 იმატოს ჩვენი გულები სითბომ,
 გვეზარავდეს სუფთა. ზეცა მაღალი,
 მშვიდობის იყოს, აკვნების იყოს,
 სიცოცხლის იყოს წელი ახალი!

☆ —————

მეტი გმირობა და გაპარჰეზა!

საქართველოს კომპაეშირის XXV ყრილობის
 დელეგატებს

ქალიშვილებო ჩემი მიწა-წყლის
 და ჭაბუკებო ჩემი მამულის,
 გულს სურს სხეულმა თქვენგან ისესხოს
 სიცოცხლის სხივი და სიხარული.
 თქვენ ხნავთ და თესავთ, იმკით დიდებას,
 ყამირებს ტენთ და აგებთ სასახლეს,
 მამულს ყველაზე მეტად ჭირდება
 თქვენი მცლავი და თქვენი ასაკი.
 იაყრობთ სივრცეებს, მთებს გულ-მკერდს
 უპობთ,

მიწის სიმწვანეს კვებავთ არხებით,
 ხალხს უხარია ყველაზე უფრო
 თქვენი გვარი და თქვენი სახელი.
 თავს დასტრიალებს თქვენი ოცნება
 ქვეყნის შენებას, აღორძინებას,
 ახლის ძიებას და აღმოჩენას,
 აღმოჩენას და ისევ ძიებას.
 აზრი მაშინ აქვს ცხოვრებას კაცის,
 როდესაც იგი კაფავს ახალ გზას,

არარა არის სიცოცხლის ფასი,
თუ მას შრომაში არ წვავ, არ ხარჯავ.
ზვრებში გასვლა და დაზვებთან მისვლა
უნდა შევნიშოდე ქალიშვილს, ვაჟკაცს,
რადგან სამშობლო გიყვარდეს —

ნიშნავს—

გიყვარდეს შრომა, გიყვარდეს გარჯა.
უნდა ისწავლოთ, აშენოთ, ძებნოთ,
გადაიხადოთ მამულის ვალი,
მაგრამ მამული, დებო და ძმებო,
როდია მართო მიწა და წყალი!
მამული — ხვალის მძაფრი ლოდინი,
სულის სილაღე და სიმფონია, —
სადღეგრძელო და სუფრა როდია,
როგორც ზოგიერთ ვინმეს ჰგონია.
მამული არის შრომა და შექმნა,
სიხარული და ტკივილი ხალხის,
ფიქრი, ოცნება, სწრაფვა და შებმა,
მარადიული წყურვილი ახლის...

დღეს თქვენ მწვერვალებს იპყრობთ
უმაღლესს,

წლებს, ჯერ მოუსვლელს, იტოვებთ უკან
და საამაყო ნიშნებს უმატებთ
განახლებული სამშობლოს რუკას.
ცას, მიწას, კალამს, მდინარეს, მარტენს
მომავლად აქცევს თქვენი მარჯვენა,
უფრო მედგარი შეტივა გამართებთ,
მეტი გმირობა და გამარჯვება!



კონსტანტინე პაუსანოსი

იანვრის სუსხი

კოცონებს შავი, ფისით გაჟღენთილი წითელი ალით შეფერადებული კვამლი დასტრიალებდა.

ლამის კოცონების კვამლი და იანვრის სუსხი ერთად ჩამოსწოლოდა მოსკოვს. ამ ბურუსში ღრჭიალით დასრიალებდა ტრამვაი. ვაგონები შიგნიდან ჭირხლის ნაფლეთებით მოფენილიყო და ყინულის გამოქვაბულებს დამსგავსებოდა.

კოცონებს მოედნებზე ანთებდნენ მორებისა და ტელეფონის ძველი ბოძებისაგან, ცეცხლთან თბებოდნენ მილიციელები, რომლებსაც ნაცრისფერი კრაველის ქუდები ეხურათ. მილიციელებს აღვირით ეკავათ დათრთვილული, მოუსვენარი ცხენები.

წითელი მოედნის მხრიდან ძლიერი აფეთქებების ხმა მოდიოდა. იქ გაქვავებულ მიწას თხრიდნენ.

კოცონების ალი და კვამლი მოსკოვს შავ-წითელ ძაძაში ხვევდა. შავ-წითელი სახვევები ეკეთათ მკლავზე ადამიანებსაც, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ სვეტიტეიანი დარბაზისაკენ მიმავალ უსასრულო ნაკადს. იქ ესვენა ლენინი.

რიგები ძალიან შორს, მოსკოვის გა-

რუბნებში იწყებოდა. მე ასეთ რიგში ლამის ორ საათზე ჩავდექი კურსკის ვაგზალთან.

ჯერ კიდევ ლუბიანის მოედანზე ვიყავით, როცა სვეტიტეიანი დარბაზის მხრიდან სამგლოვიარო მარშის შორეული ხმა გაისმა. ხმა ყოველ ნაბიჯზე ძლიერდებოდა. ხალხმა საუბარი შეწყვიტა. სუნთქვა გაუხშირდა და ორთქლიც უფრო შფოთიანად სწყდებოდა ტურებს.

მშვიდობით, ძვირფასო, დიდება თქვენ,

რომ ასე მხნედ განვლეთ ბრძოლისა გზა...—

წამოიწყო ვილაცამ ხმადაბლა, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა. თითქოს ყოველგვარი ხმაური ზედმეტი იყო ამ პოლარულ ღამეში. მხოლოდ თოვლზე მრავალი ათასი ადამიანის ფეხის ხმა და ფაჩუნი იყო კანონზომიერი, განუწყვეტელი, დიდებული. კუბოსთან მოდიოდა ხალხი განაპირა რაიონებიდან, მოსკოვის მახლობლად მდებარე სოფლებიდან, მინდვრებიდან, ქარხნებიდან. მოდიოდნენ ყოველი მხრიდან.

დუმილი დასწოლოდა ქალაქს. შორეული რკინიგზის ლიანდაგებზეც კი

არ ისმოდა ორთქლმავლების ჩვეულებრივი კვილი.

ხალხი მიემართებოდა მაღალი კუბოსაკენ, სადაც ყვავილებსა და ალისფერ ბაირაღებს შორის ერთბაშად ვერც კი გაარჩევდით განაწამები სახის ადამიანს, მის მაღალ გაფითრებულ შუბლს და დახუჭულ, თითქოს მოჭუტულ თვალებს.

მოდოდა ყველა. იმიტომ, რომ არ იყო არც ერთი ადამიანი, რომლის ცხოვრებაზეც გაგლენა არ მოეხდინა ლენინს, არც ერთი, ვისაც თავის თავზე არ გამოეცადა მისა ნება. მან დასძრა ცხოვრება. ეს ძერა ჰვავდა ბუმბერაზულ გეოლოგიურ ნახსლეტს, რომელმაც ძირფესვიანად შესძრა რუსეთი.

ერთიანად გათოშილ სვეტებიან დარბაზში ათასობით ადამიანის სუნთქვისაგან ბული დამდგარიყო. დროდადრო ორკესტრის შეწყობილ ჟღერას სწყვეტდა ფანფარების გულისწამლები მტირალი ხმები. მაგრამ ისინი მალე ჩუმდებოდნენ და ისევ მწყობრად ჟღერდა ორკესტრი, სიდიადეს ანიჭებდა სევდას, თუმცა ვერ ანელებდა მას.

ჩემს გვერდით ხალხში მოაბიჯებდა შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ერთ-ერთი საზღვაო გაზეთის თანამშრომელი ზუზენკო — ჩემი მეზობელი ავაზაკ პუშკინოდან. იმ დროს მე მოსკოვში ბინა არ მქონდა და ზუზენკომ თავშესაფარი მოსკოვის მახლობლად პუშკინოში მიშოვნა, იმ სახლის გვერდით, სადაც თვითონ ცხოვრობდა. ეს თავშესაფარი ფარდულივით ცარიელი საავაკო სახლი აღმოჩნდა.

ზუზენკოზე მე უკვე საკმაოდ ბევრი მაქვს დაწერილი. არც შეიძლება არ დაწერა კაცს ამ ჭირვეულ, კეთილ ადამიანზე, კრივში დასახიჩრებული სახე რომ ჰქონდა. ჩვენ, როგორც ჩანს, ხასიათების მკვეთრმა სხვაობამ დაგვამიგობრა. ზუზენკო არასოდეს არაფერში დაქვდებოდა, მე კი ყელამდე საესე ვიყავი ეჭვებით. ზუზენკო ცოტა უხეში და დამცინავი იყო. მე კი, ჩემდა საუბედუროდ, ტრამვაიში მოფათურე ქურდებსაც ზრდილობიანად ვექცეოდი და არ მიყვარდა დაცინვა.

დიდხანს ვიარეთ უხმოდ. მერე ზუზენკო მოიბუზა და გაჯავრებით წაილაპარაკა:

— უჰ, რა საშინელი სიცივეა! ქუთუთოები მეყინება. გრანდიოზული ყინვაა! ერთხანს ჩუმი იყო. მერე ისევ განაგრძო:

— ახლა ყველაფერი გრანდიოზულია. აი, ლენინი... ყოველგვარი სიბილწის გრანდიოზული დამანგრეველი და გრანდიოზული შემოქმედი... შარფი მოიხვიეთ და ისე ისუნთქეთ, თორემ ბრონქებს გაიცივებთ. ძალიან ვნანობ, რომ ვერ მოვასწარი მეზღვაურთა საერთაშორისო კაფირზე მესაუბრა მასთან. გრანდიოზული საუბარი გვექნებოდა.

ჩვენ ნელი ნაბიჯით ჩაეუარეთ კუბოს და კიდევ უფრო ნელი ნაბიჯით გამოვედით სვეტებიანი დარბაზიდან. ყველა უკან იხედებოდა და ფეხს იორეგდა, ცდილობდნენ ამ უკანასკნელი შეხედვით აღებეჭდათ გონებაში ლენინის სახე. მისი შუბლი, მოკუმული ტუჩები და პატარა ხელები.

ის მკვდარი იყო, ადამიანი, ვინც ასე სწრაფად გარდაქმნა ქვეყანა. თვითეული ჩვენგანი ფიქრობდა იმაზე, რა დაგვემართებოდა ახლა, საით წავიდოდა ქვეყანა, რა ბედი მოელოდა რევოლუციას.

გეგონებოდათ, დრო გაიყინაო. ეპოქამ თავისი გაიტანა, გაყუჩდა და საეჭვოა, რომ ვინმე შეძლებს მის დაკავებას წინანდელ გზაზე.

— ჩვენი შვილები, — თქვა ზუზენკომ, როცა სვეტებიანი დარბაზიდან გამოვედით, — ჩვენ შემოგვნატრებენ, თუ მთლად სულელები არ დაიზრდებიან. ჩვენ ხომ ისტორიის შუაგულში მოგვდით. გასაგებია?

მე ეს მშვენიერად მესმოდა, ისე, როგორც ყველას, ვინც ცხოვრობდა იმ შფოთიან, ელვისებურ ხანაში. არც ერთ თაობას არ გამოუცდია ის, რაც ჩვენ გამოეცადეთ: არც ასეთი აღმავლობა, არც ასეთი იმედები, არც ასეთი საშინელება, გულგატეხილობა და გამარჯვებები. შიმშილისაგან გამწვანებულიებს და ბრძოლებისაგან ჩაშავებუ-

ლებს მხოლოდ ხვალინდელი დღის გამარჯვების რწმენა გვამოძრავებდა.

მე მაშინ ოცდაათი წლისა ვიყავი, მაგრამ განვლილი ცხოვრება ისეთი ხანგრძლივი მჩვენებოდა, რომ მის გახსენებაზე შიში მიპყრობდა და გულიც კი მეკუშმებოდა თრთოლვით.

„ხარ თუ არა ჭეშმარიტად შენი დროების შვილი?“ — ვფიქრობდი მე. მთელი ჩემი არსებით მწამდა, რომ განუყოფელი ვიყავი დროისაგან, ქვეყნის ბედ-იბლებისაგან, სიხარულისაგან, რომელსაც ასე იშვიათად განიცდიდა ჩემი ზალხი და ტანჯვისაგან, — ზღაპრული და არნახული ტანჯვისაგან, ასე დაუმსახურებლად, უხვად რომ არგუნა ბედ-მას მას.

მე და ზუზენკო ჩრდილოეთის ვაგზისაკენ მივდიოდით სუსხიანი ქუჩებით. ყინვა შემოგვდამოუდა ფეხებში.

„საუკუნე მიაბიჯებს თავისი რკინისებური გზით“, — ვამბობდი ჩემთვის და ეს აზრი საღამომდე თან მდევდა.

— რას ბუტბუტებთ მანდ? — მკითხა ზუზენკომ.

— არაფერს... ისე...

რკინის საუკუნე... და მეხსიერების სიღრმიდან წამოიშალა, აწკრიალდა ნახევრადდავიწყებული სიტყვები:

თოვლზე ვინ ზარდა თოქორიტეს
ნაჲ ვარდები?!
რკინის ხანაში ოქროს ხანა ვინ ამოიციწო?

„საუკუნე მიაბიჯებს თავისი რკინისებური გზით“... მაგრამ ეს გზა ოქროს საუკუნეებისაკენ, მშვიდობისაკენ, გონიერებისაკენ მიემართება. ოქროს საუკუნეებისაკენ! უნდა გწამდეს ეს. სხვაგვარად შეუძლებელია ცხოვრება.

მერე მე და ზუზენკო დიდხანს მივემგზავრებოდით პუშკინოში გამოცარიელებული საავარაკო მატარებლით, რომელიც რახრახებდა და სქელ ორთქლში ირწეოდა. ვაგონების ბორბლები ხმაურით ეჯახებოდა რელსების პირაპირებს. მათ ხმას აძლევდა ღამის ეჭო. გეგონებოდათ, ისიც იყინება და ამიტომ

წკრიალებს და ტკაცუნობს, როგორც ქვით გახეთქილი თხელი ყინული.

პუშკინოში აუტანელი ყინვისაგან ვიღაც ლაფერს ბოლი ასდიოდა.

— სულ ცოტა, ორმოცი გრადუსი იქნება, — თქვა ზუზენკომ. — შევიდეთ, გავთბეთ.

მიყვარდა ზუზენკოსთან ყოფნა, მისი პატარა აგარაკი ზედ ფანჯრებამდე თოვლით იყო დაფარული. ზუზენკომ სანთელი აანთო. ძელურ კედელზე საზღვარგარეთული სახომალდო პლაკატები ეკიდა, ძალზე ძველი და დახეული, მაგრამ მაინც მიმზიდველი. განსაკუთრებით ერთი. მასზე ასახული იყო თეთრ-წითელი შუქურა სილიან ნაპირზე, ლაპლაპა ზღვა და ოლენადრის აყვავებული ბუჩქი. კაცი ვერ ირწმუნებდა, რომ ქვეყნად არსებობს წითელი ყვავილებისა და ლილისფერი ზღვის ასეთი თამამი შეხამება.

ზუზენკოს ოთახში ყოველთვის ციოდა. ფანჯრები ყინულს დაეფარა, — იმ ზამთარს თითქმის შეუწყვეტლივ ბარდნიდა. პლაკატები ზამთრის სიცივისაგან ფერდაკარგული ჩანდა.

მე მიყვარდა მათი თვალჩერება, რადგან კარგად მესმოდა, რომ ვერასოდეს მოვხვდებოდი ვერც ერთ იმ მშვენიერ კუთხეში, რომელიც ამ პლაკატებზე იყო ასახული. პლაკატების გარდა ზუზენკოს ჰქონდა „ბიბლია“, ატლანტის ოკეანის ლოცია, მარქსიზმის რამდენიმე წიგნი და ბროკჰაუსის და ევრონის ენციკლოპედიის დაძინძილი ტომი ასო „ნ“-ზე.

თორმე ზუზენკო ბიბლიას სწავლობდა, რათა ავსტრალიაში, სადაც მან რამდენიმე წელი გაატარა, მოეწყო მღვლევარე, განმაქიქებელი დისპუტები ქრისტიანული ეკლესიის მსახურებთან. ეს იყო მისი საყვარელი საქმიანობა, თუ არ ჩავთვლით ზღვაოსნობას და გამუდმებულ შეტაკებას ყოველგვარ შემთანხმებლებთან, ბიუროკრატებთან, ნებულებთან, კაცუნებსა და შნოგამოცლილ ინტელიგენტებთან.

კონსტანტინე პაუსტოვსკი იანვრის სუსხი

ზუზენკომ აანთო ავსტრალიური პრი-
მუსი. ის გახურებული ორთქლის
ქვაბივით აღრიალდა, თითქოს აგერ-
აგერ უნდა გასკდესო. ცოტა დათბა.
უხმოდ დავლიეთ ჩაი და შავი ორცხო-
ბილა შევტანეთ. მერე ზუზენკომ მკით-
ხა:

— ხვალ ლენინის დაკრძალვაზე წახ-
ვალთ?

— უეჭველად.

— რას ჩაიცვამთ? ყინვა მატულობს.
თქვენი საშემოდგომო პალტო ნამდვი-
ლი ჯვალაა, სხვა რომ არა ვთქვათ რა.
თქვენ ახლავე ცახცახებთ. აფსუს, რომ
სიცხის საზომი არა გვაქვს.

— მე მაქვს.

— გაისინჯეთ. ხვალ დილით კი რაც
შეიძლება აღრიანად შემოგივლით.

მე წავედი. ზუზენკოს აგარაკიდან
ჩემს სახლამდე ბილიკი ცატკეპნილი იყო.
ხშირ ნაძვებს ზედ თოვლისაგან დამძი-
მებული. გაბანჯგვლული თათები ჩამო-
ემვათ. მე ვედებოდი მათ და რამდენ-
ჯერმე ჩამიცვივდა თოვლი კისერში. ამ
დროს ისე ვკრთებოდი, თითქოს დანა
ჩაერთყას ვინმეს.

ჩემს ოთახშიც ციოდა, როგორც ჩაკე-
ტილ მაცვიარში, მე ღუმელი დავანთე,
მაშინვე გაუხდელად ჩავწექი და გაქუ-
ცული დათვის ტყავი წავიფარე.

ოთახი ნაქირავები მქონდა ამ დათვის
ტყავითა და ღარიბული, დამტვერილი
ავეჯით. მტვერი ავეჯს პირდაპირ ზედ
შეხმობოდა. იმის მოწმენდა არაფრით
არ შეიძლებოდა, მხოლოდ ქლიბით თუ
გაფხეკავდით.

ფანჯრებზე ფარდები შეყინულიყო და
ჭუჭრუტანებში მორებს შუა თავგები
დაწრუწუნებდნენ.

დათვის ტყავის ქვეშაც კი მცემდა
თავის ცურცლის გულისამრევი სუნი.
და მე ვფიქრობდი, თუმცა ყოველ წუთს
გკარგავდი აზროვნების ძაფს. ვფიქრობ-
დი იმაზე, რომ ასე მოუწყობელი
ვიყავი, რომ არა მარტო ოთახში, ცხოვ-
რებაშიც გენერალური დასუფთავება სა-
ჭირო, ყველაფერი გასარცხია და გასა-
ნიავებელი. მაგრამ რატომღაც ზამთარში

ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლე-
ბოდა.

მივხვდი, რომ ავად ვხდებოდი და
გათოშილ, გამოცარიელებულ სახლში
სამამალლა წამოვიძახე:

— ადამიანი არ შეიძლება მარტო
იყოს და თუ ასეა, ეს მხოლოდ მისი და-
ნაშაულია.

„თავად ხარ ყველაფერში დამნაშა-
ვე!“ — ვუკიჟინებდი საკუთარ თავს, მაგ-
რამ ამით ვერაფერს ვშველოდი. ირგ-
ვლივ სიცარიელე იყო — ცივი, უსიცოცხ-
ლო, თითქოს სახე გაყინული მინისათვის
მიმედო და მის იქით ვხედავდი მხო-
ლოდ ნაცრისფერ, ყინვისაგან ჩამკვდარ
ველს, სადაც არ იყო არც ერთი ხე,
არც სინათლის უმცირესი ნაპერწკალი,
არ ისმოდა ადამიანის შორეული გა-
მოძახილი.

ვწრიალებდი დათვის ტყავში გახვე-
ული. თავი მიბრუოდა. შემდეგ გავი-
ფიქრე, რომ ახლა, ასეთ დღეებში არ
შეიძლება მღვრიე და სევდიან ფიქრებს
დაემონო. სევდას არ უნდა დააჯახინო
თავი.

ქვეყანა შეძრწუნებულია. უღმობელი
სუსხი ვერ ჩაკლავს დარდს ადამიანთა
გულეებში. მოსკოვი სამკლოვიარო კო-
ცონებისაგან ბრიალებს, ხალხი ელო-
დება საბოლოოდ გათავისუფლდეს
ათასწლიანი უილაჯო ტანჯვა-ვაებისა-
გან. წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელ-
მაც იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

მან იცოდა, მაგრამ ჩვენ კი ვიცით?

ხელი საათისაკენ გავიწვდინე. ღუმე-
ლი ქრებოდა. ნაკვერცხლების შუქზე
გავარჩიე, რომ უკვე ექვსი საათი იყო.

კედლებში უფრო მეტად აფხაკუნდნენ
და აწრუწუნდნენ თავგები. ძლიერ
მტკიოდა თავი.

ნაცრისფერი ბინდბუნდი ფანჯრიდან
ოთახში მოძვრებოდა და ბნელში აქვე
იატაკზე ეცემოდა.

დრო იყო მოსკოვს წასასვლელად
გავმზადებულიყავი. ვიდრე გამდნარი
წყლით პირს ვიბანდი, ბინდბუნდი ალი-
ონმა შესცვალა. მალე მზის ყვითელი
ლაქები დაეცა შავ კედლებს და ბლო-
კის ფოტოსურათს. პოეტის სახეს გე-

ნიოსის ოდნავ შესამჩნევი გულზვიადობა გადაჰკრავდა.

ზუზენკომ ფანჯარაზე მომიკაკუნა, ხელისგულეები მინას მოადო და შემომძახა: არ გაბედო კარის გაღება, ყინვამ მეტისმეტად მოუჭირა, პირდაპირ ფილტვებს წვაგისო.

— მოსკოვში წასვლა უაზრობაა! — დამიყვირა მან. — დარჩით, დაწეით. მე წავალ, მალე დაგბრუნდები და ყველაფერს გაიმზობთ.

კამათის ღონე არ მქონდა. ზუზენკო წავიდა. მე მაინც ჩავიცვი პალტო. კისერზე ძველი შარფი მოვიხვიე, კეპი ყურებზე ჩამოვიფხატე და გამოვედი.

რკინიგზის გადასასვლელს მაშინდა მივადწიე, როცა დილის უკანასკნელმა მატარებელმა მოსკოვისაკენ ჩაიარა. დავგვიანე!

ლიანდაგს დავადექი, მაგრამ ორი კილომეტრიც ვერ გავიარე. ძალზე მესხმოდა თავბრუ. მსურდა თოვლზე ჩამოვმჯდარიყავი და ცოტა დამესვენა, მაგრამ ვიცოდი, რომ ასეთ ყინვაში ეს არ შეიძლებოდა. მივბარბაცებდი წინ, გზორძიკობდი. თუმცა გვრძნობდი, სიარულს აზრი არა ჰქონდა და უთუოდ უნდა დაგბრუნებულიყავი.

ჩემი ახირებული ჩვეულებით მალე-მალე ჩავუთქვამდი — აი, იმ ტელეფონის ბოძამდე მივალ და მერე გამოვბრუნდები-მეთქი. ტელეფონის ბოძთან კარგა ხანს შევჩერდი. ბოძს მივეყრდენი, უკან მივიხედე — ბუშკინოს ყველა საკვამურიდან მძიმედ ამოდიოდა სქელი, არყის ხის ბოლი. მას თითქოს ყინვის ალი მოსდებოდა.

წინ კი ბუშკინოსავით ბოლავდა კლიამზა, რომელსაც მთელი სივრცე კვამლით დაეფარა და ისე მეჩვენებოდა, რომ იქ, კვამლში, გაცილებით თბილოდა, ვიდრე აქ, მოსკოვისპირა დაბალ ტყეში.

ტყე აღმოდებულ შემასავით ტკაცუნობდა ყინვისაგან და მალე-მალე იბერტყავდა კენწეროებიდან ქარსის ქერალივით ბრჭყვიალა თოვლის ბარდანებს.

თოვლით დამძიმებული თვითეული

ნაძვი ისე იდგა, თითქოს მსუბუქი ვერცხლის უზარმაზარ შვავებსა და ზამთრის ამ მაღლიან ბარაქს დარაჯობდა.

მე ვიცოდი, რომ ამ ადგილებში ტყე არც თუ ისე დიდი იყო, მაგრამ თოვლმა თვალთუხილავი გახადა სივრცე. ამიტომაც აქაურობა წააგავდა უკიდევანო ტევრს, სადაც, საუკუნე გასულიყო, ძე-ხორციელს არ დაედგა ფეხი.

მე ვიდექი და ვიცდიდი. თავს ვარწმუნებდი, რომ ამ მყიფე სიჩუმეში უქველად გავიგონებდი მოსკოვის ყველა ქარხნის საყვირის გაბმულ ხმას. იქნებ ზარბაზნების გრუხუნა ამოხსგრასაც მოედწია ჩემამდე.

მაგრამ ირგვლივ სიჩუმე გამეფებულყო. მხოლოდ ტყე უმატებდა ტკაცუნს.

ბოლოს ბუშკინოს მხრიდან მოისმა ხმაური, რომელმაც თანდათანობით იმატა. მოსკოვისაკენ მიმავალი ციმბირის ექსპრესი ბოლქვებად ისროდა ორთქლსა და კვამლს.

ის ყოველთვის ამ დროს ჩაუვლიდა ხოლმე ბუშკინოს, არ ჩერდებოდა, არც ამუხრუჭებდა და მიათრევდა ბულმანის უზარმაზარ ვაგონებს. სულ მეჩვენებოდა, რომ ვაგონებს სურდათ ჩამორჩენოდნენ, გაჩერებულიყვნენ, შეესვენათ. მაგრამ ორთქლმაგვალი შეუბრალებლად მიაქროლებდა მათ წინ და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

მატარებელი ახლოვდებოდა. უცებ იგი შექანდა. აჭრიალდა და ამღერდა მუხრუჭები. ბორბლების რახრახი შეწყდა და მატარებელი შუა ტყეში შეჩერდა. ორთქლმაგვალი გავითქული ცხენივით ქშინავდა.

მატარებელი გაჩერდა იქ, სადაც მოუსწრო დაკრძალვის ყამმა. ორთქლი მძაურ ნაკადად ამოსკდა მილიდან და ორთქლმაგვალმა დაიკივლა. ის კიოდა გაბმულად, ერთ ხმაზე. ამ ხმაში მოისმოდა სასოწარკვეთა. მრისხანება, მოწოდება.

ეს მძლავრი ხმა მოედო შემოგარენს — ტყეს, ყინვას, მიწდვრებს, კონსტანტინე პაუსტოვსკი იანვრის სუსხი

სადაც ერთიან, ხელუხლებელ საფარად გადაფენილიყო თოვლი.

გადიოდა წუთები. ორთქლმავალი კი ისევ გულისწამდებდა, ნაღვლიანად და დაქინებით გაჰკიოდა და იუწყებოდა: ახლა მოსკოვში, წითელ მოედანზე, ლენინს მარხავენო.

ექსპრესმა დიადი რუსული ზამთრის ათასობით კილომეტრი გამოიჭროლა, მაგრამ სულ ორმოციოდე წუთით დააგვიანა.

მეჩვენებოდა, რომ მესმოდა არა მართო გოდება ციმბირის ექსპრესისა, არამედ მთელი მოსკოვის მოთქმაც. ამ წამს შეჩერდა სიცოცხლე. საზღვაო ხომალდებიც კი რეიდზე დადგნენ და ზამთრის ტყვიისფერი წყალი სირენების ქვითინით შეარხიეს...

საყვირის ხმა უცებ შეწყდა. მატარებელმა კვამლით დაფარულ მისცა თავი და მოსკოვისაკენ გასწია.

ყველაფერი გათავდა. მე შინისაკენ წავებარბაცდი.

სახლებზე უსიცოცხლოდ ეკიდა სამგლოვიარო დროშები.

უკან დაბრუნებისას კაცის ჭაჭანება არსად იყო, თითქოს ქვეყნიერება ამოწყდა და სიცოცხლე დაიშრიტაო, როგორც უკანასკნელი მიუსაფარი შუქი იანვრის ამ ღღისა, მისი აუტანელი სუსხითა და კვამლის მწარე სუნით, რომელიც არავის არაფრად სჭირდებოდა მაშინ.

სალამოხანს, ზუზუნკო რომ დაბრუნდა, მე სიცხიანი ვიწვექი და ვბოდავდი. ერთ თვეზე მეტი ვიავადმყოფე.

თარგმნა ვალენტინა ძიმიგურმა



კახეთი



ქვემო ქართლი

სიმონ

პროლოგის მაგიერ

ქალაქ აიას შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. იგი გაშენებულია მდინარე ფაზისის ორივე მხარეს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 125—300 მეტრამდე მერყეობს. „ჰავითა და წყლითა მშვენი თვალთა ქვეშე შვენიერი ადგილი, რომელი აღაშენა აფხაზთა მეფემან ლევან და ჰყო ტახტი“.

აიას ჩრდილოეთით ესაზღვრება სამგურალის ქედის სამხრეთი კალთები, ფა-

ზისა და წყალწითელას შუა მდებარე მაღლობი ჭახათა, მერე ხვამლის მთა და ნაქერალა; აღმოსავლეთით ესაზღვრება მდინარე წყალწითელა, გოდოგნისა და მოწამეთის კირქვიანი ფერდობები; სამხრეთით ხანისწყალი, დასავლეთით გუბისწყალი და ერთად კოლხეთის დიდებული დაბლობი, თვით ფაზისის დასასრულამდე.

აია სამართლიანად ამაცობს თავისი ისტორიული წარსულით, ისტორიული ძეგლებით. იგი არანაკლებ განთქმულია ქარხნებით, თანამედროვე ნაგებობებით, მაგრამ ყველა და ყველაფერზე ძვირფასი აქ ადამიანებია; ადამიანები გაუთავებელი სურვილებით, გაუმადლარი სიცოცხლით, ცხოვრებასთან შეგუების უნარით და საოცარი ცნობისმოყვარეობით დაჯილდოებულნი; მდიდარნი სულიერად, ზოგჯერ უპოვარნი და გლახაკნი.

ძნელია, სადმე მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც მშობლიური ქალაქი ასევე მოწონდეს. აქაურ მოქალაქეს აია ისე უყვარს, როგორც საკუთარი ეზო.

ამ წიგნის ავტორს წილად ხვდა ბედნიერება ამ ქალაქში დაბადებისა. ძნელი წარმოსადგენია, კაცი ერთხელ დაიბადო, ისიც აიაში, და შენი ბედის კმაყოფილი არ დარჩე.

ქვემოთ აღწერილი ამბები მოხდა ზუსტად ათი წლის წინ. მართალია, ქალაქი აია მას მერე კიდევ უფრო გაიზარდა, ბევრი რამ საფუძვლიანად შეიცვალა, მაგრამ ადამიანები თავიანთი კარგი, ძვირფასი გრძნობებით ისეთივენი დარჩნენ; ხოლო იმ დღეებს, იმ ერთ შემოდგომას, იმ ერთ ზამთარს, გაზაფხულს, ზაფხულს, იმ სიყვარულს, იმ მწუხარებას უპირველესი ადგილი უჭირავს იმ ადამიანთა ცხოვრებაში, ვინც აქ თავის თავს იცნობს.

რადგან ყველაფერი სუფთა, გულწრფელი, უკვე განცდილი, გადატანილი, მაგრამ გულის ფსკერზე სათუთად შენა-

ხული, წარსულს ეკუთვნის და მის გაცოცხლებას, სააშკარაოზე გამოტანას არ ცდილობენ, მაშინ გასაგებია, რატომ, თუ ეს წიგნი რატომ ატკენს ბევრს გულს, ბევრს ირონიულ ღიმილსაც მოგვრის: ასეთი იქნება ნება უფლისა. ხოლო ვისთვისაც წარსული არ არსებობს, ვინც დღესაც ისეთივეა, მისი პორტრეტი, ფაქტები მისი ცხოვრებისა გამოიწვევს უკიდურეს, ზოგჯერ სამართლიან გულისწყრომასაც: ეს გასაგებიცაა. პატივცემული ავტორი გაკადნიერდება და მაინც იტყვის ყველაფერს, თუნდაც ამისათვის თეთრი ხიდიდან გადაგდებით დაემუქრონ ისევე, როგორც ერთხელ ეს ერთ პატიოსან მწერალს დაუბარეს.

ამჟამად, როდესაც ეს წიგნი იწერება, აიას მოქალაქენი ჩაფლული არიან თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში; ამ დიდად პრაქტიკოს, დიდად მეოცნებე ადამიანებს აინტერესებთ მსოფლიოს ყოველ კუნძულში მომხდარი ამბავი; გული მოსდით ინგლისის ლორდთა პალატაში გამოსული ლეიბორისტების უპირინციპაზზე და ეჭვდაც არ იციან, რომ იწერება ეს ღირსშესანიშნავი წიგნი.

მათი ქალაქი კი დღითიდღე იზრდება, მშენდება და ზოგჯერ მოგვიწინება კიდევ, თითქოს მეტი არც არაფერია გასაკეთებელი.

რა არა აქვთ ახლა აიას მცხოვრებთ?! ყველაფერი! დაწყებული თეატრის უზარმაზარი შენობით, გათავებული ფეხბურთის პატარა მიწიდან, რომელსაც ბრაზილიის სტადიონს ეძახიან.

პროლოგის მაგიერ გაგრძელება

ნოდარ პირველი და გივი წითლიძე არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს. ისინი იყვნენ ორი დიამეტრულად სხვადასხვა ადამიანი როგორც გარეგნობით, ისე ბუნებით; შეიძლება ამიტომაც იყვნენ განუყრელი მეგობრები.

ნოდარი და გივი ერთ დღეს მიიყვანეს სკოლაში, ერთად სწავლობდნენ რვა წელი. სკოლიდან ტექნიკუმში გადავიდნენ. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ

ორთავენი ჯარში გაიწვიეს. დაბრუნდნენ სხვადასხვა დროს. ნოდარი დაბრუნდა პირველსავე წელიწადს. პირველად თეატრში მუშაობდა უბრალო მსახიობად; შემდეგ რომელიღაც კლუბის დირექტორი იყო; ფეხბურთის გუნდსაც წვრთნიდა და თამაშობდა კიდევ. სულ ბოლოს გადაბარგდა ტყიბულში და მალაროში, თავისი სპეციალობის შესაბამის თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა;

სრულიად ახალგაზრდამ შეირთო ცოლი და იქვე დასახლდა სამღვდამოდ.

გივი წითლიძე ჯარიდან სამი წლის მერე ჩამოვიდა. რადგან გული არც სამთო, არც რაიმე სხვა ტექნიკური დარგისაკენ მიუწევდა, ისევ საშუალო სკოლის დამთავრება ირჩია; საღამოს ათწლეულის მეთერთმეტე ჯგუფში დაჯდა.

გივი წითლიძე მაშინ ოცდაერთი წლის იყო. მისი მეგობარი მასზე ერთი წლით უფროსი იქნებოდა.

ჯუჯუ დვალი გივისთან ერთად სწავ-

ლობდა. მართალია, იგი ჯარში არ ცო-
ფილა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო
ოთხი წელი გაუცდა. ჯუჯუს მიხედვით
თავად და მოქიცივე ბიჭად იცნობდნენ.
ეს სახელი მან ადრე და იოლად მოიპო-
ვა, ჭკუაზე ცოტა უფრო გვიან მოვიდა.
საშუალოს დამთავრების მერე უმაღ-
ლესში მოწყობას აპირებდა.

ბუხუტი გვიმრადე ავტოქარხანაში მუ-
შაობდა. თამაშობდა ფეხბურთს. გულ-
უბრყვილო კაცი იყო, ტანად მაღალი და,
რა სათქმელია და, ცოტა ზარმაციც.

ნოდარი აიაში დაბრუნდა

სექტემბრის პირველი დღეები იყო. აიაში გადაულეებლივ წვიმდა. ამწვანე-
ბული ქალაქი წყლად წავიდა.

უკუნეთი დამე იდგა.

ბუჩქნარიან ფერდობებს შორის პატა-
რა მატარებელი მოიკვლევდა გზას. წვი-
მით გალუმბული მომწვანო ვაგონების
ფანჯრებიდან მკრთალი სინათლე გამო-
დიოდა. ელმავლის ფარები ას მეტრამდე
ჭრიდა სიბნელეს. გზა იყო მიხვეული,
მოხვეული. ორი გრძელი სინათლის
შუქი ხშირად ცდებოდა პრიალა ღიან-
დაგებს და რცხილისა და თხმელის გა-
წუწულ ხეებს აელვარებდა.

ნოდარ პირველი ოთხვაგონიანი ძვე-
ლი მატარებლით უახლოვდებოდა ქა-
ლაქს.

ზემოდან უპროპორციოდ განათებული
აია გამოჩნდა. წვიმასა და ბურუსში
კიაფობდა ღამპიონები. ნოდარმა შეხედა
აიას, ტუჩები მოკუმა და გამეტებით დაე-
მუქრა.

თენდებოდა; მატარებელი გაჩერებუ-
ლიც არ იყო, ვაგონის საფეხურიდან
სწრაფად ჩამოხტა ნოდარი, უკაცრიელი
ბაქანი სირბილით გადაიარა, კიბეზე დაე-
შვა და სველი ჭადრის ძირში გაჩერდა.

ნოდარს თეთრი შარვალი და ძველი,
გახუნებული პიჯაკი ეცვა. ხელში დიდი
ჩემოდანი ეჭირა.

ჭადრის მსხვილ, კორძიან ტანზე
აფიშა-იყო გადაწეპებული. ვარდისფერ
ქალაღდს ნელ-ნელა ეცლებოდა საღება-

ვი. აფიშაზე რამდენიმე უცნაური სურა-
თი ეხატა. მხატვარი ოსტატობას ვერ
დაიკვივნიდა, მაგრამ სურათები ამის
გამო კიდევ უფრო იქცევედა ყურადღე-
ბას. ორი სურათი აფიშის ზედა კუთ-
ხეში ეხატა, ორი — ქვევით. ერთი ყვე-
ლაზე მოზრდილი სურათი შუაში იყო.
სულ თავში მწვანე, მსხვილი შრიფტით
ეწერა — თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე.

ქვემოთ რაღაც მიეწერათ წვრილად,
მაგრამ წვიმასა და სიბნელეში რაიმეს
ამოკითხვა ძნელი იყო.

ყველა სურათზე ერთი და იგივე კაცი
ეხატა. ეს კაცი თორმეტ ორფუთიან
გირს წევდა კბილებით. საწონებზე გარ-
კვევით ეწერა — 32 კგ. მეორე სურათზე
თავდგირიძე იდგა და პირში გირი ეჭირა,
ვიღაც ინტელიგენტი უროს ურტყამდა,
ალბათ გირზე, რადგან, ნახატს თუ
რამე დაეჯერებოდა, მოქნეული ურო
თავდგირიძეს თავში უნდა მოხვედროდა.
ქვედა, მარცხენა ნახატზე თავდგირიძე
ცხენს ზევით წევდა, მარჯვენა ნახატ-
ზე — იწვა და გულზე საბარგო მანქანა
ადგა. მანქანა რატომღაც ორკესტრან-
ტებით იყო სავსე. მუსიკოსებს შლაპები
ეხურათ და ხელში შიშველი საკრავები
ეპყრათ; ისინი შეშინებულნი იყურებოდ-
ნენ ქვემოთ და ბორბლებში არხეინად
გაწოლილ ადამიანს მისჩერებოდნენ.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

ნახატებში პროპორციები უცნაურად იყო დაცული: თავდგირიძე აშკარად ცხენზე და მანქანაზეც დიდი ჩანდა, როცა, ეფექტისათვის პირიქით უნდა ყოფილიყო.

ჭადრის ფოთლები სულ ვერ აკავებდა წვიმას და აფიშის ცქერაში ნიღარი სწრაფად დასველდა. ქვის კიბეზე კალათებიანი დედაკაცები და ორიოდე სხვა მგზავრი ეშვებოდნენ.

მოედანს სწრაფად შემოუარა ახალმა პობედამ. ნოდარი წინ გავიდა, ქუდი მოიხადა და მანქანას ხელი აუწუა. პობედას სვლა არ შეუწელებია. მანქანიდან არღნის ხმა მოისმა — ტარა-ტარა, ტარა-ტარა... ჰო! — მიაყოლა ბოლოს ვიღაცამ. არღნის ხმა გაძლიერდა და მანქანამ შესილით ჩაიქროლა. ნოდარი გვერდზე გახტა, თეთრ შარვალზე დაიხედა. ბოლოს ერთხელ კიდევ შეათვალიერა იქაურობა და როცა ნახა, სხვა მანქანას ვეღარ დაიხელთებდა, წახრილი გაიქცა, დიდი ჩემოდნის ქიანით გადაჭრა მოედანი და ჩაბნელებულ ქუჩაში შეუხვია.

იმ დილით ძალიან ადრე გაიღვიძა გივი წითლიძემ. იგი მარტო იწვა მალაქტერიან ოთახში. სამი წლის განშორების შემდეგ დაუბრუნდა გივი ამ სახლს. ჯაროდან ჩამოსულს ადრე ეღვიძებოდა. ივსებოდა სივრცით, სიჩუმით, სითბოთი და სიგრილით ერთდროულად.

თენდებოდა. ჰალვისფერი ბურუსი მოდგომოდა ოთხივე ფანჯარას. მიწაზე მიკრულ ვაშლის ტოტებს და ფოთლებს თქრიალით ჩამოსდიოდა წვიმის წყალი.

ვიღაცამ ფანჯარაზე ფრთხილად დააკაკუნა. გივი ადგა, შუშაბანდში გავიდა და კარი გააღო. კარებში ნოდარ პირველი შემოვიდა. მოსულმა გულლიად გაიღიმა, გივიმაც გაიღიმა. უბრალოდ გადაკოცნეს ერთმანეთი. მოსულმა ჩემოდანი კუთხეში მიდგა, სველი ქუდი და პიჯაკი ლურსმანზე დაკიდა.

— გამოვიშვს? — ჰკითხა გივის და უცნაურად ჩაიცინა.

— რით ჩამოხვედი? — უადგილოდ ჰკითხა გივიმ.

— ტივით! — ნოდარმა ახლა უფრო ხმაბალა გაიცინა, მაგრამ უცბად გაჩერდა.

— სძინავთ თქვენებს?

— სძინავთ, შემოდი!

ოთახში შევიდნენ. გივი ისევ საწოლში შეწვა. ნოდარმა სავარცხელი ამოიღო და სველი, გამეჩხერებული თმის ვარცხნას შეუღდა. გივი გადმოიხარა, საწოლს ქვემოდან ჩემოდანი გამოაჩოჩა.

— გამოსაცვლელს მოგცემ რამეს, რას გავხარ, შე უბატრონო... თუ გინდა, დაიძინე!

— არ მინდა, გამოსაცვლელი მეც ბევრი მაქვს!

სტუმარმა თავისი უზარმაზარი ჩემოდანი შემოათრია და წვალებით და გინებით გახსნა. გარეთ ისევ წვიმდა. ვაშლის ფოთლებს და ტოტებს ისევ თქრიალით ჩამოდიოდა წყალი. ნოდარმა გამოიკვალა ტანსაცმელი, თმაც დაივარცხნა. ბოლოს ამოღერდა:

— სახლში არ მინდა მივიდე, ისედაც არ მცემენ ხმას!

— რატომ?

— რატომ და... — ნოდარმა ხელი ჩაიქნია, — რას შერები შენ, როგორა ხარ?

— რა მიჭირს, რატომ არ გცემენ სახლში ხმას?

— რაც ცოლი შევირთე, მას მერე დედაჩემი არ დამლაპარაკებია.

— ტოშია?

— მამაჩემი კი, როგორ არა, ტყიბულშიც მაკითხავდა, მაგრამ ახლა გავიქედება!

— ახლა ვითომ რატომ? — დაამთქნარა გივიმ.

— მივატოვე ცოლიც და სამსახურიც! — თქვა ნოდარმა და ღიმილით მიაშტერდა გივის.

— რა ჰქენი?

— ცოლს გავშორდი. — ნოდარს გაეცინა და მეგობარს შეხედა, თითქოს ჰკითხა, სასაცილოა ეს, აბა რააო. გივიმ რატომღაც უხერხულობა იგრძნო.

— წამოვედი სულ! — საბოლოოდ განმარტა ნოდარმა და კიდევ გაიცინა.

— რატომ, ბიჭო!



— ისე, უბრალოდ, მომწყინდა: ადექი ზევით, რა დაგემართა!

გივი საწოლზე წამოჯდა.

— ვერ შევეწყვეთ ხასიათებით, შენ ვერ გაიგებ... შეირთავ ქალს და ნახავ!

— რას ვნახავ! — ჩაილაპარაკა გივიმ. მეტი არაფერი უთქვამს. ამ კაცს ის უფრო უკვირდა, ნოდარმა რომ ცოლი შეირთო, ვიდრე მისი მიტოვება. იგი იცვამდა და ფიქრობდა: ეს ცოლის შერთვა და გაშვება რაღა უბედურებააო.

— ისე ურიგო გოგო კი არაა, მაგრამ, ასეა. ესეც არ იყოს, მომკლა მუშაობამ... შახტა რა ჩემი საქმეა... დღე და ღამე ქვევით უნდა იყო, ხომ იცი, რაცაა, მუშისამარა ვერ დატოვებ. უზნის უფროსად გადაგიყვანთო, მაგრამ მომეშვი, უარესია...

ნოდარმა თვალეზი წაჭუტა და წაილილინა:

ვარ შახტში და თვალით ვერას ვხედაო, ქვა და ლოდი მათარია ზედათო...

— აუ, რა გაეხარდება დედაჩემს, უმაღლესში მოეწყვეო, მეტყვიან... მოვკვდები, რა! რას შერები, ლიას ნახულობ?

— არა.

— დაივიწყე ძველი ამბები?

— რა ვქნა!

— მე შემხვდა რამდენჯერმე და შენი ამბავი მკითხა.

გივი გაილურსა. უნდოდა კიდევ ეთქვა ნოდარს ლიაზე რამე. ნეტავი თუ მართლა მკითხულობდაო, — გაიფიქრა მან. ნოდარმა ტყუილი იცოდა, მაგრამ ამჯერად გივის მის ნათქვამში ეჭვი არ შეპარგია.

ძმაცაცებმა სიგარეტები გააბოლეს.

ნოდარმა ღრმად ჩაისუნთქა კვამლი:

— ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. ავტოქარხანაში ვიმუშავებ; როგორც ფეხბურთელს, უფრო მიმიღებენ: მიცნობენ, ნავარჯიშევი ვარ... ერთი თვე მინდა, რომ ფორმაში ჩავდგე. რა დროა ნეტავი?

ნოდარმა მაგიდიდან გრძელქექვიანი საათი დაითრია.

— ვისია ამხელა საათი?

— ბაბუაჩემის.

— ჩამოვიდა? — გაიცინა ნოდარმა.

— მიდის დღეს.

წვიმამ იკლო, ოთახში სინათლემ იმატა. ჩანდა, შუადღისას გამოიდარებდა. ნოდარმა ჩათვლიმა. იგი კიდევ უფრო გამხდარიყო. თვალმუცხუჭული ორმოცი წლის კაცს ჰგავდა.

— თავდგირიძე ჩამოსულა, — თვალგაუხეულელად თქვა ნოდარმა.

— ვინ?

— თავდგირიძე.

— ვინ ოხერია?

— ძალოსანია, ცხენს წვეს! — გაიღიმა ნოდარმა.

გივი ისევ ლიაზე ფიქრობდა და ვერ გაიგო, ვინ თავდგირიძეზე და ცხენზე იყო ლაპარაკი.

ოთახში სიჩუმე დადგა. გივიმ დაკვირვებით შეხედა მეგობარს და მოეჩვენა, რომ იგი სულ არ იყო შეცვლილი, თან შეცვლილი იყო საგრძნობლად. როგორ შეიძლებოდა ერთი ცოფილიყო და მეორეც, ვერ გაიგო. ნოდარმა თვალი გაახილა, გივის მზერა დაიჭირა.

— გამხდარი ვარ, ხომ? — გივიმ ხმა არ გასცა. — მომკლა კუჭის წყლულმა, მუშაობამ, ღვინომ.

— პაპიროსსაც ვერ ანებებ თავს? — შეეცოდა გივის.

— ვერ ვანებებ კი არა, არ ვანებებ, არ მინდა დავანებო!

— მოწიე, მოგიხდება.

ნოდარმა ეშმაკურად გაიღიმა და სახეზე ნაოჭები დააჩნდა:

— ისე, კი არ ვარ თლა კარგად!

— მიხედე მერე თავს, ბაბუაშენს — ჰგაგხარ, კირილე ისმაილიჩს.

— უღვაშების ბრაღია, — გაიცინა ნოდარმა.

— ნამდვილად.

— ყოველ შემთხვევაში, მარტო ჯანმრთელობის არა: წლები გარბის, ძმაო.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

სწრაფად... სხვისი წელიწადი ჩემთვის ერთი თვეა. ასე დავბერდები, აბა, რა იქნება; ყველაფერს ადრე ვიწყებ და

ვამთავრებ, ალბათ ადრე მოგვედები — ნოდარმა უგულოდ გაიღიმა. მერე ჩაე-
პოქინა
სოსიკოსი
განცხადდა

გაცნობა

გივის ბაბუა სოსიკო წითლიძე 1915 წელს წავიდა რუსეთში. მას მერე იქ ცხოვრობდა. წელიწადში ერთხელ ჩა-
ოდოდა აიამში, უფრო გვიან გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. აიადან სოფელში ჩადიოდა: მწიფე პომიდორებს თუ არ ჩაეღუსწარი, მოგვედებო.

სოსიკომ უდარდელად მოჰპაა სოფელი და სიბერეში დაიწყო წუწუნი და სხვების ჭკუის დარიგება. დიდი მოუთმენელი ვინმე იყო. მატარებლის გასვლას ბარე სამი საათი აკლდა, მაგრამ დილიდან ყვიროდა, არ დამაგვიანოთ!

სოსიკოს წასვლის დღეს სახლში ნათესავები მოიყრიდნენ ხოლმე თავს; მოხუცს უხაროდა, როცა აცილებდნენ.

ყველაზე ადრე იაშა ბაზაძე მოსულ იყო. ისა და გივის მამა სარდიონი ფანჯარასთან ისხდნენ.

სოსიკო ჯუჯუ დვალს ნარდს ეთამაშებოდა. ჯუჯუზე ბევრად უკეთ თამაშობდა, მაგრამ მაინც აგებდა. ჯუჯუს არც ისე ძალიან უნდოდა მოგება. რა ვქნა, მომდისო, — ევდებოდა სიცილით.

ადრევე გამოიღარა. დილის მზემ სწრაფად მოაშრო დედამიწა. გარეთ გრილოდა. დაწმენდილი, ნოტიო ჰაერი იდგა.

ნოდარი ალიონზე გაიქცა საქმეებზე. ბუხუტისთან ერთად დაბრუნდა. ბუხუტი მორიდებით შემოვიდა ოთახში, დამხვდორებს შეშინებულნი მიესალმა. სოსიკომ სათვალე მოიხსნა და მოსული საეჭვოდ აათვალიერა. იგი გივის ბევრ ამხანაგს იცნობდა, მაგრამ ბუხუტი პირველად ნახა და ამხიმაღლე კაცი თვალში ეცა.

გივიმ ამხანაგს სკამი დაუდგა.

— იყოს, არ მინდა, — უთხრა ბუხუტიმ და იმწამსვე დაჯდა ზედ.

ნოდარი ღია ფანჯრის რაფაზე მოკალათდა.

ჯუჯუმ შაში-ბეში გააგორა. ბეში იგებდა და ეს გაგორება სოსიკოს ჭკუაში არ დაუჯდა, კამათლებს ხელი დაათარა. ჯუჯუმ გაიცინა და ხელმეორედ გააგორა. ბეში მაინც დაჯდა ცალად. სოსიკომ სათვალე მოიხსნა:

— სვამ, ბიძია, შენ!

ჯუჯუმ ხმამაღლა გაიცინა და ბუხუტის მიუტრიალდა:

— მომე, პაპიროსი! რომ მომჯდომიხარ უკან, შენით ვერ უნდა მიხვდე რამეს? — ჯუჯუ გადინარა და ბუხუტის ჯიბეში ჩაუყო ხელი. „პრიმა“ ამოუღო. სანამ პაპიროსს მოუკიდებდა, კამათლებიც გაყარა უგულოდ. ახლა ბეშ-ოთხი დაჯდა. სოსიკომ ცალი თვალი წაჭუტა, პატარა ხანი ასე გაჩერდა, მერე გივის დაუძახა:

— ჩაის ჭიქა მომეცი, ერთი.

— რად გინდა?

— სიტყვას ნუ მიბრუნებ, ბიჭო, შენ!

ჯუჯუმ პაპიროსს მოუკიდა.

გივიმ ჩაის ჭიქა მოიტანა.

— ჩაყარე ამაში! — უთხრა სოსიკომ ჯუჯუს. ჯუჯუმ გასართობი იზოვნა და გაუხარდა. „ძაღლის ძვლები“ ჭიქაში ჩაყარა, დაარხია და დააპირქვავა. კამათლები გაკოტრიალდა და ნარდის კუთხეში დუბეშმა გამოანათა. ამაზე ჯუჯუ სიცილით გაიგუდა და სკამიდან კინალამ გადმოვარდა. სოსიკომ გაიღიმა და ხელახლა ქეების დალაგებას შეუდგა.

ნოდარი უდარდელად იჯდა ფანჯარაზე, მაგრამ დაღლილი სახე ჰქონდა და ხმასაც არ იღებდა. იგი უყურებდა სოსიკოს და იღიმებოდა. აი ნოდარის მშობლიური ქალაქი იყო, მაგრამ ღამით, წვიმაში უცხო და იღუმალი მოეჩვენა. დღის სინათლეზე ნოდარი სწრაფად გადაერთო ძველ სტიქიაში და მისთვის ისეთივე ნათელი და გასაგები გახდა ყველაფერი, როგორც ადრე.

საქართველო
შენიშვნები

გივიმ ნოდარი იაშა ბაზაძეს გააცნო. იაშა ფეხბურთის მოყვარული კაცი იყო და ნოდარი თვითონაც იცნო. როცა გაიგო, იგი ქარხანაში აპირებდა მუშაობას, გაჩერდა; ნოდარს ღიღზე მიაშტერდა. ნოდარმა ვერ გაიგო, ეწყინა იაშას ეს ამბავი, თუ რა მოხდა.

— მოდი ხვალ შენ ჩემთან! — მოულოდნელად უთხრა იაშამ და ისევ სარდონისაკენ მიტრიალდა.

სოსიკომ კიდევ წააგო, ნარდს თავი მიანება და ოთახში გაიარა.

— რა გვარი ხარ, ზიციბა, შენ? — ჰკითხა ზუზუტის.

— გვიმრადე, ბატონო!

— ნოე გვიმრადე ხომ არაფერი იყო შენი?

— არა... არ ვიცი.

— არ იცი, ხომ?... კაი და პატიოსანი, რა დროს დაგბერდი, ზიციბა! — თითქოს კიდევ უნდოდა სოსიკოს რაღაცის თქმა, მაგრამ ფანჯარას მიადგა და ზუზუტი სულ დაავიწყდა; შემდეგ აღიღინდა:

მე დრო მქონდა, ჩემო კარგო, სილაშაზე
მშვენილად;
რა ვიცოდი, ჩემო კარგო, თუ სიბერე
მელოდა...

ჰე! არ დამაგვიანოთ!
ნარდს ნოდარი მიუჯდა.

— შენ არ გეთამაშები, — უთხრა ჯუშუშ.

— რატომ? — გაუკვირდა ნოდარს.

— არ იცი თამაში.

— მე არ ვიცი?

— ხო, შენ.

— თამაში არ არსებობს, შენზე უკეთესად რომ არ ვიციოდე.

— ახალი ხომ არაფერი გისწავლია ნახშირებში?

— კი, ზაიბურთი.

— მიაგენი შენ პროფესიას?

— დაალაგე, ქვები დაალაგე!

ზუზუტი უხერხულად იჯდა კუთხეში. გივი ახლოს მივიდა, მაგიდას მუცლით გადაწევა. არ მოიწყინოსო, — ზუზუტიზე იფიქრა.

— მუშაობ, არა? — შეეკითხა სრულიად უსაფუძვლოდ.

— კი, აბა მარტო ფეხბურთს რომ მივაჩერდე, არ ღირს, მეთოდესი არ იყოს. /
იცნობ მეთოდეს?

— რომელია? — ვერ გაიხსენა გივიმ.

— ვინაა, ბიჭო, მეთოდე? — უკანმოუხედავად იკითხა ნოდარმა.

— არაა შენი საქმე!

— ვიცნობ და იმიტომ გეკითხები, საქმე თუ არა, დიდი საქონელია. ჩემი არ იყოს, წითელი უღვაშები აქვს, ასე მახსოვს! — გაიცინა ნოდარმა.

— რავე ყველა უბედურს შენ იცნობ! — გაეხარდა ჯუშუშს.

ალიოზა გუბელაძემ ხმაურით შემოალო კარი; სალამი და გამარჯვება უთხრა ყველას. მერე სოსიკოს მოეხვია და ჯანჯღარი დაუწყო: ბოლოს ხომ მაინც დაბერდი, შე ღმერთგაყიდულოო! სოსიკომ ძლივს მოიშორა:

— რას გავხარ, მომშორდი აქედან!

— უ!.. — იღვირა გუბელაძემ.

— ყველაფერს ველოდი, მაგრამ ჩემი მოყვარე კაცი თუ ლოთი გამოვიდოდა, რავე მეგონა! — სინანულით ჩაილაპარაკა სოსიკომ.

— ისე, კი ჯობდა პროფესორი გავმხდარიყავი, მარა არ გიმართლებს, ბედი არა გაქვს! — დამცინავი ღიმილით თქვა გუბელაძემ და ოდნავ აბანცალდა. შემდეგ ჩამოიარა და დამხვდურებს ირონიული მზერით ჩამოართვა ხელი. იგი მდაბლად უკრავდა ყველას თავს, თითქოს ზოდისობდა: მე ლოთი, მე უბედური, რა ღირსი ვარ ამ საზოგადოებისო! გვერდულად, ნახევრადწაჭულტული თვალებით იყურებოდა; თუ ხედავდა რამეს, არ იფიქრებდი. ბოლოს ვითომ მორიდებით ჩამოჯდა და უაზრო, მაგრამ მაინც დამცინავი თვალებით შეათვალიერა ეს „საზოგადოება“.

— ღვინოს, ბიჭო, ვინ არ სვამს. ამის ბაბუა გაღმა სოფელში მიყავდათ თამადად, მაგრამ ლოთი კი არ ყოფილა... — ყვებოდა სოსიკო.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

ალიოშა მოულოდნელად გადახარა, სოსიკოს ფეხში სტაცა ხელი და მჭახე ხმით იყვირა:

— დანა რომელ ჩექმაში გაქვს, თქვი! სოსიკომ ბზის ჯოხი დაუმინა შამფურით.

— ჩექმა ორმოცი წელია არ მცმია, კაცო!

— ხომ იყავი ყაჩაღი, დავითიჩ!

— ყაჩაღი მამაშენი იყო. მამაშენი და ებიფანე მამაგეიშვილი მეუბოვეებმა დაიჭირეს მოსკოვში; ოთხასი თუმანი ფული დამიჯდა იმათი გამოყვანა; ო, რა ყაჩაღები იყვენ! — გულიანად გაეცინა სოსიკოს. დანარჩენებიც იცინოდნენ.

ალიოშა დროგამოშვებით ლოთობდა. სიმთვრალეში ძნელი გასაძღები იყო — ყვიროდა, ირონიით, ცინიკურად ელაპარაკებოდა ხალხს. სიფხიზლეში მოწყენილი იყო და ხმასაც არ იღებდა.

ჯუჯუ შურით აკვირდებოდა ალიოშა გუბელაძის მაღალ ტანს, დიდ მაჯებს და ხელის მტევენებს. ალკოჰოლისაგან ჩამომხმარ ადამიანს მაინც შერჩენოდა ძველებური იერი.

ალიოშამ სკამი გაწია და იაშა ბაზაძეს მიუჩოჩდა.

— ბატონ იაშას ჩემი ძვირფასი სალამი... ხომ კარგად, ჩემო ბატონო?!

იაშამ გაიღიმა, მიხვდა, ალიოშა დაციონოდა: ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში ასე იკბინებოდა იგი.

ალიოშა და იაშა მარტო ნათესავები არ ყოფილან: ისინი ერთად გაიზარდნენ; ერთად სწავლობდნენ და მეგობრობდნენ; ფრონტზე წავიდნენ და მათი გზები მხოლოდ ამის მერე გაიყარა.

იაშას მეგობრის ქილიკზე გული არ მოსდიოდა. მან იცოდა, რომ ალიოშას ეჩვენებოდა, თითქოს კაცად აღარ თვლიდნენ და ამისათვის ყველას სამაგიეროს უხდიდა.

ოთახში გივის დედა შემოვიდა.

— წყალი მომიტანე! — უყვირა ალიოშამ. დიასახლისმა ხმა არ გასცა. ალიო-

შა სკამის საზურგეს გადააწვა და ისე მიაჩერდა ქალს, რომ აგერ-აგერ შეიგინებოდა, იფიქრებდი და არც თუ-უსაფუძვლოდ. ქალი სუფრას ცვლიდა და ჩუმად იღიმებოდა. სარდიონმა ღვინით სავსე სურები შემოიტანა.

— ა, შენი წყალი, გეყოფა?! — ცოტა უხეშად უთხრა დიასახლისმა. ქალი ალიოშას ვერ იტანდა და ეს ეტყობოდა.

ალიოშამ თვალეში მოიფშვინტა, ნიკაბზედაც ჩამოსივა ხელი და საშინლად სარკასტულად, მაგრამ ბრაზიანად გაიცინა. ამის შემხედვარეს ყველას უსიამოგრძნობა მოერია. ოთახში სიჩუმე დადგა. დიასახლისი მიხვდა, რომ ცუდად მოიქცა, მაგრამ ბოდისის მოხდა არ უფიქრია. „აბა რატომ ლოთობსო“, გაიმართლა თავი გუნებაში.

— ღვინო სად მოგაქვთ, რათ გინდათ. რას მიშვებით! — გულგრილად აღელდა სოსიკო. ამ კაცს სულ არ შეშინებია გუბელაძის.

— რა დაგაგვიანდა, რას ლაპარაკობ, თუ კაცი ხარ! — ნაძალადევად გაიცინა სარდიონმა.

სოსიკოს ყვირილზე ალიოშამაც გაიღიმა; თვალეები დაეწმინდა. სხვებიც დაწყნარდნენ. ნერვიულობამ გაიარა.

— მე წავედი მამინ. არც თქვენც გაცილება მინდა და არც თქვენი... — წამოიწია მოხუცი.

— ადრეა, ბატონო, სამი საათი დარჩა კიდევ! — უთხრა იაშამ.

— კი ხომ, შენ გენდობი მარტო, ბიძია! — ასიამოვნა სოსიკომ.

— ვენაცვალე ამ მთავრობას, შენი თავი რომ ასე ჯანმრთელად შემინახა! — სოსიკოს მისამართით ჩაილაპარაკა ალიოშამ და ღვინით სავსე ჭიქა ფსკერამდე გულდაგულ გამოწურა.

— ეჰ, რა დროს დავბერდი, ჩემო კარგო... გავმარჯოთ, მრავალ კაი დღეს შესწრებოდით. დიდება ამ ჭერს, ღმერთს მოწყალება და ჩვენ კარგად ვიყვეთ! ნახეთ რომელიმე მამა დროა!



ბიჭებმა სხვებთან ერთად გააცილეს სოსიკო. სოსიკომ ტირილი დაიწყო: მივდივარ სასხვისშილოში, აწი ვეღარ განახავთ, მოვეკვდებით. როცა მატარებელი დაიძრა, კუბეში შევიდა და სულ გადაავიწყდა აიაც და მისი პატიოსანი მოქალაქენიც.

კვირა დღე იყო. შემოდგომის საღამო.

ბიჭები სადგურის წინ აყილდნენ. გივიზე იმოქმედა ბაბუამისის ტირილმა და ცუდ გუნებაზე დადგა. „აღბათ, გული უგრძნობს და მართლა მოკვდებო,“ — ფიქრობდა.

ნოდარმა დაიყინა: კლუბში შევიდეთ, თავდგირიძე ვნახოთო. იგი ტყიბულიდან იშვიათად ჩამოდოდა და ასეთ რაღაცეებს დანატრებული იყო.

ტროლეიბუსიდან ია წითლიძე და მისი ამხანაგი გოგო გადმოვიდნენ. იას წითელი ჩანთა ეჭირა ხელში. ნოდარმა შორიდან შეამჩნია და გაშტერდა.

— ვინაა, ბიჭო, ეს გოგო? — იკითხა, არც თუ ისე ხმადაბლა.

— ხმა არ გაცე, ამხანაგია! — შეეშინდა გივის.

მოედნის წინ გამავალი ქუჩა ტაფობში ჩავარდნილ ბალახვანს გადადგომოდა. ბალახვანის მხარეს ქუჩას ქვიტკირის გალავანი იცავდა. გალავანს იქით ალვის ხეები შრიალეზდა უხეიროდ. მარჯვნივ და პირდაპირ, ათი ნაბიჯის მერე დიდი, თეთრი კიბე ეშვებოდა. სადგურს უკან კირის ქარხნის უზარმაზარი საკვამური იხრჩოლებოდა, თეთრი კვამლი ცისკენ მიიგრებოდა. მოედანზე ცხელოდა და ჩახუთული ჰაერი იდგა. ჯუჯუ გალავანზე იყო შემომჯდარი; ბუხუტის ექაჩებოდა, — გაჩერდი, ნიდაყვი უნდა ჩამოგადოო. ბუხუტი იგლოჯებოდა და წასვლას აპირებდა, მაგრამ ჯუჯუ საყულოში ჩაფრენოდა მარცხენა ხელით.

ნოდარი მოურიდებლად მიშტერებოდა იას; ქუდი შუბლზე ჰქონდა ჩამოდებული და თვალები ძლივს მოუჩანდა. იამ გივის გაუღიმა, მაგრამ ნოდარის მხერგზე ფეხი აერიო. როდესაც ბიჭებს გაუსწორდა, — როგორა ხარო! — ხმა-

დაბლა ჰკითხა გივის. გივიმ მსრუტავა ჩიჩა, — რა ვიციო.

ჯუჯუმ როგორც იქნა ერთ ადგილზე გააჩერა ბუხუტი და მკლავებით გადაემხო ბიჭებზე; ქალები გვიან შეამჩნია, სამაგიეროდ, დიდი ამბით მიესალმა ორთავეს და რამდენიმე სააღერაო სიტყვაც მიამხა. ამასობაში ბუხუტიმ თავი აიშვა. გოგოებმა გაიცინეს და კიბისკენ გაუხვიეს.

— უთხარი შემოვიდნენ კლუბში, — გივირდში ხელი მოუჭირა ნოდარმა გივის.

— სად უნდა შემოვიდნენ იმ ბალახვანში, ხელი გამიშვი!

ნოდარმა ქუდი მოიხადა, ქალებს დაუძახა. — კარგად იყავითო და გივის მიუხედა.

— შენ მაინც ვერ ისწავლე ჰქუა? — ჰკითხა გივიმ.

ნოდარს სიცხილი წასკდა, ვითომ რა ჰქვიანი მელაპარაკებოო. სიცილისაგან წელში მოიხარა და სირბილით წავიდა კიბემდე. მერე ქუდი ფრთხილად დაიხურა თავზე, რათა ძლივს დალაგებული, გამეჩხერებული თმა არ აწეწოდა; კიბის თავზე გაჩერდა და გალავანს ნიდაყვი ჩამოადო. იგი უყურებდა იას და მის ამხანაგს, სტვენდა, ქალები ლამაზად ჩადიოდნენ გაუთავებელ კიბეზე. იამ იგრძნო, რომ ვიღაც მიშტერებოდა და ამხანაგი ააჩქარა. დარჩენილი საფეხურები ქალებმა სირბილით ჩაიარეს.

მოზრდილი კლუბი სანახევროდ იყო გავსებული. ბიჭებს თავიანთი ადგილები არ უძებნიათ, იქვე კუთხეში დასხდნენ. ჯუჯუ ბუხუტის აწვალეზდა და სიცილით იხრჩობოდა. ბუხუტი გაბრაზდა და ერთი რიგით წინ გადინაცვლა. ნოდარმა ქუდი ცხვირამდე ჩამოიწია, ფეხები წინა სკამს ჩამოადო.

— მანქანას როგორ გადიტარებს გულზე, ეს მაინტერესებს უფრო! — თქვა გივიმ.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

— ტყული იქნება, — თქვა ნოდარმა.

— მასე მიგრძნობს მეც გული და თუ მართლა მანქანას არ დაუწყვა, მოგკლავ უსიკვდილოდ ვიღაცაა! — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ჯუკუმი; პატარა შეცდა და როცა მის მეტს არავის გაეცინა, გადიხარა და დაფიქრებულ ბუხუტის დაკეცილი გაზეთები ჩაარტყა კისერში. ბუხუტიმ მორყეულ სკამს ფეხი გამოაძრო, უკან გადმოიწია და ერთი ცარიელი რიგი სულ ააყირავა. ხრიგინზე ხალხი მისკენ მიტრიალდა. ჯუკუ მოიკუნტა; ხელები თავზე დაიფარა. იგი იცინოდა და ძლივს იძახდა:

— სირცხვილია, გაჩერდი... რას შევბი, შე გაფუჭებულო!

— დაიწყო, თავი გაანებე! — უთხრა გვიმ ბუხუტის.

ფარდა მართლა გაიხსნა. ბუხუტი ადგილზე დაჯდა, უკანა რიგი გაასწორა და მორყეულ სკამს ფეხი შეუღდა.

თავდგირიძეს ორი თანაბარი სიმადლისა და განათლების მქონე კაცი ჰყავდა. აქედან რატომღაც მხოლოდ ერთს ეძახდა „ასისტენტს“. არც ერთ მათგანს სცენაზე ხმის ამოღება არ შეეძლო. პროგრამის გამომცხადებლადაც ვერ გამოიყენებდათ კაცი. ისე, აქვე უნდა ითქვას, რომ ორთავეს თავდგირიძემ ჩაუხშო ყოველგვარი ინიციატივის უნარი.

თავდგირიძე სცენაზე გამოვიდა და ხალხს მიესალმა:

— ამხანაგებო, მე გახლავარ ძალოსანი, სპორტის ოსტატი თავდგირიძე!

— ავაშენა ღმერთმა! — დაუძახა ვიღაცამ. კანტი-კუნტად ტაშიც დაუკრეს.

— ეს კაცი აქაურია, ჩემ მეზობლად ცხოვრობდა! — მოტრიალდა ამ აღმოჩენით გახარებული ბუხუტი. დანარჩენებსაც ეცნაურათ.

თავდგირიძემ ხელი გაიშვირა და კულისებიდან ორი თითით შემოათრია უხეიროდ შედებილი მუხის კათედრა. „ასისტენტმა“ ბორჯომი დაუღდა. თავდგირიძემ ბორჯომი მოსვა და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაიწყო ლექცია.

თავდგირიძემ შესაეაღში ფართოდ განმარტა ფიზიკური კულტურის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. მოკლედ შეე-

ხო სპორტის ისტორიას. ოლიმპოს მთა და ბერძენთა შეჯიბრებანი გაიხსენა. შემდეგ იოგებზე ილაპარაკა განმარტებით ცირკის ბევრი ცნობილი ოსტატი პატივისცემით მოიხსენია. მოჰყვა, როგორ იმარხებოდნენ ზოგიერთები მიწაში, ყლაპავდნენ ხმლებს, ანთებულ ჩირადნებს, ლარდაყინის ლურსმნებს და ასეთ წვრილმან რაღაცეებს. იგი ლაპარაკობდა უბრალოდ, არც თუ ისე ზოხი ხმით, დიდი ტანის აღმავანებს რომ ატვთ ზოგჯერ, მსმენელთა ყურადღება სულ იოლად დაიპყრო.

მე თვითონო, თქვა, ყინულებში ვბანაობდი ზამთრობითო; ხიდიდან უკულმა ხტიბოდა თურმე; ერთხელ თავისი სისულელით საკუთარი პიძა გაულახავს. მსმენელები ბევრი აცინა. ბოლოს აღნიშნა, როგორი დიდი ყურადღება ექცევა სპორტს საბჭოთა კავშირში; ბორჯომი მოსვა და ლექცია მოულოდნელად დაამთავრა.

— რა იყო ეს! — სიცილი აუტყდა ჯუკუს.

თავდგირიძეს ჩვეულებრივი, თორმეტი ორფუთიანი გირი ჰქონდა; სინამდვილეში ყველას აკლდა სამი ან ოთხი კილო. წარმოდგენის დაწყებამდე დარბაზში ხმა გაგრცელდა, გირები ყაღბიანო. ეს ხმები თავდგირიძის ყურამდეც მივიდა, მაგრამ ძალოსანზე ამას შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

ისევე შრიალით გაიხსნა ფარდა. სცენაზე საჭიდაო კოსტუმში ჩაცმული თავდგირიძე იდგა. დევის აღნაგობის იყო, მაგრამ ტანზე ქონი მეტი ჰქონდა, ვიდრე კუნთები. ეტყობოდა, კაი სმა-ჭამის წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო. მის ფერხით თორმეტი ორფუთიანი გირი იყო გაგორებული.

— მსმენელებს ვთხოვ ამობრძანდნენ ზეით და შეამოწმონ გირები! — მშვიდად განაცხადა თავდგირიძემ. დარბაზში სამარისებური სიჩუმე დადგა.

— ამოდით და ნახეთ, მართლა ორი ფუთია თითო ცალი, თუ არა, იქნება მეტია რომელიმე და გიმაღავთ! — გაიმეორა ძალოსანმა.

— იყოს, კაცო, გენდობით! — დაუძახა ვიღაც მსუქანმა კაცმა.

— მერე არ დამიწყით, არ მინახავსო და არ ვიცოდით, და...

— რას კადრულობ, ბიჭო, ჩემ ხელში ხარ გაზრდილი, ტყუილს იტყვი შენ?! — იყვირა იმავე მსუქანმა კაცმა, რომელიც მერე ხალხისაკენ მიტრიალდა და ზოგიერთს თვალი ჩაუკრა.

ზევით მიანიც ავიდა რამდენიმე ბიჭი.

— კიდეც, კიდეც! — იძახდა თავდგირიძე და სცენაზე კარკაძალი ხალხი მოაგროვდა. გირები გასინჯეს, მაგრამ კაცი შეიღვს არაფერი ვაუგია. ზოგიერთმა ეს ნაკლები გირიც ვერ დაძრა; ხოლო ვისაც ძალა ერჩოდა, ფიქრობდა, როგორ თავს უფლად ავწყვიტო და უხაროდა.

იმ საღამოს თავდგირიძემ ყველა ის ნომერი შეასრულა, რომელსაც ამ საქმის სპეციალისტები აკეთებენ. იგი ყველაფერს ძალას ატანდა და, იყო თუ არა საქირო, ქშინავდა. „ასისტენტი“ სკამზე იჯდა და გულისწამებულად უკრავდა აკორდეონს.

ერთი მორიგი ნომრის დამთავრებისას თავდგირიძემ ხელები შეიმშრალა და მაყურებელს მიმართა:

— ვაკითხვთ ერთმანეთში და თუ ვინმე მსურველი აღმოჩნდეს, ამოვიდეს ზევით, დაწვეს ძირს, გაზეთებს დაგუფენ. ამიკარით თვალები თქვენი ხელით და დაწოლილი კაცის თავზე გირებს ვაშლებივით ავათამაშებ!

დარბაზში მსურველი არ აღმოჩნდა, ხმაც არავინ ამოიღო და თავდგირიძემ თავიდან გაიმეორა ეს მომხიბლავი წინადადება.

— შენ დაწეე და გირებს მე ავათამაშებ! — დაუძახა ჯუკუმ.

ძალოსანმა ხელი ჩაიქნია. „მე ჩემი იღბალი... რა ხალხში მაქვს საქმეო!“ — გაიფიქრა.

ამის მერე შემოიყვანეს ცხენი. გამხდარი, გაძვალტყავებული პირუტყვი, რომელიც ოცი წელი დაათრევდა აბანოს ფურგუნს, წყნარად შემოვიდა. ხალხმა ცხენს მეტი ტაში დაუკრა, ვიდრე თავდგირიძის ყველა ნომერს მთლიანად. ცხენი მიხვდა, სასიკეთოდ რომ არ ესალმე-

ბოდნენ, მაყურებლისაკენ მიტრიალდა და გაიფიქრა: „რაც მოხდება, მოხდება ახია ჩემზე ყველაფერიო“.

დამხმარებმა ავანსცენისაკენ მიწიეს ცხოველი და გარდიგარდმო დააყენეს. მერე ერთი ფარდას ამოეფარა, მეორემ აკორდეონი ჩამოიკიდა. ცხენმა თავი დახარა და იატაკს დააშტერდა. კაცმა ხელები ცარცში აისვარა, რამდენჯერმე ამოიქშინა და სამჯერ შემოუარა ცხენს. პირუტყვი არც ინძრეოდა და არც თვალებს ახამხამებდა.

— ხომ არ მოკვდა, ეს უპატრონო! — გაიცინა ბუხუტიძე.

— ძინავს! — აუხსნა ვიღაცამ.

— ამაზეა ნათქვამი, რავე ცხენივით გძინავსო? — მეტად სერიოზულად იკითხა ერთი შეხედვით მართლა სერიოზულმა კაცმა.

თავდგირიძე მუცელში შეუღვა ცხენს; ხელები ლაჯებში ამოუღო და თავი და კისერი ფაშვში მიაბჯინა. ერთი კიდეც ამოიქშინა და მუხლებში გაიმართა; ცხენი აყირავდა, უკანა ფეხებზე დადგა. თავდგირიძე გვერდზე გადაგა, ხალხის სიცილზე თვითონაც გაიცინა, პროპორცია ვერ დავიცავით, — თქვა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა. მეორეჯერ დაუფიქრებლად მისცა ბიძგი ცხენს, ააშორა კიდეც იატაკს, მაგრამ აბანცალდა და კაციც და ცხენიც კინლამ ძირს გადაცივიდნენ.

თავდგირიძემ ტაშზე და სიცილზე მადლობა გადაიხადა. მიუჩვეველიაო, — თქვა. გაიარა, ამოისუნთქა და ლაპარაკი გააგრძელა:

— ეს რაა, ერთხელ სამხედროებმა მათხოვეს ცხენი, თურმე მფრთხალია; ავწყვი, მარა გაგეჟდა... გადამიგარდა ორკატრში. კიდო კაი, არავინ იყო ქვევით. რა გინდა რა: ხუთასი მანეთი კონცერტში ავიღე და ხუთი ათასი ცხენის მორჩენა დამიჯდა. ასეა ახლაც, ამას რომ რამე მოგწიო, არც ჰყავს ამის პატრონს მეტი არაფერი, გადი. შენი! — უყვირა ცხენს და მუჭი მიაყოლა თავში.

რეზო ჭიჭიშვილი

ჩემი მეგობარი ნოდარი

დამხმარებ, რომელსაც ასისტენტი არ ერქვა, ლაგამი დაუჭირა პირუტყვს. ბებერი ცხოველი ისევე მშვიდად გავიდა გარეთ, როგორც შემოვიდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიგო, რა მოხდა მის თავზე.

თავდგირიძემ ტანი შეიმშრალა. ხალხმა იფიქრა დამთავრდომ და, — მანქანა, სად არისო?! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— ყველაფერი იქნება! — თქვა თავდგირიძემ და სცენიდან პირდაპირ დარბაზში ჩავიდა.

— თუ შეიძლება, ერთი წუთით გარეთ გამოზრდანი!

— გარეთ რა გვინდა?!
— აბა, აქ ვერ შემოგიყვანთ ლეხკავიკს!

— გარეთ უნდა გაგვიტყუოს! — გაიცინა ნოდარმა.

გვარიანად დაღამებულიყო. ცას ღრუბელი გადაეყარა და ვარსკვლავები ჩანდა. თბილოდა.

კლუბის წინ, კიბესთან ბრეზენტი დააფინეს.

„ასისტენტმა“ პირველივე მანქანა გააჩერა. „პოზედის“ მძღოლმა ბანჯგელიანი, დასვირინებული მკლავი გადმოადო სარკმელს, „ასისტენტს“ აგდებულად ახედა და კლუბის კიბესთან გაჩერებული ხალხი ინტერესით შეათვალიერა. როცა „ასისტენტმა“ უთხრა, ერთ კაცს გულზე უნდა გადაუაროო, მძღოლმა ჩაახველა, ცხვირსახოცი ამოიღო და ხრიალით მოი-

ხოცა ცხვირი, თან გაიფიქრა: — „აღბათ ვინმეს მანქანა დაეჯახა და მაგათ ვერნიათ, მე წაგიყვან საავადმყოფოში.“ „ასისტენტმა“ უფრო დაღმრთულად აუხსნა. მძღოლმა დიდხანს იწმინდა ცხვირის ნესტოები, მაგრამ მინც ვერ გაიგო, ოა უნდოდა ამ კაცს ნისგან. მერე ცოტა დაბნეულად უპასუხა:

— ბენზინი არა მაქვს თუ არა, დიდი სიამოვნებით, შენ მაგაზე უარს რავა გეტყვი!

„ასისტენტმა“ ძლივს გააგებინა, რა ხდებოდა. მძღოლი გაკვირვებული გადმოვიდა მანქანიდან. „ესენი ხომ არაფერს მიწყობენო“, — ფიქრობდა და ფრთხილად იხედებოდა აქეთ-იქით. „ასისტენტი“ თვითონ მიუჯდა საჭეს.

თავდგირიძე ბრეზენტზე გაწვა, ხელები თავქვეშ ამოიღო და ნაღვლიანი თვალებით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიაშტერდა. „რომელია ჩემი ბედის ვარსკვლავიო!“ — ფიქრობდა. გულბოყვზე ფიცრები დააფარეს. პოზედა წყნარად მიადგა და ასევე წყნარად, ჯერ წინა თვლებმა, მერე — უკანამ, გადაუარეს გულზე.

თავდგირიძე მარდად წამოხტა. ჭინჭრის ყვაგილებიანი ხალათი მოიცვა, მძღოლმა გადაიხადა ყურადღებისათვის და ხალხს დაემშვიდობა: ზოგს ხელიც ჩამოართვა.

ღამის სკოლა

ღამის სკოლის ძვილთაძველი სახლა მდინარე ფაზისის პირას იდგა. ორსართულიან, გრძელ შენობას ცისფრად შელებილი შუშაბანდი ჰქონდა. ეზოში ორი ძველი ცაცხვი ხარობდა. სკოლის ეზო თავზე გადადგომოდა მდინარეს. მდინარის მხარეს ეზოს ყორე არ იცავდა. ერთ დღეს სრულიად შემთხვევით შეიძლებოდა გადავარდნილიყო ვინმე. იქიდან გადაშვებული ადამიანი პირდაპირ უზარმაზარ, გლუვ, თეთრ ქვებზე დაეცემოდა. გაკვეთილები საღამოს იწყებოდა, გი-

ვისთან ერთად სკოლის ასაკს გადაცილებული ქალ-ვაჟები სწავლობდნენ. ჯუსუ პირველ მერხზე იჯდა, ისე საქმიანად ეკიდებოდა სწავლას და მოსწავლის ყველა წეს-ჩვევას, რომ ეს ბევრს გადაჭარბებულადაც მიაჩნდა. მართლაც, მისი მოქმედება თითქოს არ შეეფერებოდა მის ბუნებას. გივის ეგონა, რომ ჯუსუს წლის ბოლომდე არ გაყვებოდა ეს მონდომება და ერთ დღეს იგი ყველაფერზე ხელს ჩაიქნევდა; ისედაც კართან იჯდა, თითქოს გასაქცევად იყო გამზადებული.

დაფიდან პირველ ფანჯარასთან, პირველ მერსზე მარტო იჯდა მილიციის უმცროსი ლეიტენანტი გოგია დავლადე, იგი ყველაზე უფროსი მოსწავლე იყო ამ სკოლაში.

დავლადის უკან შოთა რიკრიკაშვილი იჯდა. შინაურები შოთიკოს ეძახდნენ. შოთა გივის ერთი იმ ნაცნობთაგანი იყო, რომელიც გივიმ კლასში შემოსვლის პირველ დღეს აღმოაჩინა და გაეხარდა, შოთა კარგახნით ადრე მასთან ერთად სწავლობდა. ნიჭიერ მოწაფედ ითვლებოდა, მაგრამ მეშვიდე კლასიდან რატომღაც სწავლას თავი დაანება და ბამბეულის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. ჩანდა, ისევ დაბრუნებოდა სწავლის სურვილი.

კლასში ისხდნენ ისეთებიც, რომლებსაც არც ერთი წელი არ ჰქონდათ გაცდენილი, პირდაპირ რომელიღაც საშუალო სკოლიდან გადმოსულიყვნენ.

შუა მწკრივის მეორე მერხი დეიდაშვილებს, კოკის და თამაზის, ეჭირათ, ცოცხალი, გონებამახვილი ბიჭები იყვნენ; ამ სკოლაში მედლების ასაღებად გადმოიყვანეს მშობლებმა. მედლების აღება ალბათ არც სხვაგან გაუჭირდებოდათ, მაგრამ ჩვენს სკოლაში იმდენი კანდიდატი იყო, სახლში შეეშინდათ, — თქვა ერთხელ თამაზმა, დეიდაშვილები ოდნავ ზერელედ, მაგრამ მაინც გვარიანად სძლევენ ყველა საგანს. მასწავლებლებსაც უყვარდათ.

იმავე მიზნით, ოღონდ წინა წელს, გადმოსულიყო ამ სკოლაში ია წითლიძე. მისი დეიდა იქვე გერმანულს ასწავლიდა და იგი მფარველობდა. ია გივის მოგვარე იყო. აქ, ამ სკოლაში გაიცნეს ერთმანეთი; მალე დამეგობრდნენ. ია გივიზე ამბობდა, ჩემი ნათესავიაო და თვითონ გივიც არ იყო ამ ნათესაობის წინააღმდეგი, მაგრამ კარგად იცოდა, ამისმაგვარი არაფერი ყოფილა, გივის პირველად ისეც მოეჩვენა, რომ იას მისი შეეშინდა, ვაჟი ახალ მოარშიყვდ ჩათვალა და თავი წინასწარ დაიზღვევა; გივისათვის კი ისიც კმაროდა, ერთი გვარისანი რომ იყვნენ.

ია იყო ძალიან ლამაზი; იგი დღითიდღე მშვენივრობდა, და გივი გრძნობდა,

რომ ეს ქალი ერთ დღეს მთელ ქალაქს დაიპყრობდა.

იას მამინაცვალი ტიტე ბეჭვიანი ^{არქანელის} ბილი კაცი იყო; მდიდარი და ყოვლისშემძლე; ასეთი სახელი ჰქონდა მას. უამრავი გავლენიანი ამხანაგი ჰყავდა. მისი ერთ დროს კიდევ ეშინოდათ, მაგრამ ხანში შევიდა და იმდენად თავშეკავებული და სერიოზული გახდა, რომ ძველი სახელი და ავტორიტეტი, რომლითაც ის ჰქნებოდა, ნელ-ნელა დაკარგა; მოქიფე ძმაკაცებიც ჩამოშორდა. სამაგიეროდ სულ სხვა საზოგადოებაში გაითქვიფა და ის არისტოკრატობა, რითაც ზოგიერთებს თავი მოსწონდათ, მან უფრო შეითვისა; თავს იოლად აღარავის უყადრებდა და ფულითა და ჭკუით სულ სხვა პატივი და ძალა მოიპოვა. ქალაქის საბილიარდოში ბეჭვიანს „ფულს“ ეძახდნენ.

იას შინ უჩიჩინებდნენ, რომ მას ეარშიყებოდნენ მისი სიმდიდრისა და მამამისის მდგომარეობის გამო; ურჩევდნენ ბრმად არავის ჩაეარდნოდა ხელში. ია ამ ლაპარაკს სერიოზულად არასოდეს არ უგდებდა ყურს; პირიქით, ფიქრობდა, რომ ცოტანი ამჩნევდნენ და აფასებდნენ.

ია გოგია დავლადეს უყვარდა, გოგია ამას არც ქალს უშხელდა და არც სხვას, მაგრამ მაინც ყველა ხვდებოდა, რა გაუწილებელ ცეცხლში იწვოდა.

ია დასრულებული ქალიშვილი იყო, მაგრამ გოგიასთან შედარებით ბავშვი ჩანდა. მიუხედავად იმის დაუსაბუთებელი მტკიცებისა, რომ სიყვარულთან გონება უძლურია, გოგიას მაინც შეეძლო თავის შეკავება. გოგიამ შეიძლება იმთავითვე იცოდა კიდევ, რომ ქალი ადრე თუ მალე ჩიტვივით გაუფრინდებოდა; მაგრამ ამ კაცს ამ სიყვარულთან დაკავშირებულმა უსიამოვნებამ მაინც მეტი ძვირუასი რამ მიანიჭა, ვიდრე მისმა ადრინდელმა ცხოვრებამ და დარჩენილი დღეების იმედმა.

რეზო ჭიეშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

გოგია ეშხიანი ბიჭი იყო, პირხმელი. სკოლაში არავისთან ამხანაგობდა; თანაკლასელებს ბავშვებად თვლიდა და ისედაც არ იყო გულგახსნილი და ამხანაგების მოყვარული. გაკვეთილებზე პირდაპირ მილიციიდან მოდიოდა. იშვიათად აგვიანებდა. მუდამ ახსოვდა, რომ ია კლასში დახვდებოდა: ეს იყო მისი სიხარული. კვირა დღით წუხდა და ღამით ცუდად ეძინა.

ია გოგიას ერთ დროს სიმპათიითაც უყურებდა, მაგრამ დრო გავიდა და ქალმა მასში საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა. გოგიაც ვერაფერ ღონეს ვერ ხმარობდა; ქალი უყვარდა და მისი ცოლად შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამით ქალის ოცნებას და წიგნებიდან შეძენილ ფანტაზიას აუფერულებდა. ეს ვაჟის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, მაგრამ გოგია ვერაფერს ხედებოდა.

წიგნს კლასი საგრძნობლად გამოცოცხლდა. მოგადნენ ახალი მოწაფეები და ახალი სიხარულიც მოიტანეს. ია უფრო გამხიარულდა და გოგია სულ დაავიწყდა. ესეც არ იყოს, ქალი ნელ-ნელა აღწევდა თავს მშობლების მზრუნველობას და სკოლის გარე ამხანაგებშიც ითქვიფებოდა. დედამისი მას უკვე ვეღარ აჩერებდა; ხოლო მამინაცვალმა, რომელსაც ია ძალიან უყვარდა, სულ ნებაზე მიუშვა. ტიტე მაგარი კაცი იყო და ეს თითქოს არ ეპატიებოდა; შეიძლება მისი გულგრილი ხასიათის ბრალი იყო.

ახალდაღამებულს მესამე გაკვეთილი დაშთავრდა. მოწაფეები მერხებიდან აიშალნენ. გოგია კიდევ უფრო ჩაიჭვდა მერხში და კედელს მიაწვა. იგი ფიქრობდა, რომ მის ცხოვრებაში არაფერი საინტერესო არ ხდებოდა. ერთი დღე ტყუპის ცალივით ჰგავდა მეორეს. არაფერი არ ხდებოდა, არაფერი. მას უნდოდა მიწა ძრულიყო, დაღწილიყო სოფელ-ქალაქი. მაშინ რაღაცა გადასხვაფერდებოდა. ხშირად უნდოდა ტყვიებით დაეცხრილა დაფა და კედლები. საკვირველი ის იყო, რომ სულ არ ეტყობოდა, ამ კაცს თუ ასეთი ფიქრები აწუხებდა.

ოთახში ნოდარ პირველმა შემოიხედა, კარებში დადგა და კლასი შეათვალიერა.

ნოდარს კარგად შეეკრილი ბიჭაკი ეცვა. თეთრ პერანგზე წვრილი, ლურჯი ყელსახვევი გაეკეთებინა, შესამჩნევად შეფხელებული თმა საგანგებოდ ჰქონდა დაგარცხნილი. ქუდი ხელში ეჭირა. იგი იდგა და იღიმებოდა. ღიმილის დროს ამ კაცს სახის ყველა ნაკვთი ერთდროულად ეცვლებოდა: დაწყებული სქელი უღვაშებიდან, გათავებული შუბლიან ღარებით. განსაკუთრებით თვალეები უციმციმებდა, მიუხედავად ერთგვარი ფიზიკური დაღლილობისა, თავისებურ მომხიზვლელობას ინარჩუნებდა; გარეშე კაცზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

გვიემ ნოდარი ცოტა მოგვიანებით შეამჩნია.

გოგიას ნოდარის სახე ეცნაურა, მაგრამ ვერ გაიხსენა, სად ენახა ეს კაცი. „სად, სად მინახავს ეს უპატრონო!“ — ფიქრობდა იგი.

ნოდარმა პირველად შოთა რიკრიკაშვილს ჩამოართვა ხელი. მისი დანახვა უფრო გაუკვირდა.

— როგორ ხარ, შოთა ბიძია?!

— შენ რაფა ხარ, ნოდარია? — მოიკითხა შოთამაც.

იამ ნოდარს პირდაპირ თვალეებში შეხედა და რატომღაც გაეღიმა. ნოდარმა იცნო ქალი და მისაღმებაც დაუპირა, მაგრამ იამ თავი დახარა და გადაშლილ წიგნს ჩააშტერდა.

ნოდარი მშობლებს შეურიაგდა. შინ მაინც უსიამოვნება შეხვდა, დედამისი უმადლესში მოწყობას აძალებდა. ნოდარის მამა ტოშია პირველი წყნარი, უთქმელი კაცი იყო, მაგრამ ძალიან გაბრაზდა. იგი კმაყოფილი იყო, მისი შვილი რომ ტყიბულში დასახლდა და საქმეს ეწია. ნელ-ნელა ფულს აგროვებდა და შვილისა და რძლისთვის კარგი ბინის შეძენა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამის შემდეგ იგი თავის მამურ მოვალეობას ნაწილობრივ მაინც შესრულებულად ჩათვლიდა. ახლა კი ნოდარისაგან, თუ ნეტია არა, მეათასე მოულოდნელი ამბავი მეხივით დაატყდა თავზე.

გუუკუ ნოდარს მიადგა და თავიდან ფეხებამდე აათვალიერა. რაღაც უნდოდა ეხელმანკა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა.

ნოდარი ამას მიხვდა და გაიცინა. თმა არ ამიშალოსო, — იფიქრა და დერეფანში გასვლა მოიმისზევა.

— ბუხუტი მიცდის გარეთ.

— სად არის მაგ სიყმევაყიდული! — გაუხარდა ჯუკუს.

გარეთ გასვლისას ნოდარმა რამდენჯერმე გაისწორა ყველსახვევი და იას მოუხედა. ქალი ისევ წიგნში იყურებოდა, მაგრამ თმაზე მანც გადაისვა ხელი.

დერეფნის ფანჯარასთან ბუხუტი იდგა; მართალია, ჯუკუს ეცინებოდა, მაგრამ ბუხუტიმ მანც ძალზე სერიოზულად ჩამოართვა ხელი ამხანაგებს.

ნოდარმა პაპიროსი ამოიღო.

— აქ წუ მოწვეთ, — უთხრა გივიმ.

ბიჭები შემოსასვლელთან, კიბის თავზე ცემენტის დაჭარჭვალბეჭულ იატაკზე დადგნენ და ზარის დარეკვამდე საუბრობდნენ.

გაკვეთილების დამთავრებისას მოწაფეები ხმაურით წამოდგნენ. ზოგმა წიგნები დააწყო ერთმანეთზე; ზოგმა რვეული და ფანქარი ჩაიტენა ჯიბეში.

— ის ბიჭი ამხანაგია შენი? — უთხრა იამ გივის.

— კი, — გივი მიხვდა. ვიზედაც ეკითხებოდა, — რაზე მკითხე?

— ისე.

იამ გაიღიმა. ერთ ხანს ასე უბრად მიდიოდნენ დერეფანში.

— რა გვარია?

— პირველი, ნოდარ პირველი.

— ხო, ვიცე. — იამ რატომღაც კიდევ გაიღიმა.

იას გაახსენდა, რომ ოდესღაც აგიანსამბლში ცეკვავდა. გუნდში სიმადლის გულისათვის მიიყვანეს. მაშინ ბავშვად თვლიდნენ. მართლაც სულ პატარა იყო, თოთხმეტი წლის გოგოს ყურადღებას არავინ აქცევდა, მით უმეტეს, ნოდარი, იმ ანსამბლის გამომჩენილი მოცეკვავე.

ნოდარი და ბუხუტი ქვევით იცდიდნენ. ნოდარი გივის დაპირდა, დაგიცდითო და მართლა იქ გაჩერებულიყვნენ. გივიმ ია გააცნო ბიჭებს. ბიჭებმა ზრდილობიანად დაუკრეს თავი ქალიშვილს. ბუხუტიმ საკმაოდ შორიდან ჩამოართვა

ხელი, წელში ნამგალივით მოიკეცა. ნოდარმა ფეხები ერთმანეთს მიადგო და ქალის თითები ორივე ხელში უღვაშებით, თვალებით და გაიღიმა. ამ ცერემონიალის დროს იას ეღიებოდა და გივის უყურებდა.

ყველანი ერთად წავიდნენ. ქუჩაზე გადასვლისას იამ გივის ხელი მოჰკიდა, შორიდან მომავალი მანქანის ჩავლას დაუცადა.

გრანიტის ქვით მოკირწყლული ქუჩა დაბლა ეშვებოდა. მშვენიერი მთვარიანი ღამე იდგა. ხეთა ჩრდილები ქვაყენილებზე იყო დალაგებული. ქუჩის აქეთა და იქით ერთი ან ორსართულიანი ქვის სახლები ჩამწკრივებულიყო. როდესაც სახლსა და სახლს შუა მოქცეულ დობეს ან დიდ ჭიშკარს გაუსწორდებოდნენ, მოდიდებული ფაზისის მსუილი შემოესმებოდათ.

ია გივისა და ნოდარის შუა მიდიოდა. განაკიდეს მდგარი ბუხუტი ჭადრის ფოთლებს ეპოტინებოდა; ტროტუარის სივიწროვის გამო ხშირად ქუჩაში ხტებოდა და მერე ისევ ზევით ამოდიოდა.

ნოდარმა და იამ იოლად გამონახეს საერთო ენა; უმეტესად ისინი ლაპარაკობდნენ. გივი ხანდახან ჩაერეოდა საუბარში და ისიც მაშინ, როცა რომელიმე მათგანი რამეზე დაიმომწებდა. გივის სულ არ სწყინდა ეს.

ნოდარი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ მოიგონა, როდის ცეკვავდა ია მასთან ერთად. ქალმა ასეც იცოდა. ნოდარმა იფიქრა და ბოლოს თქვა: როგორ არა, კარგად მახსოვსო.

იამ გაიცინა, მიხვდა, ბიჭმა იცრუა. ვაჟს კი ეგონა, ქალმა დაუჯერა.

ბუხუტი ჭადრის ფოთლებს ხედა, ნაწილებად ჰყოფდა. „ქალი რო ყველა სულელია თუ არა, ნოდარია რავა მომეწონება, ეს თაღლითი“, — მსჯელობდა გუნებაში. ხმა კი მხოლოდ ერთხელ ამოიღო, როდესაც ია სახლამდე მიაცილეს. ბუხუტიმ ქალს ჰკითხა:

— მეთოდეს იცნობდით თქვენ?

რეზო ჭეიშვილი

ჩემი მეგობარი ნოდარი

— მეთოდე ვინაა?

— ამხანაგია ჩემი, აქ ცხოვრობდა, ამ მოსახვევის იქით და მე მეგონა, იცნობდით... ახლა წასულია.

— რა ერქვა?

— მეთოდე.

— მეთოდე. — გაიმეორა იამ და ვერაფრით ვერ გაიხსენა, ვინ იყო მეთოდე; თავისათვის ძალა აღარც დაუტანებია. ბიჭებს დაემშვიდობა, სწრაფად აირბინა სადარბაზოს კიბე და სამთავენი გადაავიწყდა. დაწოლისას გაახსენდა, რომ მეთოდეს იცნობდა. იმ კაცის სახეც აღიღვინა ბუნდოვნად. ვიღაც მეთოდეს უცნაური უღვაშები ჰქონდა და ზამთრობით მოკლე პალტოს იცვამდა. „რატომ არ ვუთხარი, რომ ვიცნობდი, აწი რომ ვნახავ, ვეტყვი“, — გაიფიქრა მან და სულ სხვა ფიქრებში ჩაიძირა.

— კარგი ბიჭია, — უბრალოდ უთხრა მეორე დღეს იამ გივისს. ცხადი იყო, ნოდარს გულისხმობდა.

როდესაც იას ნათქვამი გივიმ მეგობარს გადასცა, ნოდარმა უღვაშებში ჩაიღიმა. გივი დააკვირდა, — რას იტყვისო, მაგრამ ნოდარს ხმა არ ამოუღია.

ნოდარ პირველს თვალწინ წარმოუდგათ თეთრი ქალი, რომელსაც ღია ჩალისფერი, უკან წმინდად გადავარცხნილი თმა, ნათელი, მშვიდი თვალები ჰქონდა: მადონას სხივოსანი სახე გაუყოცხლდა. ამან ვაჟზე იმოქმედა, თავბრუს დაახვიდა.

სხვა მხრივ, როგორც აიაში, ისე ამ სკოლაშიც ყველაფერი ჩვეულებრივად, წესრიგიანად მიდიოდა: სწავლობდნენ, ასწავლიდნენ; ერთობოდნენ, შრომობდნენ; უყვარდათ, აწუხებდნენ ერთმანეთს; ლაპარაკობდნენ პოლიტიკაზე და ფიქრობდნენ მომავალზე.

შესვენებაზე გივი ეზოში გამოდიოდა და ცაცხვების ძირას ეწეოდა პაპიროსს. ფიქრობდა, იცქირებოდა ქვევით. თეთრი, მძიმე ლოდები საშიშრად პრიალებდა. გივი ფიქრობდა თავის მომავალზე, ფიქრობდა ყველაფერზე: სიცოცხლესა და

სიკვდილზე; იდეასა და მატერიაზე. აწუხებდა ლიას უნახაობა. ხშირად კმაყოფილი იყო, რომ ქალს არ შეეძებოდა ნებისყოფის სიმტკიცეს ამყლავნებდა. ზოგჯერ საშინელი სევდა შეაჭირვებდა. ქალის მონად გახდომის ნდომა შეიპყრობდა; ერთი მისი შეხედვისათვის უნდოდა მომკვდარიყო, სული ეშმაკისათვის მიეყიდა. ხანდახან, სრულიად უშიზეზოდ, ქვევით გადახტომის სურვილი აიტანდა. უნდოდა დასკდომოდა გლუვ ქვებს, რომლებიც მდუმარედ ცხოვრობდნენ მდინარის პირას. ეს შეგრძნება ხშირად ისეთი თვალნათელი იყო, რომ გივისს აყრყობებდა. მერე უკვირდა, რატომ ემართებოდა ასეთი რამ. იქაურობას შორდებოდა და ბრახობდა, რომ გალავნის გაკეთებაზე არავინ ზრუნავდა. ხომ შეიძლებოდა, ერთ მშვენიერ დღეს კაცი გადავარდნილიყო, თუნდაც სრულიად შემთხვევით.

ნოდარმა მოუხშირა დამის სკოლაში სიარულს. რამდენჯერმე მარტომ ვააცილა ია სახლამდე. მოწაფეებმა ამას ყურადღება მიაქციეს.

ნოდარი არასოდეს წინასწარ არ ზომავდა თავის მოქმედებას. იგი სჩადიოდა იმას, რაც იმ მომენტში უკეთესი იყო: ვერ ამჩნევდა ფარულ წინააღმდეგობებს და საქმეს არ ირთულებდა, ეს არასერიოზულობა ხშირად ბევრ რამეში უმართავდა ხელს. შეიძლება, ერთი შეხედვით.

გივისს ეჩვენებოდა, რომ მათი ურთიერთობა შეიძლებოდა არ დაბოლოებულყო მთლად კარგად.

გოგია სულ დაიბღვირა, ფოცხვერით მოიკუნტა. ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ია მისთვის აღარ არსებობდა. ამას კი მიხვდა, მაგრამ ამ ამბის მიმართ გულგრილად დარჩენა მას არ შეეძლო: შეურაცხყოფილ გრძნობას ვერ დაფარავდა. ჰქონდა წუთები, როცა იგი ცუდ რამეს ჩაიდენდა: მოკლავდა ან ერთს ან მეორეს.

ვითომ არ მომხდარა ასეთი რამ. ამასობაში სექტიმბერიც მიიღია.



ოქტომბერში კიდეც ცხელოდა. მოქალაქეები ფანჯრებს ღამით ისევ ღიად ტოვებდნენ.

კვირა დღით ნოდარი და ბუხუტი გივი წითლიძის შუშაბანდში ისხდნენ. გივი არ იყო ხასიათზე და ოთახიდან არ გამოდიოდა. სამეცადინო მართლა ჰქონდა, მაგრამ გადაშლილ წიგნს ტყუილა დაჩერებოდა.

შინანი, მთვლემარე დღე თენთავდა, აზარმაცებდა ადამიანს. ნოდარი ტახტზე იყო გადაწოლილი. თავი და კისერი კედელზე ჰქონდა მიდებული, სახეზე ქული დაეფარებია და ხმას არ იღებდა. ბუხუტი უკუღმა იჯდა სკამზე; ხელები საზურგეზე დაეწყო და მკლავებზე ნიკაპი ჰქონდა ჩაშოდებული.

ფარდებჩამოფარებულ შუშაბანდში გრილოდა. გვერდითი ფანჯარა, რომელსაც მზე არ ადგებოდა, გაეღოთ. ტყემლის წვრილი ფოთლებიდან ნიაგი უბერავდა. სიჩუმეს გზადაკარგული კრაზანს ზუზუნნი არღვევდა და მყუდრო ქუჩაში მიმავალი ადამიანის ფეხის ხმაც შემოდიოდა.

— რა გინდა, იმ გოგოს ყოველდღე სახლში რომ აცილებ, ნათესავია შენი თუ დაგავალა ვინმემ? — სრულიად მოულოდნელად ჰკითხა ბუხუტიმ ნოდარს. მცირე პაუზის მერე ნოდარმა სახიდან ქული მოიშორა; იგი იღიმებოდა. ბუხუტი იატაკს ჩასჩერებოდა, თითქოს ხმაც არ ამოეღოს იმ წუთას.

— შენ თვითონ რა გინდა, რას კითხულობ?

- არაფერი, ისე.
- აბა, რაზე მოგაგონდა?
- ე ბიჭო, დაანებე მაგ გოგოს თავი! — ამოიოხრა ბუხუტიმ.

— რატომ? — ახლა უფრო იჭვნეულად გაიღიმა ნოდარმა.

— ხომ იცი, გოგის უყვარს, იმ უბედურს!

ნოდარს ღიმილმა გაუარა:

— მერე უყვარდეს, ვინ უშლის... იქნებ სხვასაც ბერს უყვარს, მე რა ვქნა?!

ბუხუტიმ ხმა არ გასცა. სულ რეზბა კამათს და საერთოდაც ისე, ტყუილა წამოაყრანტალა ეს სიტყვები. ოთახში ისევ სიჩუმე დადგა. ბუხუტი ისევ იატაკს დაჩერებოდა. ნოდარი ღიმილით უყურებდა.

— რას შეება მეთოდე? ბუხუტიმ ხმა არ ამოიღო. იცოდა. ნოდარი დაცინოდა. „ნეტავი სულ არ მეხსენებია ეს მეთოდე, ვის ხელში ჩავვარდიო“, — ფიქრობდა.

ნოდარი ფეხით ბუხუტის სკამს მიაწვა და კედლამდე მიაჩოჩა. ბუხუტიმ ითმინა, ითმინა და მერე ნოდარს ფეხში სტაცა ხელი; სკამიდან გადმოგდება დაუპირა.

— გამიშვი, დავისვრები! — შეეხვეწა ნოდარი.

ბუხუტიმ ხელი უშვა. წამოიწია და შარვალი გაისწორა. ამასობაში ნოდარი წელში ეტაკა. ბუხუტი აბანცალდა. ხრიგინზე გივი ოთახიდან გამოვიდა და ხმისამოუღებლად კართან გაჩერდა. ბუხუტიმ ნოდარს კისერში წაუჭირა ხელი და თავი იატაკზე დაადებინა. ნოდარს სიცილი აუვარდა და ძალა სულ გამოეცალა.

— მოგვკვი, გამიშვი, შე უსინდისო! მეთოდეს გაფიცებ, გამიშვი!

— არ გაუშვა! — უთხრა გივიმ ბუხუტის. ბუხუტიმ მინც გაუშვა ხელი და სული მოითქვა. ნოდარმა კვანტი გამოლო და კედელზე მიახეთქა. ბუხუტიმ გახეულ შარვალზე დაიწყო ხელის ფათური.

— შენ სულელი ხარ, ვიღაცა ხარ!

— ადვილად გაიკერება, — ანუგემვა გივიმ.

— უჰ! — იძახდა ბუხუტი და გახეულ ალაგს ხელისგულით ისწორებდა.

— გაგება? — შორიდან იკითხა ნოდარმა.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

— რატომ არ ჩაგახრჩვეს იმ ნახშირებში, რა გინდოდა, რომ ჩამოხვედი — გულწრფელად ოხრავდა ბუხუტი.

შარველის გახევა არც ნოდარის გახარება ძალიან; კარგად იცოდა, რა შარველების პატრონი იყო მისი მეგობარი და სერიოზულად ჰკითხა:

— მაჩვენე, ერთი!

— გადი იქით! — ფეხი მოუქნია ბუხუტიმ. ნოდარი გვერდზე გახტა და კიდევ სიცილი დაიწყო.

გივიმ თქვა, დედაჩემს ვაგაკერიებო, მაგრამ ბუხუტიმ შარვალი არ გაიხადა, სირცხვილია, ვინმე შემოვაო. ნოდარმა უთხრა, სულ არ ეტყობა, ასე უფრო გიხდებაო. ბევრი იცინეს და ბუხუტი და ნოდარი სავარჯიშოდ წავიდნენ. გივი მარტო დარჩა.

ბუხუტი და ნოდარი ქარხნის ფეხბურთის გუნდში თამაშობდნენ. ნოდარი, როგორც ახალი ჩარიცხული, პირველობაში არ მონაწილეობდა, მაგრამ თასისათვის ბრძოლაში უპირებდნენ ჩაბმას. იგი გულდაგულ ვარჯიშობდა.

ნოდარი ძალიან კარგი ფეხბურთელი არ ყოფილა, მაგრამ ჰქონდა ერთი ისეთი საჭირო რამ, რაც იმწამსვე თვალში გეცემოდა. იგი პირველი შეხედვითაც გამოირჩეოდა სხვებისაგან. ნოდარს უკეთესი გუნდებიც აიყვანდა, მაგრამ იგი ამას არ ეძლიოდა. ფეხბურთი ისედაც არ იყო მისი სტიქია. ეს სხვებს უკვირდათ და ნოდარმა ბოლოს ამით თავიც მოიწონა. ხანდახან ისე იქცეოდა, ვითომ სულ ტყემალზე იჯდა.

ამხანაგების წასვლის მერე გივი მოწყენილი წრიალებდა. ბოლოს პერანგი გამოიცვალა და შოთა რიკრიკაშვილთან წავიდა. შოთა დიდი ხანი ეპატიჟებოდა, მასთან დაახლოვებას ეძლიოდა. გივი ამას გრძნობდა, მაგრამ მისკენ დიდად არ ისწრაფვოდა; ისინი მაინც ხშირად ისხდნენ ერთად და საუბრობდნენ.

შოთა ლექსებს წერდა. გივი პოეტად არ თვლიდა, მაგრამ სულ უკვირდა, რატომ წერდა ლექსებს, საიდან ჰქონდა ამის მოთხოვნილება. გივიმ იცოდა, რომ შოთა ლექსების მოსასმენად უფრო ეძახდა და აქედან დიდ სიამოვნებას არ

ელოდა, თუმცა ეს მაინც პატრიოტულად მიაჩნდა და ასეთ ამბავს ხშირად სული სერიოზულობით ეკიდებოდა. მაგრამ მისი კითხვას რომ ბოლომდე ვერ უძლებდა, თავისსავე ნაკლად მიაჩნდა.

შოთას ძალიან გაეხარდა გივის მოსვლა. გივი აქ რამდენიმე წლის წინათაც იყო ნამყოფი. ისინი მაშინაც ერთად სწავლობდნენ და შოთა იმთავითვე ლექსებს წერდა.

გივის არაფერი შეცვლილი არ ეჩვენა. ორსართულიან, ერთმანეთზე გადაკერებულ სახლებს რიყის ქვით მოკირწყლული პატარა ეზო შუაში მოემწყვდია. დიდი, საერთო აივნის უკან სადა, ღარიბული ბინები იმალებოდა; ოთახები საგულდაგულოდ იყო დალაგებული. შოთას ბინაც ასევე ღარიბულად გამოიყურებოდა და იქაურობაც დასუფთავებული ჩანდა.

ოთახში შოთას მამა ნონიკო გაუნძრევლად იჯდა. იგი მიცვალებულს ჰგავდა. ერთ ხანს სტუმარიც ვერ შეამჩნია. გივი მასპინძელს მიესალმა.

— ეს გივი წითლიძეა, მამა, ბავშვობაში ერთად ვსწავლობდით, თუ გახსოვს? — უთხრა შოთამ.

ნონიკო ნელა წამოდგა და გივის ხელი ჩამოართვა:

— როგორ არ მახსოვს. როგორ ბრძანდებით?

ნონიკო არ ტყუოდა. ამ კაცს შეეძლო ოცი წლის წინ ერთხელ ნახული ადამიანი პირველსავე შეხედვაზე ეცნო, თუნდაც, ეს უკანასკნელი გაზრდილი, დაბერებულიც ყოფილიყო.

— გმადლობთ, ბატონო, თქვენ თვითონ როგორ ბრძანდებით? — მოიკითხა გივიმაც.

ნონიკო არც ისეთი მოხუცი იყო, როგორც ჩანდა. „სამოცზე მეტის არ იქნება, ესენი ადრე ბერდებიან“, — გაიფიქრა გივიმ.

ნონიკოს წელზე გადაშვებული, ყავისფერი ხალათი ეცვა. გივის შემოსვლაზე სქელი ქამარი შემოიჭირა. დაბალი ტანის, გატყეცილი სახის ადამიანს ებრაელებში დიდი სახელი ჰქონდა, იქამდისაც კი, რომ პირველ კაცად ასახე-

ლებდნენ. გივი უყურებდა ნონიკოს და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს ასე იყო, მაგრამ დიდი ფულისა და სიმდიდრის პატრონად რომ ითვლებოდა, ეს მისთვის გაუგებარი დარჩა, რადგან იქაურობას სიმდიდრის არაფერი ეცხო.

— მამათქვენი ხომ კარგად? — ჰკითხა მოულოდნელად ნონიკოს.

გივის ეგონა, ზრდილოზისათვის მკითხაო და მორიდებით უპასუხა:

— გმადლობთ, ბატონო, რა უჭირს.

— კაი ბიჭია, დაგენაცვლე, სარდინი... ხე, ხე...

გივიმ გაკვირვებისაგან თვითონაც გაიცინა. „საიდან იცნობსო“, — გაიფიქრა.

— იქ მუშაობს ხომ ისევ?

— კი, ბატონო, იქ მუშაობს.

— მაგის დირექტორ ბესარიონს დავასხი თავსლაფი; მამაშენი კაცია, დაგენაცვლე და ბესარიონი, ხე, ხე...

გივიმ გაიღიმა, ვერაფერი უპასუხა.

— კაცი მშიშარა არ უნდა იყო, დაგენაცვლე... საქმეში თუ შეგეშინდა, შაურია ფასი, ხი, ხი...

ნონიკოს მერე ხველება აუტყდა და კარგახანი იხრინწებოდა. ბოლოს ბოდიში მოიხადა და მეორე ოთახში გავიდა.

შოთას ლექსების გარდა, სხვაც ბევრი აღმოაჩინდა წასაკითხი. დასტა-დასტად გადმოალაგა საერთო რვეულები, ლამაზად აკინძული თაბახის ფურცლები: რომანები, პოემები, პიესები. გივი საერთო რვეულებს შლიდა და სათაურებს ათვლიერებდა. ბოლოს შოთამ ლექსების კითხვა დაიწყო. გივი, რაც შეეძლო, გულისყურით უსმენდა, მაგრამ ერთ ლექსს მეორესაგან დიდად ვერ ანსხვავებდა და ამიტომ განურჩევლად ყველაზე იძახდა, კარგიაო. როცა დაიღალა, შოთას ერთი საერთო რვეული გამოართვა, — ამას შინ წავიკითხავო. შოთამ ერთი პიესაც დაუმატა, — ბარემ ესეც ზედ მიაყოლეო.

ამის შემდეგ შოთა და გივი აივანზე დასხდნენ.

მზე დასავლეთით იყო გადასული და არტიელის გორას წამოდგომოდა თავზე. აივნიდან ერთმანეთზე მიწყობილი ერთი და ორსართულიანი სახლების სახურა-

ვები მოჩანდა. შინდისფერი კრამიტები უხიაგად ირეკლავდა ჩამავალი მზის სხივებს. მარჯვნივ, მწვანეყვავილას გორა რაზე, თეთრი საყდარი იდგა. იქით სახლები უფრო გაშლილად იყო ხეებში ჩალაგებული და მეტი ხალვათობაც იგრძნობოდა. ქვევით, ტაფოზში, ვიდრე ფაზისამდე, ხუხულებივით მიჯრილი ისევ ერთი და ორსართულიანი სახლები იყო. შუაში თეთრი ქვით ნაგები ებრაელთა მეორე სალოცავი ჩამდგარიყო. სალოცავის ღია ტყვიისფერი თუნუქი ელავდა. უფრო იქით მდინარე ფაზისი მოედინებოდა. მდინარის მარჯვენა ნაპირი, გაღმა ჭალებითა და ჭომის მხრიდან ჩამოყოლებული ალვის ხეებით, კარგა ძალზე მოჩანდა ნათლად და გარკვევით. ალვებს იქით იყო მთები—გლუვი მწვერვლებით და რბილი სიმწვანეთი. დასავლეთით უქიმერიონის მოტრეტილი გალავანი და დიდებული ტაძრის ნანგრევები იდგა. იმას იქით ცაცხეების ხეივანი, გაბაშვილების მთა და ჩამავალი, შეყვითლებული მზე მოჩანდა.

შოთამ გივის ის სახლი დაანახა, სადაც ალისა ცხოვრობდა.

ალისა შოთას შეყვარებული იყო, მხოლოდ შოთა არ იყო ალისას შეყვარებული. შოთას უყვარდა ალისა და ალისას არ უყვარდა შოთა. თუმცა ისიც შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ქალი ვაჟს განგებ აწვალებდა; მით უმეტეს, როცა თვითონ შოთაც ვარაუდობდა: არ შეიძლება არ ვუყვარდეო. შოთას მართლა თავდავიწყებით უყვარდა ის ქალი და ამას არც არავისთან მალავდა. პირველსავე გაცნობილ კაცს გაანდობდა ხვაშიადს. მთელ თავისუფალ დროს ალისას სახლის წინ ატარებდა. ისე, ამ ვნებაშიც ჰქონდა შოთას რაღაც გაურკვეველი კანონზომიერება. თითქოს რაინდობდა, მაგრამ მაინც ყველაფერს ანგარიშობდა.

გივი შორიდან იცნობდა ალისას. ეს იყო გამხდარი, შავი გოგო, რომელსაც დიღებივით უძრავი თვალის კაკლები ჰქონდა, თითქოს არ იყო ურიგო არსე-

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

ბა, მაგრამ გივის მინც უკვირდა, როგორ შეეძლო ამ გოგონე ადამიანს ეოცნება და ლამეები ეთია.

— ისე, რომ მინდოდეს, ამ ტანჯვას დროზე მოეუღებ ბოლოს! — ექიდნურად გაიღიმა შოთიკომ და გივის შეხედა.

— როგორ? — დაინტერესდა გივი და გაეცინა.

— ერთი რომ თქვას მამაჩემმა, რძლად მინდაო, იმწამსვე დამისვამენ სახლში.

შოთა ალბათ მართალს ამბობდა. გივი იავნიდან ასანთის დამწვარი ღერი გადააგდო. ღერი ფარფატით წავიდა ქვევით და ორ რიყის ქვას გარდიგარდმო გადაედება.

— ჯერ ვუცდი, ჯერ ვუცდი...

— რას უცდი?

— რა ვიცი, იქნებ მამაჩემს არ მოეწონოს ეს საქმე, თუმცა რატომ? რა ვიცი... — ამოიხვნეშა შოთამ.

გივიმ ოდნავ გაიღიმა. მოერიდა და ლოყები მოკუმბა, თითქოს გაღეჭა რამე. აივანზე სიჩუმე დადგა. გაცრეცილ რიკულეებზე ბუზები დაცოცავდნენ. ქვევით ონკანთან გამხდარი დედაკაცი თითბერის უზარმაზარ ქვაბს ხეხდა, ფაზისის ხრემს უსვამდა გვერდებზე.

— ერთი რამე მაინტერესებს კიდეც! — თქვა შოთამ.

— ჰო.

— მე რომ შოთა დამარქვეს, რა იცოდნენ რომ პოეტი გამოვიდოდი! — შოთა გაიჭყანა და გივის მიაშტერდა.

ლია

სადამოვდებოდა. გივი მეშვიდე ქალთა სკოლის ეზოსთან მოდიოდა და შოთა რიკრიკაშვილის პოეზიას ხის მესერს ურახუნებდა; სულ გადააღლიტა რვეულებს ბოლო.

გივი ფიქრობდა; უკვირდა, როგორ შეიძლებოდა სიყვარულზე ისე დაუფარავად ლაპარაკი, როგორც ამას შოთა რიკრიკაშვილი აკეთებდა. „ეს უკეთესია, მე არსად არ ვამბობ, რასაც ვფიქრობ და ამისათვის ვისჯები“. უცებ გივი ლიასთან შეყრის სურვილმა შეიპყრო. თავის აგდებად მოეჩვენა ის, რომ თავისი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა. წარმოიდგინა კიდეც, როგორ შეხვდა ქალს და გულმა აუჩქარა. გივის შეეძლო ყველაფრის თვალნათლივ, ცხადად წარმოდგენა. ამას მისთვის ბევრი უსიამოვნება მიუყენებია.

ლიასთან შეხვედრას გივი წითლიძე ჯარიდან ჩამოსვლის მერე გაურბოდა. მხოლოდ რამდენჯერმე დაინახა იგი შორიდან. ქალთან პირისპირ მხოლოდ სიზმარში და ოცნებაში რჩებოდა.

გივიმ მტკიცედ გადაწყვიტა, ლია ენახა. „მე დღეს იგი ქუჩაში შემხვდება“, — გაიფიქრა მან.

ლია იყო ამ კაცის პირველი სიყვარული. ქალი ვარსკვლავივით დაცურავდა

მისი ოცნების ორბიტაზე. გივი წავიდა ჯარში დარწმუნებული, გაუნელდებოდა ის ცალმხრივი სიყვარული, რომელმაც ქალის თვალში ფასიც კი დაჰკარგა. იგი ჯერ კიდეც ადრე გახდა მორჩილი იმ ადამიანისა, ვისაც შეეძლო ვაჟი არაფრად ჩაეგდო. ქალი ამას ჯერ ვანგებ აკეთებდა, მერე თავისთავად გამოუდიოდა. ბიჭი აშკარად, დაუზოგავად იჩაგრებოდა.

თვითონ ლია გივის თავისიანად თვლიდა, ვაჟი სხვისთვის არ ეთმობოდა. როცა ამხანაგ გოგონებს გივი წითლიძე მოეწონებოდათ, ქალს შური იპყრობდა.

ბიჭს რომ სხვა ქალი შეყვარებოდა, შეიძლებოდა მათი როლები შეცვლილიყო. ეს გივიმაც იცოდა, მაგრამ მართოცოდნა საქმეს არ შეელოდა.

სამაგიეროდ ვაჟს სხვა გზა ჰქონდა არჩეული; უნდოდა ქალი არაფრად ჩაეგდო. ამ ცნობილ ხერხს თითქოს ყველაზე თავშეკავებული ქალიც გამოჰყავს წონასწორობიდან, მაგრამ გივი თვითონაც გრძნობდა, რომ ლია ამ ანკესზე არ ეგებოდა. იგი უდარდელად ესალმებოდა, აგდებულად ელაპარაკებოდა ქალს, მაგრამ შედეგი არ ჩანდა.

ლია იყო ეშმაკი, გრძნეული; ვაჟს კი ყველაფრის მთქმელი, ყავისფერი თვა-

ლები ჰქონდა, რომელიც მისი გვარის მამაკაცებს ჯიშად მოყვებოდა. ეს თვალეზი პირველსავე შემთხვევაში ამხელდა მის ზრახვეებს და მზაკერულ გეგმებს უმოწყალოდ უმსხვრევდა.

გივი წითლიძე ხვდებოდა, რომ მისი უდარდელობა ქალზე არ მოქმედებდა; ხვამიადის დაფარვისაც ეშინოდა. ეგონა, ქალი ამის გამო სულ დაივიწყებდა. მართალია, ლიას არც ისე მიამიტად თვლიდა, მაგრამ არ ყოფნიდა მოთმინება; ეშინოდა სულ არ დადუმულიყო.

თაყვანისმცემელი ლიას სხვაც ბევრი ჰყავდა, მაგრამ იმ დღეში არ ჩავარდნილა, რომ თავი ვინმეს მორჩილი გაეხადა. გივი მანც ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო მისთვის; თუმცა იმდენად ახლობელი, რომ ქალმა ზომა დაჰკარგა: აღარ იცოდა, უყვარდა თუ არა იგი. ეს უკვე გივის ბრალი იყო. რაღაც ერთი შემთხვევა, სულ პატარა ნაბიჯი იყო საჭირო, რომ ქალი მისი გამხდარიყო.

ლიამ იცოდა გივის ჯარიდან ჩამოსვლა. შორიდან დანახა და მოეწონა: შეცვლილი და დაკაცებული ეჩვენა. ბიჭი ფიზიკურად ყოველთვის ჯანმრთელი იყო. ჯარიდან ჩამოსული უფრო ჯმუხი ჩანდა, სახეც გაუხეშებოდა. მზერა ჰქონდა ჯიუტი და უკარება. ეს გამოხედვა ქალს ხშირად აბნევდა, მაგრამ გივი ვერ ხვდებოდა და ამას ვერ იყენებდა. ლია მიხვდა, ბიჭი თავს არიდებდა, აშკარად გაურბოდა, ქალს გაეღიმა და ესეც თავის უპირატესობად მიიჩნია.

გივი მოედანზე გამოვიდა. შოთას რვეულები ორად გაკეცა და ბაღის წინ გაჩერდა. ერთი გზა ბაღისაკენ მარჯვნივ მიდიოდა, მეორე — მარცხნივ. ლია მარჯვენა კედრით წასულს შეხვდებოდა.

გივიმ რამდენიმე წუთი ითრია ფეხი; ბოლოს მანც მარჯვნივ ჩაუხვია. ბაღის ძველთაძველ, ჩარკინულ გალავანს გაყვა. „როდესაც მასზე აღარ ვიფიქრებ, მაშინ შემხვდება“, — ფიქრობდა იგი.

ჩარდახიან ჯიხურთან პატარა, ქოსა კაცი გაზიან წყალს ყიდდა. გივი იქვე გაჩერდა და უკან დაბრუნებას გადაწყვიტა.

ლია ამხანაგ გოგოებთან ერთად მო-

დიოდა. გივი იმ წუთას მართლაც ჩხვარამზე ფიქრობდა; უცებ ლია დაიწინა, გაფითრდა, ბაღში შესვლა მარჯვნივ მაგრამ მათი თვალები უნებურად შეეფეთნენ ერთმანეთს; ლიამ წამსვე გაუცინა. გივიმაც გაიღიმა. ქალი სწრაფად მოშორდა ამხანაგებს, გივის ხელი ჩამოართვა; გაჩერდა თავისუფლად, ვაჟს მიეციყვარულა.

ლიას შეეძლო სხვასთანაც ასე მოქცეულიყო, მაგრამ გივი ქალის ამ მზერასა და ღიმილში მანც იჭერდა ისეთ რაღაცას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ეს იყო მისი ბედნიერება და უბედურებაც. ამით იყო იგი ამ ქალთან მიჯაჭვული.

— როგორა ხარ, როდის ჩამოხვედი? — წყნარად ჰკითხა ლიამ.

— ერთი თვეა, შენ როგორ ხარ?

— მეც კარგად.

გაჩერდნენ. ერთმანეთს უყურებდნენ. რაღაცას იხსენებდნენ, რაღაცაზე ეცინებოდნენ.

— რამდენი წელია, წასული ხარ?

— ორი და მეტი...

— როგორ გადის წლები, არა?!

— სწრაფად, თუმცა გააჩნია ვისთვის...

ლიას გაეცინა. ბიჭის გამოწვევას არ აჰყვამ.

— გაშავებულხარ. რატომ არ მნახე?

— რა ვიცი...

ერთი წუთით უხერხული სიჩუმე დადგა. თითქოს მეტი აღარაფერი დარჩათ სათქმელი. გივის ამ სიჩუმის შეეშინდა.

— ვიცოდი, რომ აქ იყავი, — თქვა ლიამ.

გივი მიაშტერდა, ქალმა თვალი მოარიდა.

— მე ინსტიტუტში ვსწავლობ, მეორე კურსზე ვარ.

— ვიცი, — გაიღიმა გივიმ.

ლიამ უხერხულობა იგრძნო. მოერიდა. რომ იგი ინსტიტუტში სწავლობდა და გივი საშუალოში, როცა პირიქით შეიძლებოდა ყოფილიყო. ლია კარგი მოს-

რეზო ჭეიშვილი

ჩემი მეგობარი ნოდარი

წავლე იყო, მაგრამ გივის არასოდეს თავს არ უტოლებდა. იგი ვაჟზე დიდი წარმოდგენის იყო.

— თბილისში მინდოდა წასვლა, არ გამიშვებს.

— დედისერთა გოგოს არ გაგიშვებდნენ.

ლიამ გაიცინა.

გივიმ ლიას ამხანაგები მოიკითხა. ქალმა თქვა: შენს მეგობრებს ვხვდებოდი, შენს ამბავს ვკითხულობდიო.

გივის მღელვარებამ გაუარა და ირონიითაც დაიწყო ლაპარაკი. ასე იცოდა, როცა ლიასთან პირისპირ დარჩებოდა — უხერხულობა უქრებოდა, დროდადრო უპირატესობის გრძნობაც ეუფლებოდა. ეს რომ არა, დაქცეული იყო.

— ხომ არ გათხოვილხარ? — სრულიად მოულოდნელად იკითხა გივიმ. ამას თვითონაც არ ელოდა და ქალს დამცინავად მიაჩერდა.

— არა. შენ ცოლი ხომ არ შეგირთავს? — იმგვარადვე მიუჯო ლიამ, მაგრამ ქალის ნათქვამი გესლიანი გამოვიდა; ყოველ შემთხვევაში გივის ასე მოეჩვენა. მან იგრძნო, როგორ აეწვა ლოყები; მიხვდა წითლდებოდა. ყველაზე უფრო ამას უფრთხოდა — გაწითლების რცხვენოდა და ბრაზდებოდა.

— ნუ გეშინია, შენ უკითხავად არ გათხოვდები, — მოურიდებლად უთხრა ქალმა და უტეხად შეხედა თვალებში. მაგრამ მერე, თითქოს ხუმრობას მორჩა, მშვიდად ჩაილაპარაკა:

— ახლა წავალ, მელოდებიან.

ამხანაგები მართლა ელოდნენ. ისინი კარგახანი საეჭვო დიმილით იყურებოდნენ უკან; ბოლოს ლოდინი მოწყინდათ და ნელ-ნელა წავიდნენ.

— კარგად იყავი! — უხალისოდ უთხრა გივიმ. მას სულ გაუფუჭდა ხასიათი.

ლიამ ხელი ჩამოართვა და თანაგრძნობით გაუღიმა:

— მნახე სხვა დროს.

— აუცილებლად, — უმეტყველო თვალებით უთხრა გივიმ.

ლიამ გაიცინა, ხელი გაითავისუფლა; ვერ გაიგო, დაცინვით ხომ არ იყო ეს სიტყვა ნათქვამი. რაღაცის სათქმელად

შეეცომადა, მაგრამ გადათქვა და გულნაკლული წავიდა. ბიჭი ამითაც კმაყოფილი დარჩა.

გივიმ ბალი გადაჭრა. იგი მიდიოდა მძიმედ, ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. „სისულელეა, აღარავითარი სიყვარული აღარა მაქვს... ძველი მოგონებები დარჩა და მეტი არაფერი“.

ბინდდებოდა. მოსეირნენი უკვე გამოსულიყვნენ. ზოგიერთი ახალგაზრდა რკინის მესერს მიწოლოდა ზურგით.

გივი ამ შეხვედრის კმაყოფილი დარჩა მაინც.

მოეჩვენა, რომ ლია არც ისეთი ლამაზი იყო, როგორც ადრე ფიქრობდა. „მე არ შევმცდარვარ, მაგის ნახვას რამ არ ვაპირებდი, მაგრამ უკეთესია, აწი უფრო გამიადვილდება უმაგისობა; ხომ დავრწმუნდი, რომ არაფერი არაა“, — ფიქრობდა გივი.

ფილარმონიის წინ კოკი და თამაზი იდგნენ. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. თამაზი ტროტუარის კიდეზე იდგა, ქუსლებზე ირწეოდა და ჭადრის ხეს ეპოტინებოდა. გივის გაუხარდა მათი დანახვა. იგი უფრო და უფრო დაუახლოვდა ამ ბიჭებს; მოწონდა ორთაგენი, განსაკუთრებით თამაზი, რომელთანაც ყოველდღე მეტ საერთოს ნახულობდა. კოკი პირდაპირი ბიჭი იყო: ბოზრი და ჯმუხი. თამაზი სუსტი აგებულების, მეოცნებე ადამიანი იყო; ერთი შეხედვით უნდობელი და დამცინავი კაცი ჩანდა. იგი გივის მეზობლად ცხოვრობდა. სამი წლით გივიზე უმცროსი იყო, მაგრამ სხვაობა მათ შორის მეტიც იგრძნობოდა.


— ნოდარი, ბუხუტი ან ჯუჯუხ ხომ არ გინახავთ? — იკითხა გივიმ. არც ერთი არ დაეღიანდათ.

თამაზი და კოკი კინოში შედიოდნენ და გივიც შეიპატიჟეს.

— სასაცილო თუა, შემოვალ, — თქვა გივიმ.

ბიჭები კინოსაკენ წავიდნენ. დაღამდა. ქალაქში ლამპიონები აანთეს და ჭადრის ფოთლების ჩრდილი დაეფინა ასფალტზე. ბედურებმა დაიძინეს. ქვენამ დაუბერა და პირველი სკოლის წინ სოჭის ხეები ააშრიალა.

გულაზ გრეულიშვილი



მონტაჟი

— კუბეში რომ დავბრუნდებით და მარტო დავრჩებით, მაშინ უნდა ნახო, რა მოხდება! — თქვა გიორგიმ და არყის ჭიქას თვალი მოარიდა, მერე კეთილი ღიმილით გადახედა ნანას.

ნანამ ცხვირზე დაადო თითი, მისკენ გადაიხარა, უკანა ჯიბეში ჩაუყო ხელი, ცხვირსახოცი ამოიღო და ოდნავ უხერხული, კმაყოფილი ღიმილით ცხვირზე მოისვა.

— გიორგი კრივს სწავლობს, — თქვა ნანამ. — ბრწყინვალე რეაქცია აქვს, რასაც არ ვესვრი, ყველაფერს იცილებს.

— მე ავითან, ოღონდ შენი სახე მეცოდება, სარკე რომ აღარ გექნება. — გიორ-

გიმ ნანას ხელი გადახვია. ნანა ნაზად მიეყრდნო მკერდზე.

— ჯერჯერობით ისე არ მამბრავებს, როცა ნამდვილად გამაჯავრებს, მაშინ ვნახოთ, ალბათ უთოს ვესვრი, — ისევ გადაიხარა და უკანა ჯიბეში ჩაუღო დამრგვალებული ცხვირსახოცი.

— ჩემს ცოლს ერთი ცუდი თვისება აქვს. არაყსა სემს და პაპიროსს ეწევა, ვერაფრით ვერ მოვაშლეგინე. ბიჭი რომ იყოს, კიდე ჰო, თუმცა მაშინ ჩემი მეუღლე აღარ იქნებოდა, — გიორგიმ აღმაცერად დახედა თავის ჭიქას.

— რაღაც სხვანაირად ლაპარაკობ. გახსოვს, რა პირობა მომეცინ? — გაუწყრა ნანა.

— აი, ასეთია, არაფრის უფლებას არ მძღვეს. არც მასმეცს, არც მაწვეინებს.

— მე არ გიწლი, — ოდნავ წამოწითლდა ნანა. — დალიე, რამდენიც გინდა... გიო, — ნანამ მოპირდაპირე სკამზე მჯდარ ბიჭს შეხედა, — გინდა გიჩვენო, რა მახინჯი იყო გიორგი ბავშვობაში, თუმცა არც ახლა მყავს მშეჭაბუკი.

ნანამ ჩანთიდან ორი სურათი ამოიღო და გიოს გადააწოდა:

პატარა ბიჭი ბალახზე იწვა. თავს გოგო დასდგომოდა და იცინოდა; მეორე სურათზე — იგივე ბიჭი მიწაზე იჯდა, გოგო თმაში ჩაფრენოდა. ორივე სურათის ფონზე მოჩანდა უნაგირა მთა, მის ძირას გაწოლილი წყლის ზოლი და დაუმთავრებელი კაშხალი.

— ხედავ, სად დაიწყო ჩვენი რომანი, ჩვიდმეტი წლის წინათ, მშენებლობაზე. სადაც ჩვენები მუშაობდნენ. — გაიღიმა გიორგიმ.

— ეს მე ვარ, ეს — გიორგი. რას გავს, არა? — სიყვარულით თქვა ნანამ.

— მაშინაც ასე მჩაგრავდა... ხომ ხედავ, ვტირი.

— შენ სულ ტიროდი.

— ალბათ ვგრძნობდი, რომ ჩემი ცოლი იქნებოდი და იმიტომ.

ნანა წამოწითლდა. გიორგიმ ლოყაზე უჩქმიტა, შემდეგ ხელი მოხვია და მიიზიდა.

მატარებელი რიტმულად ირწეოდა. ფანჯრიდან მოჩანდა ალაგ-ალაგ დათოვლილი ტრამალი, დიდფრთიანი ქარის წისქვილი. ქარის ზუილი ისმოდა და ქარის წამოხვეტილი თხელი თოვლი წისქვილს ეყრებოდა.

— როგორი ველია! — თქვა გიომ, — დიდი, უნაპირო, გადაბუჯული, შემძლია მთელი დღე ვუყურო. ჩვენი მთები კი გულზე მაწვებიან.

— რას ამბობ, მთებს რა შეედრება! ასე ერთფეროვანი მაინც არ არის.

— იმდენი მთა განა ერთფეროვნება არ არის? თან სული გეხუთება. ერთად-

ერთი დარიალი მიყვარს, ხრიოკ და კვიანია.

— ვერც კი შევადარებ ენაწმინდას შეიძლება, იმდენი სიმწვანეა იქ.

— არ მიყვარს სიმწვანე.

— მეც არ მესმის, რა აქვს კარგი ტრამალს ან ხრიოკს. — თქვა ნანამ.

— რას ამბობთ? — დაიწყო გიომ.

გიორგი და ნანა ერთმანეთს უყურებდნენ ოდნავ კმაყოფილი ღიმილით; მათ არც მთა უნდოდათ, არც ველი. გიომ სხვა თემაზე სცადა საუბრის გადატანა.

— ჯერ თაფლის თვე გაქვთ, — შისი სიტყვები ყრუდ და სრულიად უადგილოდ გაისმა. — წახვალთ, ჩამოხვალთ უკან და ეგ თვეც გავა. სად აპირებთ ცხოვრებას?

ნანას ჯერ უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე, შემდეგ გამოცოცხლდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ღიმილით დაიწყო მოყოლა, რომ ჰესის მშენებლობაზე სახლი უკვე მზად ჰქონდათ. პატარა, მყუდრო სახლი. გიორგის ცალკე სამუშაო ოთახი ექნება. თურმე იმ ოთახის ფანჯრიდან მაღალი ჩანჩქერი მოჩანს. პირველი ტურბინის ჩადგმა უკვე დამთავრდა. ახლაც იქ უნდა იყვნენ, მაგრამ...

— მაგრამ, ხომ იცი, ოჯახი. ქალი ზოგჯერ უნდა გაატარო, ტრადიციული საქორწინლო მოგზაურობით მაინც უნდა გაართო. თან ისე, რომ არც დალიო, არც მოწიო. ძნელი ყოფილა, ძმაო, ცოლი.

ნანამ წყრომით შეხედა.

— მე არ გიწლი, შენ თვითონ არ გინდა. ხომ ხედავ, რა გამხდარი ხარ?

— გესზმრები. იცი, გიო, მართლა აღარც ღვინო მინდა, აღარც პაპიროსი. აი ახლაც, ერთს მოვწეე და მორჩა. — გიორგიმ გააბოლა ისე, რომ ცოლისთვის არ შეუხედავს.

— ერთი შეიძლება, — ხელებზე დააყრდნო ნიკაბი ნანამ.

— ჰო, ჰო, რა მომხედება ამისთვის. ამ ერთი პაპიროსისთვის კუბეში, მაგრამ რას იზამ.

ნანამ გიორგის ჯიბიდან ისევ ამოიღო ცხვირსახოცი, ოღონდ ახლა უფრო დიდხანს ჰქონდა მის ჯიბეში ხელი, მკერდით ეყრდნობოდა ქმარს. მატარებელი კი

ირხეოდა, რახრახებდა, მიდიოდა. ქარის წისქვილი გაქრა. ახლა ზედ გზის პირას ერთ მწკრივში ჩაწყობილი პატარა, რუსული თეთრი ქოხები გამოჩნდა ოთხ-კუთხედი თანჯრებითა და ღია ცისფერი დარბევით.

— როგორ გვანან გაკვირვებულ თვალებს! — ისევ უხერხულად და ზედმეტად გაისმა გიოს ხმა. მან არაყი დალია უხერხულობის გასათანტავად.

— ჩვენ წავალთ, დავისვენებთ, — თქვა ნანამ.

„ნეტა რა ეჩქარებათ“, — გაიფიქრა გიომ.

— ცოტაც მოიცადეთ.

გიორგი წამოიწია და ისევ დაჯდა.

— დალიე, გიორგი, ერთი ჭიქა, — შეუვსო ჭიქა გიომ.

— არა, ხომ ხედავ, არ მანებებს.

— ნანა, იცი, როგორ მიკვირს, ეს კაცი ასე უცებ რომ შეცვალე, ყოჩაღ.

— მე არ შემიცვლია, თვითონ აღარ უნდა, არა?

— ჰო...

გიორგის აშკარად სიამოვნებდა, ცოლი რომ ასე ზრუნავდა მისთვის და დალევის უფლებას არ აძლევდა.

— ჩემი ქმარი ლოთი იყო? — იკითხა ნანამ.

— არ იცოდი? სულ ერთად ვსვამდით, — გაიღიმა გიომ და ისევ უცხოვდ მოეჩვენა თავისი ხმა. დალია, ნელა შეეპარა სასმელი. — დალიე, ბიჭო, ამაზე კარგი რა არის, ისე გავა დრო, ვერც კი გაიგებ. ხვალ კი ჩავალთ, იქ ნულარ დალევ.

გიორგიმ ცოლი მიიზიდა.

„არ წყინდებათ ასე ჯდომა?“ — გაიფიქრა გიომ და კიდევ დალია.

— არც არის სმა კარგი, კაცს იმდენი თანტაზია უნდა ჰქონდეს, — საკუთარი წინაგანი — რომ უაღუკოლოდ დასტავდეს თოს... მერე შთამომავლობაზეც მოქმედებს, — თქვა გიორგიმ.

გიომ ამღვრეული თვალებით უყურებდა, ხმა საიდანაც შორიდან ესმოდა. გიორგი სერიოზულად იჯდა.

— მართალს ვამბობ, შენც გაანებე თავი, ჯობია.

გიომ უფრო და უფრო თვრებოდა. ახლა მისთვის სულ ერთი იყო, არაყმა გემო დაკარგა და ზედიზედ სვამდა. თვალები დაუწითლდა.

— წავიდეთ, გიორგი, — წამოიწია ნანა.

გიორგი წამოდგა.

— მიღიხარ? — შეეკითხა გიომ.

— არ მტოვებს, რას იზამ.

— დარჩი თუ გინდა, — წამოწითლდა ნანა.

გიორგიმ ზევიდან გადახვია ხელი. თმაზე დაადო ცხვირი, აშკარად უხაროდა, ცოლი რომ არ ტოვებდა.

— ძნელია, ოჯახში რომ გაეგმები, — თქვა და აკოცა ნანას.

— კარგად იყავი, გიომ. — დაემშვიდობა ნანა.

მერე თეთრი ქოხები გაქრნენ. ტრამალი გაგრძელდა, გაბაცდა და ბინდში ჩაწვა. ქარმა ნისლში არეული თოვლი შეაყარა ვაგონ-რესტორნის ფანჯარას. გიომ ნიდაყვი გაუსვა შუშას და დაუნდ გაიცინა. მიკრული თოვლი გარეთ ცქერას უშლიდა, მატარებელი კი მიდიოდა, რახრახებდა და უკან ტოვებდა ტელეგრაფის ბოძებს.

გურამ რჩეულიშვილი
ტრამალი



ქაბუა



ახიკაჯიბი

მესამე თვალი

მოთხრობა

ჩვენს ოჯახში ყველაფერს საკეტი ჰქონდა და გასაღებების ასხმას დედა ჯიბით ატარებდა. რაში სჭირდებოდა? მაინც ხომ მხოლოდ ორი რამ იყო დაკეტილი: ტანსაცმლის კარადა, სადაც დედაჩვენი ქეთინოსათვის ნაყიდ ნივთებს ინახავდა და სასადილო კარადის ის განყოფილება, სადაც მურაბები ელაგა. მურაბებს მე მიკეტავდნენ, ტანსაცმლის კარადას — ქეთინოს, მაგრამ ჩემთვის დაკეტილი არაფერი იყო, ყველაფრის გაღება ვიცოდი. ქეთინოს რომ უკეტავდნენ, იმ კარადიდან გამოღებულნი არაფერი მინახავს, შიგ შენახული — იცოცხლე; დედაჩვენი თვეს არ გაიყვანდა, რამე არ მიემატებინა. ყველაფერს, რაც

იმ სამ თაროზე ელაგა. დედა ქეთინოს მზითევს ეძახდა და ყველამ ვიცოდით. იმ თეთრეულს, სამკაულებს, ნაირნაირ პერანგებს და ქალის სხვა რაღაც-რაღაცეებს ქეთინო მხოლოდ მაშინ მიიღებდა, როდესაც გათხოვდებოდა. უფრო ადრე — არა! რამდენჯერ ამოუკენესია ქეთინოს ვარდისფერი საკაბის დანახვაზე! საკაბე იქ რამდენიმე იდო, მაგრამ ის ვარდისფერს შეჰკვენსოდა. როცა ქეთინო ჩვენს დაუკითხავად გიგლას გაჰყვა და შინ ერთი ალიაქოთი დატრიალდა, მამამ დედას უთხრა:

— უგროვე ძონძები და ზიზილ-პიპილოები, არა? ერთი სული ჰქონდა, როდის მომცემნო, მაგეებმა გააბრიყვა!



მე მგონი, მამა, ნაწილობრივ მაინც, მართალი იყო. ხუმრობა საქმეა, ამდენი ლამაზ-ლამაზი რაღაცეების ხელში ჩაგდება? გათხოვდებოდა, აბა რას იზამდა!

ერთი სიტყვით, ოჯახში ამ კარადაზე საძაგელი არაფერი იყო. ქეთინომ „გველემშაბის ხახა“ დაარქვა. მე გველემშაბის ხახას არ ვეძახდი. არაფერს არ ვეძახდი. ეგ იყო, როცა „ვეფხისტყაოსანს“ ვფურცლავდი და იმ სურათს წავაწყებოდი, თინათინ რომ ოქროებს ჰყრიდა და ქვემოთ კი ეწერა: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე. ათავისუფლე მონები“... — მაშინვე ჩვენი კარადა გამახსენდებოდა. ჩემს წარმოდგენაში, თინათინი სწორედ ასეთი კარადიდან გამოღებულ ოქროვერცხლს უბნევედა ღარიბ-ღატაკებსა და მათხოვრებს.

საზაფხულო არდადეგებისათვის ახალი ჩუსტები რომ მიქნებოდა, გადაწყვეტილი საქმე იყო და არც ეჭვი მეპარებოდა — მიყიდდნენ. მესუთე კლასში უჩუსტოდ ხომ არ გადავიდოდი? მაგრამ თუ მამაჩემი ჩუსტებს აპრილშივე მოიტანდა და დედა იმ ჩუსტებს ქეთინოს კარადაში შეინახავდა — ამას არასგზით არ მოველოდი. ისიც კი ვიფიქრე, ვნახოთ და ქეთინო სულაც არ გათხოვდეს-მეთქი — მაშინ? რამდენიმე დღეს ვიღარდე. ბოლოს მივივიწყე, ხელი ჩავიქნიე.

არც ისე იყო საქმე, მე რომ მეგონა. ჩუსტები მომცეს. დაგვიტხოვეს თუ არა, მეორე დღესვე.

კვირადღე იყო. ვსაუზმობდით. ქეთინომ თქვა, რომ სიზმარში მნახა: თურმე ტრიალ მინდორზე ვიდექი. უბეში კურდღელი მყავდა, ფეხებზე წისქვილის ქვები მიბა. გაუშვებდი კურდღელს, გამოვუდგებოდი ფეხებზე წისქვილის ქვებზემშული, დავეწეოდი, დავიჭერდი, ხელახლა გავუშვებდი, ისევ დავეწეოდი, დავიჭერდი, როგორც ზღაპარშია — ისე. მამამ ოდნავ გაიღიმა და ნიშნები მომკითხა.

მივუბრუნინე.
— სამიანები, — თქვა მამამ. როდესაც ნიშნების თვალეირებას მორჩა. —

სატყაში, არითმეტიკაშიც... ამისთვის გიყიდე ახალი ჩუსტები?

— სამიანები ჰყავს? ძველი ^{სამიანები} უნდა გეყიდა, — შენიშნა ქეთინომ.

— გაგონილა, ქალო, ძველი ჩუსტების ყიდვა? — გამომესარჩლა ბებო.

— მივცეთ ჩუსტები? — შეეკითხა მამა დედას.

— ვინც არ შემხვდა — ჩემი შვილი ფრიადოსანიაო, მითხრა. ჩვენს შვილებს რა ემართებათ, ღმერთმა იცის, ასეთ ნიშნებში თუ ახალთახალი ჩუსტები ეკუთვნის... — დედამ ისეთები მოაყოლა, რომ ჩუსტების იმედი კვლავ დამეკარგა.

დედა ლაპარაკობდა, მე კი ვფიქრობდი, კარადაში შენახულს ხეირი არაფერს დაადგება-მეთქი.

მაგრამ დედა ადვა, კარადა გამოაღო. ჩუსტები მოიტანა და გაღმომცა. იმავე წუთს დავიხარე ფესხაცმელის გამოსაცვლელოდ. ძველის გახდა და ახლების ჩაცმა ვერაფრით ვერ მომიხერხებინა, რაღაც მიშლიდა. ბოლოს მივხვდი: ცალ ხელში კარაქიანი პური მიჭირა, მეორეში — ყველი; ესენი მაგიდაზე დავყარე. ჭიქას ხელით მოვედე და ცხელი ჩაი კისერზე გადმოვიღვარე. ერთი აყალმაყალი ატყდა. მე ჩემსას ვაკეთებდი: ჩუსტები ჩავიცვი და დავერიე ყველას — მამას, დედას, ბებოს, ქეთინოს; იყო ერთი კოცნა, მადლობა, ხუმრობა და სიცილი.

ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მე როგორც ოთხწლედედამთავრებულ „დიდ“ და „ჭკვიან“ ბიჭს, უფლება მომეცა წავსულიყავი მამიდაჩემ მაროსთან მარტო, ახალი ჩუსტებით, ნიშნების საჩვენებლოდ.

მარტო!

ეს იყო ჩემი პირველი დამოუკიდებელი გასვლა ქალაქში... ნებართვით, თორემ ისე ბევრჯერ გაგპარულვარ.

მომცეს სპირიტის ორი ცალი თოქმა შაურიანი და ვრცელი, დაბეჯითებული რჩევა-დარიგება, თუ როგორ უნდა მოვქცაოლიყავი ქოჩაში და ტრამვაიაში. დედა ჭაბუა ამირჯანიძე

მესამე თვალი

ქვაფენილამდე ჩამოყვება და ბარე სამ-
ჯერ მითხრა, ფეხსაცმელს გაუფრთხილ-
დი, თორემ მამაშენი არ ვიცე, რას
გიზამსო.

ჩუსტებს ჭრაჭა-ჭრუჭი გაჰქონდა და
ისეთი ლამაზები იყო, თვალს ვერ ვაშო-
რებდი.

მამიდაჩვენი მარო ქალაქის განაპი-
რას, პაპიჩვენისეულ პატარა სახლში
ცხოვრობდა. მარტოხელა ქალი იყო და
არც მაშინ ვიცოდი, არც ახლა გამეგე-
ბა, რატომ დარჩა გაუთხოვარი. თითქმის
ყოველ კვირადღეს მივყავდი თავისთან.
იმ უზნელ ბიჭებს ყველას ვიცნობდი,
ერთად ვთამაშობდით, იქაურობას ვიკ-
ლებდით. ჩემი იქ მისვლა მამიდაჩემის-
თვის ერთი შფოთი და გულისხმეთქვა იყო,
მაგრამ მაინც არ მეშვებოდა; უჩემოდ
ვერ სძლებდა?

სწორედ იმ დროს მივედი, ბიჭებს
თამაში უნდა დაეწყათ.

— ვა, აჩიკო მოვიდა! — დაიძახა
ჭიკომ და შემომხევივნენ.

ახალი ჩუსტები დამინახეს; თითო-
ჯერ ყველამ დამადგა ფეხი პრიალა
ფეხსაცმელზე. ერთიანად გამითხუპნეს.
რას ვიზამდი, წესი ასეთი იყო და მეც
ძალიან-ძალად ვიღრჩებოდი. მარტო
ხუხამ არ დამადგა ფეხი. ხუხა—ჭიკოს
უფროსი ძმა — მეშვიდეში იყო გადასუ-
ლი, ყველაფერში ფრიადები ჰქონდა.

მამიდასთან ავირბინე, ნიშნები მაგი-
დაზე დავუგდე, აი, ახალი ჩუსტები-
მეთქი, მივაძახე და გამოვიქეცი. იმასაც
აღარ დაველოდე, ეთქვა, მოსწონდა
ჩემი ჩუსტები, თუ არა. რაღაცა მომაყ-
ვირა, მაგრამ იმისთვის სად მეცალა.

კარგა ხანს ვიდავეთ: არა ყაჩაღობანა
ვითამაშოთ, არა დამალობანა, არა
მრგვალი ჯორი... ჭიჭყინით გავაყრუეთ
იქაურობა.

მერე ხუხამ თქვა:

— ფიდოს სახლი ავიღოთ, მეფე ჩა-
შოვავდოთ, ბურჟუები ამოვქლიტოთ!..

გამიკვირდა, თბილისში სხვაგანაც ყო-
ფილან-მეთქი ბურჟუები. ერევნის მოე-
დანზე ერთი, უზარმაზარი, სამსართუ-
ლიანი სახლის სიმაღლე ბურჟუა იდგა,
ჩემბერლენი ერქვა. ცილინდრი ეხურა,

ზედ ცილინდრზე დიდი ურო ედო. ურო
მუშის ხელს ეჭირა. პატარა ბიჭები შრე
იმ ჩემბერლენში ვძვრებოდი. ^{ერევნის} ^{საქონლის}
თოკებს ვექაჩებოდი — ურო მალა
იწვედა და ბრავა-ბრუგით ურტყამდა
ცილინდრს. ჩემბერლენს უროს დაცემის-
თანავე კისერი მხრებში მიუდიოდა,
თვალეები ეკარკლებოდა, ლამის ქუთუ-
თოებიდან გადმოსცვენოდა. რამდენჯერ
გამოვპარულვარ ეზოდან და უმოწყა-
ლოდ გამილახავს იმხელა ჩემბერლენი.

— ჩვენ წავალთ, მეფეს გავაკეთებთ
და დავბრუნდებით. თქვენ მანამ თოფები
იშოვნეთ, — გვითხრა ხუხამ.

თოფების შოვნას შევუდექით. მირია-
ნამ ჩვენზე უწინ იშოვნა და მაშინვე
სიმღერა წამოიწყო:

Раз, два, три,
Октябрыа мы.
Мы буржуев не боимся,
Пойдем на штыки.

ჭიკომ მავთული ასწია. ხუხა, ჭიკო და
კიდევ ხუთიოდე ბიჭი ფიდოს ბოსტანში
შეძვრნენ მეფის გასაკეთებლად. ბოს-
ტანში ნახევრად დანგრეული შენობა
იდგა, ძელ-კოჭ-ჩალანგარი ჩამოშვავებო-
და და დოლაბებში კარ-ფანჯარა ჩალ-
პობოდა. კარგა მოზრდილ ბალ-ბოსტანს
ეკლიანი მავთულის ღობე ერტყა. ფიდო
სხვაგან ცხოვრობდა, მაგრამ მიწის
ნაკვეთს ამუშავებდა და ადრე გაზაფხუ-
ლიდან მოსავლის აღებამდე აქაურობაზე
თვალი ეჭირა, არაფერი მომპარონ, ბალი
არ გამოიხრონო. ჩვენ რომ თამაში და-
ვაპირეთ, ფიდო იქ არ იყო. იმიტომ
დავაპირეთ, თორემ რა ღმერთი გავგი-
წყრებოდა!

თოფ-იარაღის შოვნას მოვრჩით. ბიჭე-
ბი დაბრუნდნენ და ახლა ფიდოს სახლს
აღების მეტი აღარაფერი უნდოდა. ხუხამ
რივიანად დავგათვალეირა და მე მომ-
მართა:

— ჩუსტები გაიხადე.

— რათა, ვა!.. არ მინდა.

— ვერა ხედავ, ყველანი ფეხშიშველე-
ბი ვართ? გაიძრე.

— მერე რა? არ მინდა...

— არ გინდა, არ ვათამაშებთ. გაი-
ხადე.

ვერ მივხვდით, რა უნდოდა ჩემგან ხუხას, მაგრამ მეტი გზა არ იყო, გავიძრე. ჯერ ერთი იმიტომ გავიძრე, რომ მართლაც ყველა ფეხშიშველა იყო, მეორეც ისა, რომ ხუხა ყველაზე ღონიერი იყო.

ჩუსტები ერთმანეთს გადავაბი და მარგილზე ჩამოვკიდე. ასე ჯობდა, არ გამიცვლებოდა, შემენახებოდა. დედამ რამდენჯერმე მითხრა, ჩუსტებს არაფერი დამართო, თორემ მამაშენი არ ვიცი რას გიზამსო.

ხუხამ გორახები მოგვაგროვებინა. როცა ნიშანს მოგვცემდა, სიკას, გოგიას და ფარნას ეს გორახები ფიდოს ღობეში დატანებული ფიცრისთვის უნდა დაეშინათ, დანარჩენები ჭიკოს მეთაურობით ღობის გასწვრივ ჩავწექით.

ხუხამ დაიკვილა და ბიჭებმა ფიცარს გორახი დაუშინეს, ხუხამ ისე კარვად დაიკვილა, რომ ძალაუნებურად ჩვენც ავღრიადღით. ურას გყვიროდით. ერთი ჯახანი და ალიაქოთი ატყდა. ხუხა წარამარა რალაცას შეპყვირებდა — ჩვენც შევყვირებდით, მაგრამ არც ჩვენ გვესმოდა, რას ნიშნავდა ხუხას ყვირილი და მგონი არც თვითონ ხუხას. ისე კი, ხუხას წამოძახილები ძალიან უხდებოდა იმ ამბავს — რაც მართალია, მართალია!

— ცოტა ჩუმად ვიყვიროთ, თორემ გაიგებენ და გვცემენ, — წავჩურჩულე ჭიკოს.

— ვინა? — მკითხა შეშინებულმა ჭიკომ.

— სახლის პატრონები, ვინა.

— ტუტუტო, მაგ სახლში აღარავინ აღარ ცხოვრობს, — დამიყვირა ჭიკომ და შევებით ამოისუნთქა.

მართლაც და, მე ხომ ვიცოდი, რომ ფიდო სადღაც იყო წასული და შეიძლება დღეს სულ არ მოსულიყო. თუმცა რა იცი? იქნებ ამ წუთას აქ გაჩენილიყო.

რალა მანცლამაინც ახლა უნდა მოვიდეს, ნამდვილად არ მოვა-მეთქი. დავმშვიდდი, მაგრამ ერთმა აზრმა გამიღვლა და ისევ ჭიკოს შევეკითხე:

— მაშინ იერიშით რალას ვიღებთ? ავწიოთ მავთული და შევიდეთ.

— არა, იერიშით უნდა ავიღოთ, უფე ჩამოვაგდოთ და ბურჯულები ამოვყ-

ლიტოთ. — ჭიკოს ალბათ არცთუ სიბრძნით დამაჯერებელი მოეჩვენა თავისი ნათქვამი და ბრაზიანად დასძინა. — თუ ესეთი წესია, ვა!

ალბათ მართლაც ასეთი წესი იყო. რა გაეწყობოდა.

ხუხამ ბრძანება გასცა. მავთულებთან მივხობდით. ჭიკომ სიმს ჯოხი შეუმარჯვა, ჩვენც შევეუმარჯვეთ ჯოხები. მერე ხუხამ ყიჟინა დასცა, ჩვენც საზარლად ავეყვირდით, ღობეში ხვლიკებივით გავძვერით. თავებრისმტვრევითა და რიალრიალით შევეცვივდით იმ გავერანებულ შენობაში.

ერთ კუთხეში აგურის სავარძელი დაგვხვდა. აგურის სავარძელი პირველად ვნახე, მართლაც მეფის ტახტსა ჰგავდა. უედ მსხვილი მორის ჩამონაჭერი იდო. ვეტაკეთ, თუკი ხელში რამ მოგვხვდა, ქვა იყო თუ აგური, გორახი თუ კეტი — გააფთრებით დავეუშინეთ და თვალის დახამხამებაში სავარძელი მიწასთან მოვასწორეთ. მეფეს, ესე იგი, მორის ჩამონაჭერს, დავაფრინდით და დოლაბიდან ბოსტანში გადავადგეთ. იქ ფერდობი იყო. ფერდობზე ფიდოს ბადრიჯნის ჩითილი ჩაეყარა. მორი დაგორდა, ნერგები ჩათელა და ქვევით, ღობესთან გაჩერდა. თავიდან რომ დავეჭირვებოდა მეფის ტახტზე აყვანა, იმ სიმძიმეს რალა ამოიტანდა!

სწორედ ამ დროს ხუხას დაუძახეს, წასვლა არ უნდოდა, მაგრამ ეძახდნენ და რალას იზამდა. წავიდა. ღობეში გაძვრა და იქიდან დაძახა: ტომობანა ითამაშეთ, მე მოვალ! — მაგრამ ხუხა აღარ დაბრუნებულა.

ფიდოს სახლი აღებული გვქონდა. მეფე — დოლაბში გადადებული, ახლა ბურჯულების ჯერი დადგა და არც მათი ამოქულტა დაგვიყოვნებია. კედლებთან რალაც ნააფეჯარი იდგა: ძველი სკამები, მინჯრეულ-მონჯრეული სასადილო კარადა, დაქანკებული ნავთქურა და ძველისძველი ქეჩიანი ტახტი, რომელზეც ფიდო ისვენებდა ხოლმე. ხუთი წუთი არ გასუ-

ჭაბუა ამირჯუბი
მესამე თვალი

ლა, ავეჯი ნაფოტებად ვაქციეთ, ნავთ-
ქურა დავეძეყეთ, ქეჩა დავფლითეთ.
მირიანმა ისევ წამოიწყო თავისი „Раз,
два, три...“ და ეს უმაგალითო გამარჯ-
ვება ხანგრძლივი სიმღერით აღვნიშნეთ.
იმდენი ვიმღერეთ, ხმა ჩაგვეხლიჩა,
არაქათი გამოგვეცალა.

შევისვენეთ, სული მოვითქვით და მა-
შინლა შევნიშნეთ, თუ რაები ჩავიდი-
ნეთ...

— ტომობანა! — დაიძახა ჭიკომ და
იმ ნაშალ აგურზე დაჯდა, რითაც „მე-
ფის“ სავარძელი იყო ნაშენები.

ყველას თამაში გვინდოდა, ტომობანა
იქნებოდა, ნადირობანა თუ ომობანა —
ერთი იყო. მე არ ვიცოდი, როგორი
თამაში იყო ტომობანა. გამოირკვა, რომ
ამ თამაშისა არც სხვებს გაეგებოდათ
რამე. ჭიკოს შემოვებვიეთ, ველოდით,
ვის რა მოვალეობას დაგვაკისრებდა.

უსწორ-მასწორო, ქიმიანმა აგურებმა
ჭიკოს საჯდომი ატკინა. ველარ გაუძლო,
ზეზე წამოღვა.

— ჯერ სავარძელი გავაკეთოთ, — თქვა
ჭიკომ.

— სავარძელი რად გვინდა?

— ტომობანას თამაში უსავარძლოდ
არ შეიძლება, — მოგეპტრა ჭიკომ.

დავიწყეთ სავარძლის კეთება. სავარ-
ძელს ჯერ არც საზურგე პტონდა, არც
სამკლავები, მარტო დასაჯდომი ადგი-
ლი იყო მზად, როდესაც ჭიკომ გვიბრძა-
ნა, მოგვეტანა ფიდოს დანაკუწებული
ქეჩა და ზედ დაგვეგო. მოვიტანეთ, და-
ვაგეთ.

ჭიკო სავარძელში ჩაჯდა, საზურგისა
და სამკლავის ამოყვანა გვიბრძანა.

როცა ამ საქმეს მოვრჩით, ჭიკომ ახლა
ქარხნის აშენება გვიბრძანა. თოფებისა
და ზარბაზნების ქარხანა უნდა აგვეგო.
თუ ვინცობაა ფიდო მოვიდოდა, იარაღი
გვეტონდა. მირიანმა თქვა, ფიდო არ
მოვა, ვენახის ჩაყრა ჯობიაო. ჭიკომ —
ქარხანა ააშენეთო. მირიანმა — ვენახიო.
ჭიკომ — არა, ქარხანაო. ამაზე წაიკიდ-
ნენ. მირიანი უფრო პატარა იყო, მაგრამ
უფრო ჯიბრიანიც და თავისაზე დადგა.
ჩემის აზრით, სულ ერთი იყო და ორივე
ერთადაც შეიძლებოდა. ამ აყალ-მაყალ-

ში მირიანს გული მოუვიდა და ჭიკოს
უთხრა, სავარძლიდან ჩამოდი, მე უნდა
დავჯდეო. ჭიკო გაბრაზდა და ჩემს
ქვა ესროლა. მირიანმა დოლაში ისე
ბოსტინიდან გორახები დაგვაყარა. ერთად
შევტრადით, ჭიკო ჩვენს ზურგს უკან
ჩაიმალა. ერთი გორახი კაკოს შიგ თავში
მოხვდა. რაღა თქმა უნდა, ღრიალი მორ-
თო. მირიანმა იფიქრა, საკმარისიაო და
თავის გზას გაუღვა.

დავრჩით უმირიანოდ, დავშოშმინდით
და ქარხნის მშენებლობას შევუდევით.

ჭიკო სავარძელში იჯდა, იქიდან გვას-
წავლიდა, როგორ გვეშენებინა ქარხანა
და რადაცნაირი შეძახილებით გვამხნე-
ვებდა. ჩვენც დიდი მოცადეობით ვაშე-
ნებდით უზარმაზარ ქარხანას.

უკვე საკვამლე მილი აგვყავდა, როცა
ჩვენმა ნაგებობამ ერთი დაიხრიალა და
ჩაშავდა.

ჭიკო ისე გაცეცხლდა, სავარძელიც კი
მიატოვა.

— ეს რა ქენით, თქვენი... — დაგვძახა
და ყველას თითო პანლური ჩამოგვირიგა.

— ჩვენ რა ვქნათ! როგორც გვეუბნე-
ბოდი, ისე ვაშენებდით, — წამოვიყვირე
მე.

— სულ შენი ბრალია, ცუდი აგურები
მოგტონდა, იმიტომ დაინგრა, — შემო-
მიტია ჭიკომ.

ჭიკოს მსჯავრის მოლოდინში სხვები
აწურულები იდგნენ.

— ამის ბრალია, მარტო ამის ბრალია.
წამოიყვანეთ! — უბრძანა ჭიკომ შეშინე-
ბულ მრევლს.

ჭიკო თავის სავარძელს დაუბრუნდა.
ბიჭებს ძალიან გაუხარდათ, რომ „მარ-
ტო“ ჩემი გამოისობით ჩაშავდა ქარხა-
ნა, მეცნენ და ჭიკოსთან მიმართეს. წი-
ნალმდეგობის გაწევა აზრალაც არ მომს-
ვლია. ბევრნი იყვნენ, შავ ღღეს დამაყ-
რიდნენ, ამას გარდა, მე ხომ არაფერში
ვიყავი დამნაშავე — იმედი მქონდა თავს
გავიმართლებდი.

— როგორი აგურები მოგტონდა? —
ჰკითხა ჭიკომ გოგის.

— დამტერული.

— იქ კარგი აგურებიც ხომ იყო?

— იყო, — კვერი დაუქრა სიკამ.

— კარგები არა ყოფილა! — დავიძახე მე იმის მაგივრად, რომ მეთქვა, დამტვრეულები არცა ყოფილა და არც მიზიღია—ტო.

— კარგები არა ყოფილა? — აღშფოთდა ნიკა. — იყო. ახლაც ბევრია.

ნიკა გაიქცა, ორი ცალი მთელი აგური მოიტანა და ყველაფერი ამით გათავდა.

— შეიდი ცხელი და ერთი ცივი! — მომისაჯა ტიკომ და ყველას ერთდროულად მოუნდა ჯალათობა.

სანამ განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ, ჯუმბერმა ტიკოსთან მიიჩინა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ტიკომ ჯერ თვალეზი დააქუცია, მერე ჩაიციანა.

როდესაც ჩემს ცემას მორჩნენ, ტიკომ ჯუმბერა მოიხმო და ფერხთით დაისვა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გოვიას, კაკოს, ალიკოს და ვანოს დაუძახა — ესენიც ფერხთით დაისვა.

მე წავიდა და იმ დოლაბზე ჩამოვჯექი, საიდანაც მეფე გადავაგდეთ.

ტიკომ და მასთან მჯდომმა ბიჭებმა ვითომ ცეცხლი დაანთეს, პირში ჩიბუხები ჩაიდეს და ფიქრს შეუდგნენ. ტიკომ თქვა, წესი ასეაო.

ზურია გაიქცა, ღობეში დატანებული ფიცარი მოიტანა, ნახშირი იპოვნა და ხატვას შეუდგა. ზურიას ხატვა ეხერხებოდა, მაშინვე ეტყობოდა, რომ მხატვარი გამოვიდოდა.

მე დოლაბიდან ჩამოვედი და ზურიას მივუახლოვდი. ზურია ტიკოს ხატავდა. ფიცარი დიდი იყო და ტიკოც უფრო ტანზორბა და ომახიანი გამოვიდა. ძალიან საინტერესოდ გამოაწყო ზურიამ ტიკო: ტანზე დიდი ზეწარი შემოახვია, ფეხზე სანდლები ჩააცვა. მძლავრი დაკუნთული ხელ-ფეხი შეაბა. ხუჭუჭი თმა დაუხატა—ტიკოს გადახოტრილი თავი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ნახატი მაინც ზედგამოჭრილი ტიკო იყო.

ზურიამ თავისი ნამუშევარი შეათვალიერა, ისევ აიღო ნახშირი, ტიკოს ცალ ხელში დამბაჩა მისცა, მეორეში — რაღაც საგანი, რომელიც ალბათ კვერთხი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეპროდუქტორს კი ჰგავდა. დასასრულ, ხუჭუჭათმიან ტიკოს თავი დაფნის გვირგვინით შეუმკო; ახლა

კარგაო, თქვა და ფიცარი ტიკომ წაათრია.

ფიცრის ხრიალზე ყველამ გამოიხილა. მე დოლაბს დავუბრუნდი, აქ კარგი იყო: თამაშსაც ვუყურებდი და ჩემი ჩუსტიებიც თვალწინ მქონდა. იქვე ეკიდა, სადაც დავტოვე, მარგილზე. ერთი-ორჯერ ვიფიქრე, მოვიტან, არავინ წაიღოს-მეთქი, მაგრამ აქ არ ვიყავი, ვის უნდა წაეღო?!

ზურია სურათი კედელს მიაყუდა და შეფასების მოლოდინში ტიკოს მიაჩერდა.

— ვაჰ, შენ გენაცვალე, რა კაი რამე დაუხატია! მე ვარ, არა? — წამოიძახა ტიკომ. — აიღეთ, იმ კედელზე მიაშედეთ.

ბიჭები დაფაცურდნენ. ზოგმა ჟანგიანი ლურსმანი მოიტანა, ზოგმა ნახატი კედელს მიუმარჯვა, ზოგი მისაჭედებლად მოემზადა.

ტიკომ ცალი თვალი მოხუჭა, სურათის მარჯვენა კუთხე ოდნავ დააწვინა და ერთ წამში ყველაფერი მზად იყო.

მირიანა რომ არა, ფიდოს მოსვლას ვერც გავიგებდით და სათითაოდ დაგვხოცავდა. ის იყო სიმღერის თავიდან დაწყება დავაპირეთ, რომ მირიანას ხმაც შემოგვესმა:

— აი, აკი გითხარი, იქაურობა სულ დამატვრიეს-მეთქი!

მივიხედეთ. ფიდო ზღურბლზე იდგა, მირიანა ფიდოს ზურგს ამოჰფარებოდა.

— ვააა! — თქვა ფიდომ და პირი დააღლო.

ჩვენი გაშეშებულიები ვიდექით.

მხოლოდ ტიკომ ამოაცურა ჯიბიდან ხირხალი, ტყავში კარგა მოზრდილი კენჭი ჩადო, რეზინები ბოლომდე გაჭიმა და მირიანას დაუმიზნა. რაღაც ბუყუნის გაისმა. მირიანამ გოჭივით დაიჭყვიღა და თავში ხელი იტაცა.

ფიდომ კეტს წამოავლო ხელი.

მერე რა მოხდა, აღარ მახსოვს. როცა უკან მივიხედე, იმ სიშორეს ვიყავი, ფიდოს სახლი კი არა, ის უზანიც აღარსად იყო. სანამ მამიდაჩემის ქუჩას მივაგენი, კარგა რიგიანად დავიქანცე.

ჭაბუა ამირეჯიბი
მესამე თვალნი

ახლო ვერ მივხედვით, მოშორებით დაგდექი. ფიდო ბოსტანში იდგა, ილანძღებოდა, კეტის იქნევდა.

ჭიკო ქვემო ქუჩიდან ხირხალით კენჭს უშენდა.

შიშმა ცოტათი ხელი შემისვა და უფრო ახლოს მივედი.

ფიდოს ალბათ კენჭი მოხვდა; კედელს მიეფარა. თავი სიმაგრეში დაიგულა თუ არა, ლანძღვა-გინებას უმატა. გავთამამდი, მეც დავეუშინე ნასახლარს კენჭები.

მერე ფიდო ისევ გარეთ გამოვიდა და ახლა ბოსტანში განაგრძო ღრიალი. ჩვენ კი არ გვაგინებდა, ასე ილანძღებოდა:

— ვინც თქვენ ხელიდან თოხი და სახრე გაგაგდებინათ და ვინც ხელში წიგნი და საწერ-კალამი მოგყათ, იმის ასე და ისეო.

მერე ფიდომ მარგილიდან ჩემი ჩუსტები ჩამოიღო, ილღიაში ამოიჩარა და წავიდა. ისე ამოიჩარა და წაიღო, ვითომ იმას დაეკიდოს.

ჭიკო შორიახლოს მისდევდა და უყვიროდა:

— ვირი გაყიდე, დოლი იყიდე, ფიდოოო!

ფიდომ ჩემი ახალთ-ახალი ჭრაჭუნა ჩუსტები წაიღო და წავიდა.

ეს რომ მამაჩემს გაეგო, არ ვიცი, რას მიზამდა.

ფიდოს ავედევნე. გადავწყვიტე, პატიება მეთხოვა, შევმუდარებოდი, ჩუსტები დაგბრუნებინა, მაგრამ რამდენჯერაც ასე გავიფიქრე, იმდენჯერ ფიდოს აოხრებული სახლ-კარი წარმომიდგა და გადაწყვეტილება შემეცვალა. ამ დაპირებასა და ყოყმანში ფიდო დამეკარგა, საღდაც შეუხვია, ვეღარ ვიპოვნე და იმის შემდეგ აღარც აღარასოდეს მინახავს.

ფიქრიდან რომ გამოვერკვიე, ერთ მოხუცებულ კაცს ხის ძირში დიდი ყუთი ედგა. ბიჭები გარს შემოხვეოდნენ. ერთი ბიჭი შიგ იმ ყუთში იყურებოდა. მოხუცი ყუთის მეორე ბოლოში სურათებს სდებდა, ლაპარაკობდა და სხვა ბიჭები სულგანაბული უსმენდნენ.

მივუახლოვდი და მივაყურე.

— ესეც ნაირ-ნაირ მინერალოლოგია-როებიანი და შადრენენიანი ქალაქი. მანდ რომ გოგო დგას, კახაბერი თქვა ბერიკაცმა და სურათი შეცვალა.

მეუცხოვა, რომ ბერიკაცი ასეთ სიტყვებს ლაპარაკობდა, მაგრამ ძალიან კი მომინდა იმ გოგოს ნახვა. ისე მომინდა, რომ უნებურად ყუთისაკენ წავიწიე.

ბერიკაცი სურვილს მიმიხვდა, ხელი ამიქნია, გამეცალეო და ზედ „აქშა, აქშა“ დააყოლა, ვითომ ქათამი ვიყავი.

— ესეცა ისევ ეგ ქალაქია, — თქვა ბერიკაცმა და ახალი სურათი ჩადო. — მანდ ათასნაირი ჭრელი ხალხი ცხოვრობს. ყველა მხიარულად და უდარდელად ცხოვრობს. ხედავ, რანაირად იცინიან? ეს იმიტომ, რომ მხიარულად არიან. მაგათაც თავიანთი მეფე ჰყავდათ. ის თავიანთი მეფე ჩამოაგდეს და ახლა იცინიან.

ესეც ალბათ ძალიან საინტერესო სურათი იყო, მაგრამ იმ გოგოს ნახვის სურვილი ქავილივით ამიტყდა. ერთი ცალი შაურიანი მქონდა, ყუთზე ეწერა, შიგ ჩახედვა ორი შაური ღირსო და მაშინ კი ვინანე, რომ დედას დაგუჯერე და ტრამვას ბილეთი ვიყიდე.

— ესეც კრუხი თავის წიწილებითა. შენ, ერთი, ნახე რანაირი რამეა, რაც სურათები მაქვს, ყველაფრის თქმა ვიცი, ამ კრუხისა და წიწილების თქმა ვერ ვიცი... ვერც იქნება—იმნაირი კარგია, აბა, მეცა, მეც ჩავიხედო!

ბერიკაცმა ბიჭს ხელი წაჰკრა და თვითონ ჩაიხედა. ჩაიხედა და გაინაბა.

ღმერთმა იცის, რამდენ ხანს უყურა. ბიჭი იდგა და ცქმულტავდა. მოთმინება აღარა ჰყოფნიდა. მერე, ბერიკაცი, როგორც იქნა, მოსცილდა ჩასახედ შუშას და მეც რატომღაც შევბით ამოვისუნთქე.

— ვაჰ! — თქვა მან, თვალები მოჭულა და ცას გახედა.

მეც ცას ავხედე; დიდი არაფერი: ცისფერი ცა და თეთრი ღრუბლის ფთილები — მორჩა და გაათავდა. მაგრამ ბერიკაცმა იმდენ ხანს ათვალიერა ლაქვარდი, რომ ბიჭს კრუხ-წიწილის ყურება მობეზრდა, ყუთს მოეშვა და ელო-

და, ყუთის პატრონი თავის საქმეს რო-
დის მიუბრუნდებოდა.

ბერიკაცს ძალიან კმაყოფილი და ბედ-
ნიერი სახე ჰქონდა და არც არსაით ეჩ-
ქარებოდა, ცას უყურებდა.

ბიჭს ეგონა, აღარაფერს მიჩვენებენ,
სურათები გათავდაო. მეც ასე მეგონა,
მაგრამ ბერიკაცი ყუთთან მივიდა და
სურათი შეცვალა.

— ესეცა ინდოეთის ღმერთი—შივა,—
განაგრძო ბერიკაცმა. — ხედავ, რამდენი
ხელი აქვს? შენ თვალი ნახე, თვალი.
ზედ შუბლზე მესამე თვალი ნახე.

ამდენი საინტერესო რაღაცეების უნა-
ხავობა სად შემეძლო!

ერთმა აზრმა გამიელვა და როცა იმ
ბიჭმა ექვსივე სურათის ნახვა დაამთავ-
რა, ბერიკაცს ვთხოვე:

— ძია, შაურს მოგცემ, სამი ცალი
მაჩვენე, რა!

— სამი ცალი? — ბერიკაცი დაფიქრ-
და.

— აქ ექვსი სურათი ათი კაპიკი სწე-
რია. მე ექვსის ფული არა მაქვს, სამი
მაჩვენე, რა.

— რომლები გიჩვენო.

— ის გოგო მაჩვენე, კრუხ-წიწილა
მაჩვენე და სამთვალა ღმერთიც მაჩვენე.

— კრუხ-წიწილაც გაჩვენო? — გაუ-
ხარდა ბერიკაცს. — ეგ იმისთანა სურა-
თია, კაცი მანეთად არ აჩვენებს, მაგრამ
რახან შენ ეგრეთი ჭკვიანი ვინმე ხარ,
ნახე.

ბერიკაცმა შაურიანი გამომართვა და
მე ხარბად მივეკარი ჩასახედ შუშას.

ჯერ ის ქალაქი და გოგო მაჩვენა,
მაგრამ ის გოგო არაფერი კახაყ არ
იყო. ხელში პატარა საფულე ეჭირა და
პალმის ქვეშ იდგა. ცული არაფერი ეტ-
ყობოდა.

— შენ რა იცი, რომ...ეს ისეთი გო-
გოა? — ვკითხე ბერიკაცს.

— რო გეუბნები — ეგრება. არა გჯე-
რა? წაილე შენი შაურიანი და წადი. —

იწყინა ბერიკაცმა, ის სურათი წაიღო
და კრუხ-წიწილიანი სურათი ჩასვს
ძალიან ლამაზი კრუხ-წიწილა
და ბერიკაცს მართლს ამბობდა. იმ
სურათს ისეთი რაღაც ჰქონდა, ვერა-
ფრით ვერ იტყოდი. კარგა ხანს ვიყუ-
რებოდი და არც ყუთის პატრონს და-
ვუჩქარებოვარ. მერე ვიღაც ბიჭმა მოირ-
ბინა, ათი კაპიკი გადაიხადა და ბერი-
კაცმა მესამე სურათი ჩამიდო.

— ამდენი ხელეები რად უნდა, ძია? —
ვკითხე ბერიკაცს.

— ზოგი რისთვის უნდა, ზოგიც რის-
თვის. რაც ქვეყანაზე რამეს დანახავს,
ყველაფერში ჩაერევა, ყველაფერს თითო
ხელს დაადებს. კაცი ეგეთი უნდა, აი!

— ყველაფერში ჩაერევა? — ბერი-
კაცმა ეს ღმერთი რაღაც მეტიჩარა არ-
სებად დამიხსიათა, მაგრამ ჩემს წარ-
მოდგენაში შივა ასეთი არ იყო, არ ვიცი,
როგორი იყო.

— ძია, ის ზედმეტი თვალი, შუბლის
თვალი, მართლა აქვს? — ვკითხე ისევ.

— ვერა ხედავ? მართლა აქვს.

— რად უნდა?

— ვა, როგორ თუ რად უნდა. აბა,
ცალი თვალი დახუჭე, მაგ სურათს შე-
ხედე. უფრო სხვანაირია, თუ არა?

— დავხუჭე.

უფრო სხვანაირი იყო, უფრო პატა-
რად მეჩვენა.

— სხვანაირია, — დავადასტურე მე.

— ჰოოო! ახლა ეგ თვალი გააღე, მეო-
რე დახუჭე.

ის თვალი გააღე, მეორე დავხუჭე.

— ახლა უფრო სხვანაირია, თუ არა?
დავაკვირდი. მართლა ცოტა სხვანი-
რად ჩანდა.

— უფრო სხვანაირია! — ვთქვი მე.

— მაშ რა გამოდის? ერთი სხვანი-
რად გიჩვენებს, მეორე — სხვანაირად.
ორთავეთი ერთად როცა უყურებ. მაშინ
კიდევ სხვანაირია. მართალი რომელია?
რომელი იყო?

გამეცინა.

ჭაბუა ამირეჯიბი
მესამე თვალი

შევას ხელეზსა და თვალეზზე ძალიან ბევრი ვიფიქრე და მგონი ყველაფერი კარგად გავიგე; შევას რომ დავეხახე, ჯერ ცალი თვალით შემხედავდა, მერე მეორე ცალი თვალით, მერე ორივეთი ერთად, მერე ორთავე თვალს დახუჭავდა და მესამეთი მე კი აღარ შემომხედავდა, შეხედავდა იმას, რაც თითო-თითო და ორთავე თვალით დანახა და უცებ გაიგებდა, რისთვის და როგორ წაიღო ფილმი ჩემი ჩუსტები. მერე აიღებდა და ერთ-ერთ ხელს ამ „საქმეს დაადებდა“.

ჩუსტების მოგონებამ ისევე მამაჩემი გამახსენა... შინ ფეხშიშველა დაბრუნებაზე ფიქრმა ძალიან გამამწვარა და დაღმართში ძუნძულით დავეშვი.

სად მივდიოდი?

სახლში უჩუსტოდ მისვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. უნდა რაიმე მეღონა, როგორმე ჩუსტები მეშოვნა.

დაღმართი ჩავიარე. ქუჩის კუთხეში შევჩერდი, ვფიქრობდი, საით წავსულიყავი — მარჯვნივ თუ მარცხნივ. სულ ერთი იყო, მაგრამ მაინც ვფიქრობდი.

ორი კაცი იდგა, ლაპარაკობდნენ. არ მეყურებოდა, რაზე ლაპარაკობდნენ, არც მაინტერესებდა; ჩემი სადარდებელი მქონდა, მეღანდებოდა მამაჩემის მრისხანე სახე, „მე შენ რა გითხარი!“ ორი-ოდე ნაბიჯს გადმოვდამდა და ქამარს შემოიხსნიდა... ამის მერე აღარაფერი მეღანდებოდა, თავი მიბჟუოდა, თვალში ცრემლი მაწვებოდა და მინდოდა მეყვირა: „მამიკო, მამატიე, აღარ ვიზამ, ღმერთმანი, აღარ ვიზამ, მამიკო!..“

იმ ორ კაცში ერთ-ერთმა, უფრო ტანმორჩილმა, რაღაცას ნაცრისფერი ქალადი შემოაცალა. თვალის დახამხამებაში გადამავიწყდა მამაც, ქამარიც. ყურები ვცქვიტიე, მივუახლოვდი და მოჯადოებულვით დავაშტერდი ქალადზე დალაგებულ ჩუსტებს.

დავაშტერდი? ცხვირიც კი შიგ ჩავყავი.

რა კარგები იყო! სწორედ ისეთები, მე რომ მქონდა.

— სად იყიდე? — ჰკითხა მეორე კაცმა ჩუსტების პატრონს.

ჩუსტების პატრონმა მაღაზიის მხარეს ხელა. მე ვერ მივხვდი, სად უნდა ყოფილიყო ის მაღაზია.

კარგა ხანს დავყურებდი ჩუსტებს. მახსოვს, არაფერზე ვფიქრობდი. დავცქეროდი — ეგ იყო და ევა. ისინი კი, თურმე მე შემომყურებდნენ.

— რა პირი დაგილია, ბიჭო! — დამიყვირა ჩუსტების პატრონმა.

მე არც ყვირილი გამიგია, არც დაცინვა.

— ესენი სად იყიდება, ძია?

ძიამ უკმეხად გაიცინა და თქვა:

— ქვემოთ.

რომელი მხარე ივულისხმა? აქ ვაკე აღვილი იყო — არც აღმართი, არც დაღმართი.

— იქით, — გაიმეორა მან, როდესაც მიხვდა, რომ გავიგე, საით უნდა წავსულიყავი.

იმწამსვე ადგილს მოვწყდი, თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი, ბევრი ვირბინე. ღმერთმა იყოს, რამდენ მაღაზიას ჩავურბინე, მაგრამ ისეთი ჩუსტები ვერსად ვნახე. ჩუსტებიანი მაღაზია უნდა ყოფილიყო დიდი, ნათელი და ლამაზი; ძალიან ლამაზი და ნათელი. არც ერთი მაღაზია არ იყო ასეთი.

ბოლოს თვალი წავატანე, დიდი მაღაზიიდან ქალი გამოვიდა, ხელში ჩუსტები ეჭირა, ვიღაცას აჩვენებდა. გვერდი ავუარე. კარებში იმდენი ხალხი ირეოდა, რომ შიგ ძლივს შევალწიე.

მაღაზიის ბოლოში აუარებელი ხალხი დავინახე. ახლოს მივედი. ჩემს წინ ხალხის სქელი, მაღალი კედელი აღმართულიყო. კედელი ფუთფუთებდა და ტოკავდა. ჟრიაშული იდგა. ეს ჟრიაშული დროდადრო მრავალხმოვან ყვირილში გადადიოდა. ხალხს დროგამოშვებით ვინმე მოარღვევდა. მკლავებს იშველიებდა, მხრებით მოაპობდა და გასასვლელისაკენ მიეშურებოდა.

დავინტერესდი, ეს ამდენი ხალხი აქ რას აკეთებს და ჩუსტებთან მისასვლელი რატომ გადაუტკეპიათ-მეთქი.

მივყურე.

— არა, ჩემი ალბერტას მზემ, ისე შემოვედი, იქნებ მარუსასთვის რამე ვიყიდო-მეთქი, რაღა! — თავს იმართლებდა ვიღაც კაცი.

— თქვი, კალათი სად დამალე, თორემ ალბერტაც უკან დაგრჩება, მარუსაც და ბიკალიც! — შეუტია მეორემ.

— ამხანაგი ჰყავდა, ამხანაგი. კალათი იმას ეჭირა, იმაში ჰქონდათ! — მოისმა საიდანღაც.

— მაგათი ამხანაგები დახლს იქითა ნახეთ.

— ძია, რა მოხდა, ძია? — შევეკითხე ტილოს შარვალ-ხალათში გამოწყობილ კაცს.

სპეკულანტიო, მითხრა.

მე ვიცოდი, სპეკულანტი რასაც ნიშნავდა. დედა და ბებო ხშირად ახსენებდნენ, იმათგან ვიცოდი.

ხან აქეთ ვეცი, ხან იქით, მაგრამ დახლზე მისასვლელი გზა ძალზე ვიწრო იყო და ხალხი კი უამრავი — ნემსი ვერსად გაძვრებოდა.

რაღა სწორედ ამ ადგილას დაიჭირეს სპეკულანტი!

როგორმე ამ ცოცხალ ზღუდეს გადავცდნოდი და დახლთან, ჩუსტებთან პირისპირ თავს ამოვყოფდი.

მაგრამ როგორ?

დიდები რას არ სჩადიოდნენ, რა ხერხით არ ცდილობდნენ რკალი გაერღვიათ და მაინც ვერაფერს ხდებოდნენ. მე რისი შემძლე ვიყავი? ვიდექი, აქაურობას ვათვალისწინებდი, ვფიქრობდი.

ამასობაში ერთი მაღალი კაცის გამოხედვას შევეფეთე — ძალიან გულმოდგინედ შემოქაჩნოდა. შემრცხვა, აღარ ვიცოდი შიშველი ფეხები საით წამეღო. მაღალმა კაცმა გამიღიმა. მეც გავუღიმე...

მაღალი კაცი თავმოყრილ ხალხს მიუახლოვდა.

მეც რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი.

მაღალი კაცი იდგა, მოკლე, კოხტად გამოყვანილ უღვაშებში თითებს იფა-

თურებდა, განზე გადგმულ ფეხებზე ოდნავ ქანაობდა — მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ დასაწყობებოდა ვეებით ათვალისწინებდა მშფოთვარე ხალხს.

ძალიან მომწონდა ეს მაღალი კაცი. კეთილი პირისახე ჰქონდა, ისეთი, თითქო სულ ერთთავად იღიმებო, სულ რაღაცაზე ეცინებო — კიღვით კი არა, მზიარულად, გულახდილად, თბილად. მან ისევ ჩემსკენ გამოიხედა, მიხედა, რომ მას შეეფურებდი და კვლავინდებურად გამიღიმა, თვლიც კი ჩამიკრა, ერთი ნახე, რა ხდებო! მერე ისევ თავით ბოლომდე დამათვალისწინა, შიშველ ფეხებზე შეაყოვნა მზერა, ისევ თვალეში შემხედა და კვლავ ხალხისაკენ იბრუნა პირი.

შევცქეროდი ამ კაცს, ვიცოდი რაზეც ფიქრობდა; ამ აულეზელი გაღაენის გარღვევას აპირებდა. მე ძალიან მინდოდა გაერღვია, დახლამდე მიეღწია და ჩუსტები ეყიდა.

სპეკულანტზე მისეულ ხალხში რაღაც უთანხმოებამ იჩინა თავი — ღრიანცელმა იმატა. შიგადაშიგ ერთი კაცის ძალიან ბოხი, ბრაზიანი ხმა გაისმოდა ხოლმე. ბოხმხიანი ვიღაცას ეჩხუბებოდა და სულ უფრო თავგამოდებით ყვიროდა.

ჩემი მაღალი კაცისა არ იყოს, დახლამდე როგორ მიმეღწია ვერაფრით ვერ მოვიფიქრე. მისგლა ჭირდა, თორემ იქ ჩუსტები თავსაყრელი იყო.

„მოდი, შევძვრები“, — გავიფიქრე და რატომღაც მაღალ კაცს შევხედე.

იცინოდა, მერე მე გადმომხედა, თავისი საოცრად კეთილი. მღიმარი თვალეში შემომანათა. ამან თითქოს წამაქეზა, მიზიძვა...

მივირბინე, მუხლებზე დავეფვი და საცა გასაძრომი ვიპოვნე, იქ შევეყურე უშმაღავდი.

თავში გაჭირვება არ დამდგომია, კარგა ღრმად შევძვერი, მაგრამ რაც უფრო წინ მივიწვდი, მით უფრო ძნელი იყო: ფეხების ტყე ხშირდებოდა, უფრო ბრა-

ჰაბუა ამირეჯიბი
მესამე თვალი

ზიანი, დაუნდობელი ფეხები მხედვობდა, ორიოდ წიხლიც მითავაზეს. ვიღაცამ ხელზე ფეხი დამადგა. შეეკივლე და ფეხმა უმალ ამიშვა. ჩემი ხმა კი არ გაუგია, ისე ამიშვა, თავისით.

ჩემი მაღალი კაცი ჩაცუტულიყო, მიყურებდა, გულიანად იცინოდა და თითს მიქნევდა, დაბრუნდით.

რომ მეძახდა — ცხადი იყო, მაგრამ რისთვის მეძახდა, რა უნდოდა, ამას იქამდე ვერ მივხვდი, სანამ პერანგის ჯიბიდან ამოღებული ფული არ დამიქნია. სხვა ყოფილიყო, არაფრის გულისთვის არ გამოვიდოდი.

გამოვძვრი, უკეთ რომ ვთქვათ, თავი გამოვყავი, ხელი გავუწოდე.

— ორმოცდაორი ნომერი ამიღე, — მითხრა და ორი ხუთმანეთიანი მომცა. — ფრთხილად იყავი, თითები არ დაგაწეწკონ.

— არა, აქ კარგია, სულ ადვილია! — მივუღე მე და კაცს ისევ სიცილი აუტყდა.

მეც გამეცინა.

სიცილის დრო სად იყო! შევტრიალდი და გზას გავუდექი. დახლის ფიცრები ახლოს ჩანდა, მაგრამ იქამდე ვაღწევა არ გინდოდა?! კარგა მანძილი გავიარე. რაც უფრო წინ მივიწევიდი, მით უფრო მიძინებოდა; ზოგან ხელსაც ვერსად ვაპარებდი, არამც თუ მთელი ტანით ვაგტეულიყავი.

სადღაც ზევით კი ღრიანცელი ქარიშხალივით ბობოქრობდა. ჩემთან, „ფსკერზე“ ბნელოდა, შედარებით სიწყნარეც იყო. კინოში ნანახს მაგონებდა: მაცვია მძიმე სკაფანდრი, ჩაძირული გემის დერეფნებში დავბობლავ და ზემოთ კი უზარმაზარი ტალღების მთავრეხილები დავგორავენ. მერე ბოხმა ხმამ ისეთი გრგვინვა და ჭექა-ქუხილი ატეხა, ვიფიქრე, საცაა კოკისპირული დასცხებს-მეთქი, მაგრამ არც ამისი შემეშინდა: ჩემამდე ვერაფერი თავსხმა ვერ ჩამოაღწევდა. მაინცდამაინც ცუდად არ ვიყავი. ეგ არის, ბნელოდა.

„ყველა ფეხსაცმელიანია, ნეტავი ამათ“, — გამიელვა აზრმა.

ამას ვფიქრობდი, რომ გადახობტროლი თავი დახლის კედელს მივაბუჩინე.

ახლა ადგომალა იყო საჭირო. კაცს შორის ძლივს წამოვიმართე, სოლივით შევექდე... —

ჩემს წინ იყო განიერი, მოწითალო დახლი და აუარებელი ჩუსტები, აუარებელი! წარმოვიდგინე კიდეც, როგორ ავიღებდი ოცდათხუთმეტ ნომერს და აქვე ჩავიცმევდი, ზედ დახლთან...

ხელი გავიშვირე და აფვირდი:

— ძია, ერთი ოცდათხუთმეტი, ერთი ორმოცდაორი, ძია, მომეცი, რა, ძია, მომეცი!.. — ვცდილობდი, რაც შეიძლება ხმამალა მეყვირა და ნოქართან ფული რაც შეიძლება ახლოს მიმეტანა, რომ მისი გულისყური მომეპყრო.

ალბათ კარგა რიგიანად შევაწუხე ნოქრები და ხალხიც, რომ ორიოდე მუჯღუგუნეც მომხვდა და ნოქრებთან შუამდგომლებიც გამომჩინდნენ; მიეცი, თავიდან მოგვაშორე, რა დროს ჩუსტები, სპეკულანტი დავიჭირეთო.

ერთ-ერთმა ნოქარმა ყველა მიატოვა, ჩემთან მოვიდა და ფული გამომართვა.

— ერთი ოცდათხუთმეტი, ერთი ორმოცდაორი! — დავიყვირე ისევ.

ნოქარმა ფულს დახედა.

— კიდეც ოთხი მანეთი უნდა, შვიდ-შვიდ მანეთად ვყიდით, ორ წყვილს თოთხმეტი მანეთი უნდა.

თავზარი დამეცა.

ფული არ მქონდა და თუ ფული დამჭირდებოდა, რატომღაც აზრად არ მომსვლია.

— ჰო, თქვი რამე, რაღა! — შემომყვირა ნოქარმა.

გვრძნობდი, რამე უნდა მეთქვა და ენა არ მემორჩილებოდა. არ ვიცი, როგორ მოვახერხე, ორმოცდაორი მომეცემეთქი.

— ორმოცდაორი?

თავი დავუქნიე. ნოქარმა ჩუსტები და სამმანეთიანი იმწამსვე ხელეგში ჩამჩარა, უკან ასეთივე წვალებით დავბრუნდი.

— ყოჩაღ, ბიჭიკო!.. ხომ არაფერი გატკინეს? — მითხრა ჩემმა მაღალმა კაცმა. — დიდი მაღლობელი ვარ, შენი ჭირიმე.

მე ფეხსაცმელი და სამმანეთიანი გავუწოდე.

კაცმა შემამჩნია, რომ ძალიან ნაღვლიანი ვიყავი. დამაკვირდა.

— შენთვის არ იყიდე? — მკითხა დუმილის შემდეგ.

თავი გავიქნიე.

— შენი ფეხისა არ იყო?

— იყო.

— მაშ რატომ არ იყიდე?

— ფული არ მქონდა.

— ფული არ გქონდა? — გაუკვირდა მაღალს.

პასუხად მხრები ავიჩეჩე და იქაურობას გამოვერიდე.

სვეტთან ავიტუხე. იქით აღარ გამიხედნია, საცა ჩემი მაღალი კაცი მეგულეობდა. აღარ მახსოვს მრცხვენოდა მისი, თუ გაუჯვარებული ვიყავი... თუ ერთიც და მეორეც.

იქ კი ისევ შფოთი და დავიდარაბა იღბა.

ოციოდე წლის ბიჭები მოვიდნენ, ორნი. ჯერ დოინჯუმეოყრილი იდგნენ, სეირს უყურებდნენ. მერე ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. ხალხი ისე თავისუფლად გაარდვიეს, შურით გულზე გავსკადი. ერთი წყვილი ჩუსტი წვრილნიკაპამ ამოიღო იღლიაში, მეორე მისმა ამხანაგმა, ისე წავიდნენ, ვითომ სკოლიდან შინ მიდიოდნენ და იღლით წიგნები მიჰქონდათ.

ამათ ცქერაში გართულს ვილაცამ მხარზე ხელი დამადო. ავიხედე: ის ჩემი მღიმარი კაცი იყო, ჩუსტები რომ ვუყიდე.

— რა საქმეზე ხარ მოსული, რა გქვია? — მკითხა მან.

— აჩიკო. ჩუსტებზე, ჩუსტები დავკარგე.

— მე გუჯა მქვია. შენა? — ეტყობა, ჩემი სახელი კარგად ვერ გაიგონა.

— აჩიკო.

გუჯამ იყუჩა.

— ფეხსაცმელი დაკარგე?

— დაკარგე.

გუჯამ პაპიროსის კოლოფი ამოიღო.

— როგორ დაკარგე?

გუჯამზე, როგორც დაკარგე.

— გამოდის, რომ სახლში ფეხსაცმელი მისვლა არ შეგიძლია, არა? გავუჯვარდებიან?

— მამა მეტყვის, მე შენ რა გითხარიო... — ორთავე კარგა ხანს ვიყავით ჩუმად.

მერე გუჯამ თქვა:

— მძიმე მდგომარეობაა!.. ჩემის აზრით, სახლში რომ მიხვიდე და მამას დამშვიდებით აუხსნა...

— არა!

— ჰო, შენ უფრო იცი.

მერე გუჯამ საათზე დაიხედა და მითხრა:

— ამდენი ხანი აქ ვიტრიალე, მეჩქარება: ჩემთან ერთი კაცი უნდა მოვიდეს, აუცილებლად უნდა დავხედე. როგორ მოვიქცეთ, რას იტყვი?

მე არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი და მხრები ავიჩეჩე.

— იცი რა? შეიღ მანეთს გასესხებ. იქნებ მოახერხო ჩუსტების ყიდვა, — გუჯამ ფული ამოიღო და გამომიწოდა. — გამომართვი. როცა გექნება — დამიბრუნებ.

მრცხვენოდა, უარის თქმა დავაპირე.

— როდის გექნება, როგორა გგონია? — განაგრძო გუჯამ საქმიანად და უბრალოდ.

დავფიქრდი.

მომავლად, ბებო ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინა დღეს სამთუმნიანს მაჩუქებდა ხოლმე.

— ასე, სექტემბრის პირველ რიცხვებში... — გუჯამ ოდნავ გაიღმა. ამ საქმიან საუბარში პირველად და უკანასკნელად გამიღიმა.

— კარგი, ევრე იყოს, მოვიცდი.

— სად ცხოვრობ, სად უნდა მოვიტანო? — ვკითხე გუჯას.

გუჯამ გაკვირვებით შემომხედა, თითქოს ვერ მიმხვდარიყო, რას ვამბობდი და მითხრა:

— ვერის ძველ სასაფლაოს გაცდები, ბორნისკენ დაუხვიე, დაღმართზე ედგევიარ. ვისაც ჰკითხავ, გუჯა სადა

ჭაბუა ამირეჯიბი

მესამე თვალი

ცხოვრობს-თქო, მხატვარი, ყველა მო-
გასწავლის.

ფული გამოვართვი, სანამ ვანგარი-
შობდი პირველ სექტემბრამდე რამდენი
დღე იყო დარჩენილი, გუჯა ჯიბეებში
იქმებოდა და ხურდა ფულს ითვლიდა.

გადაითვალა, ჯიბეში ჩაიბრუნა და
ხელი გამომიწოდა.

— ნახვამდის, აჩიკო! აბა, შენ იცი,
ყოჩაღად!.. მაინცდამაინც პირველ სექ-
ტემბერს ნუ დაელოდები, ისე შემოიარე
ჩემთან, სტუმრად მოდი, როცა გეცა-
ლოს, მე თითქმის ყოველთვის სახლში
ვარ. წავედი.

გუჯამ კარებიდან კიდეც ერთხელ
დამიქნია ხელი.

— მშველობით! უსათუოდ დაგიბრუ-
ნებ, გმადლობთ, — მივაძახე მე.

არ ვიცი, გაიგონა თუ არა.

ალარ დამიყოფნებია, დახლისკენ გავე-
შურე. სპეკულანტები წაყვანათ, ხალხი
დაშლილიყო.

დახლთან მივედი და ნოქარს ფული
გავუწოდე.

— ძია, ოცდათხუთმეტი ნომერი, ძია!

— არ არი.

უარი მეხივით მომხედა. მერე გავი-
ფიქრე, სხვას თუ უთხრა-მეთქი და გა-
ვუმეორე.

— ყრუ ხარ? არ არის-მეთქი, ოცდა-
თხუთმეტი მორჩა, ორმოცი წაიღე.

ვინ დაუჯერა! ავეკვიპათე. ვიდექი
დახლს მიკრული და ერთსა და იგივეს
გუჩინინებდი:

— ძია, ოცდათხუთმეტი მომეცი, ძია! —
ამდენ ჩუსტებში ოცდათხუთმეტი ერთი
წყვილიც არ იქნებოდა?

ერთი და იგივე პასუხი მესმოდა იქა-
მდე, სანამ ნოქარმა არ გამომეცხადა:

— ოცდათხუთმეტი მორჩა. ტყულია
ნუ დადები, ხიალ მოდი! ხვალ რამ-
დენიც გინდა, წაიღე.

ვიღაცამ მოთხრა:

— გამაიტანენ!

არაგინ არაფერი არ „გამაიტანა“.

ყველა წავიდა, თითქმის მარტო დავრ-
ჩი და მაინც არ მიგდიოდი.

— ვაგზალთან ნახე! — მესროლა ნო-
ქარმა და პირში ყველის ნაჭერი ჩაიღო.

რალა იქნებოდა, გავბრუნდი დაღვრე-
მილი და ძარღვებამლილი.

— ვაგზალთან ნახე! — ისევ მომძახა
ნოქარმა.

მე ახლა ფული მქონდა და თუკი მა-
ლაზიას მივაგენბდი, ჩუსტებსაც ვიყიდ-
დი.

სადგურში მიმავალ ტრამვაიში ავედი.
უკანა ბაქანზე კუნჭულში მივიმალე,
რომ ჩემს შიშველ ფეხებს ცნობისმოყ-
ვარე მგზავრების ყურადღება არ მიეპ-
ყრო. სადგური ახლოს აღმოჩნდა, იმდე-
ნად ახლოს, რომ ბილეთის შეძენა ვერც
კი მოვასწარი. მართალია, უფრო მონ-
დომებით რომ მოვქციულიყავი, შევიძენ-
დი, მაგრამ კონდუქტორს არ შევუწუ-
ხებევარ და არც მე ჩავაცვიფდი.

ტრამვაიდან ჩამოვხტი, მოედანს თვა-
ლი შემოვავლე, ჩუსტებიანი მაღაზია
რომელი უნდა იყოს-მეთქი. სადგურის
წინ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი,
იქვე აგურით ნაშენი, დაბალი კედელი
იყო, კედელზე კაცი ასულიყო, ხელებს
იქნევდა, ალბათ ლაპარაკობდა და სხვე-
ბი კი უსმენდნენ. ხალხს წითელი დრო-
შები და ტრანსპარანტები ეჭირა. ძა-
ლიან დავინტერესდი და იქით გავეშუ-
რე, მით უმეტეს, რომ ჩემი ტოლი ბიჭე-
ბი გუნდ-გუნდად გარბოდნენ იქით.

ხალხს მივადექი. ვედარაფერი დავი-
ნახე, დიდები იყვნენ. მოპირდაპირე
მხრიდან შემოვლარე და იმავე კედელ-
ზე შევსკუბდი, რომელზეც კაცი იდგა და
სიტყვას ამბობდა.

ძალიან ყურადღებით ვუსმენდი და
ადვილად მივუხვდი, რომ ეს ამოდენა
ხალხი სადღაც მიდიოდა, ყველა ერთად
მიდიოდა, სად მიდიოდა — არ ვიცოდი,
ამიტომ ისევ იმ მოლაპარაკე კაცს მივა-
ყურე. ის კაცი ამბობდა: შაბათობებს
დიდი მნიშვნელობა აქვსო და ეს რომ
თქვა იმ ღრიცხვ ხალხში ვიღაცამ შეპ-
ყვირა, გაუმარჯოსო! ვერ გავიგე, სახელ-
დობრ რისი გამარჯვება თქვა, ალბათ
კარგი რაღაცისა იყო, რომ ხალხმა ტაში
დაუქარა და ვაშამ იგრიალა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, გავიგე, ეს
ხალხი შაბათობაზე მიდიოდა. ვიფიქრე,
სახლში უჩუსტოდ მაინც ვერ მივალ-

მეთქი, ამას გარდა კაცები ძალიან და-
ლაგებულად ამბობდნენ ყველაფერს და
ხალხი ტაშს უკრავდა. ამაზე კარგ შემთ-
ხვევას სადღა ვიპოვნედი? ჩუსტების და-
კარგვისთვისაც აღარ გამიწყებოდნენ,
რაკი ასე საპატიო საქმიდან ვიქნებოდი
დაბრუნებულნი.

დავრწმუნდი, ჩემი წაუსვლელობა გა-
მოუსწორებელი და საბედისწერო შეც-
დომა იქნებოდა. გადაწყვეტილება იყო,
განხორციელება სჭირდებოდა და დავი-
წყე ლოდინი.

— სად ხარ აქამდე, მოგკვდი შენი
ლოდინით! — მომესმა ზურგიდან ქალის
ხმა. — მატარებლის გასვლამდე ოც, წუ-
თია, ბილეთების რა ქენი, იშოვნე?

— ვიშოვნე, უბლაკარტო, — უბასუ-
ხა დაბალი ტანის კაცმა. — პლაკარ-
ტიანი გაიყიდაო.

— ბაქომდე რა დამსვამს, შე კაცო,
სადგურის უფროსთან მიდი, ეგება მოა-
ცემინოს.

— ისაა სადგურის უფროსი, ეგერ
დვას და ამ ცერემონიას თავმჯდომე-
რობს, ხედავ?

— ვხედავ, მაგ არ დაინახოს მაგის
ცოლ-შვილმა, ღმერთო, შენი ჭირიმე,
რა უნდა მაგ საცოდავს მანდ. ვერ ნახა
თავისი საქმე, ამხელა კაცი კედელზე
შემდგარა? მიდი და თხოვე, ეგებ
მოგცეს, შეპირდი რამეს, მეორედ ჩა-
მოსვლაზე ასე და ისე-თქო.

კაცი ფიქრობდა და ქალს მგონი არც
ყურს უგდებდა.

— მიდი, კაცო, სანამ ეს წრიალი
გათავდებოდეს, წავა მატარებელი.

კაცი სადგურის უფროსისაკენ წავიდა.
მე თვალს გაფაციცებით ვადევნებდი
პლაკარტიანი ბილეთების მძივებულს და
ვფიქრობდი, ნუთუ ახლა, ამ სერიოზუ-
ლი საქმით დაკავებულ სადგურის უფ-
როსთან მივიდოდა და პლაკარტს მოს-
თხოვდა? ისიც კი წარმოვიდგინე, რა
მკვახედ მოიშორებდა თავიდან სადგუ-
რის უფროსი ამ აბუნარ კაცს და წინას-
წარ გამეხარდა, რომ სწორედ ასე იქნე-
ბოდა.

ერთი ახალგაზრდა ქალი ლაპარაკობ-
და. როდესაც დაამთავრა და ხალხმა

ტაში დაუკრა, სადგურის უფროსმა გა-
მოაცხადა, სიტყვით გამოსვლა ხომ არა-
ვის სურსო. პლაკარტის მძივებულმა
დაიძახა, მეო, და კედელზე ავიდა. ხალ-
ხი დაწყნარდა. კაცმა ლაპარაკი დაიწყო,
ძალიან გამიკვირდა, მატარებელზე ეჩქა-
რებოდა და... რისთვის მიდიოდა და რა
გააკეთა? გადავწყვიტიე, ალბათ გადა-
იფიქრა ბაქოში წასვლა და შაბათობაზე
მიდის-მეთქი. ქალი, რომელმაც ეს კაცი
პლაკარტის საშოვნელად გამოაგზავნა,
აწურული, განცვიფრებული იდგა და
მგონი შეშინებულიც იყო.

მოსდგა ის კაცი, რაები არ ილაპარაკა
და მერე როგორ! ხალხი განაბული უს-
მენდა; ყოველივე ეს ძალიან რიხიანი
შეძახილებით დაამთავრა.

ამას ისეთი ტაში მოჰყვა, როგორც
არც ერთი გამოსვლის შემდეგ არ ყოფი-
ლა. ბიჭებიც ტაშს უკრავდნენ და ვაშას
ყვიროდნენ. მე ისე აღმაფრთოვანა ამ
კაცის ლაპარაკმა, რომ ვინანე, როცა
ჩემს სიახლოვეს იდგა, რატომ იქვე რი-
გინად არ დავათვალიერე-მეთქი. ამ შეც-
დომის გამოსასწორებლად კედელს გავ-
ყვიე და მიეუახლოვდი. ახლა ეჭვი აღარ
იყო, ჩუსტები რომ კიდეც მქონოდა, შა-
ბათობაზე მაინც წავიღოდი.

მივედი, ამ კაცსა და სადგურის უფ-
როსს შორის გაეჩერდი, თვალიერება
დავუწყე. სადგურის უფროსმა მიტინგი
დახურულად გამოაცხადა, ხალხს აც-
ნობა, თქვენი მატარებელი მესამე ლიან-
დაგზე დვასო. ხალხმა დროშები და
ტრანსპარანტები აღმართა, ბაქანზე გა-
სასვლელად აფუსფუსდა. ის კაცი სად-
გურის უფროსთან მივიდა.

— ამხანაგო სადგურის უფროსო, —
მიმართა იმ კაცმა. — აზერბაიჯანიდან
მივლინებაში ჩამოსულ ამხანაგებს ვის-
ტუმრებთ ბაქოს მატარებლით. ბილეთე-
ბი ვიყიდეთ, მაგრამ პლაკარტიანი გა-
თავდაო. როგორმე ორი პლაკარტი უნ-
და მოგვიხერხოთ, დიდი მადლობელი
დავრჩებით...

— რას ბრძანებთ, ამხანაგო, მადლო-

ჭაბუა ამირეჯიბი
მესამე თვალის

ბელი რას ჰქვია. რახან უარი გითხრეს, ალბათ გაიყიდა, მაგრამ მაინც ცვადოთ; წამომყევით და თუ აღმოჩნდება რაიმე, სიამოვნებით. ვიჩქაროთ, ხუთი წუთიღა დარჩა მატარებლის გასვლამდე. სალაროში მისვლა უნდა მოვასწროთ. — სადგურის უფროსმა სალაროებისაკენ გასწვია.

— აბა, აბა! ეშელონზეც უნდა მივასწრო, შაბათობაზე მივდივარ, — მიუგო პლაცკარტის მაძიებელმა.

უნებლიეთ მეც მივყევი.

ნამდვილად ვიცოდი, რომ ეს კაცი შაბათობაზე კი არა, იმ ქალთან ერთად ბაქოში მიემგზავრებოდა, ისიც გავიფიქრე, რომ მიტინგზე სიტყვით პლაცკარტის გულისთვის გამოვიდა. ეს აზრი რატომღაც უკუვაგდე, ვერ დავიჯერე, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, პლაცკარტი ამ კაცს, თუ სადმე სამართალი იყო, არაგზით არ ეკუთვნოდა და სადგურის უფროსი მაინც ეხმარებოდა.

— ძია, არ მისცეთ, რა, არ მისცეთ, ღმერთმანი! — წამოვიძახე უცებ.

სადგურის უფროსმა გაკვირვებით გადმომხედა.

— გოგია, რა გითხარი, სახლიდან ფეხი არ გამოადგა-მეთქი! — შემომიბრია პლაცკარტის მაძიებელმა. — უყურე ამას, ფეხშიშველი გამოქცეულა. წადი ახლავე სახლში, თორემ ყურებს დაგაგლეჯავ. წადი, ბიჭო, დედას გული გაუსკდება. წადი, გოგია, შვილიყო, არსად არ მივდივარ. ჩავსვამ ამხანაგებს მატარებელში და დავბრუნდები. წადი ახლა, რომ გელაპარაკები! დამაგვიანებს ეს ბავშვი. წადი, მამიკო, წადი, გენაცვალე, მოვალ ახლავე! — კაცმა მხარზე ხელი დამითათუნა, მიმატრიალა და კედლიდან ჩამიშვა, ფრთხილად ჩამიშვა, როგორც ნამდვილმა მამამ ნამდვილი შვილი. მიკვირს, არ მაკოცა.

პირდაღებული ავყურებდი ჩემს ახალ მამას და მგონი დავიჯერე კიდევ, რომ მამაჩემი იყო. ის კი სადგურის უფროსს ეუბნებოდა:

— არ უნდა იყოლიოს კაცმა ბიჭი. გოგოა დალოცვილი. გასაზრდელადაც ადვილია, სიბერეშიც გამოვაღებო...

ისინი ჩემს წასვლას აღარ დალოცებოდნენ, ჩქარი ნაბიჯით გასწიეს. მე ისევ პირდაღებული ვიდექი, იმა ვერ ვიხსენებ, მაგრამ ძალიან მინდოდა სიმართლე შეთქვა.

— მე გოგია არა ვარ, აჩიკო ვარ! — მივაძახე უკვე კარგა შორს წასულ კაცებს.

ამას არავითარი შედეგი არ მოუტანია: სადგურის უფროსისთვის მე სამუდამოდ ვრჩებოდი პლაცკარტის მაძიებლის გოგიად.

ქალი მელასავით შორიასლოს მისდევდა. ეტყობოდა, გული ვეღარ უთმენდა, ძუნძულ-ძუნძულით მიდიოდა, ძალზე ახლოს მივიდოდა, შედგებოდა, ცოტათი დამინძილებდა და ისევ მიძუნძულებდა.

— რა იყო, ბიჭიკო, რა მოხდა?

მივიხედე, ვიღაც კაცი იდგა, ცნობის-მოყვარეობით შემომცქეროდა.

მე სხაპასხუთი ვუამბე, რაც მოხდა.

კაცი გაშრა. უაზრო თვალებით გაპყურებდა სადგურის უფროსს, პლაცკარტის მაძიებელს და მის ძუნძულით მიმავალ ქალს.

— მართალს ამბობ? — მკითხა მან.

— დედა მომიკვდეს!

კაცი იმავე წამს გაიქცა და პლაცკარტებისთვის წასულებს სადგურის შენობაში ფეხდაფეხ შეჰყვა.

ცნობისმოყვარეობამ ამიტანა, მაგრამ იქ მისვლა ვეღარ გავებდე. სანამ ფიქრებს თავი გავართვი, შაბათობაზე მიმავალი ხალხის ხსენებაც აღარსად იყო. თავზარი დამეცა.

დამთხვეულივით გავბროდი. ბაქანზე გასასვლელ კარში ვიღაცას შევაწყდი. ნელა, შე მამაძაღლოვო, მომძახეს, ხელიც წამატანეს, მაგრამ ვის დავეშვირებოდი.

სატვირთო ვაგონების შემადგენლობა იდგა, ვაგონებს კარი ღია ჰქონდათ და ყოველი კარის წინ ხალხი იყო მოქუჩებული, ის ხალხი, მიტინგს რომ ესწრებოდა, შაბათობაზე მიმავალი ხალხი.

პირველსავე ვაგონთან მივედი, ვისკუბე და შიგ შევხტი. არავის არაფერი უთქვამს. ორიოდ კაცმა თვალი გამომაყოლა, ეგ იყო და ეგა. ან ვის რა უნდა ეთქვა?

ვაგონის შუა ადგილი კარის სივრცეზე
ცარიელი იყო. კარს იქით ორსავე მხარეზე,
სამი ფერის თაროები გაემართათ. თაროებზე აქა-იქ ხალხი იჯდა.
ზოგი წამოწოლილიყო კიდეც. მივხვდი
რომ ზემო თაროზე ჯობდა; იქიდან უკეთესად
ჩანდა ვაგონი და ბაქანიც, მაშასადამე
მგზავრობის დროს ყველაფრის დანახვა
მოხერხდებოდა.

ასეც მოვიქეცი, ზემო თაროზე ავძვერი
კედელთან, სარკმლის ძირში მხართეძოზე
წამოვწევი. თავი აქეთა მქონდა, ვაგონის
შუაგულისაკენ და ფეხები ზოლოში.

ის იყო მოვიკალათე და გამგზავრების
მოლოდინში პლაცკარტის მაძიებელზე ფიქრს
შევუდღევი, რომ სამი-ოთხი კაცი ამოვიდა.
ვაგონი მოათვალიერეს და პირდაპირ ჩემსკენ
წამოვიდნენ.

მოვიდნენ, დადგნენ, ყურება დამიწყეს.
ხმას არ იღებდნენ. დროდადრო ერთმანეთს
გადახედავდნენ და ისევ მე შემომხედავდნენ.
სანამ ისინი მე მიყურებდნენ და მე იმათ,
საიდანღაც სხვებიც შემოიკრიბნენ. ახლა კი უკვე ათამდე
კაცი შემომცქეროდა.

ვიგრძენი, რაღაც უნდოდათ ჩემგან.
— რას მიყურებთ! — ვთქვი მე და მოვიბუზე.

— შენ ვინა ხარ, ბიჭო! — მკითხა კაცმა,
რომელიც ყველაზე დაბალი იყო.

— აჩიკო ბაკურაძე ვარ! — განვაცხადე მე.

— აჩიკო ბაკურაძე? — გაიმეორა კაცმა და
ყველამ ერთმანეთს გადახედა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. რაღაც დაბნეულობამ
იჩინა თავი.

— კოტე ბაკურაძის ბიჭი ვარ! — დავძინე მე.

როგორც ეტყობა, ვერც ამით გავაგებინე
ვერაფერი.

— ააა! კოტე ბაკურაძის ბიჭი ხარ? — წაილულულა
ვიღაცამ.

ყველა მისკენ მიტრიალდა. ამ „ააა!“-ს მთქმელს
ელოდნენ, კიდეც რას იტყვისო, მაგრამ არც
ამან იცოდა, ვინ იყო კოტე ბაკურაძე.

ისევ სიჩუმე იყო. გარედან თუ აღწევ-

და კანტიკუნტი ხმაური, თორემ ვაგონში
ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

ერთმა კაცმა ფრჩხილების ფეხებზე ბას
მიპყო ხელი და ისეთნაირად მიბრუნდა, რომ
მგონი წასვლას აპირებდა. მეორემ პაპიროსს
მოუკიდა, კვამლი კარისკენ გაუშვა და ჩემსკენ
აღარ მოტრიალებულა. ვიღაცამ ფრთხილად
ჩაახველა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაცურა... ერთი
სიტყვით, ეს ხალხი დაშლას აპირებდა, რომ
სწორედ ამ დროს ვაგონი შეტოვრებამნდა.

— მოუბეს, საცაა დავიდრებიო! — თქვა
შუახნის, უღვაშებიანმა კაცმა და სიცილი
წასკდა. ხან მე მიყურებდა, ხან ამ უხერხულად
დადუმებულ ხალხს და იცინოდა. მერე სიცილს
მორჩა და მე მომიბრუნდა:

— შენ, ეი, კოტე ბაკურაძის ბიჭო, საით
მივმგზავრები?

— მეც მოვდივარ! — მოუტყერი მოკლედა.

— სად მოდიხარ?

— შაბათობაზე.

— მამაშენი სად არის?

— შინ არის.

— თვითონ შინ დარჩა, შენ შაბათობაზე
გამოგისტუმრა?

— არაფერიც არ გამომისტუმრა. მე თვითონ
მოვდივარ.

ხალხი აყრიამულდა.

— რა მოგარბენინებს, ბიჭო, ნეტავი რისი
მაქნისი ხარ?

— მე მინდა, მეც უნდა წამოვიდე.

— იქ რა გინდა, რა უნდა გააკეთო?

— უნდა გავაკეთო...

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ამ სიტყვებს დიდი მხიარულება მოჰყვა, სანამ
ეს ხალხი დაწყნარდა, წელიწადმა გაიარა.

— სახლში თუ იციან, რომ შაბათობაზე
მოდიხარ?

დავდუმდი და ცოტა დაგვიანებით ჩავილაპარაკე:

— არ იციან.

ჭაბუა ამირეჯიბი
მესამე თვალში

— მერე, შე მამაცხოვნებულო, არ შეე-
შინდებათ?

— არა.

— ბიჭუკო, რას გეტყვი, იცი: ჩამოდი
მანდედან და წადი შინ. გაიზრდები ჩვენ-
ხელა და შენი წილი შაბათობა ყოველ-
თვის მოიძებნება.

თავი გავიქნიე, არ ჩამოვალ-მეთქი.

— ეგ როცა ჩვენოდენა 'გახდება, შა-
ბათობა სადღა იქნება!

ეს მამაჩემისაგანაც მქონდა გაგონილი.

— ჩამოდი, ბიჭო, წადი სახლში.
გაიზრდები, რამდენიც გინდა, იმდენი
იარე. ნუ გეშინია, სამუშაო მაშინაც
იქნება.

— უფრო კარგი, თუ იქნება, ახლაც
მინდა, მერეც.

რას იცინოდნენ, ვითომ რაო?!

— ჩამოდი, ბიჭო, შინ წადი.

— არ მინდა.

— ჩამოდი, როცა გეუბნებიან!

-- არა!

— ჩამოიყვანეთ, ამხანაგებო, საცაა
დავიძრებით!

ვიდაცამ ხელი მტაცა. დავუსხლტი.

ისევ მეცნენ — უფრო ღრმად შეეძვრი.
ერთი მაღალი კაცი იყო, ქვემოთ თაროზე
შედგა და წელზევით ზემოთ თაროზე
მოწვა, მაგრამ მე სულ ღრმად შევძვე-
რი, კუთხეში მივიკუნეე

— ჩამოიყვანეთ, ამხანაგებო, სასტვე-
ნი იყო, მატარებელი გადის!

მაღალი კაცი მთლიანად ამოძვრა ჩემს
თაროზე, კიდევ ორნი ამოვიდნენ მისა-
შველებლად.

რაც მე ფეხები ვიქნიე და ვიფართ-
ხალე!


მაინც წვიგებში წამაგლეს ხელები და
წამათრიეს. კიდევ კარგი, რომ გრძელი
შარვალი მეცვა, თორემ იმ ხამ ფიცრებ-
ზე ერთიანად დავიკაწრებოდი.

თაროდან ჩამომიღეს, კართან მიმიტა-
ნეს და დაძრული მატარებლიდან ბაქანზე
ჩამსვეს.

ფეხქვეშ მიწა ვიგრძენი და ჩემთვის
საოცრად ცხადი გახდა, რომ ამჯერად
დროებით დანებება, განზრახვაზე ხელის
აღება სჯობდა და ამიტომ ვაგონში აბ-
რუნებას არ ვცდილვარ, გული არ მომს-
ვლია.

დასასრული იქნება





ჩივი

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ს ავანა ხომ წარმოგიდგენიათ დილა-ადრიან? კედლებთან მაწანწალები მიყრილან და სძინავთ, ჯერ ყინულის ფურგონებსაც კი არ ჩამოუვლიათ. სწორედ ეს დრო იქნებოდა, როცა ნავსადგომიდან წამოვედით, მოედანი გადავჭერით და ყავის დასალევად „სან-ფრანცისკოს მარგალიტისაკენ“ გავსწიეთ. მარტო ერთ მათხოვარს არ ეძინა მთელს მოედანზე, შადრევანთან მიმდგარიყო და წყალს სვამდა. მაგრამ კაფეში რომ შევედით და დაგხედით, ის სამი კაცი იქ დაგხვდა, ჩვენ გველოდებოდნენ.

მივუსხედით თუ არა მაგიდას, ერთ-ერთი იმათგანი ჩვენსკენ გამოემართა.

— რას იტყვი? — მკითხა მან.

— ვერა, — ვუპასუხე მე, — ნეტა კი შემეძლოს. მაგრამ წუხელაც ხომ გითხარით, ვერ ვიზამ-მეტქი!

— პირდაპირ სთქვი, რამდენი გინდა.

— განა ფასზეა საქმე. ისე არ შემიძლია. რა ვქნა.

ის ორიც მოვიდა. იდგნენ ცხვირჩამოშვებულები და შემოგვეტყუოდნენ. კარგი ბიჭები ჩანდნენ. ნეტა მართლა შემძლებოდა დახმარება.

— ათას დოლარს ჩამოგვივართ თვითეული, — თქვა ერთმა, კარგმა მეინგლისურემ.

— რად გინდათ, ზედმეტად შემაწუ-

ხოთ. ალალი გულით გეუბნებით, არ შემოძლია-მეთქი.

— მერე გაგიმართლებს, როცა ყველაფერი შეიცვლება.

— ვიცი, სულით და გულით თქვენთანა ვარ. მაგრამ რომ არ შემოძლია!

— რატომ მაინც?

— ნავია ჩემი მარჩენალი, ეგეც თუ დავკარგე, რაღამ დამარჩინოს?!

— სხვა ნავს იყიდი იმ ფულით.

— ციხეში?

ეტყობა, იფიქრეს, თუ ჩავაცივდით, უსათუოდ დავეყოლიებთო, და ერთი მათგანი აღარ მომეშვა.

— სამი ათას დოლარს ახლავე მიიღებ, ნაღდს, მერე სხვანაირადაც გაგიმართლებს. დიდხანს არ გასტანს ასე, ხომ იცი.

— მოიხედეთ, — ვუთხარი მე, — სულაც არ მენადვლება, ვინ იქნება აქ პრეზიდენტი. ისეთი ტვირთით, რასაც ლაყობა შეუძლია, მე შტატებში ვერ წავალ.

— მაშ ჩვენ მოლაყებები ვყოფილვართ და ეგ არის, — თქვა ერთმა, რომელსაც აქამდე ხმა არ გაეღო. გაბრაზებული ჩანდა.

— მე ვთქვი, რასაც ლაყობა შეუძლია-მეთქი.

— მაშ ჩვენ *linguas largas* ვყოფილვართ.

— მე ეგ არ მითქვამს.

— იცი რას ჰქვია *linguas largas*?

— ვიცი. ენაწაგდებულ კაცს.

— ის თუ იცი, მაგისტანებს რას ვუწვრებით?

— ნეტა რას მედიდგულებით! თქვენა მთხოვეთ, მე ხომ არაფერი მითხოვია!

— გეყოფა, პანჩო, — უთხრა გაბრაზებულს იმან, მე რომ პირველად გამომელაპარაკა.

— მოლაყებებს გვეძახის, — მიუგო პანჩომ.

— მოიხედეთ. მე გითხარით, ისეთ რამეს არ წავიღებ, რამაც ლაყობა იცის-მეთქი. ღვინის ყუთები არ ილაყებენ, არც კვარტიანები ილაყებენ. სხვა რა-

მემ იცის ლაყობა. ადამიანმა იცის ლაყობა.

— ჩინელებმა თუ იციან? — უკმა პანჩომ კარგა გესლიანად.

— იციან, მაგრამ იმათი ლაყობისა მე არაფერი გამეგება.

— მაშ, არ გინდა, ხომ!

— აკი წუხელივე გითხარით. არ შემოძლია.

— ლაქლაქს ხომ არ მოჰყვები? — მკითხა პანჩომ.

ვერ გამოვიგო და იმიტომ გაწიწმატლა. ალბათ იმიტომაც, რომ იმედი ჰქონდა, და საბოლოოდ არაფერი გამოუვიდა. არც კი მიპასუხნია.

— შენ ხომ არა ხარ *lingua larga*? ჰა? — ისევ გესლიანად მკითხა.

— არა მგონია.

— ოჰ! იმუქრები კიდევ?!

— მოიხედეთ, — ვუთხარი მე, — ნეტა რას მედიდგულებით ამ უთენია. ვიცი, რომ ბევრისთვის გამოგიქრიათ ყელი. მე ჯერ ყავაც არ დამილევი.

— მაშ, გჯერა, რომ მე ხალხს ყელსა ვჭრი, არა?

— რატომ? მე რაში მკითხება. არ შეიძლება, ისე გაარიგო საქმე, რომ არ გაცოფდე.

— სწორედ რომ გაცოფებული ვარ, — მითხრა მან, — სიამოვნებით მოგკლავდი.

— რა ჯანდაბა მოგივიდა, — შევეუტიე მე, — რა ენად გაიკრიფე!

— გეყოფა, პანჩო, — უთხრა პირველმა. მერე მე მომიბრუნდა, — ძალიან სამწუხაროა. ნეტა წაგეყვანეთ.

— მეც ძალიან მწყინს, მაგრამ რა გქნა.

კარებისკენ გაემართნენ სამივენი და მე თვალი გავაყოლე. ეშხიანი ბიჭები იცვნიენ, კარგად ჩაცმულები. ქუდი არც ერთს არ ეხურა. თავი ისე ეჭირათ, დიდძალი ფული უნდა ჰქონოდათ. ყოველ შემთხვევაში, პირზე სულ ფული ეკერათ, და ინგლისურსაც ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ფულიანი კუბელები ლაპარაკობენ ხოლმე.

ორი მათგანი ძმები უნდა ყოფილიყვნ-

ნენ, მესამე კი, ის პანჩო, ამათზე ცოტა უფრო მაღალი იყო, მაგრამ მათივე ჯილაგისა. ჩამოსხმული, კარგად ჩაცმული, თმაგაპრიალებული. არა მგონია, ისეთი ღვარძლიანი ყოფილიყოს. მე მგონი ნერვიული იყო.

გავიდნენ თუ არა კარებიდან და მარჯვნივ შეუხვიეს, ვხედავ — მოედანი დახურულმა მანქანამ გადმოსჭრა და მათკენ გამოექანა. ჯერ მინა დაიმსხვრა და ტყვია ვიტრინის მარჯვნივ დალაგებულ ბოთლებს მოხვდა. სროლა გაგრძელდა — ბუმ, ბუმ, ბუმ — და ბოთლები ერთიანად დაიფშვნა.

მე დახლში ვისკუბე, მარცხენა მხარეს, და იქიდან დაფუწყე ცქერა. მანქანა გაჩერდა და იქვე ორი კაცი ჩაცვცქდა. ერთს თომპსონის თოფი ეჭირა ხელში, მეორეს ლულაგადახერხილი ავტომატი. თომპსონის პატრონი ზანგი იყო; მეორეს შოფრის თეთრი კომბინიზონი ეცვა.

იმ სამთავან ერთი ბიჭი ზედ ჩამსხვრეულ ვიტრინასთან ჩამხოზილიყო ქუჩაში, ორნი კი ამოჭფარებოდნენ „ტროპიკული ლუდის“ ფურგონს, რომელსაც, ის იყო, მეზობელ ბარში ყინული მოეტანა. ყინულის ფურგონში შებმული ერთი ცხენი დავარდნილიყო და ფეხს ასავსავებდა, მეორე კი გამწარებით აქიციანებდა თავს.

ფურგონს მოფარებულმა ბიჭმა გაისროლა, ტყვია ტროტუარს მოხვდა და ასხლტა. თომპსონიანი ზანგი თითქმის მიწას განერთხო და ზედიზედ დაუშინა; ქუჩაში ვიდაც დავარდა, თავი ტროტუარის ძვიდეს დაჰკრა, აფართხალდა, ხელები თავზე იტაცა, და მანამ ზანგი თოფის ხელახლა გატენას მოასწრებდა, შოფერმა ამ მომაკვდავს თავისი ფილთა დაახალა. ახლა უფრო დიდხანს კაკანებდა ზანგის „თომპსონი“, ვერცხლის ნაპერწკლებივით სხლტებოდა საფანტი ტროტუარზე.

მეორე ბიჭი ფეხში სწვდა დაჭრილ ამხანაგს და ფურგონისკენ გაითრია; დავინახე, როგორ განერთხო ისევ მიწას ზანგი და კიდევ ერთი ბათქი მისცა.

ფურგონს მოფარებული პანჩო გამოძვრა, ჯერ ფეხზე მდვარ ცხენს მოეფარა, მერე სულაც გამოვიდა წინ, სხვანაირი ყიანი ზეწარივით გადატიტკოდა, თავის დიდ ლიუგერს მეტი სიმტკიცისათვის ორივე ხელი ჩასჭიდა და შოფერს ესროლა. ბოლოს მობრუნდა და მაღლა დაიჭირა თოფი, ზანგის თავს ზემოთ — ორჯერ გაისროლა ასე, ერთი ტყვია კი დაბლა მიუშვა.

აშკარა იყო, მანქანის საბურავი ვახვრიტა, რადგან ერთბაშად გამოფარდნილი ჰაერის შხუილთან ერთად დავინახე, როგორ დაიგრისა და ქუჩას მოწყდა მტერის ჭავლი. ათ ნაბიჯზე მიუშვა ზანგმა პანჩო და მერე თავისი „თომპსონი“ მუცელში დაახალა. ეტყობოდა უკანასკნელი ვაზნები იყო, რადგან ხელადვე გადააგდო თოფი. პანჩო ტროტუარზე ჩაიკეცა და პირქვე ჩაემხო, ლიუგერს ხელიდან არ იშორებდა. წამოდგომა სცადა, მაგრამ თავი ვეღარ წამოსწია, ამასობაში ზანგმა ფილთას დასტაცა ხელი, რომელიც იქვე ეგდო მანქანის თვალთან, შოფრის გვერდით, და პანჩოს თავის ქალა ააცალა. ზანგს უყურე!

იქვე ბოთლები ეწყო და ერთ-ერთ გახსნილს დავავლე ხელი, პირზე მოვიყუდე, არც კი შემიხედავს, შიგ რა ესხა. გუნება მომეშხამა. დახლიდან სამზარეულოში გავძვერი და ქუჩაში ამოგყავი თავი. მოედანს ისე შემოვფარე, ერთხელაც არ მიმიხედავს ხალხისკენ, რომელიც კაფეს მიმართულებით გარბოდა. ჭიშკარი გავიარე, ნავსადგომს მივაშურე და კარჭაპში ჩავხტი.

ის ვაჟბატონი, რომელსაც ჩემი კარჭაპი ჰქონდა დაქირავებული, უკვე იქ მელოდა. ვუამბე, რაც მოხდა.

— ედი სადღაა? — მკითხა ჯონსონმა, იმ ვაჟბატონმა, ჩვენმა დამქირავებელმა.

— სროლა რომ დაიწყო, მერე აღარ მინახავს.

— მოკლავდნენ ვითომ?

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

— მოკლავდნენ კი არა. აკი გითხარით, მარტო ვიტრინას მოხვდა-მეთქი. მანქანით რომ მოსდევდნენ, მაშინ ესროლეს. და ის პირველიც სწორედ ზედ ვიტრინასთან გააკორეს. ირიბად მოდიოდნენ, მიჩიხვას ცდილობდნენ...

— ასე დაწვრილებით საიდან გაიგე?
— ჩემს თვალწინ მოხდა, — მივუბე მე.

უცებ თავი ავწიე და ვხედავ, ედემ ნავსადგომი გადმოჭრა, ჩვეულებრივზე უფრო მაღალი და მოშვეებული ჩანდა, ისე მოლასლასებდა, გეგონებოდა კუნთები ულაცულაყებო.

— აგერ, ელიც.

საშინელი ფერი ედო. დილაობით მაინცდამაინც კარგი შესახედავი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ახლა მტრისას.

— სად იყავი? — ვკითხე მე.

— იატაკზე ვივადე.

— დაინახე? — ჰკითხა ჯონსონმა.

— ნულარ გამახსენებთ, მისტერ ჯონსონ, — უპასუხა მან, — გაფიქრებაზეც კი გული მერევა.

— დალიე რამე, — უთხრა ჯონსონმა. მერე მე მომიბრუნდა, — ჰა, გავდივართ დღეს?

— თქვენი ნებაა.

— ამინდს რა პირი უჩანს?

— გუშინდელივით იქნება. უკეთესიც.

— მაშ, წავსულვართ.

— ჯერ საქნიერები მოიტანონ.

აგერ სამი კვირა გავიდა, რაც ამ გაქაბატონს დავატარებთ სათევზაოდ, დღე არ ჩავგიგდია, და ჯერ ერთი ცენტიც არ ვიცი მისი, გარღა იმ ასი დოლარისა, რაც კონსულისთვის გადასაცემად, ნავსადგურიდან გასვლის ნებართვისა და ბენზინ-სანოვაგისათვის მომცა. გარიგებული ვიყავით ოცდათხუთმეტ დოლარზე დღეში, სათევზაო მოწყობილობა — ჩემი, ღამეს სასტუმროში ათევდა და დილდილობით გამოდიოდა ნავსადგომში. ედემ მიშოვა ეს მუშტარი და ამიტომ ისიც ღამყავდა სა-

თევზაოდ. დღეში ოთხ დოლარს ვეზბდი.

— თან ბენზინიც უნდა ჩავსანსოვო ვუთხარი ჯონსონს.

— კარგი.

— ოღონდ ცოტაოდენი ფული დამჭირდება.

— რამდენი?

— გალონი ოცდარვა ცენტი ღირს. ორმოცი გალონი მაინც მოგეინდება. ასე რომ, თერთმეტი და ოცი.

თხუთმეტი დოლარი მომცა.

— რაც დამარჩება, იმით რომ ლული და ყინული ვიყიდო? — ვკითხე მე.

— დიდებული იქნება. ეგეც ჩემს ვალს მიუმატე.

სამი კვირა რა ამბავია-მეთქი, ვფიქრობდი, ამდენხანს რად უნდა ადროვო?! მაგრამ სანდო კაცი თუა, რა მოხდა მერე, სულ ერთი არ არის! ისე, ჯობდა, ყოველი კვირის ბოლოს მაინც ეძლია. თუმცა მუდამ ასე მომდის, თითო თვით ვაცლი და მერე ერთბაშად მიხდიან ჩემი შეცდომაა, მაგრამ რას იზამ, ისე გამიხარდება კლიენტის გამოჩენა, ხელად ვთანხმდები. დრო რომ მიიწურება, მაშინ კი ვღელავ ცოტას, მაგრამ თქმით არაფერს არ ვეუბნები — განაწყენებას ვერიდები. სანდო კაცი თუა, რასაც მეტს დარჩება, მით უკეთესი.

— ერთ ბოთლ ლულს არ დალევდი? — მკითხა ჯონსონმა და ყუთი გახსნა.

— არა, გმადლობთ.

უცებ ის ზანგი გამოჩნდა, რომელსაც ჩვენთვის საქნიერები მოჰქონდა ხოლ მე. მე ედის გავძახე, მოემზავე, მივდივართ-მეთქი.

ზანგი ამოვიდა, კარჭაბი შევაცურეთ და ნავსადგომიდან გავედით. ზანგი დორადების წამოცმას შეუდგა; ანკესს პირში ჩაუყოფდა, ლაყურებში გაუტარებდა, გვერდს გამოუფატრავდა, წვერს გარეთ გამოაყოფინებდა ანკესს, მერე დორადებს პირს მოუკრავდა და საგულდაგულოდ დაამაგრებდა ანკესზე — საქნიერა ასე მოშვეებული იყო, მაგრამ არ ლაყავდა.



ნამდვილი შავი ზანგი იყო, მარჯვე და პირქუში, კისერზე, პერანგქვეშ, ცისფერი მძივის ავგაროზი ეკიდა და ძველი ჭილის ქუდი ეხურა. ნაგზე არაფერს არ აკეთებდა — ან ეძინა, ან გაზეთებს კითხულობდა. ისე მარჯვე კი იყო და საქნიერებსაც კარგად აგებდა ხოლმე.

— შენ არ შეგიძლია, კაპიტანო, საქნიერების ასე წამოგება? — მკითხა ჯონსონმა.

- რატომ?
- მაშ ეს ზანგი რიღას მაქნისია?
- დიდი თევზი რომ გამოჩნდება, მაშინ მიხვდებით.
- მაკას რა მნიშვნელობა აქვს?
- უფრო მარჯვედ აგებს.
- ეღის არ შეუძლია?
- არა, სერ.

— მე კი მგონია, ზედმეტი ხარჯი მოგვდის, — თითო დოლარს უბღღა ყოველდღიურად და ზანგიც საღამოობით რუმზას საცეკვაოდ დაჯიოდა. ახლაც შეგნიშნე, უკვე რული მორეოდა.

— საჭირო კაცია, — ვუთხარი მე. ამასობაში სმაკებს ჩავუარეთ, რომელთაც კაბანას პირდაპირ ჩაეშვათ დუზები, აქვე იყო პატარა სათევზაო ნაგები. მოროს მახლობლად, პირდაპირ ქვის ფსკერზე იჭერდნენ ღლაბუტებს, და მეც იქითკენ მივმართე ნაგი, ჩაშავებული უბისკენ. ედამ ორი დიდი ტივტივა გამოიტანა, ზანგმა კი სამი ანკესი გაამზადა.

გოლფსტრიმი ლამის ნაპირს უწევდა და ღრმად რომ შეევიდო, წყალს იისფერი დაჰკრავდა. უბერავდა სუსტი ზენა ქარი და ჩვენ ბლომად მფრინავი თევზი წამოვშაღეთ, დიდ-დიდი, შავფარფლა თევზები, ლინდბერგის სურათზე გამოსახულ თვითმფრინავებს რომ ჰგავს.

ეს მფრინავი თევზები — უტყუარი ნიშანია. ირავლავ, სადამდისაც კი თვალი მიგაწვდებოდა, მოყვითალო წყალმცენარეების პატარ-პატარა ბუჩქები ჩანდა; ამით მიხვდებოდი, რომ მთავარი დინება აქ ძალიან ღრმად მიდიოდა. ჩიტები ტუნა თევზების ქარავნებს დასტრიალებდნენ თავს. ზოგჯერ ამოხტებოდა

ხოლმე წყლიდან ეს ტუნა თევზი, სულ პატარები არიან, ორიოდ გირვანდამ გამოვა.

— შეგიძლიათ ჩაუშვათ, — ვუთხარი მე ჯონსონს.

ქამარი შემოირტყა და დიდი ანკესი ჩაუშვა, რომელიც ჰარდის კოჭზე გვექონდა გამოხმული, ექვსასი იარდის სიგრძისა იყო ანკესის ძუა, ოცდათექვსმეტი პატარა ძაფი ჰქონდა მიმაგრებული. უკან მივიხედე — საქნიერა მშვენივრად მოცურავდა, ნელა ირწეოდა ზვირთებში, ტივტივები კი ხტოდნენ და წყალში ყვინთავდნენ. ნაგი ზომიერი სიჩქარით მომყავდა, მთავარი დინებისკენ მქონდა გეზი აღებული.

— თოკი ბუდეში დაამაგრე, — ვუთხარი ჯონსონს. — აღარ დაგამძიმებს. მუხრუჭი მოშვეებული გქონდეს, პირს რომ მოაგლებს, ძუა თავისუფლად უნდა იყოს, თორემ მოგიტაცებს და ზღვაში გადაგაგდებს.

მუდამდღე ასე, ერთი და იგივეს ჩიჩინი!.. მაგრამ გული მაინც არ მომდიოდა. ორმოცდაათ ამისთანა მეთევზეში ერთი თუ გამოერევა, ხეირიანად იცოდეს თევზაობა. და ისიც ისეთი ჩერჩეტი იქნება, რომ რივიან ძუასაც ვერ შეარჩევს — იყიდის რაღაც დამბალს, მოზრდილი თევზი ხელადვე გაგლეჯს.

— როგორი ღღე შეგვხვდა? — მკითხა მან.

— უკეთესს ვერც ინატრებ, — ვუპასუხე მე. მართლაც მშვენიერი ღღე იყო.

საჭე ზანგს მივანდე, გავაფრთხილე — დინებას მიჰყევი აღმოსავლეთისკენ მეთქი, და ჯონსონთან გადავიხანცვლე, რომელიც იჯდა და საქნიერების რწევას შეჰყურებდა.

— მეორე ანკესიც ხომ არ ჩაევშვა? — ვკითხე მე.

— რა საჭიროა, მე თვითონვე მინდა წამოვავო და ამოვათრიო ჩემი თევზი.

— აგრე იყოს, — ვუთხარი მე, —

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

თუ გნებავთ, ედი ჩაუშვებს ანკესს, და როგორც კი თევზი პირს მოავლებს, მაშინვე თქვენ გადმოგცემს.

— არა, ერთი ანკესი მირჩენია.

— თქვენი ნებაა.

ზანგი საჭეს ჩაფრენოდა და კარჭაას დინების გასწვრივ მიაცურებდა, შვენიშნე, როგორ გააყოლა თვალი მფრინავი თევზების ქარავანს, რომელიც ჩვენი ნავისგან ცოტა მოშორებით ერთბაშად ამოფრთხილდა წყლიდან. თავი უკან მივატრიალე და მზეზე თვალისმომჭრელად მოელვარე ჰავანას გავხედე. ნავსადგურიდან, ის იყო, რაღაც გემი დაიძრა.

— დღეს კი, მე მგონი, ნამდვილად გაგიმართლებთ, მისტერ ჯონსონ, — ვუთხარი მე.

— დროც არის, — თქვა მან, — რამდენი ხანია ვთევზაობთ?

— დღეს სამი კვირა შესრულდა.

— ამდენ ხანს თევზაობა ვის გაუგონია!

— თევზს რას გაუგებ, — ვუპასუხე მე. — ჯერ წამლად რომ გინდოდეს, ვერ ნახავ, მაგრამ ერთი თუ მოვიდა, მორჩა, ვეღარ აუხვალ. მოსვლით კი უსათუოდ მოვა. დღესაც თუ არ გამოჩნდა, მაშინ საშველი არ ყოფილა და ის არის. მთვარე სწორედ სამაგისოა. დინება — შესაფერი, ქარიც ზედგამოჭრილი.

— პირველად რომ გამოვედით, სულ წვრილი თევზები ირეოდა.

— დიახ, — ვთქვი მე, — აკი გითხარით: ჯერ წვრილი თევზები გაქრება და მსხვილი მერე გამოჩნდება.

— მენავეებს მიზეზი არ გამოგეღევათ — ხან ძალიან ადრეა, ხან მეტისმეტად დაგვიანებულია, ხან მარჯვე ქარი არ უბერავს და ხანაც მთვარე არა დგას სწორად. ფული კი მაინც მიგაქვთ და მიგაქვთ.

— რას იზამ, — ვუთხარი მე, — მართლაც ასეა: ხან ძალიან ადრეა, ხან ძალიან გვიან. ქარის ლოდინში ხომ გული ილევა. ბოლოს, როცა ნამდვილად

შესაფერი დღე გათენდება, ნაპირზე უნდა ეგდო უკლინტოდ.

— დღეს ვითომ კარგი დღეა.

— როგორ გითხრათ, — ვუპასუხე მი, — იმდენ რამეს გადავეყარე დილიდანვე... მაგრამ, სანაძლეოს ჩამოვალ, რომ დღეს ბევრს დაიჭერთ.

— ღმერთმა ქნას.

მოვემზადეთ სათევზაოდ. ედი გამოვიდა და წინა ერდოზე გაწვა. მე ვიდექი და ვუთვალთვალედი, იქნებ კუდმა გაიელვოს-მეთქი, ზანგს სულ თვალეზი ერულეზოდა და იმისთვისაც უნდა მიმექცია ყურადღება. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ წუხელაც კარგი დრო უტარებია.

— ერთ ბოთლ ლუდს ვერ მომაწვდი, კაპიტანო? — მითხრა ჯონსონმა.

— ახლავე, სერ, — ყინულში ჩავაცურე ხელი, რომ უფრო ცივი შემერჩია.

— შენც დაგელია.

— არა, სერ. საღამომდე დავიცდი.

გავხსენი ბოთლი და ის იყო უნდა მიმიწოდებინა, რომ, ვხედავ, მურა თევზმა წყლიდან თავი ამოყო და საქნიერასკენ გადაფუნდა. უშველელი თევზი იყო, მკლავზე უგრძესი მახვილი ჰქონდა, თვითონ მორის სიმსხო იქნებოდა.

— მოუშვით ძუა! — დავიღრიალე მე.

— ჯერ არ დაუქაჩავს, — გამომძახა ჯონსონმა.

— მაშ დაამუხრუჭე.

დიღი სიღრმიდან იყო წამოსული და პირი ვეღარ მოავლო, ააცდინა. მაგრამ ვიცოდი, ისევე მოუბრუნდებოდა.

— როგორც კი დაქაჩავს, მაშინვე მოუშვით.

ახლა უკნიდან შემოუარა. ფარფლები წითელი ფრთებივით გაეშალა, მურა ქიციელსაც წითელი ზოლები დაჰყვებოდა. წყალქვეშა ნავივით მოცურავდა, ზემოთა ფარფლი ზედაპირზე ამოსულიყო, ჩანდა, როგორ ჰკვეთდა წყალს. საქნიერას რომ მიადგა, მახვილიც გამოჰყო, თითქოს წყლის ზევით იქნევეს და ვილაცას ემუქრებოდა.



— მიუშვით, დააქაჩინეთ, — გავ-
ძახე მე.

ჯონსონმა დახვეულ ძუას ხელი უშვა,
კოჭამ ხრჭიალი დაიწყო, თევზი ერთ-
ბაშად შეტრიალდა და ძირს დაეშვა,
მერე მობრუნდა და ნაპირისკენ გაქან-
და. ვერცხლისფრად გაიბრტყვილა
წყალში.

— ცოტათი დაამუხრუჭეთ, — გავძა-
ხე მე, — ოღნავ.

ჯონსონი მუხრუჭს ეცა.

— ოღნავ! — გაუგემორე მე. ძუა
ირიბად დაიჭიმა, — დაამუხრუჭეთ და
დაითრიეთ, — ვუთხარი, — უნდა და-
ითრიოთ. ახლა სხმარტალს დაიწყებს.

ჯონსონმა დაამუხრუჭა და ანკესის
ჯოხს მიუბრუნდა.

— დაქაჩეთ! — ვუთხარი მე. — მაგ-
რად მოადებინეთ. ექვსჯერ მაინც და-
ქაჩეთ.

ერთი-ორჯერ კიდევ მოსწია მაგრად,
ჯოხი გაიღუნა, კოჭა ახრჭიალდა და
უცებ, დგაფ, წყალზე ამოდგაფუნდა,
წამით მზეზე ვერცხლისფრად აელვარ-
და ეს უშველებელი თევზი და ისე მო-
წყვეტით ჩაეშვა, თითქოს ცხენი კლდეს
მოწყდაო.

— მიუშვით მუხრუჭი, — გავძახე მე.

— წაგვივიდა, — თქვა ჯონსონმა.

— სად ჯანდაბაში წავა, — ვუთხარი
მე, — ჩქარა, მუხრუჭი მოუშვით.

ძუა დაიგრიხა, მერე ამოხტომაზე
უკვე კიჩოსკენ მოქცეულიყო თევზი,
გაშლილ ზღვაში მიცურავდა. მალე ისევ
ამოდგაფუნდა, წყალი ააქაფა და ამ-
ჯერად დავინახე, როგორ გამოსდებოდა
ანკესი ლაყუჩს. ზოლები გარკვევით მო-
უჩანდა. დიდებული თევზი იყო, ვერცხ-
ლისფრად მოელვარე, წითელი ზოლე-
ბით დასერილი, და უშველებელი, დიდი
კუნძისხელა.

— წაგვივიდა, — თქვა ჯონსონმა. —
ძუა მთლად მოფამფალდა.

— დაახვიეთ, — შევძახე მე, — ისე
აქვს ანკესი გამოდებული, რომ ვერ-
სად წავა. მთელი სისწრაფით მიუშ-
ვი! — დავულრიალე ზანკს.

კიდევ ამოხტა ერთჯერ, მეორედაც,

კეტივით გაჯგიმული, ჩვენსკენ იყო შე-
მართული მთელი ტანით და ისეთი
დგაფუნით ეცემოდა, რომ წყალი მაღლა
ისვეტებოდა. ძუა დაიძაგრა, შევნიშნე,
რომ თევზმა ისევ ნაპირისკენ გაიწია,
მერე შებრუნდა.

— ახლა კი გაუტევს, — ვთქვი მე, —
სხმარტალს თუ მოჰყვია, არც მე მოვეშ-
ვები. მუხრუჭი მოშვებული გქონდეთ.
ძუა საკმარისია.

თევზმა ჩრდილო-დასავლეთისკენ ქნა
პირი, როგორც ყველა დიდ თევზს სჩვე-
ვია ხოლმე, მაგრამ, ჰოი, ბიჭო, რა ას-
ხმარტალდა! სულ კამარით მიღიოდა
და ყოველ შეხტომაზე ისე ადგაფუნებ-
და წყალს, გეგონებოდა ძრავიანი ნავი
მიჰქრისო. ჩვენც მიგჰყევით მეოთხედი
მილის მანძილზე. საჭესთან ახლა მე ვი-
დექი და წარამარა ვუყვიროდი ჯონ-
სონს, მუხრუჭი მოშვებული სჭეროდა
და კოჭიც სულ უფრო და უფრო სწრა-
ვად ეტრიალებინა. უცებ ტარი შეტოკ-
და და ხელადვე ძუაც მოფოფინდა. გა-
მოუცდელი კაცი ამას ვერ შეინიშნავდა,
რადგან ძუას, თავისი სიმძიმის წყალო-
ბით, მაინც დაჭიმული ჰქონდა ტარი.
მაგრამ მე რას გამომეპარებოდა.

— გაგვექცა, — ვთქვი მე. თევზი
კვლავ სხმარტალეზდა, და მანამ თვალს
მიეფარა, არც შეუწყვეტია სხმარტალი.
დიდებული თევზი კი იყო.

— არა, ისევ ეწევა, — მითხრა ჯონ-
სონმა.

— ეს ძუის სიმძიმეა.

— ძლივს რომ მიჭირავს! იქნებ სუ-
ლი ამოხდა.

— შეხედეთ, როგორა ხტის, — ვუ-
თხარი მე. ნახევარი მილიდანაც კარგად
ჩანდა, როგორ ადგაფუნებდა წყალს.

მუხრუჭი გავსინჯე. ბოლომდე დაეჭი-
მა. ერთი ბეწოთიც კი ვერ მოუშვებდი
ძუას. რაღა თქმა უნდა, გაწყვეტდა.

— აკი გითხარით, მუხრუჭი მოშვე-
ბული გქონდეთ-მეთქი!

— სულ სწევდა და სწევდა.

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

— მერე რა მოხდა?

— მეც მოვუქირე.

— მოიხედეთ, — ვუთხარი მე, — თევზი რომ ასე დაიწყებს სხმარტალს, ძუა უნდა მიუშვა, თორემ გაგიწყვეტს. რაც არ უნდა ძუა იყოს, ვერ გაუძლებს. რაკი იწყებს, უნდა მიუშვა. მუხრუჭი მოშვებული უნდა გქონდეს. გამოცდილი მეთევზეც რომ იყო, პარაუნის თოკით ვერ დაიჭერ მაგზელა თევზს. იმიტომაც მივდევთ ხოლმე ასე გამწარებით — საშიშია ძუა არ გამოილიოს. სხმარტალს რომ მორჩება და ფსკერისკენ წავა, მაშინ შეგიძლია დაამუხრუჭო და ძუაც დაითრიო.

— მაშ, ძუა რომ არ გაწყვეტილიყო, დავიჭერი?

— რატომაც არა.

— სულ ხომ არ ისხმარტალებს?

— ისხმარტალებს კიდევ და ყველაფერი! ოღონდ წრიალს როცა მორჩება, ნამდვილი ბრძოლა მაშინ იწყება ხოლმე.

— რამე მაინც დავიჭიროთ, — თქვა მან.

— ჯერ ძუა უნდა დავახვიოთ, — ვუბასუხე მე.

ისე გამოვიჭირეთ ეს თევზი და მერე ისე გაგვიტყა, რომ ედის თავიც არ წამოუწივია, ეძინა. ბოლოს გაიღვიძა და კიჩოზე გამოვიდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

ერთ დროს კარგი მეზღვაური იყო ედი, მანამ გალოთდებოდა, ახლა ალარაფრად ვარგა. შეგყურებდი ამ აწოწილ, ყვრიმალეზჩავარდნილ, ლაშიამოშვებულ, უბებებამოთერებულ, თმაგამოხონებულ კაცს, და ვგრძნობდი, რომ დაღვება ახლა სულს ერჩინა.

— გახსენი ლუღი და დალიე, — ვუთხარი მე. ყუთიდან ბოთლი ამოიღო და დალია.

— როგორაა საქმე, მისტერ ჯონსონ? — ჰკითხა მან, — ვარკობ, ერთ პირ ძილს კიდევ გამოვაცხოზ! ლუღისთვის დიდი მადლობა, სერ.

აჰ, ედი! ედი! ძალიან კი ენადღვლებოდა შენი თევზაობა!

შუადღისას კიდევ გამოვიჭირეთ ერთი თევზი, მაგრამ გაგვისხლტა ^{პარაუნის თოკით} ფუტზე მაინც შეხტა ანკესი, როცა პირიდან აისხლიტა.

— ახლაც შეგვეშალა რამე? — იკითხა ჯონსონმა.

— არა, ახლა ისე აისხლიტა.

— მისტერ ჯონსონ, — უთხრა ედიმ, რომელსაც ლუღის დასაღვებად გაპდვიტებოდა, — ბედი არა გწყალობთ, მისტერ ჯონსონ. იქნებ ქალებში მაინც გავიმართლოთ. მოდი, ამაღამ გავისერიწოთ, პა, მისტერ ჯონსონ?! — მერე ისეე მიბრუნდა და დაეგდო.

ოთხი საათისთვის, უკანვე ვბრუნდებოდით, ნაპირის გასწვრივ. ზურგში მზე გეცხუნებდა და ისეთი ქოთქოთით ვკვეთავდით დინებას, გვეგონებოდა წისქვილის ძრავი ტრიალებს; უცებ ჯონსონის ანკესს კიდევ ერთი უშველეზელი, შავი მარლინი გამოედო. ამხელა თევზი ჩემს დღეში არ მენახა. ოთხი პატარა ტუნა დავიჭირეთ და ერთი მათგანი ზანგმა ჯონსონის ანკესზე წამოაგო. საქნიერა კარგა ღრმად ჩაეშვა, მაგრამ მაინც მაგრად ტყლაშუნობდა.

ჯონსონმა ქამარი მოიხსნა და ანკესის ტარი მუხლზე დაიდო: იმდენაანს ეჭირა ხელში, რომ მკლავები დაეღალა. მერე, როცა მე თვალი მომარიდა, თურმე მუხრუჭიც ბოლომდე მოუჭირა, რადგან დიდი საქნიერა ძალუმად სწევდა ძუას და ხელებიც ატკინა. მე ევ არ შემიინიშნავს. ტარის მუხლზე დაღება არ მეჭაშნიკა, მაგრამ ამდენმა ჭიჭყინმაც გული გამიწყალა. თან, როცა მუხრუჭი მოშვებულია, კოჭა თავისუფლად ტრიალებს და საშიში აღარ არის. თუმცა ასე თევზაობა სად გავგონილა!

საჭესთან ვიდექი და კარტაპს მთავარი დინების გასწვრივ მივაცურებდი, გავუპირდაპირდი ძველ ცემენტის ქარხანას, საცა დინება ღრმად ეშვება ხოლმე და ერთგვარ მორევსა ქმნის, ამ მორევში უამრავი საქნიერები იცის. უცებ, ვებდავ, ჩემს წინ წყალი ადგაუუნდა, თითქოს ბომბა ჩამოეადოთ, მერე მახვილი დავინახე, თვალეზიც, დაღებული ხახა,

და შავი მარლინის უშველებელი მურა თავი! ზემოთა ფარული კარგად აღკაზმული გემივით წამომართულიყო წყლის ზედაპირზე, ხოლო ჩვენს საქნიერას რომ გამოუდგა, რკალივით მოქნეული ბოლოც გამოაჩინა. ბეისბოლის ჩოგნისხელა მახვილი ჰქონდა, ისიც მორკალუელი; რომ დაქაჩა, ოკეანე თითქოს ფენებად გაიშალა. შავად და წითლად იყო აჭრელებული და ჯამისხელა თვალები ჰქონდა. უსაშველოდ დიდი თევზი იყო. ათასი გირვანქა მაინც გამოვიდოდა.

ჯონსონს დაგვყვივლე, ძუა მიუშვი-მეთქი, მაგრამ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ ეს შენი ჯონსონი უცებ პარკში აიზიდა, თითქოს ამწე ონკანს აეტაცოს. ანკესის ტარი, რომელიც მას ისევ ხელში ეჭირა, მშვილდევით გაიღუნა, მსხვილი მხარე მუცელში მოხვდა და მთელი მოწყობილობა წყალში ჩაცვივდა.

მუხრუჭი ბოლომდე ჰქონოდა მოჭერილი, და, თევზმა რომ დაქაჩა, ჯონსონი სკამიდან წამოაგდო, ანკესი ვეღარ დაიმარა, ტარის მსხვილი ბოლო ფეხქვეშ ამოედო, და ქამარი რომ შემორტყმული ჰქონოდა, ვეღარაფერი უშველიდა, პირდაპირ ოკეანეში გადაითრევადა.

ძრავი გამოვრთე და კიჩოსკენ გავქანდი. ისევ სკამზე ჩამჯდარიყო და ხელები მუცელზე მოეჭირა.

— სადღეისოდ მგონი გვეყოფა, — ვთქვი მე.

— რა თევზი იყო?

— შავი მარლინი.

— მერე როგორ მოხდა ეს?

— თქვენ თვითონ უნდა გამოიანგარიშოთ, — ვუთხარი მე, — კოჭაში ორას ორმოცდაათი დოლარი მაქვს მიცემული. ახლა მაგ ფასადაც ვერ იშოვი. ტარი ორმოცდახუთი ღირს. გრძელი ძუა იყო, ექვსას იარდს ბევრი არაფერი უკლდა, ოცდათექვსმეტი წვერი ჰქონდა. ედომ მხარზე დაჰკრა ხელი.

— ბედი არა გწყალობთ, მისტერ ჯონსონ, — უთხრა მან, — ჩემს დღეში არ მინახავს ამისთანა რამე.

— მოკეტე, ლოთო! — შევუბღვირე მე.

— მითქვამს და კიდევ ვეძებ, ალარ მოეშვა ედი, — ჩემს დღეში ამისთანა არაფერი მინახავს.

— ამხელა თევზს რომ დავეთრიე, რა უნდა მექნა?! — თქვა ჯონსონმა.

— თქვენ თვითონ გინდოდათ ყველაფერი გაგვეკეთებინათ და აჰა! — ვუთხარი მე. გაგმწარდი კაცი.

— რამხელა თევზებია, — ჩაილაპარაკა ჯონსონმა, — ეს ხომ სასჯელი გამოდის, სადაური თევზაობაა!

— მაშ რა გეგონათ?! მაგხელა თევზს შეიძლებოდა მოეკალით კიდევ.

— ხომ იჭერენ?!

— გამოცდილი და მცოდნე ხალხი დაიჭერს. მაგრამ არ გეგონოთ, იმათვისაც სასჯელი იყოს.

— ერთი გოგოს სურათი მინახავს, ამხელა თევზი დაუჭერია.

— ვიცი, — დავეთანხმე მე, — მაგრამ განა ცოცხალი იყო — თევზმა საქნიერა გადაყლაპა, მთელი შიგნეული გადმოუტრიალა და თავისით ამოტივტივდა, მკვდარი. ცოტათი რომ გამოსდებს ანკესს, მერე უნდა სდიოთ-მეთქი, სულ ამას გეჩიჩინებთ.

— ჰო, მაგრამ უსაშველოდ დიდები არიან ევ ოსრები. გართობა ალარ გამოდის. რა ძალა მადგას! — თქვა ჯონსონმა.

— მართალი ხარ, მისტერ ჯონსონ, — კვერი დაუკრა ედომ, — თუკი ვერ ერთობი, რა ძალა გადგას? კარგად კი გამოგივიდა, მისტერ ჯონსონ, თუკი ვერ ერთობი, რა ძალა გადგას!

ყბედობის თავი ალარ მქონდა, სულ ის თევზი მეღვა თვალწინ და დაკარგულ სათევზაო მოწყობილობაზე ფიქრი გულს მიწურავდა. მოროსკენ მიაბრუნემეთქი, ზანგს გაეძახე. იმათთვის ხმა არ გამიცია, და ისხდნენ თავისთვის — ედის ლუდის ბოთლი ეჭირა ხელში და ერთ სკამზე იჯდა, ჯონსონი — მეორეზე.

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

— კაპიტან, — მითხრა ჯონსონმა ცოტა ხნის შემდეგ, — ჰაიბოლს¹ ვერ მომიშადავებ?

ხმა არც კი გამოიღია, ისე მოვეუშადა, მერე ჩემთვისაც დავისხი სუფთა ვისკი. გულზე ვსკდებოდი. ეს ვიღაც ჯონსონი აგერ თხუთმეტი დღე სათევზაოდ დადის, ბოლოს ისეთი თევზი შეხვდა, რომ ნამდვილი მეთევზე ერთი წლის სიცოცხლეს გასწირავდა იმის გულისთვის... ამ თევზს კარგავს, მთელს ჩემს მოწყობილობას კარგავს, ახლა კი არხეინად ზის ეგერ ლოთთან და, ვითომც არაფერიო, ვისკისა წრუპავს.

ნანესადგომში რომ შევედით, ზანგმა კარჭაპი შეაჩერა, ბრძანებას ელოდა.

— ხვალ რა ექნათ? — ვკითხე მე.

— აჰ, კმარა, — თქვა ჯონსონმა, — ყელში ამომივიდა ასეთი თევზაობა.

— ზანგს ახლავე გაუსწორდებით?

— რამდენი მმართველს?

— დოლარი. თუ გინდათ ცოტა ზედმეტიც აჩუქეთ.

ერთი დოლარი და ორი ოცცენტისანი კუბური მონეტა მისცა.

— ეს რისია? — ზანგმა მონეტები მაჩვენა.

— ეს ისე, გაჩუქა, — ვუთხარი ეს-ბანურად, — მეტი აღარ დასჭირდება შენი სამსახური.

— ხვალ არ მოვიდე?

— არა.

ზანგი თავის შავ სათვალესა და კანაფის მორგეს იღებს, რითაც საქნიერებს ამაგრებდა ხოლმე ანკესზე, ჭილის ქუდს იხურავს და მიდის, არც კი გემშვიდობება. არაფრად არ გვაგებდა ეს ზანგი.

— ჩვენ როდის გავასწოროთ ანგარიში, მისტერ ჯონსონ? — ვკითხე მე.

— დილაზე უნდა მივიდე ბანკში, — მითხრა მან, — ხვალ ნაშუადღევს იყოს.

— ხომ გახსოვთ, რამდენი დღეც არის?

— თხუთმეტი.

— არა. დღეს მეთექვსმეტეა. თითო

დღეც გადასვლა-გადმოსვლისა, სულ თვრამეტი გამოდის. ახლა კი მთელი კოჭა, ძუა...

— ეგ ხომ შენი რისკის საქმეა.

— არაფერიც. თქვენ დაკარგეთ, მერა შუაში ვარ!

— ყოველდღიურ ქირას გაძლევდი, დაკარგვა-არდაკარგვის რისკი შენ უნდა გასწიო.

— არა, სერ, — ვუთხარი მე, — თევზს რომ გაეტეხა და გაეტაცნა, მაშინ ჰო. თქვენი გაუფრთხილებლობით მოხდა.

— თევზმა დაქაჩა და წამართვა.

— იმიტომ რომ ბუდეში არ გედოთ, თან მუხრუჭიც მოჭერილი გქონდათ.

— მაგას ვერ დამავალდებულებ.

— მანქანა რომ დაიქირავოთ და კლდეს მიანარცხოთ, როგორ გგონიათ, არ გაზღვევინებენ?!

— მე თვითონ თუ ვიჯექი იმ მანქანაში, ვერა, — მიპასუხა ჯონსონმა.

— ეს კი კარგად გამოვივიდა, მისტერ ჯონსონ, — უთხრა ედიმ, — ხედავ, კაპიტანო?! მანქანაში რომ მჯდარიყო, თვითონაც ხომ დაილუპებოდა! მკვდარს რაღას გადაახდევინებ? დიდებულად გამოვივიდა.

ლოთს რა ყურს დაუფუგებდი.

— ორას ოთხმოცდათხუთმეტი დოლარი უნდა გადაიხადოთ მთელი მოწყობილობისა — კოჭაც ამაში შედის და ანკესის ტარიც. — ვუთხარი ჯონსონს.

— არა ხარ სწორი, — მითხრა მან, — მაგრამ თუ მართლა ასე გგონია, შუაზე მაინც გავიყოთ ზარალი.

— სამას სამოცზე ნაკლებ ვერ ვიყიდი ახალ მოწყობილობას. ძუის ფულს არც გახდევინებთ. მაგისთანა თევზს, რამსიგრძე ძუაც არ უნდა ყოფილიყო, სულ მოუნდებოდა. მაგაში ვერ დაგადანაშაულებთ. ამ ლოთს რა ჭკუა უნდა მოჰკითხო, თორემ ვინც არ უნდა იყოს ახლა აქ, ყველა გეტყოდა, რომ მე უსინდისოდ არაფერი მომიტხოვია. სათქმელად ბევრი ფული ჩანს, მაგრამ, როცა ვყიდულობდი, მაშინაც ბევრი იყო. საუკეთესო მოწყობილობა თუ არ გექნა, მაგისთანა თევზს რას დაიჭერ.

¹ ყინულში ჩაიციებული სოლიანი ვისკი, მაღალ კიჭებში ასხამენ ხოლმე.

— ხომ ხედავ, მისტერ ჯონსონ, მე ლოთს მეძახის. იქნებ მართლაც ლოთი ვიყო. მაგრამ სიმართლეს ვერ დავუპარგავ, ზედმეტს არაფერსა ვთხოვს. სწორიც არის და სამართლიანიც, — უთხრა ედიმ.

— ღავას აღარ მოყვები, — თქვა ბოლოს ჯონსონმა, — გადავიხდი. არა ვარ ვალდებული, მაგრამ მაინც გადავიხდი. მაშ, თვრამეტი დღე, არა — ოცდათხუთმეტი-ოცდათხუთმეტი დოლარი, იქაც ორას ოთხმოცდათხუთმეტი...

— ასი უკვე გადახდილი გაქვთ, — ვუთხარი მე, — ცალკე ჩამოგიწერთ, რა ვიყიდე; რა სანოვაგეც დარჩა, თქვენი ნაყიდი, იმასაც გამოგიქვითავთ.

— სწორია, — თქვა ჯონსონმა.

— იცით რა, მისტერ ჯონსონ, — უთხრა ედიმ, — რომ გაცოდინა, როგორ ატყავებენ აქ უცხოელებს, მაშინ სწორზე მეტიც არისო, იტყოდი. რას ამბობ! ასე ვინ დაგინდობდა. მშობელ დედას არ მოექცეოდა კაცი ასე პატიოსნად.

— ხვალ წავალ ბანკში და ნაშუადღევს გაგისტუმრებ. ზეგ კი გემით გავემგზავრები.

— ბარემ ჩვენ გამოგვეყვით, ფული დაგვზოგებათ.

— არა. გემით დროს დავზოგავ.

— თქვენი ნებაა, — ვუთხარი მე, — ცოტა არ დაგველია?

— სიამოვნებით, — დამეთანხმა ჯონსონი, — გულში ხომ აღარაფერი ხინჯი დაგრჩა?

— არა, სერ, — ვუთხარი მე. სამივენი ჩამოვსხედით კიჩოზე და ჰაიბოლს შევიქეციით.

მეორე დღეს, მთელი დღია, კარჭაპს ვუტრიალებდი, ზეთი გამოვცვალე, ეს გავაკეთე, ის გავაკეთე. შუადღისას ქალაქში გავედი და ერთ პატარა ჩინურ რესტორანში ვისადილე, ორმოც ცენტად კარგად დანაყრდები ამ რესტორანში. მერე ცოლისა და სამი გოგონასათვის რაღაცეები ვიყიდე ქალაქში. ხომ მოგეხსენებათ, ნელსაცხებელიო, მარაოებო, სამი მაღალი სავარცხელი...

საყიდლებს რომ მოვრჩი, დონოვანს კენაც შევუხვიე და ლუდი გადავიყიდე ბერიკაცსაც გამოველაპარაკე. პირდაპირ სან-ფრანცისკოს ნავსადგომისკენ გავუყვიე და გზაში ორ-სამგან კიდევ დავლიე ლუდი. კუნარდის ბარში ფრენციც დავიწვიე ლუდზე და, ნავზე რომ დავბრუნდი, კაი გუნებაზე ვიყავი. ჯიბეში ორმოცი ცენტია დამრჩა. ფრენციც თან გამომყვა და მანამ ჯონსონს ველოდებოდით, ორი ბოთლი ჩაცივებული ლუდი ამოვიღეთ და დავლიეთ.

ედი აღარ გამოჩენილა არც წინა დამეს, არც ღღისით, მაგრამ ვიცოდი, რომ, ადრე თუ გვიან უსათუოდ მოვიდოდა, როცა ნისიას შეუწყვეტდნენ. დონოვანმა მითხრა, წუხელ ცოტა ხნით ჯონსონი მოიყვანა და ნისიად გაუმასპინძლდაო. კარგა ხანს ველოდით ჯონსონს, გამიკვირდა, აქამდე რატომ არ გამოჩნდა-მეთქი. ალბათ, გვიან თუ დაიძინა და შუადღემდე ვეღარ გაიღვიძა-მეთქი, გადავწყვიტე. ბანკებო ოთხის ნახევრამდეაღია. სარეისო ოვითმფრინავმაც ჩაიარა და ექვსის ნახევრისთვის უკვე გუნება გამიფუჭდა.

ექვს საათზე ფრენკი გავგზავნე სასტუმროში, იქნებ ჯონსონი ნახო-მეთქი. კიდევ არ ვკარგავდი იმედს — ან დიდხანს შეპყვა ყიალს, ან ცუდად გახდა და ვეღარ ადგა-მეთქი. ველოდი და ველოდი, მანამ მთლად არ დაღამდა. მაგრამ მოსვენება კი დაგვარგე; ხუმრობა ხომ არ არის — რვაას ოცდახუთი დოლარი ემართა.

ნახევარ საათზე ცოტა მეტი შეაგვიანდა ფრენკის. მერე, ვხედავ, გამალეზბით მოდის და თავს აქნევს.

— თვითმფრინავით წასულა.

ეგვეც შენ! ასეა. საკონსულო უკვე დაკეტული იყო. ჯიბეში ორმოცი ცენტია მეჯო. თუმცა სულ ერთია, თვითმფრინავი უკვე მაიამიში იქნებოდა. დეპეშის გავგზავნაც კი არ შემეძლო. ჰოი, მისტერ ჯონსონ, ბარაქალა შენს კაცო-

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

ბას! ჩემი ბრალია. უფრო ჭკვიანად უნდა მოიქცე.

— რა გაეწყობა, — ვუთხარი ფრენკის, — ერთი ბოთლი ჩაცხიებული კიდევ დავლიოთ. მისტერ ჯონსონის ნაყიდა, — სამი ბოთლი ტროპიკული ჩარჩენილიყო ყუთში.

ფრენკისაც ჩემსავით გაფუჭებოდა გუნება. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ეს აშკარა იყო. სიტყვა ვეღარ დაეძრა, ხელსლა მითათუნებდა ბეჭებზე და თავს აქნევდა.

ესეც ასე. ყურამდე ჩავეფალი. ხუთას ოცდაათი დოლარი ნავის ქირა, სათევზაო მოწყობილობა — სამას ორმოცდაათი. პოი, რას გაიხარებენ ეს არამზადები, ნავსადგომში რომ ირევიან უსაქმურად, გავიფიქრე მე. კონჩები ხომ სიხარულით ცას ეწევიან. სწორედ გუშინწინ მაინც არ მეთქვა უარი სამიათას დოლარზე. უცხოელებმა რომ შემომამლიეს, კუნძულზე გადაგვიყვანო. საცა გინდა წაგვიყვანე, ოღონდ აქაურობას გაგვაშორეო.

კარგი, მაგრამ რა უნდა ვქნა ახლა მე? ტვირთის გადატანა არ მოხერხდება, ჯერ ერთი, ფული არა მაქვს სპირტულის საყიდლად და, მეორეც, აღარაფერი ხეირი მაგაში არ ყრია. ქალაქი ისედაც სასმელში ცურავს. სპირტულის მყიდველი ვინღაა ახლა. მაგრამ ხელცარიელი დავბრუნდე შინ და მთელი ზაფხული ვიშომშილო? ოჯახი მაინც არ მყავდეს. ზღვაში გასვლის ნებართვა აღრევე შევიძინე. ისე ვინ გამოვიშვებს, წინასწარ უნდა გადაიხადო. ბენზინის ფულიც აღარა მაქვს, რა ოხრობა უნდა ვქნა. კაი დღეში კი ჩავვარდი. ბარაქალა, მისტერ ჯონსონ.

— რამე ტვირთი უნდა ვიშოვო, ფრენკი, — ვუთხარი მე, — ცოტაოდენი ფული უნდა გავაკეთო.

— მოვიფიქროთ, — თქვა ფრენკიმ. სულ აქ ყიალებს ხოლმე, ნავსადგომში, ხან რას აკეთებს და ხან რას ნაკრძალში არაფერი ესმის, ყოველდამე მთვრალია. მაგრამ ამაზე ერთგულსა და გულკეთილს სხვას ვერავის ნახავ. რაც ჩამოვედი, იმ დღიდან ვიცნობ. რამდენჯერ დამხმარებია ნავის დატვირთვაში. მერე სპირტულის გადმოზიდვას რომ თავი დავანებე და მოხალისე მეთევზეებისათვის ნავის მიქირავება დავიწყე კუბაში, სულ აქ ვხედავდი — ნავსადგომსა და კაფეში. ლენჩივით დადის და სულ იკრიჭება, ერთი სიტყვა არ დაცდება. მაგრამ ეს სიყრუეოთ მოსდის.

— სულ ერთია, რასაც წაიღებ? — მკითხა ფრენკიმ.

— აბა, რა ვქნა. სარჩევად არა მაქვს საქმე.

— რაც არ უნდა იყოს?

— აბა რა ვქნა.

— ენახავ რამეს, — თქვა ფრენკიმ, — სად იქნები?

— „მარგალიტში“ ვიქნები, — ვუთხარი მე, — უნდა ვქამო რამე.

„მარგალიტში“ ოცდახუთ ცენტად მშენივრად ისაღილებ. ყოველ თავ კერძს, სუპს გარდა, ათ ცენტად იძლევიან, სუპი კი ხუთი ღირს. კაფემდე ერთად მივედით მე და ფრენკი, მერე მე კაფეში შევუხვიე, ის კი წავიდა. წასვლის წინ ხელი ჩამომართვა და ერთხელ კიდევ მომითათუნა ბეჭებზე.

— გულს ნუ გაიტებს, — მითხრა მან, — მე შემხედე — ბევრი პოლიტიკა, ბევრი საქმე, ბევრი სმა, ფული სულ არა. სამაგიეროდ კარგი მეგობარი. გულს ნუ გაიტებს.

— ნახვამდის, ფრენკი, — ვუთხარი მე, — შენც ნუ გაიტებს გულს.

თ ა ვ ი მ ი ო რ ი

შევედი „მარგალიტში“ და მაგიდას მივუჯექი. ტყვიით ჩამსხვრეული ფანჯარის მინა ახლით შეეცვალათ და ვიტრი-

ნაც დაელაგებინათ. დახლთან galles ირეოდნენ — ზოგი სვამდა, ზოგი ჭამდა. ერთ მაგიდაზე უკვე დომინოს



თამაშზე გაეჩაღებინათ. მე მუხუდოს სუბი და შემწვარი ხორცი მოვატანინე მოხარული კარტოფილით, ამას თხუთმეტი ცენტი დასჭირდა. ერთი ბოთლი ლუდიც — სულ მეოთხედი დოლარი დამიჯდა. ოფიციალტს გამოველაპარაკე სრრლის თაობაზე, მაგრამ ხმაც არ გამცა. მაგრად დაფეთებულყენენ.

ვასშამს მოგრჩი, სკამს გადავაწეკი და სიგარეტს მოვუკიდე. ტვინს ვიჭყეტე, რა ვიღონო-მეთქი. ვხედავ, კარებში ფრენკი შემოვიდა, ვილაცა მოწყებოდა. ყვითელი საქონელი ჩანს, გავიფიქრე გუნებაში. ჰო, ყვითელი საქონელია.

— აგერ, მისტერ სინგი მოვიყვანე, — მითხრა ფრენკიმ და გამიღიმა. ხელად მიშოვიდა ხოლმე მუშტარს და ეს ეამაყებოდა.

— გამარჯობა, — მითხრა მისტერ სინგმა.

ჩემს დღეში არ მინახავს ამ მისტერ სინგისთანა ქლესა კაცი. ჩინელი იყო, მაგრამ ინგლისურს ნამდვილი ინგლისელივით ლაპარაკობდა, თეთრი კოსტუმი ეცვბა, აბრეშუმის პერანგი, შავი ყელსახვევი, და ასოცდახუთდოლარიანი პანამა ეხურა.

— ყავაზე არ დამეწვევით? — მკითხა.

— სიამოვნებით.

— მაღლობელი ვარ, — მითხრა მისტერ სინგმა, — ჩვენ სულ მარტონი ვართ?

— ამ ხალხს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, — ვუთხარი მე.

— კეთილი და პატიოსანი, — განაგრძო მისტერ სინგმა, — თქვენ კარჭაბი გქონიათ.

— ოცდათვრამეტი ფუტის სიგრძისა, — ვუპასუხე მე, — ასი ცხენის ძალის კერმათი.

— აჰ! — წამოიძახა მისტერ სინგმა, — მე უფრო დიდი მეგონა.

— ორასორმოცდახუთ ყუთს სულ თავისუფლად გადავიტან.

— მომაქირავებთ?

— პირობა როგორი იქნება?

— თქვენ აქ დარჩებით. მე კაპიტან ნიც მყავს და მეზღვაურებიც.

— არა, — ვუთხარი მე, — ვერ გავაქირავებ.

— გასაგებია, — თქვა მისტერ სინგმა, — მარტო ვერ დაგვტოვებთ? — მიმართა მან ფრენკის. ფრენკიმ ჩვეული ცნობისმოყვარეობით შეხედა და გაეჭყანა.

— ყრუა, — ვუთხარი მე, — ინგლისურიც არ ესმის ხეირიანად.

— გასაგებია, — თქვა მისტერ სინგმა, — თქვენ ხომ იცით ესპანური. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდეს.

ცერით ვანიშნე ფრენკის. ისიც ადგა და დახლისკენ გაემართა.

— თქვენ არ იცით ესპანური? — ვკითხე მე.

— რა ბრძანებაა, — მითხრა მისტერ სინგმა, — ახლა ეს მითხარით, რამ გაიძულათ თუ გაფიქრებინათ, რომ...

— გავკოტრდი.

— გასაგებია, — თქვა მისტერ სინგმა, — კარჭაბი ხომ არ გაქვთ დაკირავებული? ყადაღას ხომ ვერ დაადებენ?

— არა.

— ძალიან კარგი, — თქვა მისტერ სინგმა, — ჩემი უბედური თანამემამულეების გადაყვანა რომ მოვიწოდო, რამდენი კაცი მოთავსდება თქვენს ნავში?

— სად მიგყავთ?

— ერთი დღის გზაა.

— როგორ გითხრათ. თორმეტამდე კაცი. ბარგი თუ არ ექნებათ.

— ბარგი არა აქვთ.

— სად მიგყავთ?

— ეს თქვენთვის მომინდვია, — მითხრა მისტერ სინგმა.

— მაინც სად უნდა გადავსხა?

— თქვენ ტორტუგასში გადასასხმელად წაიყვანთ. იქ შხუნამ უნდა მიაკითხოს.

— ჰო, მაგრამ, ტორტუგასში, ზედ ლოგერჰედ კიზე შუქურაც უდგათ და რადიოსადგურიც.

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

— სავესებით სწორია, — თქვა მისტერ სინგმა, — მართლაც უდიდესი სისულელე იქნებოდა იმათი იქ გადასხმა.

— მაშ რა?

— მე ვითხარით, ტორტუგასში გადასასხმელად-მეთქი. იმათთან ასე ვართ შეთანხმებული.

— აჰა!.. — ვთქვი მე.

— საცა გული გეტყვით, იქ გადასხით.

— უხუნა მართლა მიაკითხავს ტორტუგასში?

— აჰ, არა, — თქვა მისტერ სინგმა, — რა სისულელეა.

— თითო სულზე რამდენს გადაიხდით?

— ორმოცდაათ დოლარს.

— არ გამოვა.

— სამოცდათხუთმეტზე რას იტყვით?

— თქვენ თვითონ რამდენს იღებთ კაცზე?

— მაგას ამ საქმესთან რა კავშირი აქვს. მართალი თუ გინდათ, ჩემი დამოკიდებულება ამ საქმესთან სულ სხვადასხვა ასპექტით, ან, თუ გნებავთ, სხვადასხვა კუთხით განიზომება. მარტო ამ საკითხით არ ისაზღვრება.

— დიახ, — ვთქვი მე, — იმ საქმეში კი, რის გაკეთებასაც მთავაზობთ, ფული სულაც არ არის საჭირო, ხომ?

— სავესებით გასაგებია, — მითხრა მისტერ სინგმა, — ას-ას დოლარზე რას იტყვით?

— მოიხედეთ, — ვუთხარი მე, — რომ ჩამავლონ, რამდენი წლის ციხე მელის, თუ იცით მაინც?

— ათი წლის, — თქვა მისტერ სინგმა, — სულ ცოტა, ათი წლის. მაგრამ ციხეში ჩაჯდომა რა სავალდებულოა, ჩემო ძვირფასო კაპიტანო! მთავარი რისკი მგზავრების ჩასხმაა. დანარჩენი თქვენს სიფრთხილეზეა დამოკიდებული.

— რომ მობრუნდნენ და პასუხი მოგთხოვონ.

— მაგაზე ადვილი რაა. მე თქვენ დაგდებთ ბრალს, რად მიღალატე-

მეთქი, მერე ნაწილობრივ ავტონომიურად ზარალს და ისევ გავამგზავნებ. რაღა თქმა უნდა, თვითონაც კარგად ესმით, რა ძნელი მგზავრობა ელით.

— მე რაღა უნდა ვქნა?

— ალბათ საკონსულოში მომიწევს შეტყობინება.

— მესმის.

— ათას ორასი დოლარი ჩვენს დროში ასე ასაგდები ფული არ არის, კაპიტანო.

— ფულს როდის მივიღებ?

— ორას დოლარს, როგორც კი თანხმობას მეთყვით, მაშინვე, ათასს კი — როცა ხალხს ჩასხამთ.

— თანა გაქვთ ის ორასი დოლარი?

— რა თქმა უნდა.

— თეფშის ქვეშ ამოდევით.

ამოიღო და თეფშის ქვეშ ამოსდო.

— ძალიან კარგი, — ვთქვი მე, — დილით ნებართვას ავიღებ და როგორც კი დაბნელდება, ზღვაში გავაღპო, ხალხი სად უნდა ჩავსხა?

— ბაკურანაზე რას იტყვით?

— თქვენი ნებაა. მოგვარებული გაქვთ ყველაფერი?

— რა თქმა უნდა.

— ახლა ხალხის ჩასხმაზე მოვილაპარაკოთ, — ვთქვი მე, — თქვენ ორ სინათლეს ამინთებთ კონცხზე, ერთს მალა და მეორეს — ცოტა უფრო დაბლა. დავინახავ თუ არა, მაშინვე გამოვსწევ. თქვენ ნავით შემოხვალთ ზღვაში და ნავიდან ვადმოვსხათ. თქვენც იქვე იქნებით და ფულსაც თან იქონიებთ. მანამ არ გამისწორდებით, ერთ კაცსაც არ ჩავისვამ.

— არა, — თქვა მან, — ნახევარს ჩასხმის დაწყებისთანავე მიიღებთ, ნახევარს მერე, როცა ჩასხმას მორჩებით.

— აგრე იყოს, — ვუთხარი მე, — უფრო ჭკვიანურია.

— მაშ, ყველაფერზე შეეთანხმდით.

— მე მგონი. არავითარი ბარგი, არავითარი იარაღი — არც თოფები, არც დანები, არც სამართებლები. ერთი სიტყვით, არაფერი. მე თვითონ შევამოწმებ.

— არ მენდობით, კაპიტანო? —
მითხრა მისტერ სინგმა, — ვერა ხე-
დავთ მაინც, რომ ჩვენ ერთხანით ინ-
ტერესი გვაქვს?!

— შემამოწმებინებთ?

— თუ ღმერთი გწამთ, უხერხულ
მდგომარეობაში ნუ ჩამაყენებთ. თქვენ
თვითონ ვერა ხედავთ, რომ ჩვენი ინ-
ტერესები ერთმანეთს ემთხვევა?

— კარგი, — მივუგე მე, — რა დროს
მოხვალთ?

— შუალამისას.

— კარგი. მგონი ყველაფერზე შეე-
თანხმდით.

— რა ფული გირჩენიათ?

— ასიანები იყოს.

წამოდგა. მე თვალი გავაყოლე. კა-
რებში რომ გადიოდა, ფრენკიმ გაუ-
ღიმა. მისტერ სინგს არც კი შეუხედავს
მისთვის. ქლესა ჩინელი ბრძანდებოდა.
ეჰ, ჩინელო, ჩინელო.

ფრენკი მაგიდასთან მივიდა.

— რაო? — იკითხა მან.

— საიდან იცნობ ამ მისტერ სინგს?

— ჩინელები გადაჰყავს ხოლმე, —
მითხრა ფრენკიმ, — დიდი საქმის კა-
ცია.

— რამდენი ხანია იცნობ?

— ორი წელიწადი იქნება, რაც აქ
არის, — თქვა ფრენკიმ, — აღრე ვიღაც
სხვას გადაჰყავდა. ალბათ მოჰკლეს.

— როცა იქნება, მაგ მისტერ სინგ-
საც მოჰკლავენ.

— მაშ არა და, — თქვა ფრენკიმ, —
ახიც იქნება. დიდ საქმეს ეჭიდება.

— იცოცხლე.

— ძალიან დიდ საქმეს, — თქვა
მან, — მაგისი გამგზავრებული ჩინე-
ლები უკან აღარასოდეს ბრუნდებიან.
სხვა ჩინელები წერილებს მაინც იწე-
რებიან, კარგად ვართო.

— დიდებულია.

— მაგისთანა ჩინელებმა წერა არ
იციან. მარტო მდიდარმა ჩინელებმა
იციან წერა-კითხვა. არც არაფერს ჭა-
მენ. ბრინჯით უღვათ სული. ასიათასი
ჩინელია აქა. მარტო სამი ჩინელი ქალი
ჰყავთ.

— რატომ?

— მთავრობა არ ანებებს.

— შავ დღეში ყოფილან.

— საქმეს გაურიგდი?

— ალბათ.

— კარგი საქმეა. პოლიტიკას ჯო-
ბია. დიდალი ფული იცის, დიდებული
საქმეა.

— ლუდი დალიე, — ვუთხარი მე.

— კი, დეე ცუდ გუნებაზე ხარ?

— აჰ, აღარა, — ვუთხარი მე, —
დიდი საქმე გამოდგა. ძალიან დამა-
ვაოე.

— კარგია, — თქვა ფრენკიმ და ბე-
ჭებზე ხელი მომითათუნა. — შენ რომ
კარგად გხედავ, მეც მიხარია. შენი
კარგა ყოფნის მეტი არაფერი არ მინ-
და. ჩინელები კი საქმეა, ჰა?

— დიდებულია.

— მეც მოვისვენე. — თქვა ფრენკიმ.
ცოტას გაწყდა, არ ატირდა; ძალიან
ნასიამოვნები დარჩა, რომ ყველაფერი
ასე კარგად მოგვარდა. მეც ავიღე და
ბეჭებზე ხელი მოვუთათუნე. ეჰ ფრენ-
კი! ფრენკი!

დილით აგენტთან მივედი და ნებარ-
თვა ვთხოვე. მეზღვაურების სია მომ-
თხოვა, მაგრამ არავენ არა მყავს-მეთქი,
ვუთხარი.

— მარტო აპირებ წასვლას, კაპი-
ტანო?

— დიახ.

— შენს თანაშემწეს რა მოუვიდა?

— ლოთობს.

— მარტო წასვლა ძალიან საშიშია.

— ოთხმოცდაათი მილის გავლას რა
ბევრი რამე უნდა, — ვუთხარი მე, —
ლოთი გინდა გყოლია და გინდა არა.

ნავი სტანდარტ-ოილის მისადგომზე
გადავაყენე და ბენზინით გავავსე ორივე
ავზი. თითქმის ორას გალონს იტევს.
ძალიან კი მიმძიმდა ამდენი ბენზინის
ყიდვა, ოცდარვა-ოცდარვა ცენტად თი-
თო გალონი, მაგრამ ვინ იცის, სად მო-
მიწევს წასვლა.

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

რაც ამ ჩინელს გადავეყარე და ფული გამოვართვი, მოსვენება დამეკარგა. სულ ამ საქმეზე ვფიქრობდი. მთელი დამე თეთრად გავთენე. სან-ფრანცისკოს ნავსადგომში რომ მივბრუნდი, ეღი იქ დამხვდა, მელოდებოდა.

— ჰელოუ, ჰარი, — შორიდანვე მომადახა და ხელი დამიქნია. კიჩოს საბუღალი გადავუვდე და იმანაც ხიმინჯზე მიიბა. მერე ნაგზე ამოვიდა. ჩვეულებრივზე უფრო აწოწილი ჩანდა, უფრო თვალამღვრეული და უფრო მთვრალი. კრინტიც არ დამიძრავს მასთან.

— ხედავ, ჰარი, როგორ გაიძურწა ის ვაჟბატონი, ჯონსონია თუ ვილცა, — მითხრა მან, — ხომ არაფერი გავიგია?

— აქედან დაიკარგე, — ვუყვირე მე, — შხამივით მეზიზღები.

— შენ გგონია, ნაკლებად მაწუხებებს ამბავი, ძამიკო?

— დაიკარგე-მეთქი. უფრო მოხერხებულად გადაწვა სკამზე და ფეხები გაშალა.

— დღეს მივდივართო, ყური მოგვარი, — თქვა მან, — ან კი რა აზრი აქვს აქ ყურყუტს.

— შენ არსადაც არ მიდიხარ.

— რა მოგივიდა, ჰარი? ჩემთან ჩხუბი არაფერ ხეირს არ დაგაყრის.

— რაო? დაიკარგე!..

— ძალიან ნუ გაცხარდები.

ავიღე და სახეში გავუშალე, წამოდგა და ისევ ნავმისადგომზე აბობლდა.

— შე ასე არ მოგეძეოდი, ჰარი, — გამომძახა.

— რას გამიბედავდი! — ვუპასუხე მე, — არსადაც არ წავიყვან. მორჩა და გათავდა.

— სახეში რაღას გამარტყი?

— ჭკუაზე მოგიყვანს.

— რას მიპირებ? აქ დავრჩე და შიმშილით მოგვედე?

— შიმშილით რა მოგკლავს, — ვუთხარი მე, — სარეისო გემზე მოეწყობი. უკან გასაბრუნებელ ფულს გააკეთებ.

— ასე უსინდისოდ რად მექცევი?

— ნეტა შენ ვის მოქცევინხარ სინდი-

სიერად, შე ლოთო?! — შევძახე მშობელ დედასაც არ დაინდობს მართლაც ასე იყო. მაგრამ გული დამწყდა, რატომ გავარტყი-მეთქი! ასეთი გრძნობა მოგიცავს ხოლმე, მთვრალს რომ შემოჰკრავ. მაგრამ ამისთანა საქმეზე ნამდვილად ვერ წავიყვანდი. ძალიანაც რომ მდომოდა, მაინც ვერ წავიყვანდი.

ნავსადგომს დაუყვა. უსაუზმო დღეზე უფრო გრძელი ჩანდა ახლა. მერე მობრუნდა და ჩემკენ გამოემართა.

— იქნებ ორიოდ დოლარი მასესხო, ჰარი!

ავიღე და ხუთდოლარიანი მივეცი, ჩინელისგან აღებული.

— ჩემს დღეში არ შემპარვია ეჭვი, რომ შენ კარგი ძმაკაცი იყავი, ჰარი. ბარემ წამიყვანე.

— ცუდი ფეხი გაქვს!

— შენ დღეს გაცეცხლებული ხარ და ეგ არის, — თქვა მან, — არა უშავს, ძმობილო. მეორედ რომ შემხვდები, გავხარდება კიდეც.

ფული რომ მოიგდო, ფეხს აუჩქარა, მაგრამ რომ ვუყურებდი, მაინც ეკალივით მესობოდა გულზე. ისე მიდიოდა, თითქოს მთელი სახსრები შებრუნებული ჰქონოდა.

„მარგალიტისკენ“ გავსწიე, ვნახე აგენტი, ქაღალდები მომცა, მე ლულზე დავბატიქე. მერე, სასაუზმოდ რომ დავჯექი, ფრენციც შემოვიდა.

— ეს მომცა ვილცამ, გადაეციო, — დახვეული ქაღალდი მომაჩეჩა, გარედან წითელი კანაფით იყო შეკრული. გარეთა ქაღალდი რომ შემოვხსენი, ფოტოსურათი მეჩვენა, ალბათ ვინმემ ჩემი ნავი თუ გადაიღო-მეთქი, ვიფიქრე და გავშალე.

რას ნახავ! მკვდარი ზანგის სურათი იყო. ყელი ყურიდან ყურამდე სულ გამოლადრული და მერე ამოკერილი ჰქონდა, მკერდზე კი ქაღალდი: „ენა-წაგდებულეებს ჩვენ ასე ვუსწორდებით“, ეწერა ესპანურად.

— ვინ მოგცა ეს ქაღალდი? — ვკითხე ფრენცის.



ერთი ესპანელი ბიჭი დამანახვა, ნავსადგომზე მუშაობს ხოლმე, ახლა დახლთან იდგა და საუზმობდა.

— წადი, მოიყვანე.

ბიჭი მოვიდა. ორ ახალგაზრდა კაცს მიეტყ. ასე თორმეტი საათი იქნებოდაო. თუ იცნობო, ჩემზე უკითხავთ, და, კიო, ამას უბასუხნია. ბიჭმა კიდევ აიღო და ფრენკს მისცა, ჩემთვის გადმოსაცემად. ერთი დოლარი აჩუქეს თურმე, უსათუოდ გადაეცეო. კარგად ჩაცმულები იყვნენო, დაასრულა ბიჭმა.

— პოლიტიკა ჩანს, — თქვა ფრენკიმ.

— ჰო, ასეა, — ვუთხარი მე.

— ალბათ, ჰგონიათ, რომ პოლიტიკაში დაასმინე, ამ დილით რომ იყვნენ აქ.

— ჰო, ალბათ.

— გერაფერიშვილი პოლიტიკაა, — დაასკვნა ფრენკიმ, — კარგია, რომ მიღიხარ.

— ხომ არაფერი დაგაბარეს? — ვკითხე მე ესპანელ ბიჭს.

— არა. ეს გადაეცეო, მითხრეს.

— წაგედი, — ვუთხარი ფრენკის.

— გერაფერიშვილი პოლიტიკაა, —

გაიმეორა ფრენკიმ, — ძალიან ცუდი პოლიტიკა.

აგენტის მოცემული ქაღალდები ერთად დაგვეცე. საუზმის ფული გადავიხადე და კაფედან გამოვედი, მოედანს დავეუყვი, ჭიშკარი გავიარე, შვებით ამოვისუნთქე, როცა საწყობებს გავცდი და ნავსადგომზე შევედგი ფესი. რაც გინდა თქვი და კაი შიში კი მაჭამეს იმ ბიჭებმა. ბრიყვები!.. ეგონათ მათ საიდუმლოს სადმე წამოგაყრანტალებდი. რაღა პანჩო და რაღა ეგ ბიჭები. შიში აცოფებთ ხოლმე, და როცა გაცოფდებიან, ვინმე უნდა მოკლან.

ნავზე ავედი და ძრავი ჩავრთე გასახურებლად. ფრენკი ნავსადგომის ბაქანზე იდგა და მე შემომტკბეროდა. ახლაც ყრუ ადამიანის უცნაური დიმილით იკრიბებოდა. მისკენ გავემართე.

— ჰეი, — ვუთხარი მე, — შენც არ ჩავარდე ამ ამბების გამო.

ვერ გაიგონა. იძულებული ვავბდი მეწყვირა.

— ეჰ, ჩემი კარგი პოლიტიკა, — თქვა მან. მერე ნავი ხიმინჯიდან ახსნა.

თ ა ვ ი მ მ ს ა მ ი

ხელი დავეუქნიე ფრენკის, მან საბეული მესროლა. კარჭაპი გავაცურე, უბეში გავედი. ჩემს წინ ინგლისური სატვირთო გემი მიდიოდა — წამოვეწიე და გავუსწარი. მაგრად იყო დატვირთული შაქრით და სულ ჩაქანგებული ჩანდა. კიჩოზე ძვილ, ლურჯ სვიტერში ჩაცმული ღიმონიწუწუნია¹ იდგა; როცა ჩავეუარე, ზემოდან გადმომხედა. ნავსადგური გავიარე, მოროს გავცდი და გეზი კიე უესტიკსკენ დავეიჭირე, ჩრდილოეთით. საჭეს მოვშორდი, საბეული დავახვიე, მერე ისევ მივბრუნდი და გეზი გავასწორე; ჰავანა ჯერ კიჩოს გასწვრივ

ვადამიშალა, მერე კი ჩვენს შორის მთები აღიმართა და თვალს მიეფარა.

თანდათანობით მოროც ვაუჩინარდა, მერე—სასტუმრო „ნაციონალიც“, ხოლო საბოლოოდ კაპიტოლის გუმბათიც დავკარგე თვალთავან. იმ დღესთან შედარებით, როცა ჩვენ უკანასკნელად გავედით სათევზაოდ, ახლა ძლიერი დინება არ ყოფილა, მსუბუქი ზღვაური უბრავედა. ორი სმაკი დავინახე, ჰავანასაკენ მიცურავდნენ: დასავლეთიდან მოდიოდნენ და ამითაც შეატყობდი, რომ დინება ძლიერი არ იყო.

ძრავი გამოვრთე — ტყუილად რად უნდა მეხარჯა ბენზინი. ნავი დინებას

¹ ღიმონიწუწუნია (limey) — ასე, გამოჯავრებით ემახიან ხოლმე ინგლისელ მეზღვაურებს. რომილთაც ცანგის საწინააღმდეგოდ ღიმონის წვეს ასმევენ.

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

მივანდე. რომ დაბნელებდა, გზას მოროს შუქურითაც ადვილად გავიგნებ, ან არა და, შორს თუ გამიტაცა დინებამ, კოხიმარის სინათლეებითაც შეიძლება ადგილსამყოფილის განსაზღვრა და ბაკურანაოსკენ მერე ავიღებ გეზს. ვარაუდით გამოვთვალე, რომ ასეთი დინება დაბნელებამდე თორმეტიოდე მილით წაიყვანდა ნავს ბაკურანაოსკენ და იქიდან კი ბარაკოს სინათლეებითაც შეიძლებოდა გზის გაგნება.

ერთი სიტყვით, ძრავი გამოვრთე და მალა ავედი, რათა ირგვლივ თვალი მომეგლო. ის ორი სმაკილა ჩანდა, რომელთაც დასავლეთისაკენ აედოთ გეზი, ხოლო უფრო მოშორებით — ზღვაზე გადმომხობილი კაპიტოლის თეთრი გუმბათი. ალაგ-ალაგ წყალზეთ ამოწვერილ ყვითელ მცენარეებსაც შენიშნავდი, ჰაერში კი ფრინველები დასრიალებდნენ, ოღონდ კანტი-კუნტად. ერთხანს ვიჯექი ასე ჯიხურზე და ზღვას ვაკვირდებოდი, მაგრამ თევზი არ შემინიშნავს, გარდა იმ წვრილი მურა თევზებისა, რომლებიც წყალმცენარეების ირგვლივ ირევიან ხოლმე. არავის არ დაუჯერო, ჩემო ძმაო, თითქოს ჰავანა იქვე იყოს კიე უესტთან. რამდენი ხანია გამოვედი და წინ კიდევ რა გზა მედო!

ცოტა ხნის მერე დაბლა ჩავედი კოკპიტში და იქ ედი დამხვდა.

— რა მოხდა? ძრავს რა მოუვიდა?

— გატყდა.

— სარკმელს რატომ არ კეტავ?

— ეჰ, ჯანდაბას! — ვთქვი მე.

იცით, რა უქნია? უკანვე მობრუნებულა, წინა სარკმლიდან გადმომძვრალა კაიუტაში და დაუძინია. თან ორი ბოთლი მოუტანია. პირველივე ბოდეგაში შევიდა თურმე, ეს ორი ბოთლი იყიდა და ნავზე დაბრუნდა. ძრავი რომ ჩაერთე, ერთი გაღვიძება გაეღვიძა, მაგრამ ისევ დაეძინა, ხოლო უბეში რომ გავაჩერე ნავი, რწევა დააწყებინა და ხელახლა გაეღვიძა.

— ვიცოდი, რომ წამომიყვანდი, ჰარი.

— ჯანდაბაში წაგიყვან, — ვუთხარი

მე, — მეზღვაურთა სიაშიც კი არ ხარ შეტანილი. ახლავე გადაგატყუებ ზღვაში.

— შენ ძველი ხუმარა ხარ, — თქვა მან, — გაჭირვების დროს თუ ერთმანეთს მხარში არ ამოვუდექით, რაღა კონჩები ვართ!

— შენა? შენი ენის პატრონი მეუბნები მაგას? მტერი მოგენდოს, ენად თუ გაიკრიფე!

— მე ნაღდი კაცი ვარ, ჰარი. ერთი გამომცადე და ნახე, რა ნაღდი კაცი ვარ.

— ეს ბოთლები აქ მომეცი, — ვუთხარი მე. სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი.

ბოთლები მომაწოდა, და მე გახსნილი ბოთლიდან მოვსვი, მერე ძირს დავაწყვე, საჭესთან. ედიც იქვე იდგა. გადავხედე. შემეცოდა. თავიდან უნდა მომეშორებინა, სხვა გზა არ მქონდა, და ამიტომაც შემეცოდა. ეჰ, პირველად რომ გავიცანი ედი, მაშინ კაცური კაცი იყო.

— ნავს რა მოუვიდა, ჰარი?

— არაფერიც არ მოსვლია.

— მაშ რა მოხდა?.. რას მომაშტერდნი?

— ძმობილო, — ვუთხარი მე და ისევ სიბრალულმა წამომიარა, — ცუდად არის შენი საქმე, მტრისას!

— რას მიპირებ, ჰარი?

— მე თვითონ არ ვიცი, — ვუთხარი მე, — ჯერ არ მომიფიქრებია.

ერთ ხანს ასე ვისხედით, სულაც არ მეხალისებოდა მასთან საუბარი. ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო და მიმძიმდა გამოლაპარაკება. მერე დაბლა ჩავედი და დგუშინი თოფი და ოცდაათ-ყალიბრიანი უინჩესტერი ამოვიტანე — ქვემოთ ვინახავდი ხოლმე, კაიუტაში, ახლა წამოვიღე და, ბოხჩები არც კი გამიხსნია ისე, ჯიხურზე ჩამოვკიდე, ზედ საჭესთან, საცა ანკესებს ვკიდებთ ხოლმე. ასე უფრო ადვილად მივწვდებოდი. ფარფაშა ბოხჩეში მიდევს, შიგნით მატყლი აქვს გამოკრული და ეს მატყლი მუდამ ზეთით არის გაქლენთილი. ასე თუ არ ქენი, ჟანგს მოიკიდებს იარაღი გემზე.

თოფს დგუში გავუსინჯე, რამდენ-
ჯერმე მოვუშვი და ისევ დავამარე, მე-
რე კი გავტენე. უინჩესტერსაც პირში
მივეცი ერთი ტყვია, სავაზნე კოლო-
ფიც კარგად გავტენე. მერე ნაალი-
დან ოცდათვრამეტყალიბირიანი სმი-
თ-ვესონი გამოვაძვრე, გავწმინდე, გავზე-
თე, გავტენე და ქამარზე ჩამოვიკიდე.
მაიამის პოლიციაში რომ ვმუშაობდი,
იქიდან შემომჩა ეს რევოლვერი.

— რა მოხდა? — მკითხა ედიმ, —
გამაგებინე მაინც, რა ჯანდაბა მოხდა?
— არაფერიც არ მომხდარა.
— მაშ ეს იარაღი რა ჯანდაბად
გინდა?!

— მუდამ თან არ დამაქვს გემზე ია-
რადი?.. ხან ჩიტებს ვესვრი, საქნიერებს
თუ დაუწყეს წიწკნა, ხან ზვიგენი გა-
მოჩნდება, ან იქნება კუნძულებს შორის
კრეისერობის დროს დამჭირდეს.

— რა ჯანდაბა მოხდა? — არ მეშვე-
ბოდა ედი, — რა მოხდა?

— არაფერიც არ მომხდარა, — მი-
ვუბნე მე. იქვე ვიჯექი, კარჭაპის რწვევი-
საგან ჩემი ძველი სმი-თ-ვესონი ბარძაყ-
ზე მიტყაპუნებდა. ედის შეეყურებდი

და ვფიქრობდი — ახლა რა აზრი აქვს,
იქნებ კიდეც დამჭირდეს.
— პატარა საქმე გამოგვიჩნდა,
ვუთხარი მე, — ბაკურანაოში. როცა
დრო მოვა, მე თვითონ გეტყვი, რა უნდა
გააკეთო.

წინასწარ ყველაფერის თქმას მოვერი-
დე — შეწუხდება, დაფრთხება და მერე
მორჩა, აღარაფერში არ გამოგადგება.

— ჩემზე უკეთესს ვერავის ვერ იშო-
ვი, ჰარი, — თქვა მან, — სწორედ ჩე-
მისთანა კაცი გჭირდება. მუდამ შენთან
მიგულე.

შეგხედე ამ აწოწილ, თვალამღვრე-
ულ, მოყანყალეზულ მანწნწალას, მაგ-
რამ თქმით არაფერი მითქვამს.

— მოიხედე, ჰარი, — მითხრა მან, —
ერთი ყლუპი მაინც მომასმევი. კან-
კალი არ დამაწყებინოს, მეშინია.

მივეცი ბოთლი. ვისხედით ასე და
დაღამებას ველოდით. დიდებული სანა-
ხავი იყო მზის ჩასვლა, თან საამურჩ
სიოც ჰქროდა. მზე რომ ჩაეგენა, ძრა-
ვი ჩავრთე და კარჭაპი მძიმედ გავაცურე
ნაპირისაკენ.

თ ა ვ ი მ ი ო თ ხ ი

ნაპირიდან ერთი მილის დაშორებით
გავჩერდი სიბნელეში. მზის ჩასვლას
დინების გაძლიერება მოჰყვა და შეე-
ნიშნე, რომ მიმართულება შესცვლოდა
დინებას. დასავლეთით, კარგა შორს,
მოროს შუქურა ელავდა, ჰავანაც დაი-
სის ციაგში გახვეულიყო. ჩვენს პირდა-
პირაც ციმციმებდა სინათლეები, ეს იყო
რინკონი და ბარაკოა. მანამ ბაკურანა-
ოს გავცდებოდი და კოხიმარს მივუახ-
ლოვდებოდი, კარჭაპი დინების საწინააღ-
მდეგო მიმართულებით მიჰყავდა, აქედან
კი დინებას მივაცოლე. კარგა მაგრად
ბნელოდა, მაგრამ ჩვენს ადვილსამყო-
ფელს შეუტვლომლად გეტყოდით. ერთი
სინათლეც არ მენათო კარჭაპზე.

— ჰარი, მითხარი მაინც რა ხდე-
ბა? — ედის ისევ იპყრობდა შიში.

— შენ როგორ ფიქრობ, რა ხდება?
— რა ვიცი, — თქვა მან, — მე კი და-
მაფეთე და. — ჰა და ჰა, ეტყობოდა
ისევ აიტანდა კანკალი და, როცა მომი-
ახლოვდა, მისი სუნთქვაც ვიგრძენი, კა-
კაჩას სუნი ასდიოდა.

— რა დრო იქნება?
— წავალ, ვნახავ, — თქვა მან. მა-
ლევე მობრუნდა, ათის ნახევარიო,
თქვა.

— გშია? — ვკითხე მე.
— არა. ხომ იცი, რომ ასე ვერა
ვჭამ, ჰარი.

— კარგი, ერთი კიდეც მოსვი.
ახლა როგორღა ხარ-მეთქი, ვკითხე,
როცა მოსვა. კარგად ვარო.

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი



— ცოტა ხნის მერე კიდევ დავალე-
ვინებ, — ვუთხარი მე. — გიცნობ, რა
ვაქკაციც ბრძანდები: თუ არ შეთვერი,
შიშით სული გავძვრება. მაგრამ დასა-
ლევიც რომ ბევრი აღარა გვაქვს. რას
იხამ, იოლას უნდა გახვიდე.

— მითხარი მაინც, რა უნდა გავაკე-
ოთო.

— მოიხედე, — ღაფიწყე მე იმ სიბ-
ნელეში, — ბაკურანაოში უნდა ჩავი-
დეთ და იქიდან თორმეტი ჩინელი წა-
მოვიყვანოთ. შენ საქესთან უნდა დად-
გე, როცა განიშნებ, და, რასაც გიბრძა-
ნებ, ყველაფერი უნდა გააკეთო. ჩავს-
ხამთ იმ თორმეტ ჩინელს და მაშინვე
კაიუტაში დაეამწყვდევთ. ახლა წადი და
წინა სარკმელი დაკეტე გარედან.

წავიდა. ხომ სიბნელე იყო, მაგრამ
მაინც გავარჩიე მისი ჩრდილი. მობრუნ-
და თუ არა, მაშინვე მთხოვა:

— ჰარი, არ შეიძლება ახლავე მოვ-
სება?

— არა. მე მინდა ცოტააი გაგამხნეოთ
სასმელმა; სულ თუ მოიჩვართე, რილას
მაქნისი იქნები?!

— მე ნაღდი კაცი ვარ, ჰარი. შენ
თვითონ ნახავ.

— შენ ლოთი ხარ, — ვუთხარი
მე. — მოიხედე. აქ ერთი ჩინელი უნდა
მოვიდეს და ის თორმეტი კაცი მოიყვა-
ნოს. ფულის ერთ ნაწილს წინასწარ
მომცემს. დანარჩენს — როცა ხალხს
ჩავსხამთ, მერე. თვალი კარგად გემი-
როს, როცა დაინახავ, მეორე ნაწილსაც
მაძლევს, კარჭაბი მაშინვე დასძარი და
ზღვაში გადი. რაც არ უნდა მოხდეს,
ყური არ ათხოვო. გააქანე და გაა-
ქანე კარჭაბი, რაც არ უნდა მოხდეს. გაი-
ზე?

— გავიგე.

— კაიუტიდან გამოხტომა თუ მოინ-
დომოს რომელიმე ჩინელმა, ან სარკმლი-
დან გადმოძრომა, მაშინვე დგუშინ
თოფს დასტაცე ხელი და უკანვე შეაბრუ-
ნე. დგუშინი თოფის ხმარა ხომ იცი?

— არა, მაგრამ მასწავლე.

— ვერ დაიხსომებ. არც უინჩესტრის
ხმარა იცი?

— ფეხი უნდა გამოვეშალო და გავის-
როლო!

— სწორი ხარ, — ვუთხარი მე. —
ოლონდ ფრთხილად, კარჭაბის კორპუსს
არ მოახვედრო.

— ბარემ ერთი ყლუბი კიდევ მოგეს-
მევიწებინა.

— კარგი, მოსვი.

მართლაც დავალევი. ვიცოდი, რომ
აღარ დათვრებოდა ახლა. შიში გაუ-
ქარწყლებდა სიმთვრალეს. მაგრამ ცოტა
ხნით ხომ იმოქმედებს ყოველი ყლუბი
როცა მოსვა, სიხარულით წამოიძახა,
თითქოს ძალიან ბედნიერი ყოფილიყოს
ამით:

— მაშ ჩინელები მიგვყავს! სულ ამას
გავიძახი, ღმერთმანი: საქმე რომ ცუ-
დად წამიგვა, ჩინელების გადაზიდვას და-
ვიწყებ-მეთქი.

— როდის წავსვლია საქმე ცუდად,
ჰა? — ვუთხარი მე. რაც გინდა თქვი და,
დიდი სასაცილო კაცი კი იყო.

ათის ნახევრამდე სამჯერ კიდევ და-
ვალევი გულის გასამაგრებლად. უნდა
გენახათ, რა სასაცილო იყო, ვუყურებდი
და გულს ვაყოლებდი. არ მიფიქრია, ამ-
დენი ლოდინი თუ დამჭირდებოდა. რომ
დაბნელებმა, გავალ, სინათლის ზო-
ნას გავცდები და, ნაპირის გასწვრივ,
კოხიმარისკენ გავწევ-მეთქი, ვფიქრობდი.

თერთმეტს ცოტადა აკლდა, როცა
კონცხზე ორი სინათლე შევნიშნე. ცოტა
დავიცადე და ნელა დავძარი კარჭაბი
ნაპირისაკენ. ბაკურანაო პატარა ყურეა,
ადრე აქ დიდი ნავსადგომი ჰქონდათ
მოწყობილი, სილას ეზიდებოდნენ. პა-
ტარა მდინარე ერთვის აქ ზღვას და წვი-
მების დროს შესართავს ერთიანად
ამოსილავს ხოლმე. ზამთრობით ჩრდი-
ლოეთის ქარი მოაყრის და მოაყრის სი-
ლას და ერთიანად ჩაეკეტავს მდინარეს.
უწინ შხუნები მოჰყავდათ აქ და მდინა-
რიდან ტვირთავდნენ guavas-ათი, აქ-
ვე ქალაქიც იყო გაშენებული. მერე
ქალაქი გრიგალმა დაანგრია და ახლა
სულ მოსწორებულია იქაურობა, ერთი



სახლიდა დგას, გალეგოებმა ააშენეს გრიგალისაგან დანგრეული ქოხმახების მასალით და კლუბივით იყენებენ. წამოვლენ კვირაობით ჰავანიდან დროს სატარებლად და ბანაობენ და ქეიფობენ. მეორე სახლიც დგას, აგენტი ცხოვრობს შიგ, მაგრამ ეს სახლი უფრო მოშორებითაა ნაპირიდან.

ამისთანა ადგილებში, მთელი სანაპიროს გაყოლებაზე, სულ აგენტები უდგათ, მაგრამ, მე მგონი, ჩინელი მასთანაც იქნებოდა მოლაპარაკებული, ის კი არა და, ნავსაც ის ათხოვებდა. უბეში რომ შევედით, ერთბაშად მეცა ზღვის ყურძენასა და ბუჩქების ტკბილი სუნი, რაც მუდამ ხმელეთიდან მოდის ხოლმე.

— წინ გახედე! — გავძახე ედის.
— აქ არაფერს არ წამოედები, — მიპასუხა მან, — რიფები იქითა მხარესაა, ზედ შესასვლელში. — ხომ ხედავთ, რა ბიჭი ყოფილა ერთ დროს!

— ყურადღებით იყავი, — ვუთხარი მე და კარჭაპი იქითკენ მივმართე, სადაც ისინი ნამდვილად დაგვიჩინახავდნენ. მიქცევა არ ყოფილა და ძრავის გუგუშს ადვილად გაიგონებდნენ. ზღვაში ყურყუტს და იმის ვარაუდს, შეგვნიშნეს თუ არა-მეთქი, ვერიდებოდი, ამიტომ წამიერად სინათლეები ავანთე — წითელიცა და მწვანეც — და ხელადვე ჩავაქრე. მერე კარჭაპი შევატრიალე და ცოტაზე უკანვე გავბრუნდი. ზედ უბის ყელთან გავჩერდი, ძრავი კი არ გამომირთავს, ისევ ვაგუგუშებდი. დიდი დღევა არ ყოფილა, ოდნავ გვარწევდა.

— აქ მოდი, — გავძახე ედის და ამჯერად კარგა მაგრად მოვასმეინე.

— ჩახმახი ადრევე უნდა გადმოვწიო ცერით? — ჩურჩულით მკითხა. ახლა უკვე საჭესთან იჯდა, მე ხელი გადავწიე, ორივე ბოხჩა გავხსენი და ტარები ექვსიოდე გოჯზე ამოვაცურე.

— ჰო.
— ჰოი, ბიჭო! — შესძახა მან. საოცარი კი იყო, რა დიდებულად

მოქმედებდა სასმელი და ისიც სწრაფად.

იქვე ვიდექით, როცა ბუჩქებს მივყავართ აგენტის სახლში, სინათლეს მოვჰკარი თვალი. ის ორი სინათლე კი, კონცხზე, ერთი პირობა გაქრა, მერე ერთ-ერთმა კონცხის იქითა მხარეს გაიელვა. ეტყობა, მეორე ჩააქრეს.

ცოტა ხნის შემდეგ, ვხედავ, ნავი გვიახლოვდება, ნიჩბებით მოაცურებს ვილაც. ამას ნავის თავისებურ რწევებზე მივხვდი. ისიც აშკარად ეტყობოდა, რომ დიდი ნიჩბები იყო. ძალიან გამეხარდა: რაკი კიჩოს დიდი ნიჩბები იყო, უსათუოდ ერთი მენავე იქნებოდა.

დაგვიპირდაპირდნენ.
— სალამო მშვიდობისა, კაპიტანო, — გამომძახა მისტერ სინგმა.

— კიჩოთი მოაცურეთ და ზედ მოეკვრება კარჭაპს, — ვუთხარი მე.

მისტერ სინგმა რაღაც გადაულაპარაკა მენავე ბიჭს, მაგრამ ბიჭმა ვერ მოახერხა ნავის უკანსვლით წამოყვანა; ავდექი და პლანშირს ვტაცე ხელი, კიჩოსთან მოვაცურე. რვა კაცი იჯდა ნავში — ექვსი ჩინელი, თვით მისტერ სინგი და მენავე ბიჭი. მანამ წახრილი ვიყავი და ნავს ჩემსკენ ვჭაჩავდი, სულ თავში ჩარტყმას ველოდი, მაგრამ არა. გავიმართე და მისტერ სინგს საშუალება მივეცი კიჩოს ჩაფრენოდა.

— აბა, ერთი ვნახო, როგორია, — ვთქვი მე.

მისტერ სინგმა ფულის შეკვრა გადმომცა. საჭესთან მივბრუნდი, საცა ახლა ედი იჯდა, და ნავტუისის სანათური ავანთე. გაფაციცებით დავათვალიერე შეკვრა. რიგიან-პირიანად მეჩვენა ყველაფერი და ისევ ჩავაქრე სინათლე ედი კანკალს აეტანა.

— მიდი, დალიე, — ვუთხარი მე. ბოთლს გადასწვდა და მოიყუდა.

ისევ კიჩოსთან მივედი.

— კარგი, — ვუთხარი მე სინგს, — ამოვიდეს ეს ექვსი.

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

მისტერ სინგი და კუბელი მენავე თავიანთ ნავს ჩააფრინდნენ, რომ ჩვენსას არ მოჯახებოდა. დიდი ღელვა არ ყოფილა, მაგრამ მაინც საშუაში იყო. მისტერ სინგმა ჩინურად უთხრა რაღაც თავის ხალხს და მათაც კარჭაპზე ამოდრომა დაიწყეს.

— თითო - თითოდ! — გავაფრთხილე მე.

მისტერ სინგმა ისევ გადაულაპარაკა რაღაც ჩინურად, და ახლა რიგ-რიგობით იწყეს ამოსვლა. სულ სხვადასხვა სიმაღლისა და მოყვანილობის ხალხი იყო.

— ბანზე გაიყვანე, — ვუთხარი ედის.

— აქეთ, ბატონებო, — წაუძღვა ედი. იცოცხლე, კარგა ბლომად გადაუყლურწავს ამჯერად.

— კაიუტა გადაკეტე! — ვუთხარი მე, როცა ყველანი შელაგდნენ.

— ახლავე, სერ.

— დანარჩენებსაც მალე მოვიყვან, — თქვა მისტერ სინგმა.

— ოკეი, — ვუთხარი მე.

ნავს ხელი ვკარი და ბიჭმა ნიჩბები მოუსვა.

— მოიხედე, — გავძახე ედის, — მოეშვი მაგ ბოთლს, გული საკმაოდ გამაგრებული გაქვს.

— ოკეი, უფროსო.

— რა მოგივიდა?

— ამას რა სჯობს, — თქვა ედიმ, — ასე უნდა გადმოსწიო, არა, ცერით?

— აი, შე ლოთო-ფოთო! მეც მომავლიდე ეგ ბოთლი.

— აღარაფერი დარჩა, — თქვა ედიმ, — მაპატიე, უფროსო.

— მოიხედე. ახლა დიდი ყურადღება გმართებს: გადმომცემს ოუ არა ფულს, მაშინვე უნდა დასძრა ჩვენი ნავი.

— ოკეი, უფროსო.

მეორე ბოთლს დაგწვდი, კორპასადრობი მოვიმარჯვე და საცობი ამოვიღე. კარგა ბლომად მოვსვი, საცობი მაგრად დავუყავი, ბოთლი ორი წყლიანი ბოცოს უკან ჩავდგი და კიჩოსკენ გავბრუნდი.

— აჰა, მისტერ სინგიც, — გავძახე ედის.

— დიახ, სერ.

ნავი კვლავ ჩვენსკენ მოცურავდა. მოაყენეს კიჩოს და მისტერ სინგმა კიჩოზე დამაგრებულ გორგოლაქს ჩასჭიდა ხელი, რითაც ჩვენ დიდ თევზს ვითრივეთ ხოლმე გემზე.

— ამოვიდნენ! — ჩავძახე მე, — სათითაოდ.

ჩინელების ახალი პარტია ამოჰყვა კიჩოს და ბანზე ამოვიდა ექვსი კაცი, ოლონდ ამჯერად ერთი ზომისანი.

— გააღე და გაუძეხი, — ვუთხარი ედის.

— ახლავე, სერ.

— კაიუტა გადაკეტე.

— დიახ, სერ.

უკვე საჭესთან იდგა ედი.

— აჰა, მისტერ სინგ, — ვუთხარი მე, — დანარჩენიც ვნახოთ.

სინგმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და ფული გამოიწოდა. ფულთან ერთად მაჯაც ჩავბლუჯე მისი, ხოლო როცა კიჩოზე შემოდგა ფეხი, მეორე ხელით ყელში ვწვდი. ვიგრძენი, როგორ დაიძრა ნავი და დგაფუნით მოშორდა ჩვენს კარჭაპს; ისე მყავდა ჩაბლუჯული მისტერ სინგი, რომ თითქოს სხვა აღარაფრის თავი არ უნდა მქონოდა, მაგრამ მაინც გავხედე კუბელ ბიჭს, რომელიც ნავის კიჩოზე იდგა და ხელში ნიჩბები ეჭირა. ამასობაში ჩვენც დავიძერიოთ და მისტერ სინგის ჯაჯგურსა და სხმარტალში იჭაურობას გავეცალეთ. ისე სხმარტალეზა და ძიგძიგობდა, რომ ბარჯას გამოდებული დელფინი შემირცხვენია. მკლავი ზურგს უკან გადავუგრხიე, მაგრამ ისე მაგრად მომივიდა, რომ ერთბაშად გადაუტყდა, უცებ რაღაც სასაცილო ხმა გაიღო და გამოიწია, ბექში ჩამარტო კბილები, თუმცა ცალი ხელი ისევ ყელში მქონდა მისთვის ჩაჭლობილი. როცა ვიგრძენი, მკლავი მოწყდა-მეთქი. ხელი ვუშვი და ახლა ორივე ხელით ვწვდი ყელში. ჰოი, ბიჭო, რას აფხაკურდა ეს შენი მისტერ სინგი! თევზივით

სხმარტალებდა მკლავმოწყვეტილი კაცი. მაინც ვძლიე და დავაჩოქე, თითები ლაყურებში გავუყარე და უკან გადავზინიქე, ტკაცანი გავაღებინე. ერთის წამით ასე მიჭირა, გადაზნექილი, მერე ავიღე და კიჩოზე გავაწვინე. იწვა ასე, პირადმა, გაშეშებული, მშვენიერ ტანსაცმელში გამოწყობილი, ფეხები კოკპიტში ჰქონდა ჩაკიდული.

იქვე მივატოვე, ფული მოვკრიფე, ნატუოზთან მივედი, სანათური ავანთე და დავთვალე. მერე საჭესთან გადავინაცვლე, ედის გავძახე, კიჩოს ქვეშ რკინის ნატეხები მომიძებნე-მეთქი. ამ რკინებს ღუზად ვხმარობდი ხოლმე, როცა მეჩეჩიან ადგილებში ვთევზაობდი, ქვიან ფსკერზე ღუზის გამეტება მიჭირდა.

— რას ვიპოვენი! — თქვა მან. მისტერ სინგის სიახლოვეს გავლისა ეშინოდა.

— მაშ, საჭესთან მოდი, — ვუთხარი მე, — ღრმად შეაცურე ზღვაში.

ქვემოდან საშინელი ხმაური ამოდიოდა, მაგრამ იმათი შიში არა მქონდა.

ვიპოვენი, რასაც ვეძებდი — ტორტუგასის ნავსადგომიდან წამოღებული ორი რკინის ნატერი. თოკის ნაკლეჯი ავიღე და ეს რკინები მისტერ სინგს კოჭებზე მივაკარი საგულდაგულოდ. ორი მილის სიღრმეზე რომ შევედით ზღვაში, ავწიე და წყალში ჩავუშვი, გორგოლაჭზე ჩავაცურე. ჯიბეები არც კი მომიჩხრეკია, რა სასიამოვნო იყო მის ჯიბეებში ხელის ფათური.

კიჩო ცხვირ-პირიდან გამონადენი სისხლით გასვრილიყო. ვედროს დავწვდი და წყალი ამოვიღე, კინალამ მეც ზღვაში გადავიყარე. კიჩოს ქვემოდან ცოცხი გამოვაძვრე და სისხლის კვალი სულ გადავრეცხე.

— შეანელე სვლა, — გავძახე ედის.

— რომ ამოტივტივდეს?

— ამ ადგილებში შეიდასი ფათომის სიღრმე აქვს ზღვას, — ვუთხარი მე, — ახლა ალბათ ფსკერისკენ ეშვება. პატარა გზა ხომ არ გგონია, ჩემო ძმაო. ხანამ გაზით არ გაიბერება, არც ამოტივ-

ტივდება, მანამდე კი დინება გაიტაცებს და თევზებს საქნიერად გამოადგება. მოემზადე ერთი, ნეტა რას მისტიროს მგ მის ტერ სინგს!

— რას ერჩოდი? — მკითხა ედიმ.

— არაფერს, — ვუთხარი მე, — მაგისთანა რბილი ხასიათის კაცს ჯერაც არ შევხვედრივარ. მაგრამ სულ ის მიჩვენებოდა, საქმე საქმეზე ვერ მოდის-მეთქი.

— რად მოჰკალი?

— ან ის უნდა მომეკლა და ან ეს თორმეტი ჩინელი.

— ჰარი, — თქვა მან, — კიდევ უნდა დამალევიანო, თორემ გული მეზიდება. რომ დავინახე, თავი როგორ უყანყალებდა, გული კინალამ ამერია.

რალა უნდა მექნა. ავიღე და დავალევიანი.

— ამ ჩინელებს რას უბირებ?

— რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვიშორო თავიდან, — ვუთხარი მე, — მანამ სულ აუმყრალეზიანთ კაიუტა.

— სად უნდა წაიყვანო?

— გრძელ მეჩეჩზე გადავსხათ, — ვუთხარი მე.

— მაშ მივაბრუნო ნაპირისკენ?

— მიაბრუნე, — ვუთხარი მე, — ოღონდ ნელა.

ნელა მივცურავდით წყალში ჩამალული რიფის თავზე, ბოლოს მეჩეჩამაც გაიელგა. ეს რიფი კარგა ღრმად არის ზღვაში გაწოლილი, იმის გადაღმა კი ქვიშიანი ფსკერი დამრეცად მიიწევს ნაპირისაკენ.

— ერთი, წინ გადადი და სიღრმე მაჩვენე.

კეტით ზომავდა წყლის სიღრმეს და მანიშნებდა უფრო წინ მევლო. მერე მობრუნდა და, შეაჩერეო, მანიშნა. მე კიჩოთი მივაბრუნე კარჭაპი.

— ხუთიოდე ფუტი იქნება.

— ღუზა უნდა ჩავუშვათ, — ვუთხარი მე, — თუ ღმერთი გაწყრა და ღუზის ამოღება ვეღარ მოვასწარიო, ჯაჭვს გავწყვეტო. — ედი ნელ-ნელა უშ-

ერნესტ ჰემინგუეი

ჰარი მორგანი

გებდა დაჭიმულ ჯაჭვს, ხოლო როცა მოფამფალდა, აიღო და დაამაგრა. კარჭაპი კიჩოთი მიადგა ნაპირს.

— ნაპირი სილიანია, ხომ იცი, — მითხრა მან.

— კიჩოს ქვეშ რა სიღრმისა იქნება წყალი?

— დიდი-დიდი ხუთი ფუტი.

— თოფი აიღე, — ვუთხარი მე, — და ფრთხილად იყავი.

— ერთი კიდევ მომასმეინე, — თქვა მან. მაგრად შეშინდა.

დავალეინე და დგუშოიანი თოფი ჩამოვიღე — მერე კაიუტის კარი გამოვადე და ვთქვი:

— აბა, გამოდით!

არც განძრეულან.

მერე ერთმა ჩინელმა გამოიჭყიტა, თოფი დაუნახა ხელში ედის და უკანვე შერგო თავი.

— გამოდით. კაცი ხელს არ გახლებთ, — შევძახე მე.

თქვენც არ მომიკვდეთ. ოღონდ ერთმანეთში ატატყანდნენ ჩინურად.

— გამოდით, პეი! — შესძახა ედიმ. ღმერთო ჩემო, ეტყობოდა, კიდევ გადასწვდა ბოთლს.

— ბოთლი ადგილზე დადე, თორემ ახლავე გადაგაგდებ ნავიდან. — ვუყვირე მე. — აბა, გამოდით, — მივუბრუნდი ისევ ჩინელებს, — გამოდით, თორემ გესვრით.

კიდევ გამოიჭყიტა ერთმა და, ეტყობოდა, მეჩჩის მოპკრა თვალი, რადგან ხელადვე კბილების კაწკაწი დააწყებინა.

— გამოდით, — გავუშეორე მე, — თორემ გესვრით!

ნელ-ნელა დაიძრნენ.

მართლა გარეწარი უნდა იყო კაცი, რომ ეს უბედურები ამოჟუჟო; სანაძლეოს ჩამოვალ, მართო სადავიდარაბო საქმე კი არ იქნებოდა ეს, თავში საცემიკ გაგვიხდებოდა.

სულ გამოლაგდნენ, შიშით სული სძვრებოდათ. თოფები არა პქონიათ, მაგრამ თორმეტი კაცი იყო. მე კიჩოსკენ დავიხიე, თოფმომარჯვებულმა.

— გადახტით, — შევძახე წყალი არც კი დაგვარავთ.

არც განძრეულან.

— გადახტით-მეთქი!

არც განძრეულან.

— აბა, თქვენ ყვიციანო თავგვიჭამებო, — დასჭყივლა ედიმ, — ჩქარა გადახტით.

— მოკეტე, ლოთო, — გავუჯავრდი მე.

— ცურვა არ გიცი, — თქვა ერთმა ჩინელმა.

— ცურვა რად გინდა, — ვუთხარი მე, — სულ არ არის ღრმა.

— ჩქარა, გადახტით, — არ ეშვებოდა ედი.

— შენ კიჩოზე გადი, — გავძახე ედის, — ცალ ხელში თოფი გეპიროს. მეორეში კეტი. აჩვენე ერთი, რა სიღრმისაა.

დასველებული კეტი წყლიდან ამოსწია და აჩვენა.

— ცურვა არ გინდა? — მკითხა იმავე ჩინელმა.

— არა.

— მართლა?

— მართლა.

— ჩვენ სადა ხარ?

— კუბაში.

— შენი თაღლითი! — თქვა მან და გადაძვრა, ჯერ ხელებით დაეკიდა გემის კიდეს და მერე ჩახტა. ჩაყვინთა, მაგრამ მალევე ამოსწია თავი — წყალი ნიკაპამდე წვდებოდა. — შენი თაღლითი! — თქვა მან, — საზიზღარი თაღლითი!

გაცოფებულს გული მოსცემოდა. რალაც ამოსძახა თავისიანებს ჩინურად, და დანარჩენებიც გადახტნენ.

— აბა, — ვუთხარი ედის, — ლუზა ამოზიდე.

ზღვაში რომ შევედით, მთვარე ამოიწვერა. ჩინელებს თავი წყლიდან ამოეყოთ და ნაპირისაკენ მიემართებოდნენ. მეჩჩი თეთრად ელაგდა, გადაღმა კი ბუჩქნარი მოსჩანდა.

გავცდით რიფს და ერთხელ კიდევ მივიხიე ნაპირისაკენ — მეჩჩის გადაღ-



მა ახლა მთებზე წამოიშარა. კარჭაპი შევებრუნე და გეზი კიე უესტისკენ ავიღე.

— დაიძინე, თუ გინდა, — ვუთხარი ედის, — თუმცა არა, დაიცა, დაბლა ჩადი და სარკმლები დააღე. განიადღეს, მყრალი სუნი გავიღეს, თან იოდის წამოიღე.

— რა მოგივიდა? — მკითხა როცა იოდის მომიტანა.
— თითი გავიჭერი.
— გინდა, მე დაგჯღები საჭესთან.
— შენ დაიძინე, მე გაგაღვიძებ.
იქვე გაწვა, კოკბიტში, ზედ ბენზინის ზაკთან, და მალე ჩაეძინა კიდეც.

თ ა ვ ი მ ი ხ უ თ ი

საჭეს მუხლი მივაბჯინე, პერანგი გავიხსენი და მისტერ სინგის ნაკბენს დავხედე. მაგარი ნაკბენი იყო და იოდის წავიცხე, მერე, საჭეს რომ მივებრუნდი, ფიქრი ამეკვიატა — ჩინელის ნაკბენი კაცს ხომ არ მოწამლავს-მეთქი. ვიჯექი, საჭეს ვმართავდი, ყურს ვუგდებდი, როგორ ლაღად და საამურაღ მიაპობდა კარჭაპი წყალს, როგორ ეტყლამუნებოდა ზვირთები მის კედლებს, და საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ არა, რა ჯანდაბას დამაკლებს, ამ ნაკბენმა როგორ უნდა მომწამლოს-მეთქი. მისტერ სინგისნაირი ხალხი დღეში ალბათ ორ-სამჯერ იხეხავს კბილებს. ეჰ, მისტერ სინგ! დიდი საქმოსანი ვერ გამოდგა. თუმცა ვინ იცის. იქნებ მე მომენდო. მართალი თუ გინდათ, ახლაც არ ვიცი, რა კაცი იყო.

მორჩა, სულ უბრალოდ მოხდა ყველაფერი. ოღონდ ედის რა მოვუხერხო?! ლოთია, ერთი რომ გადაჰკრას, ყველაფერს დაროშავს. საჭეს ვმართავდი, ედის ვაღავეხედავდი ხოლმე და ვფიქრობდი: ჯანდაბას, რაღა მაგისთანა სიცოცხლე და რაღა სიკვდილი, მეც ხელფები გამეხსნება. გემბანზე რომ დავინახე, მაშინვე გადავწყვიტე იმქვეყნად გამესტუმრებინა, მაგრამ მერე, როცა ასე კარგად წარიმართა ყველაფერი, გულმა აღარ მომცა. ახლა კი, ასე გაშხლართულს რომ შევხედე, კვლავ იმძლავრა ცოუნებამ. მაგრამ ევეც გავიფიქრე, რად უნდა გავიფუჭო საქმე, ისეთი რამე რად უნდა ვქნა, რაც შემდეგ სანანებელი გამიხდება-მეთქი. მერე ისიც მომაგონდა, რომ მეზღვაურთა

სიაში არა მყავდა ჩარჩხული და ჯარიმას გადამახდევინებდნენ; აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი.

დრო, იცოცხლე, ბევრი მქონდა ზოგადი ფიქრებლად, კარჭაპი მთელი სიჩქარით მიცურავდა, მე კი ვიჯექი და ხელს ხშირ-ხშირად გადავუწვდენდი ხოლმე ედის მოტანილ ბოთლს. ბევრი აღარ დარჩენილიყო შიგ და, როცა სულ გამოვწრუპე, ერთადერთი ბოთლია მქონდა შემონახული და ის გამოვიღე. მართალი თუ გინდათ, ძალიან სასიამოვნო იყო საჭესთან ჯდომა, ღამეც დიდებული დადგა. საბოლოოდ კარგად გამიმართლა ამ მგზავრობამ, თუმცა თავიდან კარგი პირი არ უჩანდა და რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა საქმე.

განთიადისას ედის გაიღვიძა, ძაღლის გუნებაზე ვარო, თქვა.

— ცოტა ხანს საჭესთან მოდი, — ვუთხარი მე, — ერთი უნდა გავხედო ირგვლივ.

კიჩოზე გავედი და კიდეც დავასხი წყალი, თუმცა აღარაფერი აჩნდა. ცოცხითაც კარგად მოვფხიკე ფერდი. თოფები ქვემოთ ჩავიტანე, ოღონდ წინასწარ ვაზნებისაგან დავცალე. რევოლვერი კი არ მომიხსნია, ისევ ქამარზე შეკიდა. დაბლა კარგად განიავებულყო ყველაფერი, სუნი სულაც არ იგრძნობოდა. ოღონდ მარჯვენა სარკმლიდან ცოტა წყალი შემოსულიყო და საწოლი დაესველებინა. მეც ავიღე და დავკეტი

ერნესტ ჰემინგუე
პარი მორგანი

სარკმლები. ახლა საიდანაც არ უნდა გამოგეწერათ სასაზღვრო აგენტი, სულ ტყუილია, ჩინელების სუნს აქ ვეღარავინ აიღებდა.

კედელები, ჩარჩოში ჩასმულ ნებართვის ქვეშ, აგენტის მოცემულ ქაღალდებს მოვკარი თვალი. აქა მქონდა ეს ქაღალდები შენახული, ბადეში. ამოვიღე, გადავათვალე რებე-მეთქი, ვიფიქრებრე შემოთ ავედი, ედის ვუთხარი:

— მოიხედე. მეზღვაურების სიაში როგორ მოხვდი?

— აგენტი შემხვდა და, მეც მივღვივარ-მეთქი, ვუთხარი.

— ლოთებს ღმერთი სწყალობთ, — ვუთხარი მე, ჩემი ოცდათვრამეტყალიბრიანი რევოლვერი მოვიხსენი და დაბლა ჩავიტანე.

ქვემოთ ყავა მოვამზადე, მერე ავედი და საჭეს მივუჯექი.

— ჩადი, ყავა დალიე, — ვუთხარი ედის.

— ყავა რას მიშველის, ჩემო ძმაო, — შეგეცოდებოდა. კაცის სახე აღარ ედო.

ასე, ცხრა საათი იქნებოდა, როცა ზედ ცხვირწინ სენდი კიეს შუქურა დავინახეთ. კარგა ხნის წინ ტანკერებიც შევნიშნეთ, უბისკენ მიემართებოდნენ.

— ორი საათის სავალია დაგვრჩა, — ვთქვი მე, — ოთხ-ოთხი დოლარი უნდა გადაგიხადო დღეში, თითქოს იმ ჯონსონს ეხადოს.

— წუხელ რამდენი გააკეთე?

— ექვსასი, მეტი არა.

არ ვიცი, დაიჯერა თუ არა.

— მე წილი არ მიდევს?

— შენი წილი ეგ არის, რაც გითხარჩი. მაგრამ წუხანდელ საქმეზე თუ სადმე სიტყვა დაგცდენია, იცოდე, უსათუოდ გავიგებ და სხვანაირად გაგისწორებ.

— მე რომელი ყბედი მნახე, ჰარი!

— შენ ლოთი ხარ. მაგრამ, რაც არ უნდა გაღეშილი იყო, ამაზე რომ დაგცდეს სიტყვა, მორჩა.

— ხომ იცი, რომ ნაღდი კაცი

ვარ, — მითხრა მან, — ასე რად მე-ლაპარაკები?

— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ეგ შენი სინაღდე ხელადვე გაქრება, — ვუთხარი მე, მაგრამ ედის შიში სულ აღარ მაწუხებდა — ვინ დაუჯერებს?! მე შენ გეტყვი, მისტერ სინგი იჩივლებს, ან ის ჩინელები. ის მენავე ბიჭი რომ ახლდა... აუტიკვარ თავს, რად აიტკივებს! ადრე იქნება თუ გვიან, ედიმ შეიძლება წამოროშოს, მაგრამ ლოს ვინ დაუჯერებს?!

ეგეც რომ არ იყოს, რითი დამიმტკიცებენ? ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა მაშინ გენახა, მეზღვაურების სიაში რომ აღმოაჩენდნენ ედის. კარგად კი გამიმართლა, რა მეთქმის. გემიდან გადავარდა-მეთქი, ვიტყოდი, მაგრამ მაინც ერთ ალიაქოთს ამიტევდნენ. ედისაც გაუმართლა. საერთოდ, კარგად გავვიმართლა.

ამასობაში გოლფსტრიმს მივადექით, ლურჯი წყალი გამწვანდა და უფრო გამჭვირვალე გახდა. გამოჩნდა დასავლეთ და აღმოსავლეთ მშრალ კლდეებზე დამაგრებული ხიმინჯები, კიე უესტსა და კონჩას სასტუმროზე ამართული ანტენები და კვამლის დახვეული ბოლქვები იმ ადგილას, საცა ნავავს წვავენ ხოლმე. სენდ კიეს შუქურა შორს აღარ იყო ახლა, ვხედავდი კიდეც შუქურის ძირში მოწყობილ ნავსაყუდელსა და პატარა დოკს. აქედან უკვე ორმოცი წუთის სავალია იყო. კარგ გუნებაზე დავდექი — შინ ვბრუნდებოდი და საზაფხულოდ კაი ფულიც გამიჩნდა.

— ცოტა არ დაგველია, ედი? — ვთქვი მე.

— ო, ჰარი, — წამოიძახა მან, — ერთხელაც არ შემპარვია ეჭვი, რომ შენ ჩემი ძმაკაცი ხარ.

იმ საღამოს ოთახში ვიჯექი, სიგარას ვაბოლებდი, ვისკის ვწრუპავდი და რადიოში გრეისი ალენს ვუსმენდი. გოგონები კინოში წავიდნენ, ვიჯექი მოსვენებული და თანდათანობით ძილი მომერია. გარეთა კარებზე ვიღაცამ დააკაკუ-



ნა. ჩემი ცოლი, მარი, ადგა და გახედა. მალევე მობრუნდა და მითხრა:

— ის შენი ლოთია, ედი მარშალი. საქმე მაქვსო.

— უთხარი, თავისით წავიდეს, ნუ გამომიყვანს, თორემ კინწის კვრით გავაგდებ.

მარი ისევ შემოვიდა ოთახში და დაჯდა. მე ფანჯარასთან ვიჯექი, ფეხები რაფაზე მქონდა შეწყობილი და გარეთ ვიყურებოდი. ედიმ ჩაიარა. ვიღაც მასავით

ლოთს გადაჰკიდებოდა და ძლივს მობარბაცებდნენ, თაღვან სინათლეში მათი ჩრდილები კიდევ უფრო სასაცილოდ ფართატებდა.

— უბედური ლოთები, — თქვა მარიმ, — მეცოდება ლოთი ხალხი.

— ეგ ბედნიერი ლოთია.

— ლოთის ბედნიერება სადა თქმულა, ჰარი, — თქვა მარიმ.

— მართალი ხარ, მართლაც სად თქმულა!

გაგრძელება იქნება

ინგლისურიდან თარგმნა
ვახტანგ კელიძემ



დიდი მხაფეაი და მოქალაქე



თვის, როგორც დიდი გულისა და სათნო ბუნების ადამიანი, თავისი დროის გამოჩენილი მხატვარი, ეპოქის ღირსეული შვილი და მოქალაქე.

წავიდა ჩვენგან ლეო ქიაჩელი, შესანიშნავი მწერალი, ვისაც ბედმა ესოდენ საინტერესო ხვედრი არგუნა. იგი ერთ-ერთი პირველი იდგა ქართული სოციალისტური კულტურის აკვანთან, როგორც მისი ამავდარი მუშაკი. და მოესწრო ამ კულტურის დავაჟკაცებასაც. როგორც მისი ერთ-ერთი სახელმძღვანელო წარმომადგენელი. ლეო ქიაჩელის ტალანტის სიღიადე გამოვლინდა მის სწრაფვაში — მაღალხატოვანი ფორმით წარმოესახა ქართველი ხალხის ისტორიის უკანასკნელი საეტაპო მოვლენები: მისი რევოლუციური სულის დუდილი („ტარიელ გოლუა“), მისი ახალი ყოფის დამკვიდრება, ახალი ფსიქიკის ზეიმი („გვადი ბიგვა“), მისი რაინდული ბუნება და თავდადება („მთის კაცი“). ქიაჩელმა შექმნა მეტად მდიდარი გალერეა XX საუკუნის ქართველი ადამიანების საინტერესოდ გააზრებული სახეებისა და სამუდამოდ განამტკიცა ისინი მხატვრული სიმართლის სამყაროში.

მისი თვალთახედვის ორბიტში მოექცა ჩვენი ხალხის ცხოვრების ბევრი საყურადღებო მოვლენა, ასე ღრმად შემცნებული და მკაფიოდ ამეტყველებული ორიგინალურ-განუმეორებელი ფე-

შეკვებრის ყინვიანსა და წყნარ ღამეში უშულოთველ ძილს სამუდამოდ მისცა თავი კაცმა, რომელიც ასე მახლობელი იყო თვითეული ჩვენგანისა-

რებით მოხატულ ბევრ ტილოზე. მის შემოქმედებაში მკაფიო ასახვა ჰპოვა ახალი ადამიანის მოსვლამ, ახალი გმირის აქტივიზაციის დიდმა პათოსმა. ძველის მსხვერვის, ახლის განმტკიცების დიადი პროცესი მის მხატვრულ ქმნილებებში წარმოისახა, როგორც აუცილებელი კანონზომიერება საზოგადოებრივი განვითარებისა. ახალი საკაცობრიო იდეალებისაკენ სწრაფვა, პრაქტიკული ხორც-შესხმა ამ იდეალებისა და მისი მხატვრული სამყაროს ეს შინაგანი ერთიანობა განაპირობა მისივე, როგორც მოქალაქის, შემოქმედის, მოღვაწის მთლიანობამ.

იგი იყო დღევანდელი ქართული რომანის გამოჩენილი ოსტატი, ჩინებული თანამედროვე ქართველი ნოველისტი, ლიტერატურის დაკვირვებელი მკვლევარი და ბავშვების საყვარელი მწერალიც. მისი ასე კოლორიტულად გამოხატული გმირები და ხასიათები, რომელთაც მეტად შორეულ თვალსაწიერზე გაიტანეს თანამედროვე ქართველი კაცის სახე და სული, განსაკუთრებით მახლობლნი გახდნენ თვითელი ჩვენგანისათვის. და არა მარტო ჩვენთვის! მკვეთრი კვალი გაავლეს მათ ფრანგი თუ პოლონელი, ინგლისელი თუ ჩეხი, არგენტინელი თუ ინდოელი მკითხველის სულშიც. ტყუილა როდი სახავდა ფრანგი ჟან რუარი ტარიელ გოლუას ისეთ ფიგურად, რომელსაც უნდა მიჰბადონ ფრანგმა გლეხებმა ბრძოლაში, თავდადებაში, სიმტკიცესა და ადამიანის მიერ თავისი საზოგადოებრივი დანიშნულების შეცნობაში.

ლეო ქიაჩელმა, როგორც თავისი ეპოქისა და ხალხის მემკვიდრემ, დიდი მხატვ-


რის გონებით გაიაზრა და აღიქვა ამ ხალხისა და ეპოქის ბედი. თავისი მდიდარი შემოქმედებით მან თქვა — თავისი ხალხის უკვდავი სიმღერა, განსაკუთრებული შთაგონებით აქლერებული, შიგ გულის სიღრმიდან მომდინარე, სათუთი გრძნობებით გამთბარი, ნათელი აზრით გაშუქებული. ეს იყო ერთი მთლიანი, მაღალ რეგისტრში გამართული დაღადი-სი, რომელშიც მკაფიო გამოვლენა ჰპოვა ახალი ადამიანის დიდების ჰიმნმაც და განწირულთა უკანასკნელმა გოდებამაც. დიდი ჰუმანური გულის ძახილმაც და ისტორიის სრბოლის სიმკაცრემაც, სიცოცხლის უშრეტმა სიყვარულმაც და ადამიანთა ტრაგიკულმა ხვედრმაც.

ამ სიმღერას მუდმივ სიცოცხლეს ანიჭებს ტარიელ გოლუას თუ ბათუ ქარდუას გმირულ-რომანტიკული თავგადასავალი, გვადი ბიგვას დიდი სიხარული თუ ალმასგირ კიბულანის ენგურის ხეობას შენთებული ყვილი, თავადის ქალის მაიას ტრაგიკული ფინალი თუ პაკი აძბას ბედი.

თავის ხალხს დაუტოვა ჩვენგან წასულმა ლეო ქიაჩელმა ეს დიდი სიმღერა. თაობიდან თაობას გაჰყვება იგი, როგორც არა მარტო ჩვენი ეპოქის ძლიერი სუნთქვა, არამედ როგორც უკვდავი ძეგლიც იმ ადამიანისა, ვინც გულთმისანი იყო თავისი ხალხისა, ბოლომდე ემსახურა ამ ხალხს, წარუბოცველი ფერებით გახსნა მისი რომანტიკული ბუნება და მხოლოდ ამის შემდეგ, 1953 წლის დეკემბრის ყინვიანსა და წყნარ ღამეში სამუდამოდ მისცა თავი უშფოთველ ძილს.

გიორგი მერკვილაძე





ნოქა ნათაქე

რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

წარღვი პირაული

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ერთი ერის ლიტერატურას არსებობა და წინსვლა შეეძლო მეორე ერის ლიტერატურისგან სრულ იზოლაციაში, ასე ვთქვათ, უპაერო სივრცეში. დღევანდელ მსოფლიოში ალბათ არ არის არც ერთი ხალხი, რომლის სიტყვიერი შემოქმედება ისე დამოუკიდებლად ვითარდებოდეს, როგორც თავის დროზე ვითარდებოდა, ვთქვათ, ბერძნული, არაბული ან ინდური მწერლობა. კულტუროსან ერთა შორის იშვიათია ისეთი ხალხიც, რომლის მკითხველი საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მშობლიური ენის გარდა არ იცოდეს კიდევ ერთი ენა მაინც და არ კითხულობდეს მხატვრულ ლიტერატურას ამ ენაზე. „მსოფლიო ლიტერატურის“ ცნება, რაც აქამდე მხოლოდ კრებითი სახელი იყო (სხვადასხვა ხალხების ლიტერატურათა უბ-

რალი ჯამი), დღეს სავესებით რეალურსა და ხელშესახებ საგანს აღნიშნავს. პროგრესული მსოფლიო ლიტერატურა ეს არის მსოფლიოს ყველა ხალხის საუკეთესო თანამედროვე ქმნილებათა ერთიანობა, ერთი მთლიანი დარგი თანამედროვე ადამიანის კულტურული ცხოვრებისა, რომელსაც ბევრ რამეში საერთო პრობლემატიკა, საერთო მიზნები და გამოხატვის საშუალებათა საერთო არსენალი აქვს. დღეს თითქმის არ იწერება ნამდვილად დიდი ნაწარმოები, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სხვა ენებზე არ ითარგმნოს. თავის სამშობლოს ფარგლებს არ გასცდეს და მსოფლიო ლიტერატურის ფაქტად არ იქცეს. სასახელოა ბედი იმ ეროვნული ლიტერატურისა, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურის მთლიან ნაკადში ბევრი ასეთი ნაწარმოები შეაქვს.

მსოფლიოს მკითხველს ან ამ მკითხველთა რაღაც ნაწილს თავის ეროვნულ ჰილდეებს აცნობს, ამ „გარეშე“ მკითხველს თავისი ეროვნული პრობლემატიკით აღელვებს. სავალალოა იმ ეროვნული ლიტერატურის ბედი, რომელიც ასეთ ნაწარმოებებს ვერ ქმნის, ან მათ შექმნას არ ცდილობს, გამოხატვის საშუალებათა განსავითარებლად მსოფლიო ლიტერატურის მონაპოვრებს არ ითვალისწინებს და ლიტერატურულ კონკურენციაში თუ მეგობრულ შეჯიბრებაში (ნუ შეგვევინდება ამ სიტყვებისა) ძველი ან დაჩლუნგებული იარაღის იმედით გამოდის.

მეორე მხრივ, მსოფლიო ლიტერატურის მთლიან ნაკადში მონაწილეობა, სხვა ხალხთა სიტყვიერ შემოქმედებასთან თანამშრომლობა თუ შეჯიბრი ამა თუ იმ ხალხის ეროვნულ ლიტერატურას სხვა, არანაკლებ კატეგორიულ და არანაკლებ მწვავე მოთხოვნებსაც უყენებს. ყოველ ეროვნულ ნაწარმოებს, რაც უნდა „მსოფლიო“ იყოს იგი, უსათუოდ ახასიათებს და უნდა ახასიათებდეს თავისი ეროვნული სპეციფიკა, თავისი ეროვნული თვალთახედვა, საკუთარი მიდგომა მსოფლიო კულტურის საერთო პრობლემებისადმი. ეს ინდივიდუალური იერი თუ ნდაც იმიტომ არის აუცილებელი და გარდუვალი, რომ ყოველი ნაწარმოების მატერიალური საფუძველია ეროვნული ენა, ის ენა, რომელზედაც ეს ნაწარმოები პირველად იქმნება. მაგრამ მწერლობის ეროვნული სპეციფიკა მხოლოდ ენით არ შემოიფარგლება. ეს სპეციფიკა უფრო ღრმაა და ლიტერატურის ყველა ან თითქმის ყველა მხარეს ეხება. მსოფლიო ლიტერატურის ერთიანობა არ გამოირიცხავს ყოველი ცალკე ნაწარმოების ეროვნულ განსაკუთრებულობას. პირიქით, იგი ხაზს უსვამს ამ უკანასკნელს. ადრე, როცა ლიტერატურები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ცოცხლობდნენ, ეროვნული თვითმყოფობის დაცვა მწერლისგან არ მოითხოვდა დიდ ნიჭს და შრომას. ეროვნული თვითმყოფობა მაშინ პრობლემა არ იყო.

ახლა, როცა ყოველ ცალკე ლიტერატურას მხოლოდ სხვა ლიტერატურის კონტაქტში, მხოლოდ მსოფლიო ერთიანი ლიტერატურის ფონზე შეუძლია არსებობა, ეროვნული თვითმყოფობა ყოველი ცალკე ლიტერატურისთვის სასიცოცხლო პრობლემად იქცა. ყოველ მწერალს ეს შეცვლილი ვითარება ორიგინალობის, აზროვნებისა და სტილის დამოუკიდებლობის განსაკუთრებით მკაცრ მოთხოვნებს უყენებს.

დღეს არავის ეჭვი აღარ უნდა ეპარებოდეს, რომ მსოფლიო კლასის ლიტერატურა არ შეიძლება თავის ეროვნულ მასალას უყურებდეს ხელოვნურად შევიწროებული ჰორიზონტით, მსოფლიოს თანამედროვე კულტურული პრობლემატიკის გაუთვალისწინებლად, უყურებდეს ისე, თითქოს მსოფლიო ლიტერატურის ახალი და უახლესი მიღწევები არც არსებობს. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ თავის ეროვნულ მასალას ავტორი უყურებდეს უცხო, მსოფლიო ლიტერატურის პრობლემატიკის სათვალეებით, უცხო პრობლემატიკის გავლენით, თავისი ეროვნული მასალის ერთ ნაწილს არაპროპორციულად წინ სწევდეს, მეორეს კი არაპროპორციულად ჩქმალავდეს. ვაი იმ ლიტერატურას, რომელიც თავის ეროვნულ სპეციფიკას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ იგი თავის საკუთარ, განსხვავებულ ენაზე იწერება.

უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში ბევრი სიახლე შეინიშნება. ეს სიახლეები კიდევ ერთხელ სვამს ჩვენს ლიტერატურაში ორიგინალობის, აქტუალობის, თანამედროვე მსოფლიო კლასიკასთან დამოკიდებულების საკითხს. წინამდებარე შენიშვნებს, რათქმა უნდა, არა აქვს პრეტენზია ყველაფრის დახასიათებისა, რაც ამ ბოლო წლებში გაკეთებულა. შევხებით მხოლოდ რამდენიმე ტიპურ ნიმუშს, რომლებშიც ძირითადი ტენდენციები მოჩანს.

ნოდარ ნათაძე

რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

ყველას გვახსოვს, რა დაბალი ხარისხის ბელეტრისტიკა იბეჭდებოდა და იბეჭდება ხშირად ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. გვახსოვს, რომ როდესაც მკითხველი ახალ ნაწარმოებს წაიკითხავდა, ყველაზე კარგი რამ, რაც შეიძლებოდა ეთქვა, ისევე და ისევე ავტორს შეეხებოდა და არა მის ქმნილებას. სტანდარტულ, ყალბ, გარედან თავსმოხვეულ და სავალდებულო „მოტივთა“ და მორალისტურ „განზოგადებათა“ ტვირთი ისე მძიმედ ეკიდა თითქმის ყველა ლექსსა თუ მოთხრობას, რომ ამას ავტორს პირად დანაშაულებად აღარც ვუთვლიდით. ჩვენ აღარც ვეძებდით და აღარც ვამჩნევდით ნაწარმოებში ნაკლს (ეს ნაკლი გარდუვალი იყო და აღარც ვინმეს აკვირებდა) — ჩვენ ვეძებდით და ვამჩნევდით მხოლოდ ღირსებას, ცალკეულ კარგად დაჭერილ ხასიათს, კარგად მიგნებულ სახეს, კარგად დახატულ სიტუაციას. ნაწარმოებს, როგორც მთელს, ჩვენ სერიოზული, უშეღავათო საზომით არც ვუდგებოდით. გამოწკლისს ამ საერთო ფონზე შეადგენდა მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელ ცალკეულ ავტორთა შემოქმედება, რომლებსაც უკვე იმდენი წონა ჰქონდათ მოპოვებული ლიტერატურაში, რომ შეეძლოთ ზემოხსენებული შემზღუდველი ნორმებისაგან ნაწილობრივ მიინც გაეთავისუფლებინათ თავი. ცხადია, ეს სახელმძოხვეჭილი ავტორები მხოლოდ მწერალთა უფროს თაობას ეკუთვნოდნენ.

დღეს ჩვენს ლიტერატურაში სულ სხვა მდგომარეობაა. დღევანდელ მკითხველს, განებივრებულს წინანდელთან შედარებით, აღარ აკმაყოფილებს მარტო იმის გარკვევა, ნიჭიერია თუ არა ავტორი, რას „დაწერდა“ ის, ან რა შეიძლება დაწეროს მან მომავალში. მკითხველს უნდა ყოველმხრივ გამართული, სრულყოფილი ნაწარმოები, რომელსაც იგი უშეღავათოდ მიუდგება, ნაწარმოები, რომელიც ააღვლევს მას, ცხოვრების ფაქტების ცოდნას გაუმდიდრებს და ამ ფაქტებში გარკვევის

უნარს გაუმახვილებს. ეს მდგომარეობა სასიხარულოა, რადგან უამისოდ ჩვენი ლიტერატურა აჩრდილად მიეცოდნა ცხადია, ასეთ პირობებში მკითხველი ჩვენს მწერლებს უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს და ელის მათგან თუ აბსოლუტურად სრულყოფილს არა, მხატვრულად და იდეურად გამართულ უზადო ლიტერატურულ ნაწარმოებებს მაინც.

ოტია იოსელიანს მკითხველი მრავალი ნოველითა და ერთი რომანით იცნობს. ამ ნაწარმოებებმა სამართლიანად მოუპოვა ავტორს ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა პროზაიკოსის სახელი. ავტორმა თავის პირველსავე თხზულებებში გამოავლინა ის მთავარი თვისება, რაც კაცს აძლევს ნებას ნოველისტის რთულ პროფესიას მიჰყვეს და რაც „ლიტერატურული ნიჭიერების“ ცნების მთავარ შინაარსს შეადგენს: მკაფიო დეტალებით ადამიანთა, მათ სურვილთა და ურთიერთობათა ხატვის უნარი, ბუნებრივი დიალოგისა და მონოლოგის ზელოვნება, თხრობის სისადავე და სიმსუბუქე. იგივე თვისებებია იოსელიანის შემდგომი ნაწარმოებების დამახასიათებელ ძირითად ღირსებადაც დარჩა. ამ ღირსებებით ავტორმა არა თუ მიაღწია იმ მინიმუმს, რომლის შემდეგ მწერლის ნამდვილი, უშეღავათო შეფასება იწყება, არამედ გასცილდა კიდევ ამ მინიმუმს. დღეს იოსელიანი ერთი იმ ავტორთაგანია, რომლისგანაც მკითხველი სრულფასოვანსა და საინტერესო ნაწარმოებებს მოელის.

პირველივე შთაბეჭდილება, რომელსაც ოტია იოსელიანის ნოველები მკითხველზე ახდენს, ესაა გარემოს ღრმა და ამომწურავი ცოდნა, ავტორის სანდო ცხოვრებისეული გამოცდილება და რეალიზმი. იმერეთის სოფლის თემა არაა ახალი თემა ჩვენს ლიტერატურაში. როგორც მეცხრამეტე, ისე მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში ამ თემას ლირიკული თუ ეპიკური, იუმორისტული თუ ტრაგიკული განწყობილების მატარებელი უამრავი ლიტერატურული ნაწარმოები მიეძღვნა. ვერც ერთი ამ ნა-

წარმოების ავტორს (ცხადია, მათ გარდა, ვინც შემთხვევითი მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურაში), ვერ ვუსაყვედურებთ იმერეთის ცხოვრებას არასრულყოფილ ცოდნას. მაგრამ ამ მეტად საპასუხისმგებლო ფონზეც ოტია იოსელიანის თხზულებები მაინც შეიცავს ერთგვარ სიახლეს. მის ნოველებში კარგადაა დახატული იმერეთის დღევანდელი დღე, რაც, რა თქმა უნდა, განსხვავებულია მისი გუშინდელი დღისაგან და რაც ჩვენს ლიტერატურაში სათანადოდ ჯერ კიდევ არ ასახულა.

იმერეთის ცხოვრების ეს ცოდნა ოტია იოსელიანს ანუტებს უზომო უპირატესობას, რაც ჩვენში, სამწუხაროდ, არც თუ ისე ხშირია: ავტორი თავისუფლად მოძრაობს თავის გმირთა არსებობისა და მოქმედების გარემოში, თავისუფლად იყენებს დეტალებს, რაც ერთსა და იმავე დროს მხატვრულადაც საჭიროა, ეთნოგრაფიულადაც ზუსტია და მკითხველისთვისაც ახალია. იმერეთის ყოველდღიურ ცხოვრებაზე წერისას ავტორს თავისი ეთნოგრაფიული ცოდნის მობილიზაცია არ უხდება, რადგან ეს ცოდნა და გამოცდილება მუდამ მის ხელთაა, — ეს მისთვის ბუნებრივი და ორგანულია.

ეს საშუალებას აძლევს ავტორს მთელი თავისი ყურადღება ფსიქოლოგიურად და მხატვრულად აუცილებელ დეტალთა ძიებას დაუთმოს, სიუჟეტი და ფსიქოლოგიური ქვეტექსტი სრულებით დაუბრკოლებლად განავითაროს. მეორე მხრივ, იმერეთის ცხოვრების ცოდნა ავტორისათვის ძლიერი აარაღია სხვა მხატვრული ამოცანის გადაწყვეტაშიც — მკითხველის ინტერესის აღძვრაში: გარემოს, რომელზედაც იგი წერს, თემას, რომელსაც მისი ნაწარმოები ეხება, ავტორი მკითხველთა დიდ უმრავლესობაზე უკეთ იცნობს და ამიტომაც, რომ მკითხველი მას შეუწყნებელი ინტერესით უსმენს. ოტია იოსელიანი ისეთ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც შეუძლიათ მკითხველს რაღაც ახალი უთხრან. ესაა მისი ძალა და ნაწარმოების შემეცნებითი

ღირებულების უტყუარი გარანტია. მაგრამ იოსელიანის ნაწარმოებში შემეცნებითი ღირებულება მხოლოდ დღევანდელი ყოფის ცოდნით არ ამოიწურება. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო, რაც ავტორმა თავისი უშუალო გამოცდილებით იცის და რაც შეუძლია ცხრველ ფერებში დაუხატოს მკითხველს, ესაა მისი მშობლიური იმერეთის ცხოვრების ერთი ამალეღვებელი და ტრაგიკული ხანა, ხანა, რომელიც სისხლის ცრემლებით არის ჩაწერილი ქართველი ხალხის ცხოვრების ისტორიაში. რომანი „გარსკვლავთცენა“ და იოსელიანის ნოველების დიდი ნაწილი ეძღვნება ომის თემას, იმერეთის სოფლის თემას მთელი საბჭოთა ხალხის ამ უკიდურესი გამოცდისა და დაძაბვის წლებში. ავტორი ეკუთვნის იმ თაობას, რომელსაც ომში მონაწილეობა არ მიუღია, და მას ჰყოფნის მხატვრული ალღო და სულიერი სიფაქიზე, რომ ომის თემა მისთვის უცხო, მხოლოდ მონაყოლითა და კინოთი გაცნობილი ფრონტის ვითარებაში არ გაშალოს. მაგრამ მის მიერ დახატული ზურგის სურათი არანაკლებ ტრაგიკული და არანაკლებ შთამბეჭდავია, ვიდრე ფრონტის ყველაზე ექსპრესიული სურათები. ავტორი მკითხველს მოუთხრობს და უჩვენებს ახალ-ახალ ეპიზოდებს უკაცოდ დარჩენილი ოჯახების გასაჰირზე, შინმოუსვლელი მეზობლების მახლობელთა გლოვაზე, საკუთარი ბუდიდან ამოგლეჯილი და ათიოდე წლის შემდეგ დაბრუნებული ჯარისკაცის სულიერ ტრავმაზე. ეს ყველაფერი ავტორმა ზედმიწევნით იცის და შესწევს უნარი მკითხველს ამ ამბების საინტერესო, ახალი და ამალეღვებელი სურათი დაუხატოს. ეს ერთი ძირითადი თემა — ომისაგან სისხლდაცლილი, ძაძვით მოსილი, მაგრამ ამავე დროს გმირულად გამძლე იმერული სოფლის თემა —

ნოდარ ნათაძე

რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

ოტია იოსელიანს უსასრულო ვარიაციებში ფაქტებისა და განწყობილებების მრავალმხრივი ცვალებადობის ფონზე აქვს გაშლილი.

„ვარსკვლავთცვენას“ წამძვარებულ აქვს პატარა მიძღვნა თუ ეპიგრაფი, სადაც ავტორი ეკამათება თავის შორეულ მეგობარს, რომელიც თურმე თვლის, საქართველოს ომი არ უნახავსო. ამგვარად, რომანი თითქოს ამ აზრთან საკამათოდ არის დაწერილი და მართლაც ზემოქმედების ისეთ ძალას აღწევს თავისი უშუალობისა და ფაქტობრივი სიზუსტის წყალობით, რომ არა მარტო ავტორის შორეულ მეგობარს, არამედ ქართველ მკითხველსაც აჯვრებს და აფიქრებს. რომანის მთავარი გმირი—12 წლის ბავშვი, რომელიც დაობლებულ სოფელში რჩება ოჯახისა და ქვეყნის პატრონად—თვით ავტორია, ან ვიღაც მისთვის ძალიან მახლობელი ადამიანი — ასეთია მკითხველის უშუალო შთაბეჭდილება, როცა ის რომანის პირველ თავებს კითხულობს. ამ ბავშვის შრომა და თავგამეტებული ბრძოლა გაჭირვებასთან, გამწარება და მხნეობა, შიმშილი, შიში და იმედი სიზუსტითა და სინამდვილის ცოდნით არის გადმოცემული. რომანის თავი „დამარცხებული სოფელი“, სადაც მოთხრობილია სოფელში პირველი „შავი ქაღალდის“ მოსვლის ამბავი, იმ ჰემმარიტი ტრაგიზმითაა მოცული, რომლის გამოხატვა მხოლოდ გულმართალი და ნამდვილი ცხოვრების ნიადაგში ფესვგადგმული მწერლის პრივილეგიაა. ამის მომდევნო თავი „სოფელი ისევ ჩვენია“, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ცოცხლდება შინმოუხსვლელთა ჭირისუფლების გულელებში ეფემერული იმედი, ამავე თემის უფრო მშვიდი, მაგრამ ისევ ტრაგიკული განმეორებაა. რომანის წამკითხველი მართლაც ნათლად ხედავს, რა დაუჯდა ქართველ ხალხს გასული ომი, ავტორის ჩანაფიქრი რომანის მასალით სრულად და ამომწურავადაა განაღდებული.

ამ თემას — ომისა და ომიდან მობრუნების თემას — ეხება ოტია იოსე-

ლიანის ნოველების უმრავლესობაც. ომისდროინდელი სოფლის ცხოვრების სცენები ოტია იოსელიანის მათხრობებშიც და ამ რომანშიც ნამდვილად ძლიერი და შთამბეჭდავია, იმდენად შთამბეჭდავი, რომ მკითხველი აღარ ეძებს აქ რაიმე უფრო ფართო განზოგადებებს, უფრო რთულ ეთიკურ თუ სოციალურ პრობლემებს, უფრო ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მკითხველმა არ შეიძლება, ან არ უნდა მოითხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე ამ ნაწარმოებშია მოცემული. რაც უნდა მოსაწონი ან ამაღლევებელი იყოს ჩვენთვის ნაწარმოები, ჩვენი მკითხველებისა და ჩვენი ლიტერატურის ინტერესები მოითხოვს, რომ ამ ნაწარმოების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ არ დავივიწყოთ ის მაღალი მოთხოვნილებები, რასაც საზოგადოდ ჩვენს ლიტერატურას ვუყენებთ; ავტორისადმი მაღლიერების კანონიერი გრძნობის უკან არ უნდა მიიჩქმალოს ჩვენი ლიტერატურის უფრო ფართო და დიდი ინტერესები. „ვარსკვლავთცვენა“ გვადლევებს ჩვენ, მაგრამ ეს მაინც არაა ის მღელვარება, რასაც ნამდვილად დიდი ეპოქალური მნიშვნელობის ნაწარმოები განგვაცდევინებდა. ბოლოსდაბოლოს, ამ რეალისტური რომანის კითხვისას ჩვენ გვადლევებს მხოლოდ ფაქტები, რასაც ეს ნაწარმოები ეხება. ის ზღვა სისხლი და ტანჯვა, რაც ჩვენს ხალხს ჰიტლერული თავდასხმის შედეგად დაატყდა თავს და რომლის მოგონებებითაც შთაგონებულია ავტორი. მაგრამ სხვაა ის მღელვარება და თრთოლა, რასაც მკითხველში აღძრავს ნამდვილად დიდი, ღრმად ნაგრძნობი, ღრმად გააზრებული ნაწარმოების კითხვა, — ისეთი ნაწარმოებისა, რომელიც თვისობრივად ახალ გრძნობას განგვაცდევინებს უფრო მძაფრად, ვიდრე ამას ჩვენი შევძლებდით, რომელიც ახალი მხარით შეგვახედებს ადამიანთა ბედისა და ურთიერთობებისადმი უფრო ღრმად, ვიდრე ამას

ჩვენით მოვახერხებდით, რომელიც ჩვენს სულსა და გონებას რაღაც ახალ ჰორიზონტს გაუხსნის. ჩვენ არ ვიტყვი „დიდი“, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად მასშტაბიანი ნაწარმოები მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომელსაც ამის პრეტენზია აქვს. ომის თემა კი ამგვარი ნაწარმოების შესაქმნელად ყველაზე პოხიერ ნიადაგს იძლევა. შეიძლება, რასაკვირველია, მწერალმა ამ თემაზე მხოლოდ ცალკეული, მართლად დანახული და ამდებულვებელი სცენები შექმნას, ასეთ ნაწარმოებსაც თავისი დიდი ღირებულება აქვს. მაგრამ ამ მიღწევამ არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ეს არც თემის ამოწურვა, არც თემის გადაწყვეტა არ არის, რომ შეიძლებოდა ამავე თემაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოების შექმნაც. დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ ისეთი დიდი თემა, როგორც ომის თემა, კარგად ამკლავებს მწერლის შესაძლებლობებს. ამ თემის დამუშავებაში ჩანს, თუ რამდენად შესწევს მწერალს უნარი დიდი ეთიკური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური პრობლემების დასმისა. ამ აზრით ომზე დაწერილი მოთხრობა მწერლის შესაძლებლობებისთვის სიმპტომატურია.

მსჯელობა რომ განყენებული არ გამოგვივიდეს, გვინდა გავხსენოთ სხვა ნაწარმოებიც, რომელიც აგრეთვე ომის შემდეგდროინდელ იმერეთს ეხება, მაგრამ რომლის ავტორი „ვარსკვლავთცვენის“ ავტორისაგან დიდად განსხვავებულ ესთეტიკურ პოზიციებზე დგას. მხედველობაში გვაქვს ს. კლდიაშვილის „რთველი“ — ნაწარმოები, რომელსაც, ჩვენი აზრით, კრიტიკა ნაკლებად გამოეხმაურა, ვიდრე ამას მისი შინაგანი სიმდიდრე და მხატვრული ოსტატობა იმსახურებს. ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი. მთავარი გმირი — ინტელიგენტი, ქალაქის მცხოვრები — რაღაც საქმეზე დადის იმერეთის სოფლიდან სოფელში ომის დამთავრებიდან ერთი თუ ორი წლის შემდეგ და მის შთაბეჭდილებათა პრიზმ-

ში ნაომარი ხალხის მთელი ფიზიკური და სულიერი ცხოვრება იხატება. ჩვენ ვხედავთ ნაფრონტალ ახალგაზრდებს და სოფელელ ქალიშვილებს, შინმოუსვლელთა ჭირისუფლებს და დაბრუნებულთა მშობლებს, გლეხებს და რაიონის ინტელიგენტებს. რომანის გმირი, რომელიც ფრონტზე არ ყოფილა, ხვდება ამათ ყველას, სიბრალულთან და გულისტკივილთან ერთად მას ფარულად თავისი ამ გამონაკლისობის შეგნებაც აწვალებს. მოთხრობის სცენები რეალისტურია, თვალსაჩინოა, ამასთან ერთად განწყობილებებით უაღრესად მდიდარი და ლირიკული. სურათთა თვალსაჩინოებითა და რეალიზმით, პერსონაჟთა კოლორიტულობით, ნაომარი ქვეყნის ხატვის სიზუსტითა და ტკივილის სიმწვავეთ ეს ნაწარმოები თავის საპასუხისმგებლო თემას ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩება. ამავე დროს ჩვენ ნაწარმოების კითხვისას ვგრძნობთ, რომ გველაპარაკება კაცი, რომელმაც ბევრი რამ იცის და ბევრ რამეზე უფიქრია იმის გარდა, რაც ამ ნაწარმოებშია მოთხრობილი, რომ ამბები, რასაც ის მოგვითხრობს, მის მიერ ნანახის, მისი ნაფიქრალის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომ ის ამ ფაქტებს საკუთარი მსოფლმხედველობის კონტექსტში ხედავს და იცის მათი ადგილი ცხოვრებაში საერთოდ. ავტორი სრულებითაც არ ცდილობს ნაწარმოებში ისეთი განზოგადებებისა და პრობლემატიკის შემოტანას, რაც ორგანული არ იქნებოდა მის მიერ აღწერილი ამბებისათვის. პირიქით, ს. კლდიაშვილი იმ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც სისადავეს, სიმარტივესა და თითქმის ხალხურობის ზღვარზე მდგომ უბრალოებას განსაკუთრებით პატივს სცემენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველ დეტალში ვგრძნობთ ფართო ჰორიზონტის მქონე, მოაზროვნე ავტორს. ეს არის სისადავე გაუბრალოების გარეშე, სისადავე აზრის

ნოდარ ნათაძე

რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

გაუღარიბებულად. ვფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმაზე, რომ ეს პრინციპი ლიტერატურაში წასაბაძი უნდა იყოს.

შემთხვევითი არ არის, რომ „ვარსკვლავთცვენას“ რომანი ჰქვია, ხოლო „რთველს“ მხოლოდ მოთხრობა. „ვარსკვლავთცვენა“, რასაკვირველია, არ არის რომანი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით: ნაწარმოებში არ არის არც ხასიათები (მისი პერსონაჟები ჩანახატები უფროა, ვიდრე ხასიათები), არც, მით უმეტეს, ამ ხასიათთა განვითარება, არც მათი კოლიზია, არც ამ კოლიზიის გახსნა ავტორის მსოფლმხედველობრივი ჩანაფიქრის შესაბამისად. „ვარსკვლავთცვენა“ თავისი უანრის მიხედვით არის გრძელი მოთხრობა, თუ გნებავთ, ქრონიკა ან დღიური, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რომანი. ამ ნაწარმოებთან შედარებით „რთველი“ უფრო ატარებს რომანის ნიშნებს. პერსონაჟების ინდივიდუალური დახასიათებაც აქ უფრო მკვეთრია, მოქმედებაც უფრო შეკრული, ავტორის ლირიკული კონცეფციაც უფრო გამოკვეთილია. მიუხედავად ამისა, ავტორმა ამ ნაწარმოებზე მოთხრობა უწოდა და არა რომანი. რატომ? უთუოდ იმიტომ, რომ ამ ვრცელ მოთხრობაში აღწერილი ამბები არაა ავტორის მიერ ყუვანილი მსოფლმხედველობრივი კონფლიქტის დონეზე; ესაა ლირიკული თავგადასავლის თხრობა და არა ცხოვრებიდან მკაცრი შერჩევით ამოღებული ამბების ჩამოყალიბებული სისტემა, რასაც მსოფლმხედველობრივი განზოგადების პრეტენზია ექნებოდა. ამ დასათაურებით ავტორი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, თუ რა ადგილს მიუჩენს იგი თავის მიერ მოთხრობილ ამბებს ცხოვრების ფართო პანორამაში: ეს არის მხოლოდ კერძო კაცის კერძო სულიერი თავგადასავალი — დაე, ამ თავგადასავალში ჩანდეს გარემო, გმირის მახლობელი და მშობელი ხალხი, მისი ცხოვრება და ჭირ-ვარამი — ნაწარმოები მაინც უპირატესად ამ კაცის ლირიკული თავგადასავლის გადმოცემა და სხვა არაფერი. ავტორი მკითხვე-

ლისგან ზედმეტ ნდობას არ თხოულობს და მკითხველიც, სამაგიეროდ, ავტორის უყოყმანოდ მიჰყვება, ავტორის მიერ შედგენილი სევედიანი მსოფლმხედველების ფარგლებს გარეთ გასვლას; ავტორის პორიზონტის იქით გახედვას არ ცდილობს.

მიუხედავად ამისა, მაინც დიდია „ვარსკვლავთცვენის“ უპირატესობა იმ, სამწუხაროდ, ძალიან მრავალრიცხოვან მოთხრობებთან და რომანებთან შედარებით, რომლებიც ომის თემას ან სხვა რაიმე დიდ თემას მასალის უშუალო ცოდნის გარეშე, მესამე წყაროებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე ამუშავებენ. „ვარსკვლავთცვენა“ დარჩება ჩვენს ლიტერატურაში საინტერესო და ამაღლებებელ წიგნად მანამდე, სანამ ჩვენთვის საინტერესო და ამაღლებებელი იქნება სამამულო ომის მრასხანე წლების მოგონება, სანამ ჩვენთვის ძვირფასი იქნება ის სისხლი, რომელიც ამ წლებში დაიღვარა. ეს ქათინაური „ვარსკვლავთცვენისთვის“ სრულებით დაუფარავად და უკან მოუხედავად შეიძლება გაიმეტოს კაცმა. მაგრამ ისეთი ნაწარმოები, რომელიც თემას ამოსწურავს, ან ნაწილობრივ მაინც ამოსწურავს, ამ რომანს არ ეთქმის. მსოფლმხედველობრივი, მასშტაბიანი ნაწარმოების პრეტენზიას ეს თხზულება ვერ წამოაყენებს.

რაღა ბედი ეწევა ხოლმე ოტია იოსელიანის მხატვრულ მეთოდს მაშინ, როცა იგი თავის შემოქმედებით სტიქიას — იმერეთის სოფელს სცილდება? აქ იგი ჰკარგავს თავის მთავარ იარაღს — ცხოვრების ცოდნას, მკრთალდება და შეუღარებლად ნაკლები ინტერესი რჩება მკითხველის თვალში. ჩვენ არას ვამბობთ მოთხრობაზე „ნაცრისფერი დღე“, სადაც ავტორი მისთვის სრულებით უცხო, არაბუნებრივ თემატიკასა და არაბუნებრივ განწყობილებას დაექვემდებარა. ეს მოთხრობა ავტორისთვის მხოლოდ მარცხია და მარცხზე ლაპარაკი არა ღირს. მხედველობაში გვაქვს ისეთი მოთხრობები, სადაც ავტორი ლიტერატურისთვის ყველაზე

უფრო ჩვეულებრივ და ფართოდ და-
მუშავებულ, ეთიკურ-ფსიქოლოგიურ
თემატიკაში შეიჭრა და აქ თავისი შე-
მოქმედებითი ინდივიდუალობა და
ცხოვრების საკუთარი ხედვა გამოსცადა.
მოთხრობა „ცეცხლთან თამაში“ ტიპიუ-
რია ამ მხრივ თავისი ღირსებებითაც და
თავისი სისუსტეებითაც. მისი ღირსე-
ბაა, ჯერ ერთი, გულწრფელობა და
უშუალობა, რაც ავტორისთვის საერ-
თოდ დამახასიათებელია და რასაც ის,
იმედია, არასოდეს არ უღალატებს —
არც შემოქმედებითი მარცხის დროს და
არც გამარჯვებისას; ღირსებაა მსუბუ-
ქი თხრობა, უზვად გაბნეული ფსიქო-
ლოგიური დეტალები, მაძიებელი ფიქ-
რი, რომელიც დაუღალავად და კეთილ-
სინდისიერად მუშაობს ფაქიზ ფსიქო-
ლოგიურ ნიუანსთა აღმოჩენაზე. მაგრამ
თვით მოთხრობის ჩანაფიქრი იმდენად
უბრალოა (არ გვინდა ვთქვათ: გულუ-
ბრყვილოა), ავტორისეული გადაწყვეტა
და ამ გადაწყვეტის მოტივაცია იმდენად
ღარიბია დიდ თემასთან შედარებით,
რომ მკითხველს კითხვა ებადება: ნუთუ
ავტორმა არ იცის, რომ მისი მოთხრო-
ბის თემა ლიტერატურაში მილიონჯერ
დამუშავებული თემაა, რომლის ხელახ-
ლად დამუშავება მხოლოდ ამ თემის
გადაწყვეტის დიდი სიახლით, ინდივი-
დუალურ ნიუანსთა დიდი სიმდიდრით-
და შეიძლება იყოს გამართლებული?
მოთხრობის სიუჟეტი მარტივია: ვაჟი
გასართობად მიმოწერას გაუბამს უცნობ
ქალიშვილს. ეს მიმოწერა ქალიშვილს
გრძნობას გაუღვიძებს და როცა შეზ-
ვედრის დროს ვაჟი ქალიშვილს ვერ
იცნობს, რადგან იგი სხვა, უკეთესი გა-
რეგნობისად წარმოუდგენია, ეს ქალიშ-
ვილისთვის ღრმა სულიერი ტრავმაა.
მოთხრობის სათაური: „ცეცხლთან თა-
მაში“ გამოხატავს ჰუმანურ იდეას, რომ
ადამიანის გრძნობებთან გაუფრთხილებ-
ლობა ისევე სახიფათოა, როგორც ცე-
ცხლთან თამაში. მოთხრობ-ს მთელი
იდეური თუ ემოციური შინაარსი ამ
ერთი აზრით ამოიწურება. ავტორი ვერ
ახერხებს ვერც ერთი, ვერც მეორე გმი-
რის (ვაჟისა და ქალის) სულიერი ცხოვ-

რების ისეთი სისრულით ან სიმდიდრით
ჩვენებას, რომ მათმა თავდადებულმა
მკითხველს ახალი რაღაც უჩინავს, ვერ
ახერხებს მათ მოქმედებასა თუ განცდა-
ში რაიმე ინდივიდუალური შტრახის
შეტანას, რაც მკითხველს ამ ადამიანური
ურთიერთობისათვის რაღაც ახალი,
თუნდ მინიმალურად თავსებური კუ-
თხით შეახედებს. ხოლო ვინაიდან ავ-
ტორს არა აქვს ხელთ გამართა განცდის
ცვალებადობის საკმარისად ინდივიდუა-
ლური და ორიგინალური სქემა, იგი
იძულებულია მოქმედება არამოტივირე-
ბულად, სრულებით არადამაჯერებელი
ეპიზოდების შემოტანით წარმართოს:
პაემანზე მოსული ვაჟი ვერ სცნობს
გოგონას მხოლოდ იმის გამო, რომ მისი
გარეგნობა არ მოსწონს, თუმცა სადგუ-
რის მოსაცდელ დარბაზში, სადაც ეს
შეხვედრა უნდა შემდგარიყო, იმ გოგო-
ნას და ვაჟის მეტი არავინ აღარ არის.
შემდეგ იშლება გაუგებრობათა მთელი
ეპოპეა, როცა გოგონა ვაჟს მისი ჯერ
უნახავი ნაცნობის დად უსაღებს თავს,
ხოლო ვაჟს ეს ამბავი სჯერა, თუმცა
მკითხველი დიდი ხანია მიმხვდარია,
რაშიცაა საქმე.

ამ მარცხის მიზეზი, პირდაპირ უნდა
ვთქვათ, მხოლოდ ავტორის ვიწრო ლი-
ტერატურული ჰორიზონტია. ადამიანის
გრძნობებთან თამაში სახიფათო თამაში
რომაც, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და
ავტორი უთუოდ ძალიან დაბალი წარ-
მოდგენისაა თავის მკითხველზე, თუ
ამით მისი გაკვირვება სურს. ავტორს
რომ ახლებურად ეჩვენებინა ეს ძველი
ჭეშმარიტება — ინდივიდუალური ფსი-
ქოლოგიური შტრახებით ახლებურად
გადმოეცა ქალის გრძნობა ვაჟის მი-
მართ, ან ვაჟის გრძნობა ქალის მიმართ,
ან სულიერი ინტიმურობის ბრძოლა და
ცვალებადობა, მაშინ მოთხრობაც კარგი
ფსიქოლოგიური ეტიუდი გახდებოდა
და მკითხველის დაინტერესებას შესძ-
ლებდა. უამისოდ მოთხრობის კონფ-

ნოდარ ნათაძე

რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ
პროზაზე

ლიქტი წმინდა გარეგნული, არამოტივირებული კონფლიქტია, რომლის გამოყენება დღევანდელ ლიტერატურაში მხოლოდ ვოდველის ექსპოზიციის შესაქმნელად თუ შეიძლება.

ო. იოსელიანის სხვა მოთხრობებზე აქ აღარ შევჩერდებით: თემატიკათა და მხატვრული ხერხებითაც ეს მოთხრობები განხილულ მოთხრობებთან მეტ-ნაკლებად ახლოს დგას. გვინდა გავიხსენოთ მხოლოდ ერთი საინტერესო მოთხრობა — „ბასარა“, რომელიც, გარდა თავისი მხატვრული ღირსებისა, სხვა რამითაცაა საგულისხმო და საინტერესო. აქ მოთხრობილია ერთგული და ღონიერი ძაღლის ამბავი, რომელიც ორლობეში არც კაცს, არც ცხენს არ ატარებდა, მაგრამ როცა სოფელში მანქანა ამოვიდა, რკინაზე კბილები წაიმტვრია და თვალი დაკარგა. საწყალმა ძაღლმა, თურმე, სულიერი „ტრავმა“ მიიღო, იმ დღის შემდეგ გამვლულებს აღარ უყუფდა და მალე დარდით მოკვდა. ეს მარტივად დაწერილი მოთხრობა დიდ გამომხატველ ძალას აღწევს, სადა ფაქტებში თავისებური „გაქცეობის“ ამალეუვებელი განდიდება იგრძნობა. აქ ავტორის მსოფლმხედველობა — აზრი და განწყობილება, რასაც იგი მოთხრობაში სდებს — შეუდარებლად უფრო ფართოა, ვიდრე მის მიერ გადმოცემული ფაქტები და ეს სხვაობა, ეს მინიშნებათა ფაქიზი ხელოვნება მკითხველს ჭეშმარიტ ესთეტიურ ტკბობას ჰგვრის. ეს რთული ხელოვნება — სიმარტივე ფაქტებში და სირთულე, სიღრმე აზროვნებაში — ნაწარმოების შეუდარებელი ღირსებაა, შეიძლება ითქვას, იდეალია, ოღონდ ესაა, რომ ამ იდეალის მისაღწევად ძალიან ფართო გონებრივი ჰორიზონტია საჭირო. პირველხარისხოვანი თანამედროვე პროზა — ხშირად მარტივ ფაქტებზე დაწერილი, მაგრამ მაინც რთული პროზა — სწორედ იმიტომადი დიდი და რთული, რომ აქ ნაწარმოების ემპირიული და იდეური პლანის ასეთი გაუთიშავი დაპირისპირება გვაქვს. სადა თხრობის უკან რთული ჩანაფიქრია მიმაღული.

როდესაც თვით აღწერილი ფაქტები ძალიან რთულია, როდესაც ავტორი ვერაფერს ახერხებს ამ ფაქტებისთვის ვთქვათ დისტანციიდან შეხედვას, მაშინ წარმოიქმნება ე. წ. „ინტელექტუალური პროზა“, შეუნიღბავი ანალიზის პროზა (და არა მაშინ, როცა ავტორს ფაქტთა მარტივი, უკომენტარო გადმოცემა არ ეხერხება). ეს თანამედროვე პროზის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი, მრავალ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებში რეალიზებული ტენდენციაა ყოველი ავტორისთვის.

ოტია იოსელიანის წერის მანერა მისი შემოქმედების საერთო კურსს მიჰყვება და კარგადაც მიჰყვება. ოტია იოსელიანი არ არის თვითმიზნური ფორმალური ძიებების მწერალი და ამაში უთუოდ წილი უდევს მის კარგ ბუნებრივ გემოვნებას: მის თემატიკას და სულისკეთებას არ სჭირდება ბევრი ისეთი მხატვრული ხერხი — უსიუყეტო მოთხრობა იქნება ეს, „ცნობიერების ნაკადის“ წესით თხრობა თუ თვითმიზნური ანალიზი — რომელსაც სხვა მისი თანამოკალმეები ხშირად უადგილო ადგილას იყენებენ. მის თხრობას სჭირდება მხოლოდ ერთი — იყოს თვალსაჩინო, ლაკონური, დეტალებით სათანადოდ გამაგრებული, ამას კი ავტორი ყოველთვის ვერ ახერხებს. მწერალს აქვს ლიტერატურული ნიჭი და ალღო, რასაც ვერავითარი ლიტერატურული განათლება ვერ შესცვლის. „ქვრივის ცრემლები“ და „თეთრი ქალიშვილი“, ჩვენი აზრით, ამის საუკეთესო ილუსტრაციაა.

ზოგჯერ ავტორს ამ მხრივაც მოსდის მარცხი. მისი თხრობა ღარიბდება, კარგავს სიცოცხლესა და შინაგან დაძაბულობას. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მწერალი თავის ჩვეულ, ორივე ფეხით მიწაზე მდგარ მანერას ლალატობს და საექვო სიმბოლიკის სფეროში იჭრება („თამაში“, „დავკიანება“).

არ შეიძლება ორიოდვე სიტყვით არ შევეხოთ ო. იოსელიანის მოთხრობების ენასაც. ამ ენის ღირსება ისაა, რომ ავტორი ძალიან თავისუფლად ფლობს იმერულ დიალექტს, იმ ადამიანთა თა-

ვისებურ მოსწრებულ და ხატოვან მეტყველებას, რომელნიც მისი გმირების უმრავლესობას შეადგენენ. მაგრამ მწერლის ენა, როცა იგი თვითონ გვესაუბრება, მკითხველში მაინც დაუკმაყოფილებლობისა და გულდაწყვეტის გრძნობას იწვევს. რა ქართულია, მაგალითად, ასეთი წინადადებები: „ერთს თითქმის უღვაშიც ისეთი ჰქონდა — თხელი, ახლად აშლილი, მაგრამ ნიკაპმოკლე და კისერდაბალი აღმოჩნდა. არც მომდევნო შეიქნა მისი შვილი და არც უკანასკნელი.“

ხალხი გაიკრიბა. ბარგის მზიდავი შემოვიდა თეთრი ხალათით, შავი, ყორნისფერი წვერ-ულვაშით“ („თეთრი ხალათით“ რომ შემოვიდა კაცი, ამის თქმა შეიძლება, ვინაიდან შესაძლებელია კაცი ან ხალათით შემოვიდეს, ან ხალათი გარეთ დატოვოს. მაგრამ „შავი უღვაშით“ შემოსვლა უაზრობაა (მოთხრობა „დაგვიანება“).

ენობრივი „შეცოდება“ მრავალგვარი არსებობს: შეიძლება მწერალი ეწეოდეს გაუმართლებელ ექსპერიმენტებს ენის მიმართ, არადამაჯერებელ მანერინგში ვარდებოდეს, უზომო არქაიზაციის მსხვერპლი ხდებოდეს (ამის მაგალითების მოძებნა ჩვენს ლიტერატურაში ძნელი არაა). შეიძლება მწერალს უმართებულოდ გადმოჰქონდეს უცხო ენის სინტაქსური კონსტრუქციები და გამოთქმები (ვფიქრობთ, ეს ყველაზე მავნე დამახინჯებაა). ოტია იოსელიანის „შეცოდებები“ სულ სხვა სახისაა — ესაა ენის, როგორც ლიტერატურული ენის არასაკმაო დაუფლება, არასაკმაო გაწაფულობა ლიტერატურული ფორმით აზრის გამოთქმის ხელოვნებაში. რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორს სრულებით უგულებელყოფილი აქვს ენის სტიქიასთან ჰიდილის ურთულესი ამოცანა. ავტორი თითქოს არც კი ცდილობს თავის მხატვრულ ენა მარტივად მოქნილობა, ეკონომიურობა, სიზუსტე მიანიჭოს, რაც მწერლის შრომის ნახევარს უნდა შეადგენდეს, თუ მეტს არა. ვფიქრობთ, ეს მიუტყევებელი ნაკლია.

იოსელიანის ზოგ მოთხრობას მკითხველი სიამოვნებით კითხულობს. ნოველთს კი, ვფიქრობთ, მკითხველთა ყველაზე მომთხოვნ ნაწილს, ეს მოთხრობები მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება აკმაყოფილებდეს. მაგრამ ჩვენი აზრით მკითხველი მართალი არ იქნებოდა, ოტია იოსელიანისთვის მისთვის ჯერჯერობით უცხო რამ — წერის ტექნიკის უახლეს ფორმალურ მადწევათა გამოკიდება რომ მოეთხოვა. ამ ექსპერიმენტებმა შეიძლება ავტორის ყველაზე დიდი ღირსება — მისი უშუალობა დააზარალოს (ასეთი შემთხვევები ლიტერატურის ისტორიაში იცის). მაგრამ ო. იოსელიანი მაინც იმდენად ნიჭიერი მწერალია და იმდენად ვრცელი შემოქმედებითი გზა უღვევს წინ, რომ მკითხველს დაენანება, თუ იგი სამუდამოდ დარჩა შედარებით ვიწრო თემატიკისა და შედარებით ვიწრო ემპირიზმის ფარგლებში. მასალა, რომელსაც იგი ზედმიწევნით ფლობს და კარგად იყენებს თავის ნოველებში, ვფიქრობთ, უფრო მეტი სიღრმისა და სიფართოვის შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე ამაჲ მის თხზულებებში ჯერჯერობით ვაედავთ. თუ ავტორი ამ შესაძლებლობას გვერდს აუვლის, მკითხველისთვის ეს გულდასაწყვეტი იქნება.

ეს უკანასკნელი მსჯელობა, რააკვირველია, მხოლოდ ოტია იოსელიანის პირად შემოქმედებით გზას ეხება. თუ საერთოდ ქართული ლიტერატურის პერსპექტივებზე ვილაპარაკებთ, აქ ასეთი სიფრთხილეზე საუბარი, იმის შიში, რომ ინტელექტუალურმა ძიებამ შეიძლება მოვლენათა ხედვის პირველყოფილი უშუალობა შელახოს, ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენი ლიტერატურისათვის ერთიც აუცილებელია და მეორეც, მით უმეტეს, რომ ლიტერატურის პრაქტიკამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ პირველი არ გამოირიცხავს მეორეს.

ნოდარ ნათაძე
რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

ოთარ ჯონოია

კონსტანტინე გამსახურდიას „მსებრი“

ქართველი მკითხველი და მეტადრე ახალგაზრდობა უთუოდ დიდი ინტერესით შეხვდება ყოველ წიგნს, რომელიც ლაპარაკი იქნება დანტესა და ტოლსტოიზე, რუსთაველსა და ლეონარდო და-ვინჩიზე, გოგოლსა და ანატოლ ფრანსზე, სულხან ორბელიანსა და გოეთეზე, ბალზაკსა და ვაჟა ფშაველაზე, თომას მანსა და ივანე ჯავახიშვილზე. მით უფრო დიდი იქნება ეს ინტერესი, თუკი ამგვარი წიგნის ავტორი აღმოჩნდება ისეთი სახელმოხვეჭილი მწერალი, როგორიც არის კონსტანტინე გამსახურდია.

მაგრამ რამდენად და როგორ აკმაყოფილებს ამ ინტერესს კ. გამსახურდიას წერილთა კრებული, — „კრიტიკა“, „Essays“ I (საქ. მეცნ. აკადემიის გამოცემა, 1956 წ.), — რომელიც შემოსხენე-

ბულ მწერალთა შემოქმედებასა და ცხოვრებაზე მოგვითხრობს?

ჩვენ ამ წერილში შევეხებით ხსენებული კრებულის მხოლოდ ზოგიერთ მეთოდოლოგიურსა და ფაქტობრივ ნაკლს.

1. ჩვენი საზოგადოებათმცოდნეობის ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ხელოვნების მოვლენათა გაგების მთავარი კრიტერიუმია არის ობიექტური სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრება, ეპოქა, რომლის გაუთვალისწინებლად გაუგებარი ხდება ხელოვანის როგორც პიროვნება, ისე შემოქმედება. კონსტანტინე გამსახურდია კე კატეგორიულად აცხადებს: „ცნობილია: ყოველი ნაწარმოების გასაშიფრავად ყველაზე საიმედო და მარჯვე გასაღებია ავტორის პირადული ცხოვრება“ (გვ. 113).

რადგან: „პიროვნება მწერლისა ის პატრუქია, რომელიც იმანენტურად იძლევა გამოსხივების ფუნქციას“ (გვ. 100).

დიდი ხელოვანი, „გენიოსები“, კონსტანტინე გამსახურდიას მტკიცებით, ჩვეულებრივ „განმარტობულნი“ დგანან თავიანთი ეპოქის მოთხოვნილებით შებოჭილ თანამედროვეთა შორის. ამ უკანასკნელთა შეზღუდულ, „უბნის“ მოთხოვნილებებს „ჩვეულებრივი კალმოსნები“ აკმაყოფილებენ, მაშინ, როდესაც „გენიოსები“ დროით შემოუფარგლავი მომავლასათვის ჰქმნიან. 221-ე გვერდზე ვკითხულობთ: „გენიოსისაგან ხშირად იმდენს ვერ ისწავლიან მისი თანამედროვენი, რამდენსაც მომავალი თაობები. ამიტომაც ჩვეულებრივი კალმოსნები წვრილფეხა ვაჭრუკანებს ჰგვანან, რომელნიც თავიანთი უბნის მუშტრებს ძლივს აუდიან, ხოლო გენიოსების კაპიტალი აუთვისებელი სდება იმ ეპოქაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ; მათ მიერ დატოვებული სულიერი კრედიტები და საჭურჭლენი განუხსავდრეულია“.

გენიოს ხელოვანს კონსტანტინე გამსახურდია სახავეს ზეკაცად, რომელსაც, ნიცშეს ზარატუსტრას მსგავსად, „უბირთათვის“ ჩამოაქვს „ურთულესი“, გამოუთქმელი, „უღრმესი“ სიბრძნე: „უდიდესთაგან უდიდესი ხელოვნება ამაში გამოხატულა მარადუამს: ურთულესის უმარტივესი საშუალებით გადმოცემა, გამოუთქმელის უფსკრულში მიჩქმალულის სამწეოზე გამოტანა, უმაღლესის მიერ შენიშნულის უმდაბლესის გონების ლერწმე დამყნა და უღრმესი სიბრძნის ნათლადჩენა უბირთაგან უბირისათვისაც“. თანაც, კვლავ, მსგავსად ზარატუსტრასი, გენიოსის ხვედრი ის არის, რომ იგი მასისათვის, ხალხისათვის მიუწვდომელი, გაუგებარი რჩება: „რამდენი აკადემია იღწვის მსოფლიოში ჰომეროსის, დანტეს, შექსპირისა და გოეტეს კომენტარებისათვის, მიუხედავად ამისა ესენი დღესაც მხოლოდ სანახევროდაა საშუალო მკითხველთათვის ხელმისაწვდომი“ (გვ. 5). მაგალითად, „მთელს მსოფლიოში სამი კრიტიკოსიც

არ მოიძებნება, რომელსაც ორიგინალში მაინც ესმოდეს ზედმიწევნით „ფაუსტი“ (გვ. 136). რუსთაველს რამდენხანმე უკეთესი წილი ხვდომია, ვიდრე პოეტურს, დანტეს, შექსპირისა და გოეტეს, მაგრამ თურმე მისი ქმნილებაც ბევრს შეიცავს როგორც კრიტიკოსთა, ისე ხალხის ცნობიერებისათვის „ხელმოუწვდომელს“; „რუსთაველს, ამდენი უშუალებები არ დასჭირებია არასდროს, ხელმისაწვდომს მის პოეზიაში უკომენტაროდ იგებდა და იზებირებდა ქართველი ხალხი, ხოლო დანარჩენს ისე ითვისებდა, როგორც ინდოეთის ხალხები უფანიშაღების ალოგიურ შიმენებს“ (გვ. 5).

მწერლის დახასიათებისა და შეფასების მთავარ კრიტერიუმს კონსტანტინე გამსახურდიასათვის წარმოადგენს არა მსოფლმხედველობრივ - შინაარსობრივი ფაქტორი, არამედ „სტილი“, კერძოდ, ენა. „უმთავრესი, რაც მწერალს ახასიათებს, ეს არის არა იდეები, არამედ მისი სტილიო“, —აცხადებს იგი ანატოლ ფრანსის გამო (გვ. 209). მართალია, 212 გვერდზე კ. გამსახურდიას რულიად საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს, რომ „ანატოლ ფრანსი უფრო „მოქადაგე“ იყო, ვიდრე სტილისტი და ესთეტი, ისეთი ტიპის მქადაგებელი, როგორც ავგუსტ შტრინდებერგი (ივულისხმება ცნობილი შვედი მწერალი სტრინდებერგი), ფრიდრიხ ნიცშე, თედორ დოსტოვესკი და მორის ბარეს“. მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ის გარემოება, რომ მას დიდი ჰუმანისტი და დემოკრატი ანატოლ ფრანსი „ისეთივე ტიპის მქადაგებლად“ მიაჩნია, როგორც რეაქციონერი, აგრესიული „ძლიერი პიროვნების“ კულტის მეზობტენი, უკიდურესი ინდივიდუალიზმისა და შოვინიზმის მქადაგებლები ნიცშე და ბარესი იყვნენ, იმას მოწმობს, რომ კ. გამსახურდია არა მხოლოდ ანატოლ ფრანსის, არამედ საერთოდ მწერლის შემოქმედებას აფასებს არა იდეური, არამედ ფორმა-

ოთარ ჯინორია
კონსტანტინე გამსახურდიას „ესეები“

ლურ-სტილური ნიშნის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამავე თვალსაზრისით აფასებს კონსტანტინე გამსახურდია ვაჟა ფშაველას შემოქმედებასაც. ვაჟას იდეები ეპოქის საზღვრებით არიან, თურმე, შემოფარგლული და ამ საზღვრებს მიღმა მხოლოდ მისი „სიტყვის ოსტატობა“ ინარჩუნებს თავის ძალასა და ღირებულებას: „ცხადია, — ვკითხულობთ 287-ე გვერდზე, — ვაჟა ფშაველას იდეური სამყარო ჩვენთვის ხანგადასული საუკუნის გამოძახილია მხოლოდ და მხოლოდ, მაგრამ სიტყვის ამ დიდოსტატის მემკვიდრეობას ახალი თაობა კრიტიკულად გამოიყენებს“.

კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ლიტერატურული მოვლენები საკუთარ ნაციონალურ და სოციალურ ნიადაგზე, ამ ნიადაგისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში კი არ წარმოიშობა და ვითარდება, არამედ, ჩვეულებრივ, უცხოური „ზეგავლენის“ ნაყოფს წარმოადგენს. კონსტანტინე გამსახურდია წერს:

„დასავლეთ ევროპის ხალხთა ეპიურული ლიტერატურა ბიბლიიდან დებულობს სათავეს, განსაკუთრებით დრამა და „ბელეტრ“.

უფრო გვიანაც დანტეს კომედიას, მილტონის „დაკარგულ სამოთხეს“ და გოეტეს „ფაუსტის“ წარმოშობასაც ბიბლიამ მისცა ბიძგი“ (გვ. 97).

„ცნობილია: ბოლორითმიანი ლექსი არაბულიდან შევიდა დასავლეთის პოეზიაში. დასავლური რომანისა და ნოველის ჟანრების განვითარებაშიაც არაბულმა შეასრულა უდიდესი როლი“ (იქვე).

„თვით ევროპული ამპირის სტილი ეგვიპტურ პლასტიკურ ხელოვნებათა ზეგავლენითაა წარმოშობილი...“

...მთელი პროზა დასავლეთისა ებრაული ბიბლიიდან გამომდინარეობს. ევროპული ნოველისტიკის მამამთავარი ბოკაჩიო „ათას ერთი ღამის“ ავტორის (თუ ავტორების) ეპიგონია. „ტრისტანი-სა და იზოლდას“ ევროპული ვერსიები არაბული „ქითაბ ალ ავანის“ ანალოგიითაა შექმნილი. პარციფალის რომა-

ნიც არაბი პოეტის მიერაა ჩაგონებული. თვით ბოლორითმოვანი ლექსის პირველსახე არაბულიდანაა გადასული დასავლეთ ევროპის პოეზიაში“ (გვ. 302).

„ლირიკაში ფრანგი რომანტიკოსები ზიუგო და შატობრიანი შთაგონებდნენ გერმანელ რომანტიკოსებს. ფრანგმა სიმბოლისტებმა და მათმა ზეგავლენამ გამოიწვია გერმანული სიმბოლიზმი.

თითქმის იგივე ითქმის გერმანული ფერწერის, ხუროთმოძღვრებისა და სკულპტურის მიმართ. მხოლოდ მუსიკაში გამოიჩინეს გერმანელებმა ჭეშმარიტად დიდი ორიგინალობა“ (გვ. 304).

თურმე ფილოსოფიაშიც კი გერმანული ერი „უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ინგლისური და ფრანგული ფილოსოფიებიდან სესხულობდა მმართველ იდეებსა და ინსპირაციებს“ (გვ. 303).

ერების ერთმანეთზე კულტურული ზეგავლენის ფაქტი უდავოა, მაგრამ ზეგავლენით ამა თუ იმ კულტურული, მეცნიერული, ფილოსოფიური თუ ხელოვნების მოვლენის წარმოშობის ახსნა ძველი ისტორიოგრაფიის არამეცნიერული ხერხია, რომელიც კატეგორიულადაა დაგმობილი ჩვენი მეცნიერების მიერ. „უცხო“ ზეგავლენებს უთუოდ აქვს ადგილი, მაგრამ მაშინ, როდესაც შექმნილია ანალოგიური მოვლენის განვითარებისათვის შესაფერი საკუთრივეროვნული ნიადაგი. „გადმოსული“, „უცხოური“ ფილოსოფიური იდეები, ლიტერატურული მიმდინარეობანი ან ცალკეული მოვლენები ამ ნიადაგის შესაფერ, ე. ი. უკვე ახალ ნაციონალურ ხასიათს იძენს. სანიშნულად შეიძლება დასავლეთევროპულ პოეზიაში ბოლორითმოვანი ლექსის დამკვიდრების ისტორია გავისხენოთ. არაბული გავლენა მართლაც ძლიერი იყო, მაგალითად, ესპანეთისა და სამხრეთ საფრანგეთის, ხოლო ამ ქვეყნების მეშვეობით დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების შუასაუკუნეთა ლირიკის განვითარებაზე; მაგრამ ეს გარემოება არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ვამტკიცოთ, თითქოს დასავლეთევროპულ პოეზიაში

ბოლორითმიანი ლექსი „არაბულიდანაა გადასული“, არაბული გავლენის ნაყოფს წარმოადგენს. დღეს მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ რითმა სხვადასხვა ხალხების პოეზიაში დამოუკიდებლად ჩასახული და განვითარებული. კერძოდ, ბერძნული რითმის ნიშნები უკვე ელინური ხანიდან გვხვდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე V ს-ში (ეგრიპიდეს ტრაგიკებში: „მედეაში“, „ფინიკიელ ქალებში“. „ანთრომაქეში“, „ჰეკაბეში“ და „ალექსანდრიაში“), ხოლო რომაელებთან—უკვე I საუკუნეში ჩვენს წ-მდე (ვარონი); შემდეგ, უკვე VIII ს-ში, რაიმე უცხოური გავლენის გარეშე ჩნდება რითმა კელტების, რომანებისა და გერმანების ალიტერაციულ პოეზიაშიც, რითაც იქმნება ადგილობრივი ნიადაგი „უცხო“ გავლენის აღსაქმნელად; მაგრამ ამ გავლენის მთავარი ნაკადი არაბული პოეზიიდან კი არ მოდის, არამედ დასავლეთის ქრისტიანული ჰიმნოლოგიური პოეზიიდან, რომელშიც VII—IX საუკუნეთა მანძილზე რითმა განვითარებულ და დაკანონებულ სახეს იძენს.

კ. გამსახურდია ვერ ხედავს, რომ კლასობრივი წყობილების ვითარებაში ყოველი ერის ცხოვრება შეიცავს ორ კულტურას — გაბატონებული კლასისა და ხალხურს. თანაც იგი გაბატონებული კლასის, არისტოკრატისა და ბურჟუაზიის სოციალურ თვისებებს ხალხის ეროვნულ თვისებებზე აცხადებს. „უცნაური ქვეყანა თანამედროვე ევროპის დასავლეთი, — წერს კ. გამსახურდია, — არც ამ ქვეყნების ლიტერატურებში, არც ევროპელებთან პირად შეხვედრებში არა ჩანს, რომ ევროპელებს შეგნებულნი ჰქონდეთ ზოგზოგი დიდი ზადი მათი ცხოვრებისა, რომელსაც უცხოელან მოსული კაცი უთუოდ შეამჩნევს: ეს არის საშინელი მერკანტილიზმი და ვულგარული მატერიალიზმი. ამ ორ დიდ სენს მათი (ე. ი. საერთოდ ევროპელების — ო. ჯ.) ყოფაცხოვრებისას ემატება კიდევ ერთიც: მათი გადაჭარბებული, ყოველივე წრეს გადასული ეგოიზმი“ (გვ. 277). მართალია, კ. გამსახურდია იქვე დას-

ენს, რომ „ამ სამ ელემენტს მათი ყოფისას განსაკუთრებული კულტურის იეროჰქონდა მუდამ“ არისტოკრატებისა და მეტადრე, ბურჟუაზიულ წრეებში, მაგრამ ეს საქმეს არ შევლის, რადგან იგი ამ „ელემენტებს“ მიიჩნევს საერთოდ და მთლიანად დასავლეთევროპული ქვეყნებისა და ხალხების სპეციფიკურ, სხვა ქვეყნებისა და ხალხთაგან განმასხვავებულ თვისებად („რომელსაც უცხოეთიდან მოსული კაცი უთუოდ შეამჩნევს“).

„ესაა“-ში ბაირონის შესახებ კონსტანტინე გამსახურდია წერს: „ლორდ ბაირონში უნდა განვაკერძოვოთ ადამიანი, ინგლისელი და დიდი ტალანტი. მისი ხასიათის კეთილი მხარეები უმეტესად მისი ადამიანობიდან გამომდინარეობენ. მისი ცუდი თვისებანი მის პერობასა და ინგლისელობაშია საქებარი“ (გვ. 194); „ინგლისელი თავისთავად ურეფლექსო ადამიანი¹ და ბაირონსაც „ურეფლექსოდ“ ემარჯვებოდა ნაყოფიერი შემოქმედება. მან თავისი დიდი ქმნილებანი ისე შეუფენებლად წარმოშვა, როგორც ქალები დაბადებენ ხოლმე მშვენიერ ბავშვებს, ისე რომ არც კი იციან, როგორ და რა გზით“ (იქვე); „ფილისტერულ ინგლისელობას არ უყვარს ბაირონი“ და „როგორც საკუთარი მშობელი დედა, ისევე სძაგდა ინგლისი ბაირონს“ (გვ. 193). ბაირონს თავისი საშობლო, მთელი ინგლისი კი არ სძაგდა, არამედ ინგლისური არისტოკრატულ-ბურჟუაზიული საზოგადოება და სწორედ ამ სიძულვილმა აქცია იგი, ისევე როგორც გოეთე, თავისი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ეროვნულ, ხალხურ პოეტად. კონსტანტინე გამსახურდია კი ამ სიძულვილს არაბატრიოტობად უთვლის ბაირონს და გოეთეს და მათ მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილ კოსმოპოლიტებად სახავს;

¹ ავტორი უთუოდ „ურეფლექსიოს“ გული-სხმობს.

ოთარ ჯინორია
კონსტანტინე გამსახურდიას „ესეები“

იგი წერს: „უნდა ითქვას, ბაირონი ისევე ცუდი პატრიოტი იყო, როგორც გოეტე“ (გვ. 190); და ქვემოთ (გვ. 193): „...ბაირონი გადასცდა ნაციონალური ფარგლებით მოვადობულ წრეს და ასეთ ადამიანებს გული არ უდგებათ თავიანთ სამშობლოში. ამითვე აიხსნება გოეტეს არაპატრიოტობა...“ კიდევ კარგი, რომ 121-ე გვერდზე გამსახურდია თვითონვე აღიარებს: „...გერმანული ნაციონალიზმის ვირთხები, წვირილფეხა პოლიტიკანები და გროს-დოიჩლანდზე შეშლილი დიდი პოლიტიკის მეთაურები „არაპატრიოტ ოლიმპიელს“ ეძახდნენ გოეტეს და ამ შესამა ჩვენს ეპოქაში მომეტებულად იბარტყა და სავსებით ბუნებრივად ფაშისტებიც ცხვირაბზუებულნი ახსენებდნენ გოეტეს დიდ სახელს“.

გერმანიისა და ინგლისის ხალხთა ამ დიდ ეროვნულ მგოსანთა დამცველად, — თუკი მათ დაცვა სჭირდებათ, — აქ ჩვენი ეროვნული მგოსანი შეგვიძლია მოვიხმოთ: დიდი ილია, რომელსაც მართლაც თქმისათვის აგრეთვე დასდებია ბრალად ცუდი მამულიშვილობა; აკი მან ასეთ ბრალმდებელთ თავისთვის ჩვეული პირდაპირობით მიუგო:

ჩემზე ამბობენ: „ის სიავს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს — ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

გოეთე და ბაირონი იმიტომ ყოფილან „ცუდი პატრიოტები“, რომ თავიანთ თანამემამულეებზე „ავი“ უთქვამთ; მაშასადამე, გამსახურდიას აზრით პატრიოტიზმი მხოლოდ „კეთილის“ თქმას ან, უფრო სწორად, ცუდის მიჩქმალვას და კარგის გაზვიადებას, გუნდრუქის კმევას გულისხმობს.

1938 წელს წაკითხულ მოხსენებაში „ილია ქავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ ივანე ჯავახიშვილი ასე განმარტავდა ჩვენი ეროვნული ისტორიისადმი ილიას დამოკიდებულებას:

„ილ. ქავჭავაძე ამბობდა: ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერი თავის გამოჩენაში პოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს“—აო. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ილიას აზრით ქართველებმა, როგორც ყოველმა კულტურულმა ერმა, კარგთან ერთად თავისი ეროვნული წარსულის ავიც უნდა იცოდეს და დაიხსომოს; იგი აღნიშნავდა, რომ „ჩვენ დაუფიქრებარ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმოქმედების თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთნელი შეფასება აინტერესებდა“ — იმის ცოდნა მიაჩნია აუცილებლად, „თუ რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე“, რამდენადაც ამ ცოდნას ემყარება ერის, ხალხის აწმყოცა და მერმისიც; საბუთად მას ილიას (1888 წ. დაწერილი) სიტყვები მოჰქონდა: „ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საქირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყო და მყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამის საბუთი თვალ-წინა გვაქვს. რა შეცვინახავდა ამ ერთ მუჟა ხალხს ამ ორი — ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შევვარჩინდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტხა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით—რა ჩამოგვარჩინდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია

სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ — დაკვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ესეა, რაღაუნდ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?*

ამრიგად, ვგონებ, ცხადია, რომ ის კაცი როდი გვევლინება ცუდ პატრიოტად, ვინც ერის შვილთ მწარე სიმართლეს ეტყვის, არამედ სწორედ ის, ვინც „ფერუმარილს“ მოიშველიებს, კარგს გააზვიადებს, ხოლო ნაკლს მიაფუჩეჩებს, რითაც ისტორიას, — ხალხის ეროვნული შეგნების ცხოველმყოფელ წყაროს, — ზერელე თავმოწონებოს, ნაციონალისტური ყოყლოჩინობისა და კულაბზიკობის საგნად გადააქცევს.

2. კონსტანტინე გამსახურდია ჭარბად იყენებს სხვადასხვა უცხო სიტყვებს („მიუფისა“, „ენვაზიები“, „ნომადები“, „ფლუიდები“, „ინტერიორი“, „მონსტრუალური“ და მისთანანი) და ასახილვებს სხვადასხვა უცხოელ მოაზროვნეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა სახელებს, მაგრამ ხშირად ჯეროვანი სიზუსტით ვერ გადმოგვცემს ისტორიულ და ლიტერატურულ მასალას. მის „ესსაჲ“-ებში ხშირად ვხვდებით ფაქტობრივ შეცდომებს. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს.

71-ე გვერდზე წერია: „ავტობიოგრაფიულ შრომაში „Vita nuova“ („ახალი ცხოვრება“) დანტე თავად აღვიარებს, რომ მან დაამკვიდრა იტალიურ პოეზიაში „dolce stil nuovo“ („ახალი ტბილი სტილი“)“. ნამდვილად კი დანტე ამის მაგვარს ვერაფერს იტყოდა „ახალს ცხოვრებაში“, რადგან იტალიურ პოეზიაში ხსენებული სტილის დამამკვიდრებელნი იყვნენ გვიდო გვინიჩელი და გვიდო კავალკანტი, რომელთაგან პირველს — „ბრძენს“, ხოლო მეორეს — „თავის „პირველ მეგობარს“ უწოდებს ჰაბუი მგოსანი „ახალს ცხოვრებაში“ (იხ. სონეტი V, თავები VII, XIV, XXV, XXX). იტალიაში აღრე

რენესანსი XIV საუკუნეში დაიწყო, ხოლო კ. გამსახურდიას თანახმად, ფრიდრიხ ჰოპენშტაუფენი, რომელიც 1212—50 წლებში, ე. ი. XIII ს-ის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და ტიპური ფეოდალური ტირანი იყო, „ფრიალ ტიპიური განსახიერებაა აღრე რენესანსის სულიერი განწყობილებისა“ (გვ. 26)¹; მეტიც, 143-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „ამ (რენესანსის) ეპოქაში აბსოლუტური სკეპტიციზმის გვერდით უძნელესი მისტიციზმიც თვალსაჩინოა (იგულისხმება ფრანჩესკო და-სიზი, თომას და-ჩელანო და სხვანი)“; ამრიგად, თურმე რენესანსის ეპოქაში მოღვაწეობდა ფრანჩესკო და-სიზიც, რომელიც 1182—1226 წლებში, ე. ი. XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა და ფრანჩესკოს ერთ-ერთი პირველი მიმდევარი თომას და-ჩელანოც, XIII ს-ის პირველი ნახევრის (1200—55) სასულიერო პოეტი.

214-ე გვერდზე ვკითხულობთ: „რევოლუციისაგან აღფრთოვანებული ჰაინე გოეტეს ეწვია ვაიმარში და მოუთხოო, თუ როგორ ჰქუხდნენ ზარბაზნები პარიზში. გოეტე გულდამშვიდებულ ეკითხება: „ვაიმარის გზაზე, თუ შეამჩნიე, ტყემლები ხომ არ აყვავებულანო“. არც ესაა სიმართლე. ჰაინე 1824 წელს შეხვდა გოეტეს, როცა პარიზში არავითარი ზარბაზნები არ ჰქუხდნენ, და მათ არაფერი უთქვამთ რევოლუციის შესახებ; პირიქით, ჰაინეს ძმის, მაქსის მოწმობით, საუბარი „მეტად ჩვეულებრივ“ თემებს შეეხო, რასაც თვით ჰაინე აღსატურებს „რომანტიკულ სკოლაში“ — ბევრი რამ მინდოდა ამაღლე-

¹ ფრიდრიხ II-ის ე. წ. „თავისუფალ მოაზროვნებას“, რომელსაც ძველი ისტორიკოსები მას ესოდენ უქებდნენ, არსებითად არაფერი ჰქონდა საერთო რენესანსულ ჰუმანიზმთან. კ. მარქსის თქმით, ეს „თავისუფალი მოაზროვნება“ ატარებდა „მაჰმადიანურ“ იერს და გამოიხატა აღმოსავლურ-პარამხანაღლი განცხრობის ტრფიალში (იხ. Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. V, стр. 250).

ოთარ ჯინორია

კონსტანტინე გამსახურდიას „ესეები“

ბული და ღრმავაროვნული მეთქვა გოეთესათვის, მაგრამ ისღა ვუთხარი, რომ იენის და ვაიმარის გზაზე ძალიან გემრიელი ქლიავი (Pflaumen) იცისო; ამრიგად, ქლიავის (და არა „ტყემლის“) შესახებ ფრაზა ჰაინეს ეკუთვნის და არა გოეთეს.

იმავე გვერდზე წერია, რომ ანატოლ ფრანსის ცნობილი რომანის „ღმერთებს წყურიათ“ სიუჟეტი აღებულია პარიზის კომუნის ისტორიიდან; ნამდვილად კი ამ რომანში ასახულია საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის, კერძოდ, 1793 წლის, იაკობინური დიქტატურის დროინდელი სინამდვილე (მართალია, ისტორიამ რამდენიმე „პარიზის კომუნა“ იცის, რომელთაგან ერთი, — 1789-94 წლების პარიზის კომუნა, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს შექმნილი საქალაქო თვითმართვლობის ორგანო, — მართლაც ფრანსის რომანის მოქმედების ხანას განეკუთვნება; მაგრამ საქმე ის არის, რომ მთელ თანამედროვე, მეტადრე კი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჩვეულებრივად „პარიზის კომუნად“ მოიხსენება მხოლოდ 1871 წლის პარიზის კომუნა).

თომას მანის ცნობილ ნოველა „ტონიო კრეგერზე“ კონსტანტინე გამსახურდია წერს: „ტონიო კრეგერში ორი საწყისი ებრძვის ურთიერთს. პოეტი და მოქალაქე“ (გვ. 237). ამ ნოველის თემა არ არის პოეზიისა და მოქალაქეობის წინააღმდეგობა. მისი ლაიტმოტივია მეოცნებე პოეტის, პრაქტიკული ცხოვრების უნარს მოკლებული ხელოვანის ამო ჭიდილი თავის ობიექტულურ, ფილისტერულ-ბურჟუაზიულ გარემოცვასთან; მაგრამ გერმანული სიტყვა Bürger ბურჟუას გარდა მოქალაქესაც ნიშნავს, უთუოდ, ამ გარემოებამ თუ გამოიწვია შეცდომა და პოეტს „მოქალაქე“ დაუპირისპირა.

3. კ. გამსახურდია ზოგჯერ შეგნებულად ცვლის სინამდვილეს, რათა როგორმე დაასაბუთოს თავისი თვალსაზრისი. მაგალითად, ასე იქცევა იგი, როცა „ამტიცებს“ „ვაჟას განმარტო-

ვებას ქართული სიტყვის დიდოსტატთა ოჯახში“. ვაჟასადმი მიძღვნილ „ვატარი წერილს“ (გვ. 283-287) კონსტანტინე გამსახურდია იმით იწყებს, რომ — ინსენებს „მუცოს ციხის სანახებში“ მდებარე „ერთ უზარმაზარ ლოდს“, რომელსაც „გაღმაც უფსკრული ახლავს... და გამოღმაცა“; „შესცქერის მგზავრი ამ უშველებელ მასივს გრანიტისას და აღარ იცის, საიდან გაჩნდა იგი ამ გავაკებაზეო“, — წერს გამსახურდია და დასძენს: „ვაჟა ფშაველა მომაგონა ამ უტოლო ლოდში“.

ასეთ ანალოგიას სინამდვილეში არავითარი გამართლება არ მოეძებება. ვაჟას უფსკრული არც გაღმა ჰქონია და არც გამოღმა: მის შემოქმედებას ჩვენი ლიტერატურული და ხალხური შემოქმედებითი ტრადიცია უსწრებდა და თავის მხრივ ვაჟაც ორგანულად უერთდებოდა თავის თანამედროვე და მომდევნო კულტურას.

კ. გამსახურდია XIX საუკუნის ჩვენს მწერლობაში სიტყვის დიდოსტატად მართო ვაჟას მიჩნევს და ამიტომ წერს: „აიღეთ უდიდესი მწერალი მე-19 საუკუნისა, გასინჯეთ მისი ლექსიკა, ხუთი-ოდე ათას ძირეულ სიტყვას არ აღემატება. მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ენა დაკნინდა, დაიშრიტა ქართული ლექსიკონი, სოფლად გლეხობა თუ ლაპარაკობდა კიდევ ქართულად, ქალაქში კი მუშა ხალხი თუ მეტყველებდა ამ ენაზე. გადაგვარდა ქართულის სინტაქსი. მწერლობის დიდი ნაწილი მიჰყვებოდა იმ ენაადრეულ მეტყველებას, რომელიც უკვე დიშლამობდა გადაგვარებული ქალაქელი წვრილი „ჩინოვნიკების“ პირში. ეს აღრეული ბაზრული ქართული გაისმოდა სცენაზე, ნაწილობრივ პრესასა და ლიტერატურაში“ (გვ. 284-85).

ვის შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ სწორედ XIX ს-ში, — გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის, ვაჟასა და ივანე მაჩაბლის ეპოქაში, — საქართველოს საერთო კულტურულ პროგრესს, კერძოდ კი ლიტერატურული ენის აღმავალ განვი-

თარებას აქვს ადგილი? ვისი სინტაქსისა გადაგვარებული — ბარათაშვილისა თუ აკაკისა, ილიასი თუ მაჩაბლისა? ვის პიესებში (ნათარგმნისა და ორიგინალურში) გაისმოდა „აღრეული ბაზრული ქართული“ — ა. წერეთელის, რ. ერისთავის, ივ. მაჩაბლის, პ. უმიკაშვილის, კ. მესხის თუ ვ. გუნიას პიესებში და თარგმანებში?! ცხადია, თითო-ორიღა შემთხვევა აღრევისა სად არ არის და არ ყოფილა, მაგრამ ამისათვის გადამწყვეტი ლიტერატურულ-ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა ვის მიუნიჭებია? კ. გამსახურდია გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ XIX ს-ის ქართული მწერლების დიდი, პროგრესული ნაწილი, რომელსაც სათავეში თერგდალეულები ჩაუდგნენ, მიჰყვებოდა არა გადაგვარებული ჩინოვნიკების „ენააღრეულ“, არამედ სწორედ სოფლისა და ქალაქის მუშახალხის მეტყველებას, რომელიც ცოცხლად ინახავდა ქართული ენის უძველეს და უმაღლეს, რუსთაველისეულსა და გურამიშვილისეულ ტრადიციებს; იგი ყურადღებას არ აქცევს „მამათა და შვილთა“ ისტორიულ ბრძოლას, კერძოდ, ილიასა და აკაკის რეფორმატორულ ღვაწლს, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციაში, ხალხური მეტყველების საფუძველზე განახლებაში მდგომარეობდა.

ვაქვს „ერთადერთობის“, „უტოლოზის“ საჩვენებლად კონსტანტინე გამსახურდია არასწორად აფასებს სხვა ქართველ კლასიკოსებს. იგი ასე ახასიათებს ჩვენს დიდ, ხალხურ, ეროვნულ მწერლებს: „თუ ილია ჭავჭავაძე, საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და აკაკი წერეთელი დიდ აზნაურთა ოჯახების კულტურამ, მწიგნობრივმა კულტურამ წარმოშვა, ვაჟა ხალხური სათავეების უშუალო განშტოებაა“ (გვ. 285). ამ „დებულებას“, ცხადია, დასაბუთება უნდა და აი „საბუთიც“: „ერთი რამით მაინც (რატომ „მაინც“? როგორც ჩანს, კ. გამსახურდიას თვითონაც ნაკლებ სჯერა ამ თავისი დებულებისა) ილიაზე და აკაკიზე უფრო დემოკრატიულია

ვაჟა, მისი პოემების გმირებია უბრალო ხალხის შვილები: მინდია, ფურცლავა, ალუდა ქეთელაური. დაუპირისპირების ისინი თორნიკე ერისთავს, დიმიტრი თავდადებულს და სხვ. და თვალნათლევ შეიცნობთ ვაჟას განმარტოვებას ქართული სიტყვის ოსტატთა ოჯახში“ (გვ. 286). განა მართებული არ იქნება, რომ ვაჟას პოემების გმირები გვერდით ამოვუყენოთ კაკოსა და ზაქროს, ოთარაანთ ქერვისა და გიორგის ან ბაშიაჩუქს? ანდა იქნებ ისინი უბრალო ხალხის შვილები და ილიას და აკაკის გმირები არ არიან...

4. ასეთია კ. გამსახურდიას მეთოდოლოგიური პრინციპები და ობიექტურობა. და ბუნებრივია, რომ ამ „საფუძველზე“ მდგარი ავტორი ხშირად შეუწყნარებლად ცდება დიდ ხელოვანთა და მოაზროვნეთა შეფასებისას.

სანიმუშოდ დავკმაყოფილებით მხოლოდ სამ კლასიკოსზე — დანტეზე, ბაირონსა და მანზე დაწერილი ესეების აღნიშვნით.

ა) „პატარა მონოგრაფიაში“ დანტეზე განსაკუთრებით „სანიტერესოა“ VII თავი: „დანტე და რუსთაველი“. მსოფლიო პოეზიის ამ ორი კორიფეს შედარება თავისთავად სრულიად მართებულია, რადგან, როგორც კ. გამსახურდია სწორად შენიშნავს, „თვით რუსთაველის ეპოქა, მისი პიროვნება და შემოქმედება იძლევა საამისო საბაზს“; მით უფრო, რომ „გარდა ამისა, რუსთაველი ჯერ არ გვეყავს მსოფლიო პოეზიის მასშტაბით გაშუქებული“ (გვ. 65). მაგრამ რა ასპექტში ადარებს გამსახურდია დანტეს და რუსთაველს და რა დასკვნებს იღებს ამ შედარებიდან? „ფორმის მხრივ“ ეს შედარება იმის ზოგადად აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ ორივე პოეტმა მეტყველების „ხალხური, სადა და არასუპერპათეტიური ტონი აირჩია“ (გვ. 65), რომ „რუსთაველის შაირის ტიპი ქართული ხალხური პოეზიიდანაა აღებული“ და „დანტეც ამ ხალხურის

ოთარ ჯინორია
კონსტანტინე გამსახურდიას „ესეები“

„ვოლგარეს“ აპოლოგეტი იყო“ (გვ. 66). თუმცა ეს მეტიხმეტად ზოგადი, მაგრამ მაინც სწორი დაკავშირებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, კ. გამსახურდია ამით არ კმაყოფილდებოდა. „უმთავრესი, რაც დანტეს „ჯოჯოხეთის“ და „ვეფხისტყაოსანს“ აკავშირებს, — განაგრძობს გამსახურდია, — ეს არის „ჯოჯოხეთის“ მაგისტრალური მოტივი, სახელდობრ, ცოცხალი ადამიანის ჯოჯოხეთად, ქვესკნელად ჩასვლა“ (გვ. 66); 70-ე გვერდზე ეს დებულება ასეა „დაზუსტებული“: „როგორც დანტეს პოემაში (უკვე მთელს პოემაში და არა მხოლოდ მის პირველ ნაწილში — „ჯოჯოხეთში“), ისე „ვეფხისტყაოსანშიც“ ქვესკნელად შთასვლის იდეა (უკვე „იდეა“ და არა მოტივი—ო. ჯ.) მოცემული“. კიდევაც რომ დაუშვათ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ქაჯეთი ჯოჯოხეთის, ქვესკნელის სიმბოლოა, განა დანტეს კომედიაში მხოლოდ ჯოჯოხეთს, ქვესკნელად შთასვლაა აღწერილი? საბოლოოდ პოეტი ხომ „ზესკნელში“ — სალხინებელსა და სამოთხეშიც ადის და ამ ასპექტში დანტეს პოემის „მაგისტრალურ მოტივად“ კ. გამსახურდიას სწორედ „ზესკნელში“ ასვლა უნდა მიეჩნია. მაგრამ განა ქვესკნელსა და ზესკნელში, ე. წ. იმიერ სამყაროში სვლაა დანტეს ამ უკვდავი, მაღალი ჰუმანიზმითა და ღრმა დემოკრატიზმით გამსჭვალული ქმნილების „მაგისტრალური მოტივი“ და „იდეა“? შემდეგ გამსახურდია წერს: „თამაში გამოთქმითაც ძლიერ ჰგვანან ურთიერთს დანტე და რუსთაველი, ცნობილია რუსთაველის „შე ბოზო დიაცო“, „პირბოზო, ჩემი მორევა რა დია დაეკადია“... ასეთივე ეპიტეტით იხსენიებს დანტე ლუციფერს (ქ. 24). მრავალჯის ახსენებს მამაკაცის სარცხვენელს სავსებით მოურიდებლად“ (გვ. 70); საყურადღებოა, რომ „ჯოჯოხეთის“ 24-ე ქებაში ლუციფერი სრულებით არ იხსენიება, ხოლო ასეთი ეპიტეტით 33-ე ქებაში მოხსენებულია არა ლუციფერი, არამედ გიჟი რაინდი ბრანკა დ'ორია, თანაც მხოლოდ გამსახურდიასეულ თარგმანში: დანტეს

უწერია უბრალოდ „peggiore spirito“ — „უცუდესი სული“ (და ისიც არა ბრანკას, არამედ რომანტიკოსების ალბერტო დეი მანფრედის მიხედვით, რომლის სულთან ერთად ბანაობს კოციტში ბრანკას სული), ე. ი. კ. გამსახურდია თავის თარგმანს ადარებს რუსთაველს... მაგრამ ეს უკვე „წერილმანია“, მთავარია თვით შედარება, რომელსაც კ. გამსახურდია იმით აგვირგვინებს, რომ დანტესა და რუსთაველს და მათთან ერთად, რატომღაც, შექსპირსა და გოეთესაც „იმდროინდელ თავაშვებულ და გაზულუქებულ ფეოდალებს“ ადარებს. იგი დასძენს: „საერთოდ საშუალო საუკუნის პოეტებსაც ისევე უყვარდათ უბოდიშო და მძაფრი გამოთქმები, როგორც იმდროინდელ თავაშვებულსა და გაზულუქებულ ფეოდალებს. შექსპირიცა და გოეთეც არ დალატობენ ამ ფეოდალურ ტრადიციებს“ (იქვე).

ბ) ე. წ. ნეგლსი წერს: „შელის, გენიალურ წინასწარმეტყველურ შელის, და ბაირონს თავისი მგზნებარე გრძნობიერებითა და თანამედროვე საზოგადოებაზე გესლიანი სატირით მუშებს შორის ჰყავთ ყველაზე მეტი მკითხველი; ბურჟუა კითხულობს მხოლოდ ეგრეთწოდებულ „საოჯახო გამოცემებს“, დასაჭურისებულსა და თანამედროვე ფარისევლურ მორალთან შეგუებულს“. ამ ფარისევლურ მორალს ინგლისში და, შეიძლება, მთელს დასავლეთ ევროპაშიც არ ჰყოლია ბაირონზე დიდი, ღვარძლიანი და შეუთრიგებელი მოძულე და ამ მორალის მესვეურებმაც. ბურჟუაზიული საზოგადოების ნაფიცმა ვეკილებმა ლიტერატურაში, ყოველი ღონე იხმარეს, რათა ლაფში ამოესვარათ დიდი რევოლუციონერი დემოკრატი, რათა დაემდაბლებინათ მისი პიროვნება და გაეუფასურებინათ მისი შემოქმედება. და აი, კ. გამსახურდია, იმის ნაცვლად, რომ ამხილოს ბურჟუაზიული ფალსიფიკატორთა და ცილისმწამებელთა მიერ შეთხზული ბინძური ლეგენდა ბაირონზე, გულმოდგინედ იმეორებს მის ინსინუაციებს. კონსტანტინე გამსახურდიას აზრით ბაირონი არის „ცინი-

კოსი და ავანტიურისტი“, „გაუსწორებელი და უზნეო პოეტი“ (გვ. 196), რომლისთვისაც არაფერი იყო წმინდათაწმინდა და რომლის სულს საბოლოოდ „საშინელი მიზანტროპია“, კაცთმოძულეობა მოეკიდა (გვ. 201). თურმე, „გულმოკმულ დენდის არ უყვარდა არც სამშობლო, არც პოლიტიკა, არც პოეზია“ (გვ. 190). იგი დიდი დემოკრატი კი არ ყოფილა, რომელიც ინგლისის პარლამენტში მქუხარედ იცავდა მუშათა ინტერესებს, არამედ — „თავკერძა პეერი“ (გვ. 179), „უყარება, უხასიათო და ამპარტავანი ფეოდალის ნაშიერი“, რომელიც „წოდებრივი უპირატესობით ყოყონინობამ... დააბრმავა...“ (გვ. 181). თურმე, მთელი მისი პირადი ცხოვრება „ამორალური“ „ამურული ავანტიურობის“ ჯაჰეს წარმოადგენს, აღსავსეს „ქეიფით, დებოშებით, გარყვნილებით“; კერძოდ, „ბაირონი ისევე ცინიკურად ეპყრობოდა ქალებს, როგორც ნაპოლეონი“ (იხ. გვ. 195, 196, 200). და თუკი გავხსენებთ გამსახურდიას მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომ „ყოველი ნაწარმოების გასაშიფრავად ყველაზე საიმედო და მარჯვე გასაღებია ავტორის პირადული ცხოვრება“, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გააშუქებს იგი ბაირონის შემოქმედებას (თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბაირონის თხზულებებს კონსტანტინე გამსახურდია მხოლოდ გაკვრით ეხება). აი, რას წერს იგი ბაირონის უდიდესი ქმნილებს „დონ-ჟუანის“ შესახებ: „სკეპტიციზმი და უხასოება გამოსხვივის ამ პოემის ყოველ სტროფიდან“ (გვ. 193); „დონ-ჟუანში“ განსაკუთრებული სიმკვეთრით განსახიერდა ბაირონის მელანქოლიური ბუნება, მისი ცინიზმი, მეფისტოფელური სკეპტიციზმი“ (გვ. 200). საერთოდ, ბაირონის უკვდავ შემოქმედებით მემკვიდრეობაში კ. გამსახურდია ცინიზმის, სკეპტიციზმისა და პესიმიზმის მეტს ვერაფერს ვერ ხედავს.

გ) არსებითად ასევე მკვდარად განიხილა კონსტანტინე გამსახურდია დიდი ჰუმანისტისა და დემოკრატის, XX საუკუნის უდიდესი გერმანელი მწერ-

ლის, კაპიტალიზმის ლაბობის დრამატუროვანი მამხილებლის თომას მანის შემოქმედებას. ამ მწერლისადმი მიძღვნილი „ესსაჲ“-ში, რომელიც 1948 წლითაა დათარიღებული, კ. გამსახურდია თომას მანის მეტად რთული და ხანგრძლივი შემოქმედებითი განვითარების „დახასიათებას“ პირველი მსოფლიო ომის ეპოქით წყვეტს, ისე რომ დასახელებულიც კი არ აქვს მწერლის შემდგომი, საქვეყნოდ ცნობილი რომანები: „მოჯადოებული მთა“ (1924), „ლოტე ვაიმარში“ (1939), „იოსები და მისი ძმები“ (1934—1943), „დოქტორი ფაუსტუსი“ (1946). მაგრამ როგორაა გაშუქებული თომას მანის ადრინდელი შემოქმედება? — „თომას მანის შემოქმედების საკმაოდ ვრცელ მანძილზე ორი ფილოსოფიის ზეგავლენანი ხდებიან საცნაურ. სახელდობრ: შოპენჰაუერისა და ნიცშესი“, — წერს გამსახურდია (გვ. 236) და მხოლოდ ამ ნეგატიურ ასპექტში ახასიათებს რომანს „ბუდენბროკები“ და ნოველებს „ტრისტანი“, „ტონიო კრეგერი“ და „სიკვდილი ვენეციაში“; თანაც იგი არაფერს ამბობს იმაზე, რომ თომას მანის მთელი შემოქმედებითი სიმწიფის ხანა სწორედ შოპენჰაუერიზმისა და ნიცშეანიზმის დაძლიერების ბრძოლითაა აღბეჭდილი. ამ-ს ნაცვლად კონსტანტინე გამსახურდია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თომას მანის პოლიტიკურ-ფილოსოფიურ შრომას „ფრიდრიხი და დიდი კოალიცია“, რომელიც დიდ მწერალს მძამე, მაგრამ ოროებითი კრიზისის პეროდში, 1914 წელს აქვს დაწერილი, მაშინ, როდესაც, გამსახურდიასავე თქმით, თომას მანმა „წონასწორობა დაჰკარგა, გერმანელი იმპერიალისტების ჰორას ღრიალით ვაბრუნებულმა“ (გვ. 240). თომას მანზე მისი „ესსაჲ“ სულ 16 გვერდს შეიცავს, აქედან კი 7 უკანასკნელი გვერდი „ფრიდრიხსა და დიდ კოალიციას“ აქვს დათმობილი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კონსტანტინე გამსახურდიას

ოთარ ჯინორია

კონსტანტინე გამსახურდიას „ესეები“

ან თომას მანის რეაქციონერად დასახვა განუზრახავს, ანდა თომას მანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ნეგატიური, რეაქტიული მხარე აინტერესებს უპირატესად (მიუხედავად იმისა, რომ, ცხადია, მას აკრიტიკებს).

5. გაკვირვებით შევხვით „ესსაჲ“-ებში წარმოდგენილ ზოგიერთი ენობრივ ექსპერიმენტსაც. იტალიური Alighieri კ. გამსახურდიას ქართულად გადმოაქვს როგორც „ალიგვიერი“, გერმანული Wahrheit — „ვაპრაიტი“-ად. ნუთუ იმას უნდა აღნიშვნა, რომ პირველ შემთხვევაში h-ს ფუნქცია მხოლოდ ის არის, რომ მომდევნო i-ს გამო „ჯ“-დ არ გამოითქვას გ, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ის, რომ a გაგრძელდეს? ცნობილია: დასავლეთევროპულ ენებში სიტყვის გრაფიკული ფორმა მის ფონეტიკურ ფორმას არ ემთხვევა, ხოლო ქართულში კი სიტყვა ისე გამოითქმის, როგორც იწერება და ამიტომ დასავლეთევროპული სახელები ქართულად ისე კი არ უნდა დაიწეროს, როგორც ისინი მათს ენებზე იწერება, არამედ ისე, როგორც გამოითქმის. კ. გამსახურდია კი წერს ალიგიერის ნაცვლად „ალიგვიერი“-ს, ანდა „ვარაპაიტი“-ის ნაცვლად ქართველისათვის ენის სამტრევე „ვაპრაპაიტი“-ს (გვ. 126); ანდა 135-ე გვერდზე — „ვაპლფერვანდშაფტენ“-ს, 127-ზე — „ეპრენბრაიტენტაინ“-ს, 172-ზე — „უჰლანდ“-ს, 215-ზე — „ჰიპოლიტ ტენ“-სა და „ჰიპოლიტ დიუფერენ“-ს.

177-ე გვერდზე ვკითხულობთ: „და დღესაც ყოველი ინგლისელი ერთგვარ „შოკინგს“ განიცდის მათი (ბაირონისა და უაილდის) სახელის ხსენებაზე“. ინგლისური shock არსებითი სახელია და ნიშნავს შეტაკებას, ბიძგს, მოულოდნელ და მძლავრ დარტყმას თუ მოქმედებას, რომელსაც შინაგანი სტაბილურობის შესუსტება ან შერყევა მოსდევს, შეძრწუნებას, რაიმე მოულოდნელ და შემაწუხებელ შთაბეჭდილებას, რომელიც უარყოფით კვალს სტოვებს გონებასა და გრძნობებზე, არღვევს სულიერ სიმშვიდეს და იწვევს დეპრე-

სიას; ხოლო shoking ჩვეულებრივ გახლავთ პარტიციპიალური (ნახმნარი) ზედსართავი, რომლის მნიშვნელობაა „შეურაცხყოფელი“, „სათაკილო“, „სამარცხვინო“; shocking, როგორც არსებითი სახელი, უფრო სწორად როგორც ნახმნარი სახელი, გამოიყენება ერთადერთი და ისიც არქაული მნიშვნელობით — „შეჯახების“, „შეხლის“, „კვეთების“ აზრით (ოქსფორდის დიდ ინგლისურ ლექსიკონში ამ უკანასკნელი გაგების ორი მაგალითია მოტანილი და დათარიღებულია 1692 და 1739 წლებით (იხ. „The Oxford english dictionary, vol. IX, P. 720—721)).

ამრიგად, კ. გამსახურდიას ციტრებული წინადადება რომ „ვთარგმნოთ“, უაზრობას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უხეირო თქმას მივიღებთ: „და დღესაც ყოველი ინგლისელი ერთგვარ „სამარცხვინოს“ განიცდის მათი სახელის ხსენებაზე“; ანდა, კ. გამსახურდიას ენობრივი მიდრეკილებებს შესაბამისად, shocking-ის არქაულ მნიშვნელობას თუ გავყვით, გვექნება: „და დღესაც ყოველი ინგლისელი ერთგვარ „შეჯახებას“ განიცდის მათი სახელის ხსენებაზე“.

ხშირად კონსტანტინე გამსახურდია თვითონ არ იცავს უცხო სიტყვათა და სახელოთა „უცხოურად“ გამოთქმის ავის პრინციპს. მას უწერია: „ტემაც“ (276) და „თემატიური“-ც (279); „არისტოტელეს“-იც და „არისტოტელესი“-ც სახელობითში (გვ. 29 და 96), ხოლო „არისტოტელემ“ და „არისტოტელეს“ მოთხრობითსა და მიცემითში (გვ. 29. უნდა ეთქვა „არისტოტელესმა“ და „არისტოტელესს“, რაკი სახელობითში „არისტოტელესი“ იხმარა); ანდა: თუკი „თომას მანს“-ს, „ჯორჯ ბაირონ“-ს დავწერთ, მაშინ სხვა ამ ტიპის სახელებიც ასევე უნდა ვწეროთ, 193-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: „მის (ივ. ჯავახიშვილის) შრომებს, მის დასკვნებს თვალს ადევნებდნენ... ედუარდ მაიერი და ა. ჰარნაკი, ჰომელი და ბლეიკი, შუხპარტი და ოლენი, ბლაიხშტაინერი და პეტერსი“; ხოლო 297-ე გვერდზე

სულაც ერთ წინადადებაში გვხვდება ორივე ფორმა: „...მენდელსონი, მაიერბეერ, გეორგ ბრანდესი, ანატოლ ფრანს, ბერნარდ კელერმან, მარსელ პრუსტ..“ ანდა: კ. გამსახურდიას „პრინციპის“ თანახმად ფრანგულ-ინგლისური „essay“ ქართულად უნდა იყოს „ესსაჲ“, მაგრამ ამ ფორმასთან ერთად (გვ. 239) მას უწერია „ესსეი“-იც (გვ. 309).

აქვე რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ კონსტანტინე გამსახურდიას „აფორიზმებს“. მაგალითად, 229-ე გვერდზე ვკითხულობთ: „დიდი ფილოსოფოსები და დიდაქტიკოსები გვასწავლიან, თუ როგორ იაზროვნოს და იცხოვროს კაცმა, ხოლო დიდი პოეტები იმას გვანიშნებენ, თუ როგორ არ უნდა იაზროვნოს და არ უნდა იცხოვროს ადამიანმა.“ ასეთი აფორიზმები, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს.

„ესსეი უპირველესად ცდას ნიშნავს. ესსეის უანრი ევროპულ მწერლობაში შემოიღო მონტენმა, იგი ინგლისურში გადაწერა ლორდ ბეკონმა. დიდი წვლილი შეიტანეს ამ უანრის განვითარებაში კარლაილმა, ტემპლმა, ლორდ სტენჰოუპმა, ტრაიტშეკემ და ამერიკელმა ესსეისტმა ვალდო რაბ ემერსონმა.“ — განმარტავს „ბოლოსიტყვაში“ კონსტანტინე გამსახურდია და ცოტათი ქვემოთ დასძენს: „კარგი ხნის სურვილი იყო ჩემი ამ უანრის ქართულ მეტყველებაში გადმოწერვა“. თავისთავად ამ სურვილის წინააღმდეგ აბა რა ეთქმის კაცს: კარგი „ესსეები“ უთუოდ გაამდიდრებდნენ ჩვენს მწერლობას, რომელშიც ეს უანრი მართლაც საკმაოდ ღარიბადაა წარმოდგენილი, ხოლო დასახელებულ ცნობილ ესსეისტთა გვერდით ქართველი მწერლის ხსენება ჩვენს ეროვნულ თავმომწონებას ეამებოდა კიდევ. კონსტანტინე გამსახურდიამ მართლაც ერთ-ერთმა პირველმა სცადა ამ უანრის ჩვენს მწერლობაში შემოტანა, მაგრამ მისი „ესსაჲ“-ების ღირებულება, ცხადია, გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ ჩვენს გამოჩენილ მწერალს თავიდან აეცილებინა აღნიშნული ხასიათის ნაკლოვანებები.

...1959 წელს, „ესსაჲ“-ების მეორე წიგნიც დაისტამბა, რომელშიც კონსტანტინე გამსახურდია კვლავ მრავალი დილოსტატის, ისევე გოეთეს და აგრეთვე უიტმენის, იბსენის, ისააკიანის, კაკაბაძის, გუდიაშვილისა და სხვათა შემოქმედებაზე გვესაუბრება, ანდა თავის კრიტიკოსებს ეპაქერება.

მაგრამ „ესსაჲ“-ების მეორე წიგნსაც ყველა ის არსებითი ნაკლი აქვს, რაც პირველ წიგნს ჰქონდა, ასე რომ მისი კრატეული განხილვა მხოლოდ უკვე აღნიშნულის ახალი, კერძო მაგალითებით დადასტურება თუ იქნებოდა.

ამ წიგნშიც ვხვდებით ანალოგიურ მცდარ დებულებებს. კერძოდ, ავტორი აქაც იმეორებს, რომ „ღვთაებრივი კომედიისა“ და გოეტეს „ფაუსტის“ სათავეები ბიბლიიდან მოდიან, ხოლო „ათას ერთი ღამიდან“ ბოკაჩიოს ნოველებისა“ (გვ. 104); ან ერთმანეთის გვერდით აყენებს ვითარცა „მისტიციზმის“ შესვეურთ, რეაქციონერ შატობრიანსა და რევოლუციონერ ჰუგოს (გვ. 196); ანდა კიდევ აცხადებს (204-ე გვერდზე), თითქოს „ანატოლ ფრანსი და მორის ბარესი აგრძელებდნენ უბრწყინვალეს ტრადიციებს ბალზაკისა და სტენდალისას და ეწეოდნენ საფრანგეთის წარსულის პოეტიზირებას“ (განა შეიძლება ბარესის, ფრანგული იმპერიალიზმის ამ აგრესიული იდეოლოგიის, ლენინის თქმით, ამ „არქირეაქციონერის“, ანატოლ ფრანსის გვერდით დაყენება და ბალზაკ-სტენდალის „უბრწყინვალესი ტრადიციების“ გამგრძელებლად დასახვა?!).

კ. გამსახურდია ამ წიგნშიც იმეორებს, რომ მხატვრული შემოქმედების სფეროს არაფერი ან ცოტა რამ აქვს საერთო გააზრებულ, თეორიულ პრინციპთა შესაბამის შრომასთან; 199-ე გვერდზე ვკითხულობთ: „საერთოდ თეორიული საკითხების გამო დროის დახარჯვა ზედმეტი ენერჯის გაწევაა ხელოვანისა-

თვის, თუმცა დიდოსტატებიც სიტყვისა და წამლისა ხშირად ჩადიოდნენ ამას“.

აქაც გვხვდება ლიტერატურულ-ისტორიული პროცესების პრინციპულად მიუღებელი გაგება, რომელიც ასე კატეგორიულადაა განცხადებული 260-ე გვერდზე: „ჯერჯერობით რაც ჩვენ ვიცით მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიებიდან, ეგაა: მკლავმავარი კაცი მოვარდება მწერლობაში და სამი თაობის კაპანს ასწევს, ხოლო უნიჭოები სხედან და ცოხნიან ათასი წლის მანძილზე ნაცოხნს. ეს მკლავმავარი კაცი გახლავთ ეროვნული ენერჯიის უცაბედი ერუპციის გამოვლინება ერთი ორი პიროვნების სახით და სხვა არაფერი“.

...მოკლედ: ინდივიდუალიზმის ამკარა აბოლოგია, ერთეულ „მკლავმავარს“ ხელოვანთა „მარტოხელობის“, „უნიჭოთაგან“ გარემოცულობის, თანამედროვეების მიერ გაუგებრობისა თუ დაუფასებლობის მტკიცება; ხელოვნების ირაციონალისტური გაგება; სუბიექტივიზმისაკენ ხაზგასმული მიდრეკილება, ხელოვნების ფაქტთა განსჯისას თავის მსჯელობათა დამყარება „პირადი გემოვნებით“ შეფასებებზე, რომელთაც ხელოვნური ორიგინალობის ბეჭედი აზის, — ყოველივე ეს გვაფიქრებს, რომ ავტორმა ამ „ესეების“ ხელახალი გამოცემის დროს ბევრი რამ არსებითად უნდა გადასინჯოს და გადააფასოს.



ივანე აბაშიძის პატრიოტული ღირსეულობის



გრიგოლ აბაშიძის პატრიოტული ღირსეულობა

გრიგოლ აბაშიძე დღეს თვალსაჩინო პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა შორის. კრიტიკა მის შემოქმედებას თავიდანვე თანაგრძნობით შეხვდა, დადებითადაც შეაფასა; შემდეგშია ცქარ-თული კრიტიკა უცვლელად დიდ ყურადღებას აქცევდა მისი შემოქმედების განვითარებას, აქებდა, ამხნევებდა.

ჩვენ ამ წერილში გვსურს მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ იმ ხასიათის ლექსებზე, რომელშიც პოეტს პატრიოტული გრძნობები და განცდები აქვს გამოთქმული.

ყველა ამ ლექსში მშობლიური მხარისა და ხალხის გულწრფელი სიყვარული გამოსჭვივის.

„ჩვენო თბილისო, ჩვენო დედაო“, — მიმართავს პოეტი საქართველოს დედაქალაქს, რომელსაც „წლები ჭაღარად ეფინებიან“. იგონებს უცხოეთში გადახვეწილ მეფე ვახტანგს, მის უახლოეს მსახურებს, რომლებიც ბუხარს მისხდომიან, „გულს მოგონებით მოიხებენ და ავთანდილის ლექსებს იტყ-

ვიან“. პოეტს ხიბლავს ლეგენდარული გმირის, მეფე ერეკლეს ძლიერი პიროვნება.

გადმოვა ლანი, ცეცხლოვან აჩრდილს
შუქი დარჩება ნაფხურებად,
ტანს მოადგება პერანგი ჯაჭვის
და თავს ჩაფხუტი დაეხურება.
მერმე ლითონი სახეს შებურავს,
ხმალს ხელს დაავლებს, მტვერში
ნადებარს,

გამოიჭრება გარეთ ვეფხურად.
და გაღავანზე შემოვარდება.

პოეტის ფანტაზია ქმნის ძველი ქართველი მეგრძოლის „გოლიათის“ ტიპურ სახეს. აქ იგი პიპერბოლას იყენებს. გმირულმა ისტორიულმა წარსულმა და სწორმა შემოქმედებითა მეთოდმა საშუალება მისცა ავტორს გამოეჩანა დაეხატა სამშობლოს თავისუფლებისათვის მეგრძოლი ძველი ქართველი რაინდის სიმბოლური სახე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გრიგოლ აბაშიძის ლექსი „სამცხის სამარხზე“.

აღბათ ცოცხალი ჰყავდა გოლიათს, რა მუხლი ჰქონდა, ან რა ხელები, კაცისოდენა ხმლები ჰქონია, სახლისოდენა საწინახელები.

ხომ ექნებოდა ხმა მტრის მზარავი, სახლობაც ჰყავდა, აღბათ ლამაზი, არ აწინებდა ხმალში არავინ, არც ლანგთემური, არც შამ-თამაზი.

ედგა ვაზი და ლურჯად ხეხილი, მაგრამ მოხშირდა სპარსთა თარეში, და ისიც მტრისგან შუბლგაჩეხილი ძლიერ ჩატეულა ამ სამარეში.

აქ დაჰკრეფია ვაჟკაცს ხელები, აქვე სჩანს მისთა დღეთა მოწმენი, ხომალდებივით საწინახელები, და სატეერები ხეთაოდენი.

ამ შთამავგონებელ სტრიქონებს რომ კითხულობთ, ნამდვილად გჯერათ — სწორედ ამნაირმა გმირებმა იხსნეს ჩვენი სამშობლო ფიზიკური განადგურებისაგან, იხსნეს და დაიცვეს საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ეს არ არის გაზვიადება, ეს არ არის იდეალიზაცია, ეს ისტორიული სანამდვილეა.

საქართველო საუკუნეთა მანძილზე რბევას და თარეშს განიცდიდა; მისი მკვიდრნი ძალაუნებურად მუდამ საომარ მზადებაში, მუდამ თავდასხმის მოლოდინში უნდა ყოფილიყვნენ. სწორედ ამ კუთხით შესანიშნავად ასახავს ქართველების ისტორიულ ყოფას და საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ეროვნულ ხასიათს გრ. აბაშიძის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ჯაჰგვაუხდელი“.

თავმოძღვრებულს თათრის ბეგარით, თავმოხუზრებულს სპარსთა უღელით, ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი, სუფრაზეც იჯდა ჯაჰგვაუხდელი.

ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცვლიდა, გარჯა თუ ლხინი ჰქონდა ახალი, — თანდაყოლილი დედის მუცლიდან, ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარ-ხმალი.

არწმენა და ენა ბევრმა იცავლა, მხოლოდ ის დარჩა მარად უცვლელი.

ტაძარს აგებდა, — ეცვა წერილთაგან, ვეფხის წიგნს წერდა ჯაჰგვაუხდელი.

პოეტი უბრალო, სადა სიტყვებით გადმოსცემს ქართველი ხალხის სულიერ და ფიზიკურ ძლიერებას, მის დიდ შემოქმედებითს გენიას, რამაც უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ და ხუროთმოძღვრების უბადლო ძეგლები შექმნა. სწორედ ამის გამოა, რომ ქართველი ხალხი, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ხალხთა შთამომავალი, დღესაც სახელოვნად იხსენიება და მას საპატიო აღგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის.

გრიგოლ აბაშიძე თავისი ქვეყნის ისტორიას უყურებს, როგორც ცოცხალ პროცესს, გარდასულ ეპოქებს და მოვლენებს დღევანდელობის თვალსაზრისით აფასებს. ამის ნათელსაყოფად ავიღოთ პოეტის ორი ლექსი.

პირველი მათგანი მიძღვნილია გმირი მხედართმთავრის — გიორგი სააკაძისადმი. ლექსში გიორგი სააკაძის სახე ელფეგიური გრძნობითაა გამთბარი. ამ ლექსის წამკითხველი უეჭველად იგრძნობს სიყვარულს და სიმპათიას დიდი გმირისადმი.

სად გაძლენ მიწით თვალეზი საცრის, სად ჩალპენ მისი მხარნი ფართონი, ნოსტეს მთებზევით ცივი და მკაცრი, ახლა სად არის ნოსტეს პატრონი!

მომელანდება: იგი მთებს უვლის, მთებს უკან მისი კლდეკარბები, მისი ძლიერი დევნილი სული კოშკის ნანგრევებს შეჰფარებია.

მომჩვენება: ჩელი ბავშვები ფეხქვეშ უგია სპარსთა ქარავნებს, და ფეხის მტვერი ყიზილბაშების ველზე დარქობილ ხმალს აქანავებს.

მეორე ლექსი „ახალშენი“ განსაკუთრებით მეტყველი და მუსიკალურია. ამ ლექსის თემაც ისტორიულია. აქ ისტორია დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით, ბუნებრივად არის ნაჩვენები.

მთელი ნაწარმოები იმედითა და მო-
მავლის ღრმა რწმენით არის გაყდენ-
თილი.

ჯერ კიდევ ტანის აყრა არ შვენის,
არ მოხვევია ჯერ ფარჩეული,
პატარა ვაზი დგას ახალშენი
თიკნის შუბლივით რქებდამჩნეული.

მაგრამ ეს ვაზი მალა წასული
მალე დააფრენს ფოთლებს ჩიტებად,
ადგება, როგორც სახვე ქალწული
და ქივოს თმებით მოეპიდება.

ადგება ვაზი, მათ ძვლებს ახარებს,
ვინც შეაღწეა მომხედურს ფარ-ხმალი,
რომ საქართველოს ნავენახარებს
კვლავ დახვევია ვაზი ახალი.

რომ მკვდრეთით აღმდგარ ქართულ
ვენახებს
ქართველთა სისხლი აღარ შეღებავს,
რომ უკვდავება რასაც ხელს ახლებს,
იგი არასდროს გადაშენდება.

ამ ნაწარმოებში რამდენიმე შესანიშ-
ნავი პოეტური სახეა; განსაკუთრებით
მოხდენილია და ისტორიულად მართა-
ლი ქალწულის შედარება ვაზთან.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართვე-
ლო გაქრობას და გაცამტვერებას გა-
დააჩინა არა მხოლოდ მეფეების (ვახ-
ტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი,
ერეკლე II) და მხედართმთავრების (გი-
ორგი სააკაძის და სხვათა) გმირობამ,
არამედ რიგითი ქართველი მეომრების
უმაგალითო თავგანწირვამ (ცხრა ძმა
ხერხეულიძეები, სამასი არაგველი, თევ-
დორე მღვდელი და სხვ.). საქართველო
ასეთი გმირების აკლდამაა, მათი სისხ-
ლით არაერთხელ შეღებილა ჩვენი სამ-
შობლოს მთა და ბარი.

უთანასწორო ბრძოლაში იღუპებოდ-
ნენ საქართველოს მამაცი შვილები.
გრიგოლ აბაშიძე ოსტატურად აღწერს
წარსული ცხოვრების ეპიზოდებს. ერთ
თავის ლექსში („შვიდი მეციხოვნე“) პოეტს
აღწერილი აქვს ყიზილბაშების
მიერ ქართლის საზღვრების, მისი ბალ-
ვენახების აოხრება... ხალხი „ქონებით“
და ბავშვებით გაიხიზნა მთებში. მტრის

ულეველმა ურდომ ალყა შემოარტყა
ციხეს, რომელსაც მხოლოდ შვენიერი
გმირები
ციხოვნე იცავდა.

...კაცი არ იყო ტყვია-წამლის და წყლის
მომტანი,
და რომ არ ეგრძნო მტერს, თუ ციხეს
შვერჩით ცოტანი,
რიგით ვისროლით შვილნი შვილ-შვილ
სათოფურიდან.

შიმშილს და წყურვილს გავუძელით,
ბინდი გვეხურა,
როდესაც ტყვიაც გაგვითავდა, უჩინარ
ბილიკს
ჩუმად ჩაყვეით და ვეკვეთეთ ურდოს
ვეფხეურად.

ბევრის სიკვდილი არ დაგვცალდა
მცირეციხოვნებს,
ჩვენც მტკვარი გვერგო სასაფლაოდ შვილ
მეციხოვნეს...

თავისი შინაარსით და დედაპირით
ლექსი „ფოლადის სიმღერაც“ საქართ-
ველოს წარსულთანაა დაკავშირებული.
აქ პოეტი ქებას ასხამს რუსთავე-ქალაქის
და მეტალურგიული ქარხნის აღდგენა-
აშენების გრანდიოზულ პროცესს;
თუმცა ეს ლექსი გადამტეხებით გრძე-
ლია, რიტორიკის საგრძნობი იერიც
დაკრავს, მაგრამ ამ ნაკლს ანელებს და
თითქმის შეუმჩნეველს ხდის სიმართ-
ლის ამსახველი ექსკურსი ისტორიაში,
რომელიც მოხერხებულად და მიზანშე-
წონილად აკავშირებს სახელოვან წარ-
სულს სახელოვან აწმყოსთან.

ძველი საქართველო რკინის, ფოლა-
დის, სპილენძის ქვეყანა იყო, ქართვე-
ლებს ბერძნებზე უფრო ადრე უცდიათ
თავისი უნარი ამ დარგში. პოეტის ფან-
ტაზხას მკითხველი გადაჰყავს შორეულ
წარსულში და მამა-პაპათა შრომისა და
შემოქმედების მოწამედ ხდის.

აი, პირველი რკინის მწრთობელი,
ქვეყნად პირველი რკინის აკვანი.
დგას დამკლავი გმირი თობელი
და სამკედლოში ისმის ყუყანი;

იპოლიტე ვართაგავა
გრიგოლ აბაშიძის პატრიოტული ლი-
რიკა

ღვივის ღუმელი ნაპერწყლიანი,
მცირე კვერს გააქვს ხმაღზე წკრალი.

ახლა სადა ხართ? ფაშეები ღვივის
ჩად არ ქმინავენ ნაპერწყლის ფრქვევით?
საბერძნის ყბები დასკდნენ ხველებით.
ურო და გრდემლი თქვენი სად არის?
მადაროები გაქრენ ხვრელებით
და აღარ ღვივის თქვენი ლადარი,
ძველ აკლდამაში აღარ სტვენს ძვლიც,
გადარჩა მხოლოდ რკინა და რვალი.

ლექსში ჩვენი წინაპართა საქმიანო-
ბის ცოცხალი სურათია მოცემული.
პოეტის პათოსიც ბუნებრივია. სიტყვა-
თა წყობა, ბგერათა ჟღერა სადღესას-
წაულო ხასიათს იღებს და მკითხველ-
ზე თავისი ემოციურობით მოქმედებს.
ღროთა განმავლობაში შეწყდა, გაქრა
შემოქმედებითი მუშაობა რკინის
მწრთობელი ქართველისა. ნაქალაქარად
იქცა ძველი რუსთავი. მაგრამ, თუ ძვე-
ლი ქართული სამჭედლო გაქრა,

სხვა სამჭედლოებს აგებს ქართველი!
ქართლში კვლავ რკინას გააქვს ხმაურა:
წყალს—ნაგუბარი, გზას—ნაგუზური!

ასეთი განახლებით აღტაცებული
პოეტი მოუწოდებს საქართველოს ყვე-
ლა მგოსანს, ახარონ ეს სასიამოვნო
ამბავი მათ, ვინც მტერს შეაკვდა და
„ვინც ამ დიდებას არ მოესწრება“.
წარსულის სურათის დახატვის შემდეგ
პოეტი აწმყოს სურათს ხატავს.

სადაც ფოლადი უწრთვით წინათ,
წინაპრებს ჩვენსას ხმალი უფერავთ,
გოლიათივით აცმევენ რკინას,
ქალაქს რკინის და რვალის ბუმბერაზს!
მძიმე უროებს გააქვთ ზანზარი,
ღგას სარკინეთი უზარმაზარი...

გრიგოლ აბაშიძე ფოლადის წრთობას
ძველ და ახალ საქართველოში ორგა-
ნულად უკავშირებს ერთმანეთს. ამ
ლექსში გრიგოლ აბაშიძე ეროვნული
დიდების და შესანიშნავი საზოგადოებ-
რივი ფაქტებისა და მოვლენების მე-
ხოტბედ გვევლინება. მას დიდად აღ-
ფრთოვანებს წინაპართა სასახელო, საგ-
მირო საქმეები. ამ მხრივ ის არამცთუ

ენათესავება, პირდაპირი და ღირსეული
მემკვიდრეც არის ჩვენი კლასიკოსე-
ბის — გრიგოლ ორბელიანის, ილია
აკაკის, ვაჟასი.

გრიგოლ აბაშიძის პატრიოტული ხა-
სიათის ლექსებში განსაკუთრებით ყუ-
რადღებას იქცევს ლექსთა ციკლი:
„სამხრეთ საზღვარზე“. ამ ციკლში პოე-
ტის პატრიოტული გრძნობები განსა-
კუთრებული სიმძაფრით მქლავნდება.
ის სამარცხვინო ბოძზე აკრავს ჩვენი
ქვეყნის მტრებს. ამ ლექსებში სატირა
ჭარბობს. გულისწყრომითა და აღშ-
ფოთებითაა გაქლენთილი პოეტის ლექ-
სები: „თავდაცვის ხაზი ქართულ სო-
ფელთან“, „ამერიკის იანიჩარი“, „ნახე-
ვარმთვარე“, „გასეირნება აღმოსავ-
ლეთში“ და სხვები.

განსაკუთრებით საინტერესოა სა-
ქართველოს წარსულის მოგონება:

ტაოში იდგა ერთი ტაძარი,
სვეტებმაღალი, უზარმაზარი,
ზედ აღებმედა ჩუქურთმით ხუროს
ვაზის მტვეანი, გმირთა ზღაპარი,
თაღებს ეხვია ზავსი და სურო,
ფანჯრებში შავად იდგა შამხარი.

თურმე ელოდა უფრო საზარელ
დასასრულს ტაძრის თაღი კრიალა,
დიღხანს ენგრია თურქ მომთაბარეს,
ვირ დაენგრია სძირკვლიანა.

გადარჩენოდა ცამდის აწვილი
ძველი ქართული და ძველისძველი.
მაგრამ მოვიდა ჯარის ნაწილი
და იჩინერი ამერიკელი.

„განათლებულმა გადამთიელმა“ შო-
რეული ფუძე გულგრილად ააფეთქა.
პოეტი-პატრიოტი, აღშფოთებული ამ-
ბობს:

მას დარდი არ აქვს ქართველთა მიწის,
მისთვის არაფერს ამბობს ხახული.
მან ერთადერთი ჩუქურთმა იცის
ოქროს დოლარზე გამოსახული.

პოეტი განსაკუთრებით ძლიერია
მშობლიური ქვეყნისა და მისი წარ-
სულის სიყვარულის მხატვრულად გა-
მოქმედებაში.

დასასრულს მთლიანად ამოვწეროთ
გრიგოლ აბაშიძის ერთი პატარა ლექსი,

ტაო

ტაო, ტაო, ჩვენო ტაო,
ქართლ-კახეთის მკვიდრო დაო!

განწირულო, გადამწვარო,
საქართველოს ნააკვნარო!

ფესვი ჩამრჩა შენს მიწაში,
რა გინდ ცეცხლით გადაგრუჯონ,
ჩემს ხსოვნაში თქვენ ვინ წაგშლით,
შატბერდო და არტანუჯო!

ტაო, ტაო, კარგო დაო,
აკლებულო საცოდაო!

ჩვენი ქვეყნის ლხინის დედაც,
მტრებმა მკერდს რომ მიგიბღუჯეს...

შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ,
შენს დაქცეულ ციხის ბურჯებს,
შენს დაქცეულს
განწირულს
განწირულს

შენი ხანძთა, შენი ტბეთი,
როდის აღსდგეს იავარო,
როდის იქნეს შენი ბედი,
ჩვენს სადროშოს მიაბარო!

ტაო, ტაო, ჩვენო ტაო,
ქართლ-კახეთის მკვიდრო დაო!

რამდენი დარდი, მწუხარება, კმუნვა
და გულის ტკივილია ამ ლექსში ცხად-
ყოფილად ჩაქსოვილი! აი, სად არის
მადლი პოეზიისა! მადლობის ღირსია
პოეტი, რომელმაც ჩვენ ერთხელ კიდევ
მთელი ძალით განგვაცდევინა სამშობ-
ლოს სიყვარულის, მისთვის თავდად-
ების უკვდავი გრძნობა.

იპოლიტე ვართავავა
გრიგოლ აბაშიძის პატრიოტული ლი-
რიკა





მეგალი თოღა

საიათნოვას ღმკსების ახალი გამოცემა

თითქმის ნახევარი საუკუნე გასულა მას შემდეგ, რაც ცნობილმა ქართველმა ინტელიგენტმა და საზოგადო მოღვაწემ ისიდორე სტურუამ ჯერ კიდევ ჭაბუკ იოსებ გრიშაშვილს საიათნოვას ქართული ლექსები გამოუცა. ი. გრიშაშვილი პირველი მკვლევარი იყო, ვინც ასე გულმოდგინედ შეუდგა ამ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. ჩვენმა მგოსანმა და მკვლევარმა ისევე ხალხს დაუბრუნა დროთა ვითარებაში მივიწყებული და ბურჟუაზიული მოცულობის აშუღი საიათნოვა. ეს გამოცემა მუდამ დარჩება როგორც საყვარელი წიგნი ქართველი კაცისა.

საოცარია, რომ ჩვენს ხანაში, როცა ქართული გამოცემლობები ამდენ საჭირო, და ზოგჯერ არც ისე საჭირო, წიგნებს უშვებენ, საიათნოვას ქართული ლექსების ხელახალ გამოცემას ორმოცდახუთი წელი დასჭირდა. ამ ხნის მანძილზე კი მთელი თაობები აღიზარდნენ ისე, რომ მათ ბიბლიოთეკაში საიათნოვას ლექსები არ მოხვედრილა.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, ბოლოს და ბოლოს, თავს იღო ეს საპატიო საქმე და წლეულს ქართველ მკითხველს საიათნოვას ლექსების ახალი გამოცემა მიაწოდა.

საიათნოვა დიდი ვნებების მგოსანი იყო. მართალია, მან ხარკი გადაუხადა გვიანი აღმოსავლეთის მგოსნებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი მათი ნაწიერი იყო და სხვანაირად არ იქნებოდა. ალბათ არც მაშინ ფშვენდა დამათრობელად საიათნოვას ვარდები და მისი ბუღბუღები არც მაშინ ატკობდნენ თბილისელებს გალობით, მაგრამ განა მის პოეზიაში მარტო ბუტაფორული ვარდები და ბუღბუღებია? ჩვენს წინ სპარსულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურულ ტრადიციაზე გაზრდილი ქირის აშუღი კი არ დგას, არამედ იესე ოსეს ძე ბარათაშვილის თანამედროვე თბილისელი მოქალაქე, ნიჭიერი სომეხი კაცი, ხელოსანი არჟუთინა, რომელსაც ღმერთმა სულში დემონი ჩაუსახლა და ენითა და ყოფით ასე ჭრელ ქვეყანაში არგუნა ცხოვრება.

საიათნოვას შესწავლა კარგა ხანია დაიწყო და კიდევ არ დამთავრებულია. ეს საქმე იოლი როდია. ბევრი სხვა აღმოსავლელი პოეტის მსგავსად, იგი მარტო ერთ ენაზე არ წერდა, საიათნოვა სამ ენაზე ქმნიდა. მისი მემკვიდრეობა ჯერ ცალ-ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი ენისადა მიხედვით და მერე უნდა ვიმსჯელოთ მასზე, როგორც აღმოსავლეთის დიდ პოეტზე. კარგად შენიშნა ირაკლი აბაშიძემ: საიათნოვა, თუ გნებავთ, სამი პოეტიად, მაგრამ ეს სამი პოეტი ერთმანეთს ავსებს და აღრმავებს. ქართული საიათნოვა რომ გავიგოთ, მისი სომხური და აზერბაიჯანული ლექსები უნდა მოვიშველიოთ და პირიქით, — მისი სომხური და აზერბაიჯანული ლექსების შესწავლისას ქართული ლექსების უგულვებლყოფა არ იქნება. აღმოსავლეთში წინათაც და ახლაც ბევრი იყო და არიან მწერლები, რომელთაც ბედმა მრავალ ენაზე წერა არგუნა. სპარსულ და არაბულ ენებზე წერდნენ ლექსებს X ს. მგოსნები რუდაქი და რაბია ყახდარი. უდიდესი სპარსული პოეტი საადი შირაზელი (XII—XIII ს. ს.) არაბულად წარმატებულად ყასიდებს წერდა. უზბეკურსა და სპარსულ ენებზე წერდა ალიშერ ნავოი (XV ს.), დღესაც არ იციან, ვის მიაკუთვნონ აღმოსავლეთის დიდი პოეტი ფიზული (XVI ს.), რომელმაც უამრავი შედევრი დაგვიტოვა როგორც აზერბაიჯანულ, ასევე სპარსულ და არაბულ ენებზე. ჩვენს დროში ორ ენაზე წერდა სადრიდინ აინი (1878—1954). მან, ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის მამამთავარმა, უზბეკურ ენაზე შექმნა „მონები“ და ამით ახალუზბეკურ რომანს სათავე დაუდო. მსგავსი მაგალითი ბევრია აღმოსავლეთში.

ასეთ მწერალთა მემკვიდრეობას ერთობლივად სწავლობენ და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, საიათნოვას ლექსებიც გაერთიანებული ცდითა და ღონისძიებით იქნას განჩხრეკილი. საქმე მარტო მისი ახალ-ახალი ლექსების მოძიება კი არაა, არამედ მოძიებულთა კრიტიკული ტექსტის დადგენა საჭირო. ეს უკანასკნელი

მეტად მძიმე და რთული საქმეა, რადგან პოეტის ავტოგრაფები არ შემოგვრჩენია (არაფრით არაა დამტკიცებული ~~ფიზული~~ ცნობილი თბილისური „დავთარი“ საიათნოვას ლექსებისა, რომელიც დიდხანს ჩვენში ინახებოდა და მერე ოვანეს თუმანიანმა ერევანში გაგზავნა, პოეტის ავტოგრაფია იყო), ხოლო მისი ლექსების გვიანდელი ჩანაწერები მეტად წარყვნილია. ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწიეს ქართველმა მკვლევარებმა: ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ა. ბარამიძემ, ი. მეგრელიძემ, მ. ჩიქოვანმა და სხვებმა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. არც ისაა გამორიცხული, რომ საიათნოვას ლექსები კიდევ აღმოჩნდეს სადმე, თუნდაც ჩვენს ხელნაწერთა საცავებში.

ამ მხრივ უსათუოდ მისასალმებელი მოვლენაა „ლიტერატურა და ხელოვნებას“ მიერ გამოცემული საიათნოვას ლექსთა კრებული ლექსიკონითა და აკად. ა. ბარამიძის რედაქციითა და საყურადღებო გამოკვლევით. კრებული ი. გრიშაშვილის გამოცემისა და შემდეგდროინდელი პუბლიკაციების მიხედვითაა შედგენილი, თუმცა გასწორებულია „წინა გამოცემების ნებსითი და უნებლიე შეცდომები“. ასე, მაგალითად, პირველ გამოცემაში იკითხებოდა:

„დავლით ღვინო, არაყი ჩვენია, მეჯლის-საზანდარი, საზი ჩვენია“. ერთი ხელნაწერის გათვალისწინებით აწ განსვენებულმა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა აქ საზი-ს ნაცვლად სალი ალაღინა (ეს უკანასკნელი მწედს ნიშნავს), ასეც სჯობს და ახალი გამოცემის რედაქცია ამავე ფორმას უპერს მზარს. საიათნოვას ერთ ლექსში „ვენეტიკის იაღ-ბუზი“ იკითხებოდა. ახალ გამოცემაში უკვე „ვენეტიკის იაღლუზი“ გვხვდება. ეს უკანასკნელი სიტყვა, ი. გრიშაშვილის განმარტებით, ხალასი ოქრო ყოფილა და, თუ ასეა, გასწორება სავსებით მართებულია. პოეტის ერთ შედევრში

მაგალი თოდუა

საიათნოვას ლექსების ახალი გამოცემა

კვითხულობდით: „მზესავით პირი გაჩვენე, დამწვარი ვარ, იცი განა“ (გვ. 112). განი და მანი გრაფიკულად ერთმანეთს გვანან, მაგრამ ეს როდი გვაძლევდა ნებას, რომ აქ კორექტურული შეცდომა გვევარაუდა, — შეიძლება პოეტი ეუბნებოდეს ლამაზ სატრფოს: მზეს რომ უჩვენებენ პირს, ისე გაჩვენე თავი და დამწვიო. მაინცდამაინც ახალი გამოცემის წაკითხვა სჯობს: „მზესავით პირი მაჩვენე“. ე. ი. მზის მსგავსი პირი მაჩვენეო და სხვ.

მაგრამ საიათნოვას ქართული ლექსების გაწმენდა ამით არ დამთავრებულა. ამას არც სარეცენზიო გამოცემის რედაქცია ფიქრობს. პირიქით, იგი აცხადებს: „ამჯერად ამით ვკმაყოფილდებით. მომავალში უნდა გამოიცეს საიათნოვას ლექსების ყველა ვარიანტი და ხელნაწერებით შემონახული ყველა კომენტარი, უწინარეს ყოვლისა ივან სეიდოვის შენიშვნები“ (გვ. 92).

ჩვენ გვინდა ამ გამოცემაზე გამოვთქვათ მცირეოდენი შენიშვნები, რომელთაც მისი მომავალი გამომცემლები თუ გაითვალისწინებენ, ურიგო არ იქნება.

წიგნი ცოტათი ნაჩქარევად ჩანს გამოცემული, ეტყობა, მისმა შემდგენელმა თუ რედაქტორმა ვერ მოასწრო მისთვის გულდასმით გადაეხედა (ტექნიკურადაც ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ეს კარგად გაფორმებული წიგნი: ტექსტს ჯერ პეტიტით აწყობილი ლექსიკონი მოსდევს, ბოლოს კი ისევ კორპუსით გამართული გამოკვლევა ახლავს აკად. ა. ბარამიძისა). პირველ გამოცემაში შემდგენელისთვის ნათელი არ იყო და ახლაც გაუგებრად დარჩენილა პირველივე ლექსის პირველ სტრიქონში სიტყვა უჯერავლეს (გვ. 9), ასევე გაუგებარია მეორე ლექსის ფრაზა ფეჭლის ფანჯი (გვ. 11). დღესაც არ იცის მკითხველმა, რას ნიშნავს საიათნოვას ლექსში ნახმარი სიტყვა გოლი-გოლი (ვითამაშოთ გოლი-გოლი. გვ. 60), ანდა არა მარე („გავგიჟდი ზღვასავით, ე. ი. არა მარე, გვ. 75) და სხვა.

ზოგი სიტყვა სწორად არ უნდა იყოს

განმარტებული როგორც პირველ/ისე მეორე გამოცემაში. აღენიშნავთ ზოგ მათგანს.

სარეცენზიო
შენიშვნები

ერთგან საიათნოვა სატრფოს მიმართავს:

შენსა სახეს ვერ გადმოსწერს მხატვარი,
ინდოეთის ყალამის ნაყაში ხარ (გვ. 49);

ეს ნაყაში ლექსიკონში განმარტებულია როგორც „კარ-ფანჯრების მხატველი, შპალიერების გამჩითავი, მღებავი“ (გვ. 83). აქ უთუოდ ერთმანეთში არეულია ნაყაში და ნაყაში. პირველი ნახატს ნიშნავს, მეორე — მხატვარს, — ინდური და ჩინური მხატვრობა ნაქები იყო. ასეა თუ ისე, არა გვეგონია, საიათნოვას სატრფოსთვის კარ-ფანჯრების მხატველი და შპალიერის გამჩითავი ეწოდებინოს.

ერთგან პოეტი ამბობს:

ზოგი კაციც გარე გღია ავათა,
სახლში შევა, როსტომ-ზალს დაიწუნებს (გვ. 25).

ლექსიკონში როსტომი ცალკეა განმარტებული, ზაალი კიდეც — ცალკე. გამოდის, თითქოს ლაპარაკი იყოს როსტომსა და ზაალზე, ორივეზე. ნამდვილად კი როსტომ-ზაალი ნიშნავს ზაალის როსტომს, ე. ი. ზაალის შვილ როსტომს. ლექსიკონში სპარსული წარმომავლობის სიტყვა ზარი განმარტებულია როგორც ოქრომკედი. ზოგან მას შეიძლება ასეთი ნიუანსი ჰქონდეს, მაგრამ საერთოდ საიათნოვასთან იგი მასვე ნიშნავს, რასაც სპარსულში ოქრო (შდრ: „სოვდაგარი ვიყავ, ზარი დავკარგე“. გვ. 40). ერთგან პოეტი სატრფოს მიმართავს: „ამ ქვეყანას არა გყავს ბარე ბარიო“ (გვ. 71). ამ სიტყვის გახლჩამ შეიძლება მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს, ბარე შეიძლება გაიგონ როგორც ბარემ. სინამდვილეში კი აქ გვაქვს სპარსული წარმოშობის სიტყვა ბარებარ, რაც მსგავსს ნიშნავს.

სარეცენზიო წიგნის ერთი ხარვეზი კიდეც ისაა, რომ ზოგი სიტყვა საერთოდ არაა განმარტებული. ასეთებია, მაგალითად, ეხტიბარი („თუ შენშია ცა ეხტიბარი

არა ყოფილა“. გვ. 78), ეს სიტყვა პირველი გამოცემის ლექსიკონში იყო, მაგრამ მეორე გამოცემაში რატომღაც ამოუღიათ. იგი იგივეა, რაც ინტიბარი და აბრუს, პრესტიეს, ავტორიტეტს ნიშნავს; **ჯალალი** („**ჯალალი** ხარ, დავინახო“. გვ. 45), რაც დიადს ნიშნავს; **ჯაზა** („**ნულარ** დამწვავ, ეს მეყოფა **ჯაზა**და“. გვ. 66), რაც სასჯელის, სამაგიეროს აღმნიშვნელია აღმოსავლურ. ენებში; **თაზა** („**თაზა** ნუგბარი“. გვ. 71), რაც ახალს, ქორფას ნიშნავს სპარსულსა, აზერბაიჯანულსა და სომხურში; **ინტიარი** („**შენ ინტიარზედ** გამოდი“. გვ. 45), რაც არჩევანს აღნიშნავს; **ხუმარი** („**ხუმარი** ვარ, იცი განა?“ გვ. 49), რასაც აღმოსავლურ ენებში, კერძოდ, არაბულსა, სპარსულსა და თურქულში ნაღვინებს, შეზარხოშებულს ეტყვიან და სხვა.

საიათნოვა ზოგჯერ დღევანდელი მკითხველისთვის გაუგებარ პოეტურ სახეს ხმარობს. როცა ი. გრიშაშვილი საიათნოვას ლექსებს სცემდა, მაშინ ჯერ კიდევ იყო დარჩენილი თაობა, რომლისთვის ნაცნობი და ახლობელი იყო ეს ლიტერატურა, მაგრამ დღევანდელ მკითხველს კი უთუოდ უნდა განემარტოს ისინი. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგი ასეთი სახე ი. გრიშაშვილს განმარტებული აქვს თავის გამოკვლევაში საიათნოვაზე. მაგრამ ეს გამოკვლევა უკვე აღარ ერთვის ახალ გამოცემას. მივუთითებთ ზოგ ასეთ ადგილზე.

საიათნოვა წერს:

მოდი, დამიჯერე, ბაღდადის წერო,
ინდოეთის თუთისაებრ იმღერო

(გვ. 16).

უნდა განიმარტოს, რა არის ეს წერო? სადმე უნდა აღნიშნულიყო, რომ წერო თურქულსა და აღმოსავლურ ლიტერატურაში მრავალი ლექსის საგანი გახდა. წეროს უმღერიან ვაგიფი, ვიდადი, არა-იშვიათად გვხვდება იგი თურქული მოდგმის ხალხთა ფოლკლორში.

ი. გრიშაშვილი საიათნოვას გამოთქმას: „ინდის პილბილი ხალშია“ (გვ. 14) განმარტავს საიათნოვაზე დაწერილ გამოკვლევაში (იხ. ი. გრიშაშვილი, ტ. III,

1963 წ. გვ. 112), მაგრამ ^{სარეცენზიო} წიგნში იგი განუმარტავადაა ^{დარჩენილი} (ნიშნავს ხალს ქალის ^{ლოყანა} ^{წინააღმდეგობა}).

პოეტი არაერთგზის ხმარობს გამოთქმას **ლეილუმ** (მაგალითად, „**ლეილუმ** ტოლი დავკარგე“. გვ. 47 და სხვა.), ლექსიკონში განგვიმარტავენ, იგი ნიშანის პოემის „ლეილ-მაჯნუნიანის“ გმირი ქალის სახელიაო, მაგრამ იბადება კითხვა: ნუთუ ნიშანის პოემის გმირს მისტირის პოეტი? და კიდევ, ნიშანის პოემის გმირს **ლეილა** ანუ **ლეილი** ეწოდება, ეს **უმ** ნაწევარი რაღაა? ქართველი მკითხველისთვის უნდა განემარტათ, რომ აღმოსავლურ ლიტერატურაში ლეილი სატრფოს სინონიმად იქცა და საზოგადო სახელი გახდა, ხოლო **უმ** პირველი პირის კუთვნილების აღმნიშვნელი ნაწევარია თურქულ-აზერბაიჯანულ ენებში, ე. ი. ჩემი ლეილიო. საიათნოვას პირდაპირ გადმოაქვს ქართულში აზერბაიჯანული გამოთქმა.

ერთგან საიათნოვა წერს:

ფერჰადის ბებერო, შირინის მტერო

(გვ. 16).

თუ კაცი აღმოსავლურ ლიტერატურაში ჩახედული არაა, ვერ გაიგებს, რას ნიშნავს ეს ფრაზა. იგულისხმება კი ალბათ ასეთი ამბავი: შირინზე გამიჯნურებულ ფარჰადს მისი მეტოქის, ხოსროვის მიერ შემოჩენილი ბებერი მოატყუებს, შირინი გარდაიცვალაო. ამ ამბით თავზარდაცემული ფარჰადი ქარაფებში გადაიჩხებდა.

არ იქნებოდა ურიგო, თუ საიათნოვას ფრაზას: „ზარუ-ზარაბა-ზარისათვინ“ (გვ. 37), განმარტება დაერთვოდა, კერძოდ ის, რომ სიტყვაში **ზარუ** **ზარ** ოქროს ნიშნავს, ხოლო **უ** არის და კავშირი. ესეც, როგორც ბევრი სხვა, აზერბაიჯანულიდან გადმოსული მზა ფრაზაა.

ერთ მშვენიერ ასულს საიათნოვა ასე მიმართავს:

მაგალი თოდუა

საიათნოვას ლექსების ახალი გამოცემა

„სპილენძის ქვეყნის“ დედოფლის საყურისგან
ლაშაში ხარ (გვ. 43).

დღევანდელმა ფართო მკითხველმა უკვე აღარ იცის, რომ აქ იგულისხმება გალექსილი ზღაპარი, „სპილენძისქალაქიანი“, როგორც ამას პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგიც აღნიშნავდა.

ლექსიკონში ფერჰადი განმარტებულია, როგორც „ფერჰად-შირინიანის“ გმირი, ხოლო შირინი — „ხოსროვ-შირინიანისა“. პირველ გამოცემაში კი ეწერა: შირინი „ფარჰად-შირინიანის“ გმირიაო. ორივე შეიძლება. არსებობს პოემა „ხოსროვ-შირინიანი“, რომლის გმირიც შირინია, მაგრამ არსებობს პოემა „ფარჰად-შირინიანი“, სადაც ერთერთ მთავარ გმირად აგრეთვე შირინი გვევლინება. ლექსიკონში ან ერთი უნდა ყოფილიყო, ან მეორე.

კრებულში უნდა შეეტანათ საიათნოვას ერთი ოთხენოვანი ლექსი, რომელსაც სხვა აღმოსავლური მაგალითების მიხედვით შეიძლება ჰქონდეს ლექსი ვუწოდოთ. იგი პირველად ი. გრიშაშვილმა გამოამზეურა თავის ხსენებულ გამოკვლევაში. მანვე აღნიშნა, რომ „ლექსი დაწერილია ოთხ ენაზე“. იგი მიუთითებდა ქართულზე, სომხურზე, აზერბაიჯანულზე, მაგრამ მეოთხე ენაზე ორქოფობდა: სპარსული უნდა იყოსო (იხ.

ი. გრიშაშვილი. ტ. III, გვ 92), ი. გრიშაშვილის ვარაუდი სწორია, ამ შემთხვევაში სპარსულია, მაგრამ მსგავსად სხვა ენებზე გაწყობილი სტრიქონებისა თუ ფრაზებისა, ესეც მეტად დამახინჯებულია გადამწერთა მიერ. ეს ლექსი საყურადღებოა იმით, რომ საიათნოვა აქაც აგრძელებს აღმოსავლეთის პოეტთა ტრადიციებს. არაბულ-სპარსულ ლიტერატურაში არა ერთი და ორი პოეტი წერდა ჰრელ ლექსებს, ე. წ. მულამაჟათს (იგივე საადი, ფიშული და სხვა). საიათნოვას ამ ჰრელი ლექსის ტექსტი დაადგინა სომეხმა მეცნიერმა მურუს ჰასრათიანმა და მის მიერ ამას წინათ ერევანში გამოცემულ წიგნში შეიტანა როგორც ტექსტი, ისე საკმაოდ დამაჯერებელი მისი თარგმანი (მურუს ჰასრათიანი, საიათნოვა, სომხური, ქართული, აზერბაიჯანული ლექსების კრებული — სომხურ ენაზე, — ერევანი, 1963 წ. გვ. 83).

რა კარგია, რომ ამ ბოლო დროს ვიტრინებში ისევ ხშირად ივლავებს ჩვენი სასიქადულო მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერ გაფორმებული წიგნები, მაგრამ რა ცუდია, რომ ასეთი კარგი კრებული ისე ცოტა დაიბეჭდა, ვიტრინა არც კი უნახავს.



აღმსარებელი ჟიურის მიერ

„ვეფხისტყაოსნის“ დამსიკიდან

ავთანდილმა ვაზირს სთხოვა: ტარიელის საშველად უნდა წავიდე და მეფესთან მიშუამდგომლე, გამიშვასო. ვაზირმა ყოყმანის შემდეგ შუამდგომლობა გაბედა, მაგრამ ინანა: როსტევანმა სასტიკად შერისხა იგი. ამიტომ

ვაზირი გაწბილებული მივა ბედითა შავითა,
ავთანდილს უთხრა დაღრეჯით, პირითა
გამქუშავითა:

„მაღლი რა გკადრო, არ ვიცი, გავხასლი მე
მაშა ვითა,

ვა, კარგი თავი უებრო დავკარგე,
და ვა შავითა!“ (763)

ამ სტროფში სადავოა მეოთხე სტრიქონის სარიტმო სიტყვის („დავაშავითა“) წაკითხვა და ტრადიციული გაგება.

ეს სიტყვა ასე იკითხება ვახტანგისეულ, ს. კაკაბაძისეულ, 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე (1951 და 1957 წლები) გამოცემებში. ზოგი ხელნაწერი გვაძლევს ვარიანტულ წაკითხვას („დანაშავითა“, „დავაშავითა“),

რაც აგრეთვე მცდარი და მიუღებელია.

როგორც ჩანს, ავტოგრაფისეულია წაკითხვა „დავაშავითა“, ოღონდ ამ სიტყვის გაგება იწვევს დავას. 1951 წლის გამოცემისათვის დართულ დექსიკონში აწ განსვენებული პროფ. იუსტ. აბულაძე წერდა: „დავაშავითა“ — აქ უნდა იყოს ზმნის ფორმა დავა, ე. ი. დავალს, მაგ: იგი წავა და სხვა მოვა. ასე რომ, დავაშავითა ნიშნავს დადის გაშავებული, ანუ პირშავად—ო! აქ საყურადღებოა ის, რომ ტექსტში ერთი სიტყვა იკითხება და სალექსიკონოდაც იგივეა გამოტანილი („დავაშავითა“), ხოლო განმარტებისას ორი სიტყვა გვაქვს („დავა შავითა“).

„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში“ (1956) ეს სიტყვა „დაშავება“-ზეა შეტანილი, ე. ი. ერთ სიტყვად მიიჩნევა, ხოლო წერილში, რომელიც ამ წიგნს უძღვის („ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები“), პროფ. ა. შანიძე წერს: „ვა, კარ-

გი თავი უებრო დავკარგე, დავაშავითა. თითქო უნდა იკითხებოდეს: დავალ შავითა (ე. ი. უებრო თავი დავკარგე და ვგლოვობო, შავით დავდივარო). ამ შემთხვევაში „შავითა“ გამეორება იქნებოდა პირველ ტაპში ნახმარის „შავითა“-სი, მაგრამ იქ შავ ბედზეა საუბარი, აქ კი „შავი“ სამგლოვიარო ტანისამოსს აღნიშნავს“-ო (გვ. 129).

1957 წელს მის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში ა. შანიძე განმარტავს: „დავა შავითა — შავებში დადის, მგლოვიარე დადის“-ო. ზემოაღნიშნულისაგან ეს განმარტება მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ პირველი პირის მაგიერ („დავალ შავითა“) მესამე პირია წარმოდგენილი („დავა შავითა“).

ამ სიტყვის ასეთი გაგება მართებული არ უნდა იყოს.

ჯერ ერთი, ასეთი წაკითხვით გამოდის, რომ შოთას ერთი და იგივე სიტყვა („შავითა“) ორჯერ უხმარია ერთსა და იმავე სტროფში, რაც უჩვეულოა მისთვის. ამ უხერხულობას ვერ მოხსნის ის, რომ ერთხელ შავ ბედზეა საუბარი, მეორეჯერ კი სამგლოვიარო ტანისამოსზე.

მეორეცა და, „დავალ“, „დახვალ“, „დავა“ (ან „დავალს“) ფორმები სრულიად უცნობია „ვეფხისტყაოსნისა“ და საერთოდ ძველი ქართული ენისათვის; და-პრეფიქსის გამოყენება ამ ზმნასთან გვიანდელი მოვლენაა. ამ პრეფიქსს სვლ-ა-ზმნასთან სიხშირის გამომხატველი ფუნქცია ენიჭება (დავალ-დავდივარ ხოლმე). ძველ ქართულში კი „დავალ“ მხოლოდ ამას ნიშნავს: „დაბლა ჩავალ“, ე. ი. ზემოდან ქვემოთკენ მოძრაობას აღნიშნავს. და-პრეფიქსის სიხშირის გამოსახატავად გამოყენება ამ ზმნასთან არც „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება.

როგორც ცნობილია, „დაშავება“-ს ქართულში აქვს დაზიანების მნიშვნელობა. საბა წერს: „დაშავება — ხეობრად შექმნა“-ო. ხევსურულ დიალექტში მნიშვნელობის გადახრა უფრო შორს წასულა, იქ „დაშავება“ სიკვდილს ნიშ-

ნავს: „თავი დააშავა“ ნიშნავს თავი დაიღუპა, მოიკლა, მოკვდა; „უდროოდ დაშავდა“ — უფროდ გარდაიცვალა. ერთი გავრცელებული ხალხური ლექსის ხევსურულ ვარიანტიში ვკითხულობთ:

ჩვენის ხთიშვილის კარზედა ხე ალვა
ამასულაო,
წვერად მაუსხამ ყურძენი, საქმელად
ჩამასულაო,
მაგის უტემელი ქალ-ვაჟი უდროოდ
დაშავულაო.

ეს ლექსი პროფ. ა. შანიძემ 1925 წელს გამოაქვეყნა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ყურნალ „წელიწდეულში“ (გვ. 122)¹. ლექსიკონში „შავ“-ზე ვკითხულობთ: „დაშავულა-დაშავებულა (— მომკვდარა?)“. პატივცემულ პროფესორს ეს უცნაური ფორმა კონტექსტის მიხედვით განუმარტავს და კითხვის ნიშანი დაუწერია. განმარტება სწორია და კითხვის ნიშანს არ საჭიროებს.

სწორედ ასეთი მნიშვნელობით ჩანს ნახმარი „დაშავება“ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ აღნიშნულ ადგილზე.

ცნობილ ქართულ ხალხურ ლექსში მოკლული მელა ჩივის: „...ობლებიც დაიზრდებიან, თავი დავკარგე გმირია“-ო. „თავს დავკარგავს“ ნიშნავს მოკვდება (იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“). სადავო სტრიქონში „დავკარგე“ და „დავაშავე“ („დავაშავითა“) სინონიმებია. სინონიმების მიჯრით ხმარება კი რუსთაველის მიერ ფართოდ გამოყენებული პოეტური ხერხია.

ასეთ ახსნასაც აქვს ერთი უხერხულობა, სახელდობრ ის, რომ „დავაშავითა“ ხელოვნური ფორმაა, მაგრამ ხელოვნური ფორმები (მით უფრო სარიტმით სიტყვებში) რუსთაველთან იშვიათი არ არის. მოვიყვანთ ორიოდ მაგალიტს:

1. იგივე ლექსი (551 ნომრად) ვარიანტებითურთ იხ. ა. შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“, 1931 წელი.



ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა
 ხელმწიფეთანი...
 ...ვხოვენი და ლექსად გარდავქვენი, ამითა
 ვილაყფეთანი (1667,4).

რა ერთმანეთი აუჩნდა მიგებელ-
 მოსაგებავთა,
 ავთანდილ ეტყვის ტარიელს სიტყვათა
 დანაზებავთა (1510, 1-2).

აქ ხელოვნური ფორმებია „ვილაყ-
 ფეთანი“, „მიგებულ-მოსაგებავთა“ და
 „დანაზებავთა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში
 პროფ. ა. შანიძე ამ სიტყვებს ასე გან-

მარტავს: „ლაყფობა — გართობა, თან-
 ში: ვილაყფეთანი (—ვილაყფე თან-ი)
 გვერთე თანაც“, „მიგებულ-მოსაგებებელ-
 გებავნი — მიგებებულ-მოსაგებებელ-
 ნი (ხელოვნური ფორმა)“, „დანა-
 ზებავი — განაზებული, ნაზი (ფორმა
 მეტად ხელოვნურია)“.

ასეთივე ხელოვნური ფორმა ჩანს
 „დავაშავითა“.

დასკვნა: „ვეფხისტყაოსნის“ 763-ე
 სტროფში „დავაშავითა“ ერთი
 სიტყვაა და იგი დაღუპვას,
 მოკვლას ნიშნავს.

ალექსანდრე ჭინჭარაული
 „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან



მეჩი გუგუშვილი დალი ქონენიძე

შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე

„ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოემის თვითეული ადგილის სწორად წაკითხვასა და გაგებას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებითა და პოემის ტექსტთან მიმართებით უნდა იქნას შესწავლილი „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი ადგილი. ეს საშუალებას მოგვცემს დროთა ვითარებაში დამახინჯებული ზოგიერთი ადგილი გავასწოროთ და თანდათან მივუახლოვდეთ რუსთველისეულ დედანს.

წინამდებარე წერილში ჩვენი ყურადღების საგანია „ვეფხისტყაოსნის“ 67-ე და 68-ე სტროფი.

როსტევეანმა თავისი ერთადერთი ასული — თინათინი გაამეფა. ახალგაზრდა მეფე-ქალმა საარაკო სიუხვე გამოიჩინა: „გასცა უზომო, უანგარიშო, უღვევი“. ნადიმზე მეფემ მოიწყინა. ავთანდილმა და სოგრატმა მეფის მოწყენის მიზეზად თინათინის სიუხვე მიიჩნიეს და შეჰკადრეს როსტევეანს: „ყოლაშცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე ჭირო“ (60,4). მეფის მო-

წყენის მიზეზი კი ის აღმოჩნდა, რომ ვაჟი არ ჰყავდა, რომელიც მშვილდოსნობაში დაემსგავსებოდა. მაშინ ავთანდილი მოახსენებს:

სტროფი 67.

მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა
მშვილდოსანია;
ნაძლევი დავდეთ, მოვასხნეთ მოწმად
თქვენნივე ყმანი ა;
მოასპარეზედ ვინ მკავსო? — ცუდნილა
უკუთქმანია.

გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!

სტროფი 68.

— მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა
დაცილებასა,
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-
კლებასა,
კარგთა ყმათასა ვიქმოლეთ მოწმად
ჩვენთანა ხლებასა,
მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი
უთხრობდენ ქებასა!

ასე იკითხება ეს სტროფები „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემაში. აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს 67-ე სტროფის მეორე სტრიქონში „თქვენნივე ყმანია“ და 68-ე სტროფის მესამე სტრიქონ-

ში „**კარგთა ყმათასა**“. თუ თვალს გადავავლებთ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს, ვნახავთ, რომ ტრადიციულად გამოცემებში ეს სტრიქონები იკითხებოდა შემდეგნაირად:

67,2 — ნაძლევი დაედვით, მოვასხნეთ მოწმად თქვენივე სპანია (იხ. ვახტანგის, ბროსეს, დ. ჩუბინიშვილის გამოცემები).

68,3—**კარგთა კაცთასა** ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა (იხ. ვახტანგის, ბროსეს, დ. ჩუბინიშვილის, გ. ქართველიშვილის, ს. კაკაბაძის, ი. აბულაძის პირველი გამოცემები).

ასეთი წაკითხვის წინააღმდეგ ვრცელი მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. მარს 1917 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема“¹ და ხელნაწერ ნაშრომში *Руставели—Витязь в тигровой шкуре, хроника текста*². ამ უკანასკნელში ნ. მარს ციტირებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, რომელშიც საანალიზო ადგილები შემდეგნაირად იკითხება: „**თქვენნივე ყმანია**“ (67,2) და „**კარგთა ყმათასა**“ (68,3). შესატყვისი წაკითხვები გამოცემებს მითითებით „**თქვენნივე სპანია**“ (67,2) და „**კარგთა კაცთასა**“ (68,3) ნ. მარს ვარიანტებში ჩამოუტანია.

ორივე ამ ნაშრომში გამოთქმულია ერთი და იგივე მოსაზრება. ნ. მარი მიუთითებს, რომ მეფეს ნადირობის შემფასებლად მოწვეული ჰყავს რაინდები. „**კარგთა კაცთასა**“ ნ. მარს მიაჩნია დამახინჯებლად ცნობილი ტერმინისა: **კარგი ყმა — прекрасный витязь** ან **კარგნი ყმანი — прекрасные витязи**. ნ. მარი ფიქრობს, რომ ამ სტროფში ლაპარაკია იმ ყმებზე, რომელთა მოწვე-

ვაც მეფეს წინა სტროფში (67) **მეფე** ვაზა ავთანდილმა. 67-ე სტროფში სწორ ფორმად მიაჩნია „**თქვენნივე ყმანია**“. ნ. მარი წერს, რომ თუმცა „**სპანია**“ გაპირობებულია იმავე სტრიქონში „**მოვასხნეთ**“ ზმნით, რომელიც ობიექტის მრავლობითობაზე მიუთითებს, მაგრამ უფრო მიზანშეწონილია „**ყმანია**“, რადგანაც ყმანი აქ ნიშნავს მხედარს, რაინდს. როსტევეანის კარზე კი, ვფიქრობთ, მრავლად იქნებოდნენ რაინდები. ამაზე მიუთითებს კიდევ რუსთაველი პირველივე სტრიქონებში, როდესაც როსტევეანს უწოდებს „**ყმიანს**“ (32,2... „**ლაშქარ-მრავალი, ყმიანნი**“ — *хозяйни многочисленных войн, окруженный витязями*)“. თანაც ავთანდილი როსტევეანს ურჩევს არა მყურებლების ან ჯარის წაყვანას, არამედ ნადირობის ხელოვნების უცდომელი დამფასებლების ანუ, როგორც ახლა იტყვიან, „**ეიურის**“ მოწვევას. ნ. მარის აზრით, „**ყმანია**“-ს უპირატესობას განაპირობებს 68-ე სტროფიც, რომელშიც მეფე თანახმაა სწორედ რაინდების (**ВИТЯЗЕЙ**) მოწვევაზე მოსამართლეთა როლში („**კარგთა ყმათასა** ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა“). აქედან გამომდინარე, სტროფები, რომლებშიც ნადირობის შემფასებლად მონებია მიჩნეული, ნ. მარმა ყალბად გამოაცხადა.

70. **კვლა ბრძანა: მონა თორმეტი...**

71. **მონადირეთა უბრძანა...**

ამ მსჯელობის გასამაგრებლად ნ. მარს დასახელებული აქვს თავისი ნაშრომი *«Вступительные и заключительные строфы Витязь в барсовой коже Шоты из Рустава»*, რომელშიც იგი არკვევს რაინდული ყოფის დროს პატრონყმური ურთიერთობის ტერმინების — „**ყმისა**“ და „**მოყმის**“ სოციალურ შინაარსსა და მნიშვნელობას.

¹ ИАН, 1917, გვ. 415 — 506.

² საკუთრივ მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფილება, фонд 800, опись 1, № 72.

მერი გუგუშვილი, ლალი ძოწენიძე
შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე

68-ე სტროფის „კარგთა ყმათასა“ შე-სახებ ნ. მარის საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოთქმული კ. ჭიჭინაძეს. მისი აზრით, „როსტევეანის სიტყვები: „კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა“, გულისხმობენ არა კარგ რაინდებს („добрых витязей“ — ნ. მარი), არამედ კარგ ყმებს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. სიტყვა „კარგი“ შეეხება აქ მოწმეების ზნეობრივ მხარეს და არა მათ ვაჟკაცობას (თუმცა არც ეს შესაძლებლობა არის გამორიცხული), ამიტომ ზოგიერთი ვარიანტებით ნაცვლად „კარგთა ყმათასა“ იკითხება „კარგთა კაცთასა“¹.

აღმათ ნ. მარის მოსაზრებით ხელმძღვანელობდა 1937 წლის გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისია, რომელმაც მიიღო წაკითხვები: „თქვენნივე ყმანია“ (67,2) და „კარგთა ყმათასა“ (68,3). ეს წაკითხვები დაკანონდა შემდგომ გამოცემებშიც. ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიდან ამ ფორმებს ადასტურებს მხოლოდ ერთი ხელნაწერი. ეს არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის ხელნაწერი № 599, დანარჩენ ხელნაწერებში ერთხმად იკითხება „თქვენნივე სპანია“ და „კარგთა კაცთასა“ (იხ. H757, H54, H2074, Q1082, S2829, S4988, H2610, Q261 და ა. შ.).

წაკითხვებს „თქვენნივე ყმანია“ და „კარგთა ყმათასა“ მხარს არ უმაგრებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მონაცემებიც; გავიხსენოთ საანალიზო ეპიზოდი. ავთანდილმა ნაძლევის დადება შესთავაზა როსტევეანს, მეფე დათანხმდა და ამის შემდეგ მოდის ნადირობის მოსამზადებლად ბრძანების გაცემა (სტროფი 70), შემდეგ კი ნადირობის ამსახველი ეპიზოდი (სტროფები 72-83).

ნადირობის ამსახველ ეპიზოდშიც და მანამდეც, ნაძლევის დადებისას, ლაპარაკია ნადირობის შემფასებლებზე. ამ

შემფასებლად 67-ე სტროფში ტროადიკულად სპანია მოხმობილი, ნ. მარის სეული წაკითხვით კი ყმანი. ვეფხისტყაოსნის 67-ე სტროფში მართებულია „თქვენნივე სპანია“. სპა „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს ჯარს, მხედრობას. პოემით ავთანდილი არის სპასპეტი ანუ მხედართმთავარი, ამირ-სპასალარის, მთავარსარდლის ძე (40,1—„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა“). სპის შემადგენლობაში შედიან როგორც რაინდები, ისე საშუალო რანგის მეომრებიც. სპის შემადგენლობაში შემავალ მეომრებს „ვეფხისტყაოსნით“ მონაცემოვდება. „ვეფხისტყაოსანში“ მნიშვნელოვან სამხედრო ძალას, ე. ი. სპას, წარმოადგენს მონათა ჯარი.¹ ავთანდილმა როსტევეანს გმირი რაინდების მოწვევა კი არ შესთავაზა ნადირობის მოწმედ, არამედ ჩვეულებრივი სპისა. ხოლო, როცა ნაძლევი დადეს და ნადირობა გადაწყდა, მეფემ ბრძანება უკვე კონკრეტულად გასცა.

70. ... მ ო ნ ა თ ო რ მ ე ტ ი შეესხათ
ჩვენთანა მარებლად,
თორმეტი ჩვენად ისრისა მომრთმევლად.
მოსახმარებლად,—
ერთაი შენი შერმადინ არს მათად
დასაღარებლად,—
ნასროლ-ნაქრავსა სთვალვიდენ უტყუერად,
მიუძმდარებლად.

ამრიგად, იმ სპიდან, რომელთა მოწმედ მოყვანა შესთავაზა ავთანდილმა მეფეს, როსტევეანმა თ ო რ მ ე ტ ი მ ო ნ ა გამოარჩია. ეს დასტურდება ნადირობის ამსახველ ეპიზოდშიც, რაკი აქ რაინდები არ იხსენიებიან. დილით მოვიდა ავთანდილი და მეფეს უხმო.

73. შეეკაზმა მეფე, შეჯდა, ნადირობას
გამოვიდეს;
მგრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყას
გარე შემოპკრვიდეს;
ზეიმი და ზარი იყო, სპანია ველთა
დაკვარვიდეს,
ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან
სრვიდეს.

¹ კ. ჭიჭინაძე, რუსთაველის გარშემო, 1928, გვ. 76.

¹ შდრ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 172.

მეფეც გამოვიდა სანადიროდ. მინდორს გარს შემოერთყენენ. მაგრამ ვინ ახლავს მეფეს? რაინდები? არა. ამ ეპიზოდში რაინდები არ იხსენიებიან. რუსთაველი მიუთითებს, რომ ნადირობად გამოსული მეფის „სპანი ველთა დაჭვარვიდეს“. ეს ის სპანია, რომელთა მოწმედ მოწვევა შესთავაზა ავთანდილმა როსტევანს ნადიმის დროს: „მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე სპანია“ (67,2), თუ ამ სტრიქონში „თქვენნივე ყმანია“ უნდა იყოს, მაშინ 73-ე სტროფშიც ყმანი უნდა იხსენებოდეს და არა სპანი. ამ სტროფის სპანისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება არავეს მიუქცევია. ხელნაწერებში ეს ადგილი სხვაგვარად არ იკითხება. ერთი ამჟამად, თუ 73-ე სტროფში „სპანია“ ფორმა მართებულია და ეს სადავო არ არის, მაშინ 67-ე სტროფში „ყმანია“—ს ნაცვლად უცილობლად უნდა მივიჩნიოთ „სპანია“, რადგანაც საუბარი 73-ე სტროფში იმ ადამიანებს შეეხება, რომელთა მოწვევაც 67-ე სტროფში შესთავაზა ავთანდილმა როსტევანს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ამ სპიდან მეფემ თორმეტ მონას უბრძანა, თან ხლებოდა. ახლა ამ მონებს ავალებს ნადირობის შედეგების შეჯამებას:

74. უბრძანა: მონა თორმეტი მოდით,
ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილსა ფიცხელსა მოგვემდით, ისარსა
მოგვართმოდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა
დასთვალვდითა!

მართლაც, ეს მონები მოახსენებენ მეფეს ნადირობის შედეგს. ეს მონები მეფის სპიდან გამოყოფილი რჩეული მეომრები არიან. ნადირობის ეპიზოდის დასასრულს რუსთაველი შენიშნავს, რომ ეს თორმეტი მონა არის „უმხნესი სხვათა მხნეთასა“ (83,3). სხვაგან „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი მათზე ამბობს: „მონები არ-საპყრებია“ (286,4).

კიდევ ერთი გარემოება. ნადირობის დამთავრების შემდეგ „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ (84,1). მეფემ მოიწადინა უცხო

ყმის წუხილის მიზეზის შეტყობა და მასთან მონა გაგზავნა. როცა იკითხება მონამ პასუხი ვერ მოიტანა, მეფემ „გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე“ (91,2). ეს ის თორმეტი მონაა, მეფეს ნადირობის შემდგომად რომ ჰყავდა წამოყვანილი. როგორც ცნობილია, უცხო მოყმემ — ტარიელმა ეს მონები დაუხოცა არაბეთის მეფეს. ამ ამბის გამო „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულს ტარიელი ბოდიშით უთვლის როსტევანს:

1505. მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა
მიწისა შენისა,
ცდა შეპყრობისა ავი ჰქმენ, შემოტყევა
ცხენისა,
მე შენთა სხათა ვაჩვენე ნიშანი რამე წყენისა.
დავხოცე მონა მრავალი, მსახური სრისა
თქვენისა.

აქაც ჩვენ ვგებულობთ, რომ ტარიელს მეფის სპისათვის მიუყენებია წყენა. მეფეს მონები დაუხოცია. მეფეს რომ „ყმები“ ანუ რაინდები წაეყვანა ნადირობის მოწმედ, მაშინ ტარიელიც რაინდების დახოცვაზე მოუხდინდა ბოდიშს. ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მონაცემებიც ტრადიციული წაკითხვის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მართებულია წაკითხვა „თქვენნივე სპანია“ (67,2) და არა „თქვენნივე ყმანია“, რადგანაც, ნ. მარის აზრით, სწორი წაკითხვაა „თქვენნივე ყმანია“, ამიტომ, როგორც ზევითაც შევნიშნეთ, მონების გამოჩენა 70-ე სტროფში მკვლევარმა უხერხულად მიიჩნია და იგი ყალბად გამოაცხადა. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. მთელს „ვეფხისტყაოსანში“ საანალიზო ეპიზოდთან დაკავშირებით იხსენიება მეფის თანმხლები სპა და აქედან გამორჩეული „უმხნესი სხვათა მხნეთასა“ თორმეტი მონა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უცილობლად უნდა შეიცვალოს 68-ე სტროფის „კარგთა ყმათასა“, რომელიც „თქვენნივე ყმანისა“ ანალოგიით გაკე-

მერი გუგუშვილი, ლალი ძოწენიძე
შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე

თებულის ჩანს, ხელნაწერებში დადასტურებული წაკითხვით „კარგთა კაცთასა“. გამოთქმა „კარგი კაცი“ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში სხვაგანაც დასტურდება: „კარგთა კაცთა გარდგეკიდე“ (972,1). ასეთი წაკითხვის შემდეგ ამ ეპიზოდის შინაარსი ასე წარმოგვიდგება: ავთანდილმა შესთავაზა როსტევანს მოწმედ თავისი სპის მოყვანა. როსტევანი დათანხმდა და გადაწყვიტა ამ სპიდან მოწმედ „კარგთა კაცთა“ მოწვევა. მართლაც, საუკეთესო თორმეტ მონას უბრძანა ნადირობის შედეგების შეჯამება. ამრიგად, ვფიქრობთ, მართებულია წაკითხვები „თქვენნივე სპანია“ (67,2) და „კარგთა კაცთასა“ (68,3). საანალი-

ზო სტროფები შემდგომ გამოუყვეტებში უნდა დაიბეჭდოს ასე:

67. მიწაცა თქვენი აეთანდილ თქვენს წინა
 მშვილდოსანია,
 ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად
 თქვენნივე სპანია.
 მოასპარეზედ ვინ მგავსო? ცუდნილა
 უკუთქმანია,
 გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და
 მოედანია!
68. მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა და-
 ცილებასა,
 ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-
 კლებასა,
 კარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მოწმად
 ჩვენთანა ხლებასა,
 მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ
 ქებასა.



(მო ვ ი ო)

ბეჰაღნიანი



მეცნიერის ღვაწლი

მატიანის ფურცლები...

ამბობენ, ეპიგრაფები მოდაში აღარ არისო. მე მაინც მინდა ეპიგრაფი წავუძღვარო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, გამოჩენილ საბჭოთა ფიზიკოს ელფთერ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილზე დაწერილ ამ ნარკვევს. ეპიგრაფად გამოვიყენებ ორ ციტატას, რომელთა ავტორია 1961 წლის მაისს საქართველოში სტუმრად ჩამოსული ნილს ბორი.

პირველი ციტატი მომყავს ნილს ბორის საუბრიდან ჟურნალისტებთან: „პროფესორ ანდრონიკაშვილის გამოკვლევის დაბალ ტემპერატურათა, ზედენადობის ამ საუცხოო მოვლენის სფეროში კარგადაა ცნობილი მთელს მსოფლიოში“.

მეორე — სამშობლოში დაბრუნებული ნილს ბორის წერილიდან პროფესორ ანდრონიკაშვილისადმი: „ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ენერგიულმა და მიზანდასახულმა კვლევითმა მუშაობამ, რომელსაც ეწევი

თქვენ და თქვენი კოლეგები. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ორი ქვეყნის მეცნიერთა შორისაც ამ მიმართებით დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად მიგვაჩნია თქვენი ვიზიტი, რომელსაც უახლოეს დროში მოველით“.

გაგახსენებთ მკითხველს, რომ ამ თერთმეტი წლის წინ — თავისი დაბადების წელს — თბილისის ფიზიკის ინსტიტუტს ჰქონდა მხოლოდ ორი პაწია ოთახი ალავერდის მოედანზე მდგარ ქველ, მოფამფალებულ სახლში; ახლამის ხელთაა სპეციალურად აგებული შენობა უმაღლეს მეცნიერულ დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიებით; ატომური რეაქტორით; კოსმიური სხივების მიწისქვეშა ლაბორატორიით თბილისში; კოსმიური სხივების ორი სადგურით ბაკურიანსა და ცხრაწყაროზე (უნიკალური დანადგარებით); გაგახსენებთ ამას და ახლა შევეცდები მოგითხროთ, საიდან და როგორ შეიქმნა ეს ყველაფერი.

მამ ასე, გადავშალოთ მატიანე...

ადამიანები მაგიდებზე სხედან, მაგრამ განა სკამები არა ჰყოფნით — ეს მათი დასვენებაა. თუმცა ზოგნი, მეტწილად ქალები, სკამებზე სხედან. ადამიანები ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს, ყვირიან, ხელებს იქნევენ... უცხოს ეგონება, სამკედრო-სასიცოცხლო მტრობა აქვთ და საცაა ერთმანეთს დახოცავენო. მაგრამ საქმე სულ უბრალოდაა. ოთახში თავი მოუყრიათ ჟურნალისტებს და იმაზე მსჯელობენ, თუ როგორ აჯობებს დისკუსიის წარმართვა. ეს უნდა იყოს დისკუსია მეცნიერების შესახებ. როცა ჟურნალისტები ფიქრობენ, ოთახში სიჩუმეა. ხოლო როცა ვიღაცას ჰგონია, „მივაგენიო“, სხვებს კი ჯერ არ მიუგინიათ, მაშინ ყვირილია.

ჯერჯერობით ხველანი შეთანხმდნენ ერთში: დისკუსია უნდა იყოს მწვავე, აუცილებელი, პრინციპული, გულახდილი. გულახდილი! ეშმაკმა დალაზვროს! რამდენი რამაა დამოკიდებული პირველ სტატიაზე!

— ვის დავაწერინოთ?
და მაშინ ვიღაცა ამბობს:

— ანდრონიკაშვილს. ელეფთერ ანდრონიკაშვილს. აკადემიკოსია. კარგად გამოვიდა სესიაზე (მხედველობაში აქვთ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესია). იმიტომაც აგვიშენეს რეაქტორი.

— მარტო იმიტომ კი არა...

— ცხადია, მარტო იმიტომ არა. მაგრამ მის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

რომელიღაც ფრთხილმა ჟურნალისტმა ჩაფიქრებით თქვა:

— ერთიც ვნახოთ, ჩვენ პრინციპულად არ დავეთანხმეთ რაიმეში და მან კი სტრუქტონიც არ გამოგვაცვლევინა?!

— სტატია ხომ სადისკუსიო იქნება, რაც უნდა, ის დაწეროს.

— სამაგიეროდ რა კარგად წერს... ვახსოვთ, „ზარია ვოსტოკაში“ რომ დაბეჭდა სტატია რეაქტორის მშენებლებზე?

ყველა ამბობს, გვახსოვსო. მაშინ ამ სტრუქტონების ავტორი იღებს ტელეფონის ყურმილს, ურეკავს ანდრონიკაშვილს და — ამჯერად პირველად — ესმის ბოხი, ომახიანი ხმა, რომლის ინტონაციებსაც შემდგომში გაიგონებთ მისი მოწაფეების ხმაში.

ანდრონიკაშვილმა თანხმობა განაცხადა, სტატიას დავწერო (თუმცა გულის შეტევა მოსვლოდა და ლოჯინად იყო). მოკლე-მოკლე წინადადებებით პასუხობდა: „ოღონდ ახლა არა. საიუბილეო სესიის მერე. მაშინ ზოგი საკითხიც გაირკვევა. სათაური იქნება „მეცნიერება და საზოგადოება“.

ჟურნალისტები დათანხმდნენ, დაგელოდებითო.

სტატია თითქმის ზუსტად დათქმულ დროზე დაიწერა.

სტატიაში მეცნიერი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებრივად აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა განვითარდეს „ადგილებზევე“ რამდენიმე მთავარი მიმართულებით. დისკუსიის მსვლელობაში გამოირკვა, რომ მას ყველა არ ეთანხმებოდა. მაგრამ ანდრონიკაშვილი წერდა იმაზე, რის მიღწევასაც ცდილობდა თვითონ. თბილისის ფიზიკის ინსტიტუტში მისი დიდი სამეცნიერო ერუდიციის, დაუცხრომელი ენერჯისა და საქმიანობის წყალობით სავსებით უღაცო წარმატებებს მიაღწია შემდეგმა დარგებმა: მაღალ ენერჯიათა ფიზიკამ, დაბალ ტემპერატურათა ფიზიკამ, მყარი სხეულის ფიზიკამ, ბიოფიზიკამ, გამოყენებითი ატომის ფიზიკამ.



ანდრონიკაშვილი მეცნიერებათა კანდიდატი და თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგე იყო, როცა ჩავიდა მოსკოვს, რათა შეხვედროდა აკადემიკოს პეტრე კაპიცას; კაპიცა ის-ის იყო დაბრუნდა ინგლისიდან, სადაც ამ დაუცხრომელმა რუსმა თორმეტი წელი იმუშავა სახელგანთქმულ რეზერფორდთან, მის არანაკლებ სახელგანთქმულ ლაბორატორიაში.

საბჭოთა ფიზიკის ამ ვარსკვლავთან შეხვედრამდე ანდრონიკაშვილმა კარგა ხანს იხეტიალა ქუჩებში. მან გაიხსენა ყველაფერი, რაც კი მომხდარა მის ცხოვრებაში მანამდე; ლენინგრადი, სადაც ის დაიბადა, ხოლო შემდეგ დაამთავრა ინსტიტუტი; თბილისი, სადაც განვლო მისმა ბავშვობამ; მამა, ცნობილი პეტერბურგელი ადვოკატი, გამოჩენილ რევოლუციონერთა დაცვით სახელმძღვანელო კაცი (ამის გამო კინაღამ წუთისოფელს გამოესალმა), შემდეგ გულმხურვალედ რომ მოეკიდა უნივერსიტეტთან იურიდიული ფაკულტეტის შექმნის საქმეს.

მამისაგან ზომ არ გამოჰყვა ეს დაუცხრომელი ენერგია, რისი წყალობითაც დღემდე აღწევდა ყველაფერს, რაც კი მოუწადინებია?! რა იქნება ამჯერად?! არა, მან უნდა იმუშაოს! ის იმუშავებს კაპიცასთან! ის გაიტანს თავისას!..

— მე თქვენთან მუშაობა მინდა! — ეს იყო პირველი ფრაზა, რომელიც უთხრა მან მეცნიერს.

— ჩემთან მუშაობა უნდა საბჭოთა კავშირის ყველა ფიზიკოსს, — მიუვოკაპიცამ და მისი „ახალგაზრდა მეგობარი“ იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მეცნიერი მართალი იყო.

რაზე მუშაობს ანდრონიკაშვილი?

— აა, მყარი სხეული.. კეთილი, სემინარი იქნება და შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ.

ანდრონიკაშვილმა, რა თქმა უნდა. მიიღო მონაწილეობა, სიტყვა წარმოთქვა. კაპიცა ნიჭიერ ხალხს ეძებდა და თუკი დარწმუნდებოდა, ეს კაცი მეცნიერებას გამოადგებოდა, აღარ მოეშვებოდა — მალე ანდრონიკაშვილი ჩაირიცხა ფიზიკის პრობლემათა ინსტიტუტში.

...თხევადი ჰელიუმის კაცობრიობისთვის იშვა 1908 წლის ივნისის ერთ მზიან დღეს, როცა ჰოლანდიელმა ჰეკნიერმა კამერლინგ ონესმა გაზი ჰელიუმში აქცია სითხედ, რომელიც წყალზე შვიდჯერ მსუბუქი გამოდგა. ეს მოხდა მინუს 268 გრადუსზე¹.

ამრიგად — ანდრონიკაშვილის დაბადებამდე ორი წლით ადრე — წარმოიშვა ახალი მეცნიერება — დაბალ ტემპერატურათა ფიზიკა.

თხევადი ჰელიუმში, — წერდა შემდგომში ანდრონიკაშვილი, — თავისი თვისებებით აღმოჩნდა არა მხოლოდ მეცნიერული კვლევის უნიკალური ობიექტი, არამედ გამოდგა იმ გარემოდაც, რომელმაც ფიზიკოსებს მისცა ამოუწურავი შესაძლებლობანი — ყოველნაირ ნივთიერებაზე ექსპერიმენტი მოახდინონ აბსოლუტური ნოლის ახლოს.

თხევადი ჰელიუმის შესწავლა მეცნიერს სულ ახალ-ახალ სიურპრიზს უშვავდა.

თხევადი ჰელიუმით ექსპერიმენტების მოხდენა არც ისე ადვილია. ის უფერულია და გამჭვირვალე. გამოუცდელ კაცს შეუძლია თხევადი ჰელიუმით საესე დიუარში² იცქიროს და ირწმუნებოდეს, შიგ არაფერია, სიცარიელეაო. ჯერ კიდევ კამერლინგ ონესმა გამოარკვია ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოე-

¹ აბსოლუტური ნოლია — 273°.

² ორკედლიანი მინის ხელსაწყო გათხევადებული გაზების შესანახად.

სოფიო გველესიანი
მეცნიერის ღვაწლი

ბა: რომელიღაც გარკვეულ ტემპერატურულ წერტილზე თხევადი ჰელიუმის ფიზიკური თვისებები ისე მოულოდნელად და ამოუცნობად იცვლება, რომ უნდა ვილაპარაკოთ „ახალ ნივთიერებაზე“. ამ „ახალ ნივთიერებას“ უწოდეს ჰელიუმ-II, რათა განესხვავებინათ ადრინდელი სითხისაგან, რომელსაც ახლა, შესაბამისად, ჰელიუმ-I უწოდეს.

არაჩვეულებრივი ნივთიერება გამოდგა ეს ჰელიუმ-II. მისი სიბლანტე ათი ათასჯერ უფრო ნაკლებია ჰელიუმ-I-ის სიბლანტეზე, არც ერთი ნივთიერება არ იქცევა ისე, როგორც ჰელიუმ-II— იგი აღწევს ყველანაირ ჰუმპრუტანაში, რომლის სიდიდე თუნდაც მალიმეტრის ერთ მეათათასედს ძლივს აღწევდეს. კატეტომეტრში¹ დაკვირვებისას ფიზიკოსი ხედავს, თუ როგორ „შეცოცდებან“ ჰელიუმ-II ხელსაწყოში და ნელ-ნელა ავსებს მას.

აკადემიკოსმა კაპიცამ ამ მოვლენას ზედენადობა უწოდა.

რალა გასაოცარია, რომ ჰელიუმ-II-ში მიიპყრო არა მარტო ექსპერიმენტატორთა, არამედ თეორეტიკოსთა ყურადღებაც. აკადემიკოსმა ლევ ლანდაუმ წამოაყენა თეორია, რომლის თანახმადაც ჰელიუმ-II არის ორი სითხის — ზედენადი და ნორმალური სითხეების ნარევი... გაბედული თეორია! არაფიზიკოსები უთუოდ ძნელად დაიჯერებენ, რომ ასეთი რამ შესაძლოა. ფიზიკოსები რაღას ამბობდნენ? არც მათ შორის იყო ერთსულოვნება. ამ თეორიის მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ მაგარი არგუმენტი: თეორიებს დამტკიცება უნდა. მხოლოდ მაშინ შეიძლება მათი აღიარება მეცნიერულ ჰეშმარტებად!

სწორედ მაშინ დაიწყო ანდრონიკა-შვილმა თავისი ექსპერიმენტები, მსოფლიო სახელი რომ მოუტანეს მას. ექსპერიმენტების სერია... ფიზიკის პრობლემათა ინსტიტუტის ლაბორატორიაში, სადაც ცდებს აწარმოებდა ანდრონიკა-შვილი, ლანდაუ ყოველდღე შეიბრუნდა ხოლმე. იხედებოდა დიუარში, სადაც

ექსპერიმენტატორის ნებით რხევადობდნენ უთხელესი ლითონის დისკოები და თხელ ფენებად თავის მოქცევაში ითრევდნენ იმ გამჭვირვალე სითხეს, თითქმის რომ არა ჩანდა ასევე გამჭვირვალე ლაბორატორიულ მინაში: ლანდაუს ყველაზე უკეთ ახსოვდა: თეორიას დამტკიცება უნდა, ხოლო მისი თეორიის ბედი წყდებოდა აქ, ლიმონისფერ ოთახში, სადაც ელექტროგამტარების ლურჯი, წითელი, ცისფერი მილები მოწმობდნენ: აქ მუშაობენო.

.. ასე გარბელდა ხუთი თვე. ბოლოს, ასორმოცდამეთერთმეტე ცდის დროს, ეს გონებამახვილურად ჩაფიქრებული და იდეალური სიზუსტით შესრულებული ექსპერიმენტი წარმატებით დაგვირგვინდა. ამჟამად მეცნიერებაში ის ცნობილია, როგორც „ანდრონიკა-შვილის ეფექტი“. ეს ექსპერიმენტი რომ დაწვრილებით ავწეროთ, მკითხველს თავს უნდა მოვახვიოთ აუარება სპეციალური თერმინი, ამიტომ უმჯობესია მოვახსენოთ პირდაპირ დასკვნები, რომლებიც მიიღო ანდრონიკა-შვილმა. დიახ, ჰელიუმ-II ნამდვილად შედგება ორი სითხისაგან — „ნორმალური“ (სხვაგვარად — „კლასიკური“) და „ზედენადი“ (სხვაგვარად — „კვანტური“) სითხეებისაგან. ექსპერიმენტატორმა დაადგინა: თუ ჰელიუმ-II-ში ჩავდებთ მოძრავ მყარ სხეულს და ვაიძულებთ მას რხევა განიცადოს, „ნორმალური“ სითხე მონაწილეობას მიიღებს მის მოძრაობაში, „ზედენადი“ კი არა; ყოველი კომპონენტის რაოდენობა აქ იცვლება ტემპერატურის მიხედვით; და, დასასრულ, მესამე. არაფიზიკოსთათვის ყოველად გაუგებარი დასკვნა — ამ კომპონენტების ერთმანეთისაგან დაშორება, „განცალკევება“ შეუძლებელია.

ოდესმე მეცნიერება უპასუხებს ყურნალისტების ამოჩემებულ კითხვას: „მერე რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამას?“. ჯერჯერობით არავითარი. ისევე, როგორც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა ერნესტ რეზერფორდის ცდას, როცა ის ალფა-ნაწილაკებით უტევდა აზოტს და აქცევდა

¹ გამადიდებელი საჭვრეტი მილი.

მას უნებნებად ან წყალბადად. რეზერ-
ფორდი სიკვდილამდე დარწმუნებული
იყო, კაცობრიობა ვერასოდეს ვერ გა-
მოიყენებს ატომში დაბუდებულ ენერ-
გიას...

როგორღა თხევადი ჰელიუმის საქმე?
გამოკვლევებს ახალ-ახალი აღმოჩენები
მოსდევს. ერთ-ერთი ასეთი აღმოჩენის
შესახებ მიახლო ჯელილ წაქაქემ, თბი-
ლისის ფიზიკის ინსტიტუტის კრიოგე-
ნური ლაბორატორიის¹ გამგემ. ეს ახალ-
გაზრდა კაცი მაშინ სამეცნიერო ხარის-
ხის მოსაპოვებლად ემზადებოდა და გა-
დაწყვიტა საკანდიდატო თემად აეღო:
„დრეკად-პლასტიური თვისებების შეს-
წავლა მბრუნავ ჰელიუმ-II-ში.“ თავისი
ამბის მოყოლა მან დაიწყო იმით, თუ
როგორ ჩავიდნენ ანდრონიკაშვილი და
მისი თანამშრომლები 1957 წელს მოს-
კოვს დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის
დარგში თათბირზე.

— წავედით და წავიღეთ მოძრავ ჰე-
ლიუმზე ჩატარებული ცდების პირველი
შედეგები, — მიახლოებს წაქაქემ. — ეს
ცდები უშუალო გაგრძელება იყო იმ
ცდებისა, რომელთათვისაც ელფთერ
ანდრონიკაშვილმა თავის დროზე სახელ-
მწიფო პრემია მიიღო. ახლა არ იკი-
თხავთ, რა მოხდა? გავიგეთ, რომ უნდა
გამოვიდეს ჰოლლი, ინგლისელი, ამ
დარგის გამოჩენილი ექსპერიმენტატო-
რი და თეორეტიკოსი, და მისი მოხსენე-
ბის თემა... — აქ წაქაქემ შეჩერდა, რათა
უფრო მეტად განვეცვიფრებინე... —
„ანდრონიკაშვილის ექსპერიმენტები
მბრუნავ ჰელიუმ-II-ში“.

რა ხდება შემდეგ, თქვენი აზრით?
ხდება ძალზე საინტერესო ამბავი. შედე-
გები, რომლებიც მიიღეს ჩვენმა ანდრო-
ნიკაშვილმა და ინგლისელებმა, ძირი-
თადში მსგავსია. მაგრამ დასკვნები! დას-
კვნები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება
ერთმანეთს. თქვენ გაგეგებათ რამე ფი-
ზიკისა? ძალიან ცოტა? არა უშავს, მარ-
ტივად ვიამბობთ.. — და წაქაქემ დამა-

ყარა სპეციალური თერმინები, ბოლოს
მითხრა: — ჰოლლი და ანდრონიკაშვილი
თავისაზე იდგნენ. არასოდეს არა-
მენიათ ანდრონიკაშვილის გამოსვლა?
მაშინ არ მოგიყვებით იმიტომ, რომ
ამის გადმოცემა შეუძლებელია. ჯერ
ერთი — საინტერესოა, მეორე — გონება-
მახვილურია. მესამე — ძალზე, ძალზე
ტემპერამენტია. ერთი სიტყვით, გირ-
ჩვეთ მოუსმინოთ. ყურნალისტისათვის
ეს აუცილებელიც კია.

არც მისი ძმისთვის მოგისმენიათ?
ირაკლი ანდრონიკაშვილისათვის? — წა-
ქაქემ ჩაფიქრდა. — ეს კია, რომ ირაკლის
ოპონენტები არა ჰყავს. ის ლაპარაკობს
და კაცი არ შეედავება. ჰოლლი კი და-
ვობდა, მაგრამ ჰუმბარტება ჩვენსკენ
იყო. ცხადია, არც ჰოლლი იხვედა
უკან... — წაქაქემ ისევ პაუზა ამჯობი-
ნა. — მაგრამ როცა ანდრონიკაშვილი
ინგლისში მიიწვიეს ლექციების წასაკი-
თხად, იქ ჰოლლს შეხვდა. და ჰოლლმა
აღიარა, ვცდებოდიო! წარმოგიდგენით,
რა იყო ეს? ჩვენმა ინსტიტუტმა, მაშინ
რომ ძლივს იღვა ფეხზე, აჯობა უდი-
დეს მეცნიერს! უნდა მოგახსენოთ, —
წაქაქეს არც უცდია დაეძალა თავისი
სიხარული, — რომ ჰოლლს იური მამალა-
ქემ რამდენიმე შეცდომა უპოვნა თეო-
რიულ ნაშრომებში. ჰოლლმა ჯერ არა-
ფერი იცის! — ოცნებით წარმოთქვა წა-
ქაქემ.

ერთხელ ანდრონიკაშვილი გაემგზავ-
რა ჰოლანდიაში, სადაც იმ დროს იკრი-
ბებოდნენ თითქმის მთელი მსოფლიოს
ფიზიკოსები და ექსპერიმენტატორები.
სწორედ იქ გაიცნო ფაინმანი.

თანამედროვეობის უდიდესი ფიზიკო-
სი-თეორეტიკოსი, თანამედროვე ფიზი-
კის მთელი მათემატიკური აპარატის
ავტორი, მონადირე, სპორტსმენი და
ჯახმენი (ფაინმანი თითქმის ყველა სა-
ჯახო კონკურსების ყიურის უცვლელი
წევრია), ვირტუოზი მედოლე და, მთელ
თავის ამ გატაცებათა მიუხედავად, ფი-
ზიკოსი და კიდევ ერთხელ ფიზიკოსი, —

¹ დაბალ ტემპერატურათა ლაბორატორია, ე. ი.
თხევადი ჰელიუმი. ცდების ჩატარებისათვის
განკუთვნილი ლაბორატორია.

იღვა საბჭოთა დელეგაციის წევრების ანდრონიკაშვილისა და პეშკოვის¹ წინ და მხიარულად ართმევდა ხელს.

— ანდროშკინა-ვილი! — გაიძახოდა ფანინანი. — ძალიან, ძალიან მოხარული ვარ. ანდროშკინა-ვილი! რა ხანია მინდოდა თქვენი გაცნობა, — განაგრძობდა ის და ვერ ამჩნევდა, რომ ეს გვარი სხვანაირად ეწერა იმ სტატიაში, სადაც წაიკითხა „ანდრონიკაშვილის ეფექტის“ შესახებ.

შემდეგ განაცხადა, მოხსენების წაკითხვას ვაპირებ ამ კონფერენციაზეო, ცხადია, ლანდაუ უკეთესად წაიკითხავდაო; მერე გამოთქვა თავისი აღტაცება კაპიტას ნაშრომების გამო. როცა ლაპარაკი შეეხო წმინდა სამეცნიერო პრობლემებს, ანდრონიკაშვილი დაინტერესდა:

— დიდი ხანია თხევად ჰელიუმზე მუშაობთ?

— მას მერე, რაც წავიკითხე თქვენი სტატია-წავიკითხე და ვთქვი: არა, ამას გიყის მეტი ვერავინ დაწერდა-მეთქი. მაგრამ მერე ვიფიქრე: თუ ამის დამწერი გიყია, კაპიტამ და ლანდაუმ ხომ წაიკითხეს მისი შრომა, ისინი ხომ არ არიან გიყები-მეთქი, — სიცილით დაუმატა ფანინანმა. — და მას უკან რაღაც ამეკვიტა.

ფანინანს მხედველობაში ჰქონდა ანდრონიკაშვილის ის ექსპერიმენტი, რომელშიც დამტკიცებული იყო, რომ ჰელიუმ-II შედგება ნორმალურ და ზედნად სითხეთა ნარევისაგან.

სწორედ მაშინ გადაიხლართა მათი სა-

მეცნიერო გზები — პირველად, მაგრამ არა უკანასკნელად.

ამის მომდევნო ცდა ანდრონიკაშვილმა ჩაატარა თხევადი ჰელიუმით, ოღონდ ამჯერად არა რხევადი, არამედ გამჭვირვალე ჭიქაში მბრუნავი ჰელიუმით.

ანდრონიკაშვილის მიერ მიღებული დასკვნები იმდენად ეწინააღმდეგებოდა საყოველთაოდ მიღებულ დასკვნებს, რომ სამეცნიერო ჟურნალმა, სადაც მან გაგზავნა სტატია თავისი ამ შეხედულების შესახებ, გადაწყვიტა ცოტათი „გაეშალაშინებინა“ ფორმულირება.

ანდრონიკაშვილი მისთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით იბრძოდა, რომ ჟურნალს დაებეჭდა ის, რაც შეადგენდა მის ღრმა რწმენას; ეს იყო რწმენა ექსპერიმენტატორისა, რომელიც მუდამ მიზნად ისახავს შეიტყოს ჭეშმარიტება და სულ არ აღარდებს, მოერგება თუ არა ეს ჭეშმარიტება ამა თუ იმ თეორიას. ექსპერიმენტატორის საქმეა — აღმოაჩინოს ახალი ჭეშმარიტება, თეორეტიკოსისა — გაიაზროს ეს ახალი და არა მიუსადაგოს ფაქტი შეჩვეულ, მოსახერხებელ ცნებებს.

ამ დავა-კამათის დროს ფანინანმა გამოაქვეყნა თავისი შეხედულება ამ „სადავო“ ექსპერიმენტის თაობაზე და ანდრონიკაშვილის სიმართლე „გარედანაც“ იქნა დამტკიცებული.

გრძელდებოდა ექსპერიმენტები და ამდიდრებდა დაბალ ტემპერატურათა ფიზიკას. ეს ექსპერიმენტები დღესაც გრძელდება...

მასამ ფურცელი

ლირიკული ჟიანკვლა ზუსტი მიცნიერების თაობაზე

გადავიკითხე კლასიკოსები და გამოიკვირდა, რომ წინათ თითქმის არ წერდნენ მეცნიერებზე. კერძოდ, ფიზიკოსებზე.

¹ გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსი.

ზე. და იმ აზრზე ვდგები, რომ გარდასულ დროთა კლასიკოსები ახლანდელზე ნაკლებ არ სცემდნენ პატივს ტიპიურობას. სერვანტესის მამაცი იდალგოს, ლოპე დე ვეგასა და კალდერონის

მოსასხამთა და მახვილთა გვერდით, ცხადია, აღარაფერი ჩანდა სწავლული ხალხი. მაგრამ ახლა, როცა ფიზიკოსებმა გახლიჩეს ატომი, ხალხს უნდა გაიგოს, რას წარმოადგენენ ეს ადამიანები, რომლებმაც მოიტანეს ჩვენი საუკუნის ეს უდიდესი ბედნიერება თუ უდიდესი უბედურება. და აი — ტევა აღარ არის კინოთეატრებთან, სადაც აჩვენებენ ფილმს — „ერთი წლის ცხრა დღე“, ლამის ნაკუწ-ნაკუწ აქციონ „Иностранная литература“-ს ფურცლები, სადაც დაბეჭდილია „ოპენჰეიმერის საქმე“ და „შეხვედრა შორეულ მერიდიანზე“, დავობენ გრანინის რომანზე „ვუტემ ქარიშხალს“, და ყველანი — ფიზიკოსებიც და არაფიზიკოსებიც ხარბად კითხულობენ იუნგის ბრწყინვალე რეპორტაჟს — „ათას მზეზე უფრო კაშკაშა“. დანინის წიგნი — „უცნაური სამყაროს გარდაუვალობა“ — გაიყიდა უფრო აღ-

რე, ვიდრე გაჩნდა პირველი რეცენზიები გაზეთებში და საჭირო შეიქმნა მეორე გამოცემა, რომელიც ისევ მარტო გაქრა თაროებიდან, როგორც პირველი. წარმოდგინეთ, ადამიანები ინტერესით აღევნებდნენ თვალს ფიზიკოსებისა და ლირიკოსების თაობაზე გამართულ დისკუსიას.

დიახ, ფიზიკა პატივშია, სულ მცირე ხანში ის შეიქნა აბსოლუტური მონარქი მეცნიერებისა. ეს მოხდა ისევე ენერგიულად, გარდუვალად და თანმიმდევრულად, როგორც ჯაჭვური რეაქცია. ფიზიკა განუხრელად იჭრება ყველა მეცნიერებაში თანმიყოლებით, ანგრევს ჩვეულ წარმოდგენებს, აცვლენებს კვლევის მეთოდებს, საშუალებებსა და ობიექტებს. დიახ, ფიზიკა შეტევაზე გადადის. მაგრამ, სხვა დამპყრობთაგან განსხვავებით, მისი შემოჭრა დანგრევა კი არა, შექმნაა, განადგურება კი არა. გამდიდრებაა.

ამოთხე ფურცალი

ჩვენ ფიზიკა ვლადიმერ

ომი ახალი დამთავრებული იყო; 1948 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დადიოდა კაცი. სიარულზე შეატყობდით, რომ ეს იყო ენერგიული, მიზანდასახული და მოქმედებას მოწყურებული ადამიანი. ენერგიული მოძრაობით ბოლომდე გააღო ფიზიკის ლაბორატორიის კარი. მახვილმა თვალმა მთლიანად აღიქვა სურათი — ახალგაზრდები იატაკზე დახოხავენ, გულმოდგინედ უჩივიანებენ რაღაც ყოველად უბადრუკ ხელსაწყოს. ახალგაზრდები — სამნი არიან — ფეხზე წამოხტნენ. არასოდეს არ ენახათ მანამდე ეს კაცი, მაგრამ იცოდნენ: ის ჩამოვიდა და მასზე ამყარებდნენ იმედს. კაცმა თავი გააცნო: ანდრონიკაშვილი.

— რას აკეთებ?

— ოსცილოგრაფს.

— ოსცილოგრაფს ყიდვა უნდა და არა გაკეთება. რად გჭირდებათ?

— კოსმიური სხივები გვინდა შევისწავლოთ იალბუზზე.

კაცმა მათ ყურადღებით შეხედა, მიხედა, ენთუზიასტები იყვნენ და უთხრა:

— მე მოგვხმარებით.

მერე განაგრძო გზა უნივერსიტეტის ლაბორატორიებისაკენ. ეს სამნი კი — როგორც გამოირკვა, ფიზიკის კათედრის ასისტენტები — კვალდაკვალ მისდევდნენ. კაცი ეცნობოდა ადამიანებს და ირჩევდა თანამშრომლებს — ახლანდელი საქმეებისათვისაც და მომავლისათვისაც; ის ჰვრეტდა წლებს მიღმა და რასაც პერსპექტივაში ხედავდა, მხოლოდ სიხარულს როდი ჰგვრიდა — მან იცოდა, რომ საამისოდ მომზადება საჭირო... უფრო მოგვიანებით ის წერდა: „უნდა შეგეძლოს მეცნიერების განვითარების გზაზე, რაც შეიძლება შორს ჩასო შენი ნიშანსვეტი“.

სოფიო გველესიანი
მეცნიერის ღვაწლი

როცა ის ჩვენი ნაცნობი ასისტენტები აგებდნენ თავის პირველ ოსცილოგრაფს ყოველგვარი მართალი (მუდართით, თავის შებრალებით) და არამართალი (დაუთხოხავად წამოიღეს სხვა ლაბორატორიიდან — მათ არ სჭირდებოდათ) გზით მოპოვებული მასალებით; მათ, კაცმა რომ თქვას, მშვენიერად ესმოდათ, რომ მართო ოსცილოგრაფით ბევრს ვერაფერს გახდებოდნენ. კიდევ უფრო უკეთ იცოდა ეს ანდრონიკაშვილმა. ამიტომ ინსტიტუტისათვის „მატერიალურ ბაზაზე“ ზრუნვა იქცა მის ერთ-ერთ უპირველეს, მძიმე საზრუნავად. ამიტომ, თუმცა იალბუზზე წამსვლელი ექსპედიცია სამხედრო ლაშქრობასავით გულმოდგინედ, მაგრამ რისკის მოლოდინით მზადდებოდა, — ანდრონიკაშვილი აკეთებდა ყველაფერს, რათა თავიდან აეცილებინათ შემთხვევითობანი, რომლებიც აქ, ზღვის ღონიდან ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე, განსაკუთრებით უსიამოვნო იქნებოდა. ოროთახიან პატარა სახლში, რომელსაც კოსმიური სხივების სადგურს ეძახდნენ, ისე ციოდა, რომ ხუმრობდნენ, პელიუმი აქ ისე იქცევა სითხედ, არავითარი დამატებითი აპარატურა არ დასჭირდებათ.

„სადგურის მოსახლეობამ“ — მაშინ „გამოუცდელმა ბარტყებმა“ (ახლა თითქმის ყველანი ინსტიტუტის ლაბორატორიათა გამგეები არიან) — გ. ჩიქოვანმა, ზ. მანჯავიძემ, ლ. გედევანიშვილმა, მ. ბიბილაშვილმა, ი. საყვარელიძემ და სხვებმა შესძლეს აღმოეჩინათ მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი ნაწილაკები. უფრო გვიან გამოირკვა, რომ ეს უცნაური კოსმოსელი სტუმრები მხოლოდ ქართველ ფიზიკოსებს როდი ეწვივნენ. ცოტა ადრე ინგლისელ ფიზიკოსებსაც სწვეოდნენ. მაშ, ჩვენებმა მხოლოდ დაადასტურეს სხვების მიერ აღმოჩენილი? არა, ეს სიტყვა აქ აშკარად უადგილოა. მეცნიერებაში გამოვრება ძალზე ხშირად ქვეშაობების დადასტურება და მისი ძლევა მოსილი დამტკიცებაა. გავიხსენოთ, რომ „ანდრონიკაშვი-

ლის ეფექტი“ შეგნებულად გამოვირეს არა მხოლოდ პოლში, არამედ დამა და ტელიორმა, პელამმა, ესელსა და ბერუნიაკმა.

იალბუზმა ჩვენს მეცნიერებს მისცა ძალზე მდიდარი მასალა პატარა ნაწილაკთა კოსმიური სხივების შესახებ, რომელთა მოძრაობის სისწრაფე უახლოვდება სინათლის სისწრაფეს; ახალგაზრდა მკვლევარს ნინო როინიშვილს საკმარისი მასალა დაუგროვდა, რათა გამოეტანა დასკვნა ზოგიერთ ნუკლონთა სტრუქტურულ თავისებურებათა შესახებ. ნუკლონები, ისევე, როგორც წინათ ატომი, განუყოფელად ითვლება. იქნებ ახლა, როცა თქვენ ამ სტრიქონებს კითხულობთ, მეცნიერთათვის ჯერ უცნობმა რომელიმე კოსმიურმა ნაწილაკმა გაატანა ჟურნალის ამ თეთრ ფურცელში, გაატანა მთელს ჟურნალში, მაგიდაში, რომელსაც თქვენ უზიხართ, მთელს მრავალსართულიან შენობაში, მიწის სიღრმეში. მიწის ქვეშ კი მას დაიჭერენ მეცნიერები — კოსმიკები — რომელთაც საამისოდ მრავალი სხვადასხვა საშუალება აქვთ.

კოსმიური ნაწილაკების სრული და ღრმა გაცნობა პირდაპირ დამოკიდებულია მაგნიტის სიმძლავრისაგან, რომელიც წარმოადგენს ზემალა ენერჯიათა ნაწილაკების დამჭერი დანადგარის „გულს“. 1956 წელს ქართველ კოსმიკებს ჰქონდათ ცამეტნახევარი ტონის სიმძიმე მაგნიტი. ხმამალა ისინი ოცნებობდნენ ორმოცდაათტონიანზე, გულში კი იმედი ჰქონდათ, იქნებ ოცდაათტონიანი მაინც მივიღოთო. ვილსონის კამერა, რომელსაც ისინი ხმარობდნენ, შვიდი ლიტრის მოცულობისა იყო. მაგრამ რაც უფრო მეტია მისი ფართობი, მით უფრო მეტი ნაწილაკი მოხვდება დანადგარზე: გაიხსენეთ — კოსმიური სტუმრები ჩვენთან ხომ ისე მოდიან. ზუსტი მისამართი არა აქვთ. და აი — ანდრონიკაშვილი, ჩიქოვანი და მანჯავიძე იმუშავებენ ათასტონიანი მაგნიტის დანადგარის პროექტს.

საგონებელში იყვნენ სამივენი: საჭირო იყო ანდრონიკაშვილს, ჩიქოვანსა

და მანჯავიძეს, რომლებიც როგორც იქნა შეეჩვივნენ ამ მაგნიტზე ფიქრს, ახლა სხვებიც დაეჯერებინათ. მანჯავიძე იხსენებს:

— როგორც კი დავიწყებდით ლაპარაკს ჩვენს მაგნიტზე, ყველანი უცებ რაღაც საშინლად თავაზიანები ხდებოდნენ. მგონი ფიქრობდნენ, ავანტურისტები არიანო. მერე ცდილობდნენ დამტკიცებინათ ჩვენთვის, რომ მაგნიტი ჩვენს მიერ დაანგარიშებული დანადგარისთვის 4.000 ტონა სიმძიმისა იქნებოდა.

ეს ამბავი 1956 წელს ხდებოდა. და აი, მე და ჩიქოვანი ლენინგრადში ვართ, ანდრონიკაშვილი კი მოსკოვში, ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენი გაანგარიშებების სისწორე დადასტურდა.

— რა დაჯდება ასეთი მაგნიტი? — კითხულობს ანდრონიკაშვილი.

— ოთხი მილიონი.

დრამატული მომენტი! გვექნება მაგნიტი, — ეს იმას ნიშნავს, რომ არ გვექნება სხვა არაფერი. როგორი არჩევანია? განა ეს შესაძლებელია? რა ვქნათ — განვავეითაროთ მხოლოდ მაღალ ენერგიათა ფიზიკა? რაღა ვუყოთ დანარჩენთ — ხომ გვაქვს შედეგები, გვაქვს ტრადიციები. რაღა ვუყოთ მყარ სხეულთა ფიზიკას? ნიკა პოლიეფქტოვმა ხომ ცოცხლად შეგვკამა? ახლა ბიოფიზიკოსები რას იტყვიან? და, ბოლოს, ჩვენი ტრადიციული მეცნიერება — დაბალ ტემპერატურათა ფიზიკა? არა, ეს შეუძლებელია. დიახ, დასკვნა შეიძლება იყოს უოფილიყო მხოლოდ ერთი: უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენ დავარწმუნებთ. გვექ-

ნება მაგნიტი, გვექნება სხვა დაბრუნება.

ჩვენ დავარწმუნებთ... თქვას, როცა ვამბობდით, ჩვენ დავარწმუნებთო, ჩიქოვანი და მე ჩვენს თავს როდი ვგულისხმობდით. დაარწმუნებს — გადავწყვიტეთ ჩვენ — ანდრონიკაშვილი. და აი, ჯერ ხარჯთაღრიცხვაც არ დამტკიცებინათ, ჩვენ კი უკვე შევუდექით მუშაობას. ვიღრე ანდრონიკაშვილი იბრძვის ფინანსებისათვის, არწმუნებს, ვისაც ჯერ არს, ჩვენ რიგრიგობით ვზივართ მოსკოვსა და ლენინგრადში, თავზე ვადგავართ დამპროექტებლებს და ხელიდან ვგლეჯთ ცხელ-ცხელ ნახაზებს. ჩვენ ვჩქარობთ. ვჩქარობთ მაგნიტის აშენებას, დანადგარის აშენებას.

დიახ, ჩვენ გავიტანეთ ჩვენი, — იღიმება მანჯავიძე, — წელს დანადგარი უკვე მწყობარში ჩადგება.

ნახეთ რას წერს ამ დანადგარის შესახებ სერგეი ვერნოვი!

„ამ დანადგარის პროექტს კარგად იცნობდნენ ელემენტარულ ნაწილაკთა და ზემოდალ ენერგიათა სფეროში მომუშავე ფიზიკოსები... მისმა შესაძლებლობებმა რამდენჯერმე გადააჭარბა ყველაფერს, რაც შეიძლებოდა მიგველო საბჭოთა კავშირში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში არსებულ სხვა დანადგართა მეოხებით. საქართველოში შექმნილ ფიზიკოსთა ახალ სკოლას სრული შესაძლებლობა აქვს ამ დანადგარის მეოხებით მოახდინოს მნიშვნელოვანი აღმოჩენები“.

¹ გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მეხუთე ფურცელი

ლომი და მია

დიახ, ანდრონიკაშვილს შეეძლო — და შეუძლია დაინახოს მომავალი მეტად კონკრეტულად. თბილისის გარეუბნის მიყრუებულ სივრცეში ერთხელ თვალწინ წარმოუდგა ინსტიტუტის თეთრი,

რკინაბეტონით ნაგები შენობა, და ააშენა კიდევ.

ეს შენობა თითქოს სიმბოლოა თანასოფრო გველესიანი მეცნიერის ღვაწლი

მეღროვე მეცნიერებისა — ფრთასხმული აზრი, მაღლა რომ მიისწრავდეს.

„ექსპერიმენტალური ბაზა და მეცნიერთა კოლექტივი უნდა გამოეხმაურონ ყველა მნიშვნელოვან და რთულ მოვლენას, რაც კი ხდება მსოფლიო ფიზიკაში ამა თუ იმ განხრით“. ანდრონიკაშვილი შთამაგონებელი თავდადებით იბრძვის ამის მისაღწევად.

მსოფლიო სახელის მქონე ერთ-ერთი ფიზიკოსის შესახებ თქვეს: დიდი ფიზიკოსი რომ არ გამოსულიყო, დიდი პოეტი იქნებოდაო. სრულიადაც არაა უცნაური შეთავსება. შესაძლებელია, ანდრონიკაშვილმა ეს არც ჩასთვალოს ქათინაურად, მაგრამ ისიც რომ არ გამოსულიყო ბრწყინვალე ფიზიკოსი, ნამდვილად ბრწყინვალე ჟურნალისტი დადგებოდა. არცაა გასაკვირველი: აზროვნების არასტანდარტულობა — განა ეს არ განსაზღვრავს მისი სტატიებისა და სამეცნიერო შრომების — გონებამხვილური მიგნებების, გაბედული ექსპერიმენტების არასტანდარტულობას, მის ვეება ორგანიზატორულ სამუშაოთა არასტანდარტულობას?!

რა კარგი იქნება, მან რომ დაწეროს წიგნი — მეცნიერების მიღწევათა და თვით მეცნიერთა შესახებ. მინდა იმედი ვიქონიო, რომ იმ წიგნში ბევრი იქნება ნათქვამი ინსტიტუტის მუშაობაზე. იქნებ ეს იმედი იმან აღმიძრა, რომ ვგრძნობ, რა ბევრი რამ დამრჩა უთქმელი თვით ანდრონიკაშვილზეც, მის კოლეგებსა და თანამშრომლებზეც, ქართველ ფიზიკოსთა ანდრონიკაშვილისეულ სკოლაზეც. მე ისიც კი არ დავწერე, თუ რა დიდი მუშაობა მიმდინარეობს ინსტიტუტში ატომური ენერჯის მშვიდობიანი გამოყენებისათვის და რა საინტერესო შედეგებია მიღებული.

...ფიროსმანის ტილოდან მრისხანედ უცქერს ქვეყანას თითქმის ნამდვილი ლომი. გარდა თავისი ჩვეულებრივი რაღისა — ლამაზი, მაგრამ მომაკვდინებელი ძალის თათები, აღმასი ეშვები და ძლიერი ყბა, — გარდა დიდებული შესახედაობისა (ესეც იარაღია) ლომს აქვს აგრეთვე ხმალი. წინა თათით უჭირავს ეს ხმალი და ვერ გააჩჩევს ეს ხმალი ხელს უშლის თუ შველის მას. ლომის ზურგს უკან ამოდის მზე. ეს მზე — ნათელი და მიამიტი, როგორც ბავშვის ღიმილი — უაღრესად მიმზიდველი მნათობია, ლომს უკან ამოფარებული, უჩვეულო გარემოში მოხვედრილი; დაბნეულა და დარცხვენილი იღიმება.

ამ ტილოს ავტორი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ასი წლისა იქნებოდა. როცა ის ამ ტილოს ხატავდა, ერნესტ რეზერფორდს ჯერ კიდევ არ წარმოეთქვა თავისი ცნობილი ფრაზა: ახლა მე ვიცი, ატომი როგორ გამოიყურებაო; რობერტ ოპენჰეიმერი სკოლაში დაცუნცულებდა, ხოლო ჩვენს ლანდაუს ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ ოდესმე ნილს ბორთან ისაუბრებდა.

მაგრამ ამ სურათში, რაკი ის ფიზიკოსის კაბინეტში ჰკიდია, გინდა თუ არ გინდა, მაინც პოულობ „ფიზიკურ აზრს“. რა თქმა უნდა, ეს მზე ახალი. ატომური ფიზიკის მზეა, რომელიც უნდა ამოვიდეს და გაუნათოს ადამიანებს. ამ მზის ერთ-ერთი შემქმნელის ამბის მოყოლა ვცადე. ეს ნაამბობი ძალზე, ძალზე მცირეა. იმიტომაც ვუწოდე მას მატთანის ფურცლები, ისიც პირობითად. რაც შეეხება თვით მატთანეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის დაიწერება...





ს უ მ

ახალი დრამატული თეატრი

ნიუ-იორკში ავრამ ლინკოლნის სახელობის მხატვრულ ცენტრში, სადაც უკვე აგებულია ახალი საკონცერტო დარბაზი და ახალი შენობა „მეტროპოლიტენ-ოპერისთვის“, აშენდა აგრეთვე ახალი დრამატული თეატრი; პრემიერად წავა არტურ მილერის ახალი პიესა — „დაცემის შემდეგ“. დაიდგემა აგრეთვე ო'ნიელის და ბერმანის პიესები.

როკუელ კენტის წიგნი

გამოვიდა ცნობილი ამერიკელი პროგრესული მხატვრის როკუელ კენტის „გრენლანდური დღიური“. დღიურში დაბეჭდილია მწერლის ფიქრები და აზრები, აგრეთვე ესკიმოსთა ცხოვრების სურათები. წიგნს უხვად ახლავს ავტორის ნახატები.

„პიგმალიონი“ ეპრანზე

ბერნარდ შოუს ცნობილი პიესა „პიგმალიონი“ დაედო საფუძვლად მუსიკალურ კომედიას, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა. ამ წარმატებამ ჰოლივუდს აფიქრებინა დიდი ფილმის გადაღება „პიგმალიონის“ თემაზე. ელიზა დულიტლს თამაშობს ოდრი ჰეპბერნი, ხოლო პროფესორ ჰიგინსს — რეკს ჰარისონი. ზემოთ ნახსენები მუსიკა-

ლური კომედია „ჩემი მშვენიერი ქალბატონი“ სამიათასჯერ დაიდგა და უოკელთვის დიდი წარმატება ჰქონდა, ამიტომ იმედოვნებენ, რომ ასეთი მსახიობების მონაწილეობით შექმნილი ფილმი კიდევ უფრო მეტ მოწონებას დაიმსახურებს.

ბრაზილია

თეატრალური სხპიტი ხელოვნების ბინალო

ქალაქ სანაულოში დამთავრდა თეატრალური სხპიტი ხელოვნების მორიგი ბინალო; ამ ბინალოზე ხდება ხოლმე საერთაშორისო პრემიების მინიჭება სტენოგრაფიის, ექსპოზიციის და თეატრალური კოსტუმების საუკეთესო ნიმუშებისათვის, აგრეთვე გრაფიკის, ქანდაკების, გამოყენებითი ხელოვნებისათვის და სხვ. კონკურსზე კვლავ დიდი წარმატება ხვდა ჩეხოსლოვაკურ ხელოვნებას. ჩეხოსლოვაკიამ მიიღო ბრაზილიის პრეზიდენტის ოქროს მედალი საუკეთესო ექსპოზიციისთვის და პირველი პრემია თეატრალური კოსტუმების ესკიზებში (იორე ტრენკას ნამუშევრები). გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკიამ მხატვარმა ირეი იონმა მიიღო მეორე პრემია გრაფიკისთვის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გრაფიკა წარადგინა მნ ჰვეჟანამ და არც ერთს არ მიუღია ჯგოლო, მაშინ ესეც ჩეხოსლოვაკთა დიდ წარმატე-

ბად უნდა ჩათვალოს. წიგნის გრაფიკისა და ილუსტრაციებისთვის განუთვნილი 10 პრემია მიენიჭა ჩეხოსლოვაკიას. თეატრალურ არქიტექტურაში ოქროს მედალი მიიღო პოლონეთმა; პლაკატიც პოლონეთს აღმოაჩნდა სხვებზე უკეთესი.

ბულგარეთი

ხელოვნების ისტორიის გამოყვანა

რომი, პარიზი, მიუნხენი, ლენინგრადი და ბუდაპეტი მოიარა გამოყვანამ — „ბულგარეთის ხალხური ხელოვნება უძველესი დროიდან დღემდე“, რომელზეც, კერძოდ, 318 მხატვრული ექსპონატია წარმოდგენილი.

ბანა

კვამე ნარუმას წიგნები

ჯერ კიდევ მაისში, აფრიკული სახელმწიფოების მეთაურთა კონფერენციის დროს. უველა დელეგატმა მიიღო განის პრეზიდენტის დ-რ კვამე ნარუმას წიგნი — „აფრიკა უნდა გაერთიანდეს“. ახლა ეს წიგნი ინგლისში გამოვიდა. წიგნში მოცემულია აფრიკის მდგომარეობის ზედმიწევნითი ანალიზი, ლაპარაკია იმაზე, თუ რა აუცილებელია მთელი კონტინენტის სრული ერთიანობა დამოუკიდებლობის მისაღწევად და რომ ეს იქნება ახალგაზრდა აფრიკელი ლიდერების აღზრდის საუკეთესო

საშუალებად. წიგნი აშკარად ანტიიმპერიალისტური ხასიათისაა და ემჩნევა მარქსიზმ-ლენინიზმის გავლენა, თუმცა წიგნის ავტორი არაა კომუნისტისტი და შიგ ვხვდებით ბევრ საღვო საკითხებს.

გერმანია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

20.000 წიგნი ფაუსტზე

ვაიმარის ციხედარბაზის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში თავმოყრილია მხატვრულ ნაწარმოებთა განსაკუთრებული კოლექცია — წიგნები, სურათები და ნოტები, რომლებიც XV საუკუნიდან მოყოლებული მიეძღვნა ფაუსტის ლეგენდას. მარტო წიგნი ფაუსტურ თემატიკაზე 20.000 ცალია.

ფილმი კარლ ოსტეკიზე

დეფას კინოსტუდიამ დიწყო გადაღება ფილმისა, რომელიც ასახავს კარლ ოსტეკის სიცოცხლის უკანასკნელ 10 წელს. კარლ ოსტეკი იყო ნობელის პრემიით დაჯილდოებული გერმანელი პუბლიცისტი, რომელიც მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის გავლენით გამოსხნული იქნა ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკიდან, მაგრამ გადატანილ უბედურებას ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა 1938 წელს. ფილმს დიდი ინტერესით მოელონ.

ახალი რომანები

ლაიპციგის წიგნის საშემოდგომო ბაზრობაზე წელს გამოჩნდა გერმანელი მწერლების რამდენიმე ახალი საინტერესო წიგნი. აქაა ერვინ შტრიტმეტერის რომანი მუშათა თემაზე — „ოლე ბიენკოპი“, სტეფან შაიმის რომანი 1848 წლის რევოლუციაზე — „ანდრეას ლენციის ჩანაწერი“ და ლუდვიგ რენის წიგნი — „ინფლაცია“. ეს უკა-

ნასკნელი წარმოადგენს პირველი მსოფლიო ომის დროის ამხანაველი რომანების ცნობილი სერიის გაგრძელებას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ახალი ოპერა —

„ფიგარო ცოლს მყრება“

ჰამბურგის ოპერის თეატრში ამას წინათ აჩვენეს გოუნტროკლებს ახალი ოპერა — „ფიგარო ცოლს ეყრება“. ოპერა ვითარდება დღევანდელ გარემოში: გრაფი აღმავივა და მისი მეუღლე როზინა ემიგრანტები არიან, ფიგარო დალაქია, ხოლო როზინა ოფიციატადაა აღმავივას პაუის ქვრუბინოს ღამის ბარში. განლაქიებული გრაფი ბრუნდება სამშობლოში, სადაც გამოცხადებულია რესპუბლიკა, და ურიგდება უბრალო მოქალაქეობას. მისი ციხედარბაზი საბავშვო სახლად ეძღვნება მიტოვებულ ბავშვებს, ამ სახლის მწედ კი ინიშნება ფიგარო. კლიბებს მუსიკას ემჩნევა შიონბერგისა და ბარტოკის ძლიერი გავლენა.

ვიეტნამი

განათლების ზრდა

1960 წლიდან დღემდე ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 400-მდე საშუალო სკოლა გაიხსნა; ამ სკოლებში ასწავლიან აგრეთვე სხვადასხვა ხელოვნებას.

იაკონია

გართალი წიგნი

ინგლისში გამოვიდა ხიროსიმის უნივერსიტეტის უოფილა რექტორის, პროფესორ არატ ოსადას წიგნი — „ატომური ბომბის ბავშვები“. პროფესორმა ოსადამ თავისი წიგნი დაწერა იმ ბავშვების ნამბობის მიხედვით, რომლებმაც გადაიტანეს ხიროსიმაში მომხდარი ატომური კატასტ-

როფა. ბერთან რასტონმა დაწერა წინასიტყვაობა ინგლისური გამოცემისთვის. წიგნი და გამოქვა, რომ ეს მართალი წიგნი აღამიანებს გაახსენებს ატომური ომის საშიშვნებს და გონს მოიუყანს ომის გამწალებლებს.

ინგლისი

ფრიშის წინადადება

საერთაშორისო თეატრალურ კონფერენციაზე ედინბურგში ცნობილია შვეიცარიელმა დრამატურგმა მაქს ფრიშმა წამოაყენა საკითხი მსოფლიოს თეატრალურ ცხოვრებაში უცხოური დრამატურგის თარგმნის მდგომარეობის შესახებ. მან განაცხადა, რომ თარგმანში ხშირად იკარგება ავტორის ენის თავისებურებანი და იდეები. ფრიშის წინადადებით, უნდა შეიქმნას სპეციალისტებისაგან შემდგარი საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც შეამოწმებს თარგმნის სიზუსტეს და რომელსაც უნდა მიმართონ რეკომენდაციასათვის მთელი მსოფლიოს თეატრებმა. „საერთაშორისო თეატრალური ცხოვრება შეუძლებელია, ვიდრე არ მოგვარდება კარგი თარგმანის საქმე“, — განაცხადა დასასრულ ფრიშმა.

დაიწყო ახალი სემონი

ახალშექმნილი ნაციონალური თეატრის პირველი სემონი თეატრ ოლდ ვიკის შენობაში გაიხსნა „ჰამლეტით“; სექტაკლში ჰამლეტის როლს ასრულებს პიტერ ოსტული, კლავდიუსის როლს — სახელგანთქმული ინგლისელი მხახიოი მიკელ რედვრევი (ჰამლეტის როლის ცნობილი შემსრულებელი). თეატრის დირექტორი ლოურენს ოლივიე ამზადებს ოტელოს როლს. განზრახულია დაიდგას აგრეთვე იბსენის „შენეხელი სოლნესი“ და ბერტის „ძალუა კურაჟი“.

ტაატრო დელ პიკოლი

მსოფლიოში სახელმწიფოებრივი მარიონეტების თეატრი ტაატრო დელ პიკოლი თავის 50 წლის იუბილეს შეინიშნა. ამ ხნის განმავლობაში მან გამართა 52 ათასზე მეტი წარმოდგენა მსოფლიოს 3 ათასზე მეტ თეატრში.

ეს თეატრი წარმოიშვა 1914 წელს, როცა ვიტორიო პოდრეკამ — იურისტმა, უურნალობისმა, მუსიკის ცნობილმა კრიტიკოსმა თავის რამდენიმე შეგობართან ერთად შექმნა მარიონეტების თეატრი. 1919 წლიდან თეატრმა ხელი მოჰკიდა კლასიკური ნაწარმოებების დადგმას. ყველაზე მეტი წარმატება ხვდა რასინის ბერას „მძინარე მზეთუნახავი“, რომელიც კომპოზიტორმა საგანგებოდ დასწერა ვიტორიო პოდრეკას თეატრისათვის. სახვარგარეთ თეატრს ყველაზე დიდი წარმატება ხვდა საბუთა კავშირში, სადაც ორი თვე იყო გასტროლებზე. ამჟამად ამ განთქმულ თეატრს ხელშეკრულება აქვს დადებული 1964 წელს საბუთა კავშირში ათთვიანი გასტროლების თაობაზე.

სტრამბა კინომახსნობის ხდება

ცნობილმა კინოპროდუსერმა დინო დე-ლაურენტისმა განაცხადა, რომ მან ირანის შაჰის ყოფილ მეუღლეს სორიას დაულო ზღმეკრულება რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის როლზე მის მომავალ ფილმში. ცხადია, შაჰის ექს-მეუღლეს მსახიობური გამოცდილება არა აქვს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ მიფურტი წარსული ხელს შეუწყობს რუსის თვითმპყრობელის როლის თამაშში.

თეატრალური აგზაობა

იტალიაში დღემდე ბატონობს არამულმივი თეატრების სისტემა — თეატრების დასს ყოველი სეზონისთვის ხელახლა ადგენენ. მხოლოდ ამ ბოლო წლებში აღმოცენდა მძლავრი მოძრაობა „ტაატრო სტაბილეს“

თვის“, რის შედეგადაც თითქმის ყველა დიდ ქალაქში შეიქმნა მულმივი თეატრი. ვიდრე ეს თეატრები წელს მოიმარებდნენ, მათ მუნიციპალიტეტი ინახავს. ცნობილია ასეთი თეატრი — ელუარდო დე ფილიპოს თეატრი — რომელიც იტალიელ მაყურებელს მრავალ საინტერესო სიახლეს უჩვენებს. წელს დე ფილიპომ მაყურებელს აჩვენა მუსიკალური კომედია „მანანელი“ (დომენიკო მოდუნის მუსიკა) — ისტორიული პიესა 1647 წელს ნეაპოლში მომხდარი სახალხო აჯანყების თემაზე.

მილანის ჯეროლამოს თეატრმა დადგა ფრანგი მწერლის არტურ ადამოვის პიესა „პაოლო პაოლი“. პიესის გამართა ცხოვრება პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ოღონდ სპექტაკლი სატირული ვარიეტეს ხასიათისაა.

ვენეციის თეატრალურ ფესტივალზე ტაატრო ფენიჩემ აჩვენა ელუარდ ოლბის დრამა — „ეს ეშინია ვირჯინია ვულფისა“.

მულმივი თეატრები ხშირად მიემგზავრებიან საგასტროლოდ სხვა ქალაქებშიც. გენუის მულმივი თეატრი საგასტროლოდ ჩავიდა რომში და იქაურ მაყურებელს აჩვენა სარტრის პიესა — „ეშმაკი და ღმერთი“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პიესა იტალიაში პირველად ამ თეატრმა დადგა.

ცნობილი კინორეჟისორი ფრანჩესკო როსი („ხელები ქალაქის თავზე“, „კვლეობა სიცილიაში“) თეატრში გადავიდა სამუშაოდ. ნიკიერი პროგრესული შემოქმედი დამსნეაპოლელი დრამატურგის ჯუზეპე ვინფანს პიესას — „მეგობარი მანდილოსნის სხოვნას“, რომლის მოქმედებაც ხდება ნეაპოლში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

საბერძნეთი

ნობელის პრემია ლიტერატურაში
შვეციის აკადემიამ გამოაქვეყნა თავისი გადაწყვეტი-

ლება — ნობელის პრემია მანათობის შვედური კრონის რაოდენობით ლიტერატურის დარგში მიენიჭა ბერძენ პოეტსა და დიპლომატს გიორგიოს სეფერისს.

სეფერისი (სეფერადესი) დაიბადა 1910 წელს მცირე აზიის ქალაქ სმირნოში (იზმირი), რომელიც მაშინ საბერძნეთს მიეკუთვნებოდა. მამამისი, შემდგომში განთქმული თურისტი საერთაშორისო საქმეში, პირველი მსოფლიო ომის დაწყების მერე ათინაში გადასახლდა. სეფერისი 1918—1924 წლებში სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში ლიტერატურულ და იურიდიულ ფაкультეტებზე, ხოლო 1926 წელს დიპლომატიურ სამსახურში შევიდა. მისი უკანასკნელი პოსტი იყო საბერძნეთის ელჩობა ლონდონში 1957—1962 წლებში. პენსიაში გასვლის შემდეგ ის კვლავ ათინაში დაბრუნდა.

სეფერისის ლექსების პირველი პატარა კრებული — „შემოსაბურუნებელი პუნქტი“ 1931 წელს გამოვიდა. მისი ერთი პატივისცემლის სიტყვებით რომ ვთქვათ, სეფერისის პოეზია გამოირჩევა არა იმდენად მონუმენტულობით, რამდენადაც იდეებითა და სტილით, პოეტური ენის სიმშვენიერით.

სეფერისის პოეზიას კარგა ხანია სახვარგარეთაც აფასებენ. 1960 წელს ემბროჯის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება, ხოლო მომდევნო წლებში ინგლისელი პოეტების ლექსების ბერძნულად თარგმნისათვის მიეკუთვნა უილიამ ფოილის სახელობის ლიტერატურული პრემია.


სეფერისი საბერძნეთის პირველი ქვეყნარდგომია, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო.

საფრანგეთი

მათათხე ნომერი
გამოვიდა მეათასე ნომერი პროგრესული ფრანგული ჟურნალისა — „ლიტერ ფრანსე“, რომელიც მიემდვნა კულტურ-



ქართული
პერამიკის
ნიმუშები



შოთა ნარიშანიშვილი



სულხან სულხანიშვილი

ისევ ღარეკა კრემლის საათმა

ამ შუალამეს ედიან ისე,
როგორც სასწაულს, უნახავს დღემდე,
რჩება ეს წუთი ამ ღამის მიღმა —
ის, რაც წარსულად ითვლება შემდეგ.

და დიდ ქადაქთა მაღალ კოშკებზე
საათის ისრებს აჭრქოლებს წამი...
ჩვენში ვალვიძებთ ახად ოცნებებს
და საათებზე მიცოცავს ქამი.

ახალი წლის და ყველა სიახლის:
შენების, ტრფობის, დღეების მშვიდის...
სამოცდაოთხიე შემოდის ამ ხმით
და გულებისკენ სიკეთით მიდის.

ამ ღამეს ხედავ დღეების ნათელს
და შენს საყვარელ სიმღერას მღერი.
დაე, ეს წელიც მოსდევდეს ზამთარს.
ოლონდ მაისის შემოჭყვეს ფერი.

ახადგაზრდობის ყიჟინად იქცეს,
თმადათოვრიდთა ღიმილად იქცეს,
ისევ აიჭრას კოსმოსში ფრენით
და ყვავილებად მოედოს სივრცეს.

სუდ უფრო დიდი მინდვრები დახნას,
დიდი ქიმიის შემქმნელი გახდეს,
ყვედა უდაბნო დასეროს არხმა
და ყრუ ტაიგებს უცვადოს სახე.

ძებნის და პოვნის, პოვნის და ძებნის
დე, ახალი წლის იყოს ყველა დღე,
და საქართველოს დიადი ღერბი
ამ ცისქვეშ მარად მზისფრად ეღავეს.

ანჟო რ აბულაშვილი

3500 60 333

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236